ჯიმი ჯალიაშვილი: 6

**საქართველოში თუ რაიმე საჭიროებს ძირეულ ცვლილებას, უწინარესად, ესაა საგარეო პოლიტიკა**

არნო ხიდირბეგიშვილი: 10-11

**საქართველოს ხალხთა ასამბლეის კონგრესი თბილისში უნდა ჩატარებულიყო და მისი ორგანიზატორი საქართველოს პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო!**

**ალექსანდრე ჭაჭიას 8 ექვსი გაუთვალისწინებელი რჩევა, რაც აგვისტოს ომსა და ტერიტორიების დაკარგვას აგვაცილებდა**




საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

20 - 26 მაისი, 2009 №13

# საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net


# ფარს-მაჟორი! 2



სინამდვილეში, **ფორს-მაჟორთან,** თუნდაც, იმიტომ არ გვაქვს საქმე, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციის უდიდეს ნაწილსაც **ერთი პატრონი, ერთი დირიჟორი ჰყავთ...** მიხეილ სააკაშვილი ირაკლი **ალაCiAნიამ** უნდა ჩაანაცვლოს, ამისთვის კი ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა დაადგან რქები, კიდევ ერთხელ გაუსაღონ **ფარს-მაჟორი ფორს-მაჟორად...**

**Козел** — მამალი თხა, ვაცი.
**Козел отпущения** — განტევების ვაცი.
**Пустить козла в огород** - თხას ბოსტანი მიაბარეს.
**Как от козла молока** — მაგისგან ხეირს ვერ ნახავ.

// ვაი, ჭკუისაგან!..

**გამარჯობა, ავღანეთო, შენი!.. 3**

// ერთხელ საქართველოში

**ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა, ანუ YANKEE, GO HOME! 4**

// პოლიტ-თეატრი

თათია ბახტურიძე:

**ჩემს შვილს წყალს ასხამდნენ და ასულიერებდნენ, ხელში რომ არ ჩამკვდომოდათ 2**

კოკა ყანდიაშვილი:

**ვანო მერაბიშვილი, გია ჭანტურია, გიგი უგულავა და სანდრაც კი ლტოლვილებისგან მოპარული ფულით აჭმევენ შვილებს 13**

// ახალი რომი

**პენტაგონი მსოფლიო ჟანდარმად იქცა 26**

ჟოზე ლოურეირუ დუშ სანტუში:

**სააკაშვილმა ვერ გაიგო, რომ ის პაიკია თამაშში, რომელიც მისით არ შემოიფარგლება 14**

სალომე ზურაბიშვილი:

**სააკაშვილი შეშლილია!**

**გერჰარდ ფრიც კურტ შრიოდერი,**

გერმანიის ფედერალური კანცლერი 1998-2005 წლებში:



— ნატომ თავშეკავებული დისკუსია უნდა აწარმოოს საქართველოსთან, რომლის **პრეზიდენტიც ნამდვილი ავანტიურისტია.** როდესაც ალიანსი ატარებს სამხედრო მანევრებს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც სულ ახლახან იყო ომი, ნათელი ხდება, თუ ვინ წამოიწყო ეს ომი... ასეთი სწავლებები სისულელეა.

// დაიჯესტი

**მედვედევმა რუსეთის ფედერაციის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია დაამტკიცა 23**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net






**„ფორს-მაჟორი“ დღემდე ყველას, მათ შორის, ქართველებსაც, ამ ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობით გვესმოდა, როგორც გაუთვალისწინებელი, გადაულახავი დაბრკოლება, ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. სანამ მთავარზე გადავიდოდე, კიდევ ერთ ტერმინს — „ანომიას“ შევეხები, რაც ნიშნავს ისეთ სოციალურ ვითარებას, როცა არსებული სამართლებრივი თუ სხვა ნორმები ველარ განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას.**

**ახლა რაც შეეხება მთავარს: ფორს-მაჟორმა ქართულ სინამდვილეში** ანომია **განიცადა, საჭიროა ახალი ტერმინი, რომელიც უფრო ზუსტად განსაზღვრავს იმას, რაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ხდება საქართველოში.**

**მდგომარეობა, რომელიც 9 აპრილის შემდეგ თბილისის ქუჩებში შეიქმნა, არ არის ფორსმაჟორული, ანუ** გადაულახავი, **რადგანაც მომიტინგეები, სულ მცირე, ორჯერ მაინც შეადგენდნენ კრიტიკულ მასას, რომელსაც სურვილის შემთხვევაში საკაშვილის რეჟიმის დამხობა შეეძლო...** მერაბიშვილსაც, სულ მცირე, შვიდჯერ ჰქონდა საბაბი, რომ ჯერ დაერბია შეთხელებულ პროტესტანტთა რიგები, მერე კი მათი ლიდერები არა ტელესტუდიაში ან შუა რუსთაველზე სახელდახელოდ მოწყობილ საკნებში, არამედ ვირის აბანოს დილეგში გამოემწყვდია...

ის, რაც 9 აპრილის შემდეგ თბილისში ხდება, **გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი** არავისთვისაა, რადგანაც იმთავითვე ყველამ ვიცოდით, რომ **ხალხი კვლავ გამოვა ქუჩაში, გამოთქვამს პროტესტს, მიშა კვლავ ფეხებზე დაიკიდებს მომიტინგეებს, დასავლეთი კვლავ მხარს დაუჭერს და გაამართლებს საკაშვილის მიერ ძალის გამოყენებას, რეზინის ტყვიების სროლის ჩათვლით, ოპოზიციაც კვლავ დათანხმდება დიალოგზე, მერე ნელ-ნელა დათმობს, პროტესტის მუხტიც კვლავ განელდება, ერთი-ორი ოპოზიციონერი ლიდერი ფეშქაშად „მაყუთს“ ან რაიმე პოსტს მიიღებს, კრება, ანუ მიტინგი კი კვლავ დარჩება მხიარული. ხოლო ხალხი, რომელსაც სამი რამ უნდა — საკაშვილის წასვლა, სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება და საარსებო პირობების მეტ-ნაკლები გაუმჯობესება, ამ სამიდან ერთსაც ვერ მიიღებს.**

ნახეთ, რა უცნაური სურათია: მდგომარეობა, რაც საქართველოში შეიქმნა, არც **გაუთვალისწინებელი და მოულოდნელია,** არც — **გადაულახავი**, ოპოზიცია კი გაჰყვირის — რადგანაც საქმე **ფორს-მაჟორთან** გვაქვს, მიშა უნდა წავიდეს და არჩევნები ხელახლა გავმართოთ, ანუ ძველი ხელშეკრულება გავაუქმოთ და ახალი დავდოთო...

არადა, სინამდვილეში, **ფორს-მაჟორთან,** თუნდაც, იმიტომ არ გვაქვს საქმე, რომ ხელისუფლებასაც და ოპოზიციის უდიდეს ნაწილსაც **ერთი პატრონი, ერთი დირიჟორი ჰყავთ.**

ამ **დირიჟორმა**, როგორც გონიერმა მწყემსმა, იცოდა რა აბორიგენების, ანუ ცხვრების ბუნება, 2003 წლის 23 ნოემბერს წინასწარ გაწვრთნილი და დარიგებული ვაცი ჩაგვიყენა სათავეში. მაშინ ხელისუფლების შეცვლას ასევე **ფორს-მაჟორად** ნათლავდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს „ვარდების რევოლუციად“ შენიღბული **ფარს-მაჟორი** იყო, ანუ ფარსი, რომელიც **გადაულახავი** და **გაუთვალისწინებელი** აუცილებლობით შეინიღბა...

თბილისის ცენტრში ახლაც იგივე ხდება, რაც 2003 წლის ნოემბერში ხდებოდა... **განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, მაშინდელ „ვაც“ შევარდნაძეს რქები სიბერისაგან დააცვდა, აბორიგენი ცხვრების სათავკაცოდ „ბაბუს“ ნაცვლად ოკეანისგაღმიდან „ჩანერგილმა“ ვაცმა სააკაშვილმა კი რქები შარშან აგვისტოში მოიმტვრია.** თანაც, ტემპერამენტი მოეძალა, ხან დოქტორ დოტს დასდევს, ხანაც ბოდრუმის პლაჟებზე ათვალიერებს ბიკინებიან დამსვენებლებს. მან სერიოზულად შეარყია ამერიკისა და ამერიკულ ღირებულებათა რეიტინგი...

კიდევ ერთი განსხვავება ის არის, რომ 2003 წელს „ბაბუს ჩამოგდება“ დირიჟორის მიერ სანქცირებული და ნებადართული იყო, დღეს კი ჩვენს ძვირფას ოპოზიციას საერთო დირიჟორისაგან არც ნებართვა აქვს, არც — სანქცია და ამიტომაც ვერ ამხობს „ვაც საკაშვილს“, თორემ ამ რქამოტეხილი ბელადის ჩამოსაგდებად ბიძია ტეფტის დიპლომატიური მინიშნება — **მიშამ იმედები გაგვიცრუაო** — საკმარისი იქნებოდა, ანუ ტეფტის ერთ სიტყვას მარტივად შეეძლო აბორიგენი ქართველებისთვის ბელადად დანიშნული საკაშვილი **განტევების ვაცად** „გარდაექმნა“...

ისე, სიტყვამ მოიტანა და, **განტევების ვაცის** როლის შესრულება მიხეილ მთავარმართებელს ადრე თუ გვიან აუცილებლად მოუწევს, ვინაიდან ექსპლუატაციაში ნამყოფი და გამოუსადეგარი ყოფილი მეფისნაცვლების უტილიზაციისას აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი ყველაზე ხშირად ამ მეთოდს მიმართავს — დემოკრატიის სახელით ჩადენილი ყველა ცოდვა სწორედ **განტევების ვაცზე „ჩამოიწეროს“,** რათა ვაშინგტონს ორპირობის ჩრდილი არ მიადგეს. ამის დასტურად უამრავი კონკრეტული მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ სხვა დროს იყოს. რაც შეეხება საკაშვილს — **გაფარჩაკებული და რქამოტეხილი ვაცი ახლით უნდა შეიცვალოს, ამისთვის კი ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა დაადგან რქები, კიდევ ერთხელ გაუსაღონ ფარს-მაჟორი ფორს-მაჟორად...**

საკაშვილს წყლულზე მალამოსავით მოუსწრო ვინმე ებრალიძის, მეტსახელად **„ალიკ-ბაზარის“** სკანდალურმა განცხადებამ სოჭში, საქართველოს ხალხთა ასამბლეის ყრილობაზე, სადაც ამ ორგზის ნასამართლევმა სუბიექტმა ფანტომასივით დაზაფრა ყრილობის დელეგატები და საქართველოს პრეზიდენტობაზე ღია განაცხადი გააკეთა...

საკაშვილს მოუსწრომეთქი, იმიტომაც ვამბობ, რომ **„ალიკ-ბაზარის“** ეს ინიციატივა უმალ **„პუტინის მზაკვრობად“** შეფასდა... რაც უნდა ვლანძღოთ რუსეთის პრემიერ-მინისტრი, ერთ რამეს ვერ დავუკარგავთ — მან სპეცსამსახურების სერიოზული სკოლა გაიარა, რვა წელი პრეზიდენტი იყო, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმდენს მაინც მიხვდება, რომ **„ალიკ-ბაზარის“** საქართველოს პრეზიდენტობა ისეთივე უტოპია და წყლის ნაყვაა, როგორც საკაშვილის თავზე — სახარების კითხვა, და დროს ფუჭად არ დაკარგავს...

საკაშვილს კი ეს ალიაქოთი აწყობს, უფრო სწორად, ეს **აწყობთ მის პატრონებს,** რომლებიც ახლა მიზანმიმართულად ამუშავებენ ახალი **ფარს-მაჟორის სცენარს და უნდათ, რომ რქამოტეხილი საკაშვილის ნაცვლად სახელგატეხილი და მიშასთან ალიანსში შემჩნეული ალასანია „გაგვივაცონ“ აბორიგენ ცხვრებს...**

ეეჰ, მეთოდები დაგიძველდა, **მურტალო,** უკაცრავად, **ბიძია სემ!**

**ანომია** შეგეყარა, **ბიძია სემ**... თუმცა არც შენი **ანომიაა ფორს-მაჟორი**, ანუ გადაულახავი პრობლემა...

აჰა, ახალი ტერმინი **„ფარს-მაჟორი“**, რაც შეეხება ამ ტერმინის შესაფერისი, ანუ **ირაკლის გამიშების** ახალი მეთოდის დანერგვას, ბიძია ტეფტი გვიმყოფოს ღმერთმა კარგად და, ამ მეთოდს მალე საკუთარ ტყავზე გამოვცდით ქართველები...

**P.S. დასანანია, რომ საქართველოს პრეზიდენტობას ფარს-მაჟორის წყალობით მოერგო საკაშვილი, ასევე დასანანია, რომ მსგავსი ფარს-მაჟორი იყო იგორ გიორგაძის მცდელობანი, გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. ეს იდეა იმდენად აბსურდული გახლდათ, რომ მისი, შესაძლოა, იმ ადამიანებსაც კი არ სჯეროდათ, ვინც ახლა გიორგაძის მხარდაჭერის გამო დილეგშია გამომწყვდეული. ასევე დასანანია, რომ რქამოტეხილი ვაცი საკაშვილის შემყურე საქართველოს პრეზიდენტის პოსტს ხან „ალიკ-ბაზარ“ ებრალიძე, ხანაც ირაკლი ალაCIAნია ეტანება...**

**დროა, შევიგნოთ, რომ საკუთარი პრობლემები ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ. ამ ფარს-მაჟორის სცენარისტებმა, ვისაც ჰგონია, რომ საღი აზრი დაგვაკარგვინა და შავს თეთრისაგან ვეღარ ვარჩევთ, დროა, შეიგნონ, რომ ისინი მწარედ ცდებიან... ჩვენ კი უნდა დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ, რა არის ქვეყნისთვის აუცილებელი და უმჯობესი... დროა, ყურადღებით დავაკვირდეთ, რას წარმოადგენენ სკამისათვის მოძიძგილავე პოლიტიკოსები, რომლებიც ქვეყნის მართვაზე აცხადებენ პრეტენზიას. დროა, დავასკვნათ, რომ მათ შექმნილი კატასტროფული ვითარებიდან რეალური გამოსავლის პოვნა აღარ ძალუძთ... არც აქამდე ძალუძდათ, თორემ ხელისუფლებაში წლობით იყვნენ და ვინ უშლიდათ ხელს?!**

**გიორგი გიგიბერია**

# თათია ბახტურიძე: ჩემს შვილს წყალს ასხამდნენ და ასულიერებდნენ, ხელში რომ არ ჩაჰკვდომოდათ

**6 მაისს ნაქები ქართული პოლიცია მხოლოდ საკუთარ სამმართველოსთან და მხოლოდ „თავდაცვის მიზნით“ არ ურტყამდა და ასახიჩრებდა საკუთარ ხალხს. ვისაც სად წაასწრეს, იქ მოუწყვეს განკითხვის დღე. კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს აქამდე გადახდენილი არ აკმარეს და ახლა მის 14 წლის შვილს ბაკურს (ბაკო) შეუჩნდნენ. 6 მაისს პეტრიაშვილის ქუჩაზე ნიღბიანებით გაძეძგილი სამი მანქანა გაჩერდა, რამდენიმე მამაკაცი გადმოხტა და ქუჩაში მიმავალ ბავშვებს თავს დაესხა. მათი მთავარი სამიზნე უმცროსი მოლაშვილი გახლდათ. ყველაზე სასტიკადაც სწორედ მას გაუსწორდნენ.**
**იმ დღეს მოტეხილი ლავიწის ძვალი ბაკოს არასწორად შეუხორცდა და ახლა ორი ოპერაციის გაკეთებას საჭიროებს. ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვის საქმეში დახელოვნებული ხელისუფლების კიდევ ერთ მსხვერპლს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში ორიოდე წუთით შევხვდი.**

**ბაკურ მოლაშვილი:**

— იმ დღეს ჩემსავე კორპუსში მცხოვრებ მეგობართან შევიკრიბეთ ბიჭები ფეხბურთის საყურებლად. თამაშის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტეთ, ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი სახლამდე მიგვეცილებინა; პეტრიაშვილის ქუჩას ჩავუყევით და ლარსამდე ვაპირებდით ჩასვლას, მაგრამ ჩვენს ახლოს ჯერ ორი მანქანა გაჩერდა, შემდეგ საპირისპირო მხრიდან მესამეც მოგვიახლოვდა.

**— რატომ გაჩერდნენ, რამეს აშავებდით?**

— არა, რას ამბობთ, არაფერი დაგვიშავებია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ მანქანებიდან ნიღბიანები გადმოხტნენ...

**— რა მანქანები იყო?**

— სამოქალაქო, ჩვეულებრივი მანქანები. სულ მცირე, 17 ადამიანი გადმოვიდა, საბარგულებშიც ისხდნენ, უმეტესობას სახეზე ნიღაბი ეკეთა.

**— შემდეგ რა მოხდა?**

— გამოგვეკიდნენ და მე დამიჭირეს.

**— რატომ გარბოდით?**

— უბრალოდ, მოვერიდეთ, რაკი ნიღბიანები იყვნენ და ჩვენკენ გამოიწიეს.

**— თქვენ რამდენი იყავით?**

— ოთხნი.

**— რას გერჩოდნენ, უმიზეზოდ გირტყეს?**

— აბსოლუტურად არაფერი დაგვიშავებია, ამას მოწმეებიც ამბობენ. მკითხეს, — რა გვარი ხარო და რომ ვუთხარი, — ზუსტად ეს გვინდოდა, სულხანის ბიჭიაო და კიდევაც გადმოერთვნენ ჩემზე... ყველა არაა ასე უმოწყალოდ ნაცემი, ყველაზე მეტი მე მომხვდა.

**— არავინ მოგეშველათ?**

— კორპუსებიდან ხალხი გვიყურებდა და შორიდან ყვირილიც კი ატეხეს. ამ ხმაურის გამო შეგვეშვნენ, თორემ, ალბათ, კიდევ გააგრძელებდნენ ჩვენს ცემას.

**— ამის შემდეგ რა მოხდა, ქუჩაში დაგტოვეს და გაიქცნენ?**

— არა, მე და ჩემი ერთ-ერთი მეგობარი მანქანაში ჩაგვსვეს და მთაწმინდის პოლიციაში წაგვიყვანეს. იქ არც არავის დავუკითხივართ, არც არავინ დაინტერესებულა მომხდარით, სასწრაფოსაც კი არ გამოუძახეს...

*როგორც ღუდუშაურის კლინიკის სპეციალისტებმა შეაფასეს, ბაკოს მოტეხილი ლავიწის ძვალი არასწორად, სერიოზული აცილებით შეუხორცდა და მისი ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. ამიტომ უმცროს მოლაშვილს იმავე კლინიკაში გაუკეთებენ ოპერაციას, რომელიც საათნახევარს გაგრძელდება და პაციენტისთვის ხელოვნური ფირფიტის ჩადგმას ითვალისწინებს. სექტემბერ-ოქტომბერში ფირფიტის ამოსაცლელად კიდევ ერთი ოპერაცია იქნება საჭირო.*

**თათია ბახტურიძე, ბაკოს დედა:**

**— გაირკვა, ვინ იყვნენ ეს ნიღბიანები?**

— რა დიდი გარკვევა უნდოდა? ჩვენი — მთაწმინდის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლები გახლდნენ. პეტრიაშვილის ქუჩის მცხოვრებლებმა მშვენივრად დაინახეს, რაც მოხდა, აბსოლუტურად უმიზეზოდ რომ დაესხნენ თავს ამ ბავშვებს და სასტიკად გაუსწორდნენ. მოწმეებიც ამბობენ, რომ ჩემს შვილს არაფერი დაუშავებია, უბრალოდ, ხალხს ამ ნიღბიანებთან ხელდახელ წინააღმდეგობის გაწევისა, როგორც ჩანს, შეეშინდა და შორიდან უყვიროდა — თავი დაანებეთო. ბოლოს ბაკო და მისი მეგობარი მანქანაში ჩასვეს და პოლიციაში წაიყვანეს.

**— არ აგიხსნეს, პოლიციაში რატომ მიიყვანეს თქვენი შვილი?**

— აბსოლუტურად არაფერი უთქვამთ. ბაკო იმდენად ცუდ მდგომარეობაში დამხვდა, რაიმეს გარკვევის არც დრო მქონდა და არც თავი. ფერი არ ედო, აბსოლუტურად სველი იყო, როგორც ჩანს, წყალს ასხამდნენ და ასულიერებდნენ, ხელში რომ არ ჩაჰკვდომოდათ, მხარს საერთოდ ვერ ამოძრავებდა, ხელები დასისხლიანებული ჰქონდა. ცემას ვინ დაეძებს, ლამის მომიკლეს შვილი, იარაღი მიუშვირეს და უყვიროდნენ, — გაჩერდი, თორემ გესვრითო.

**— როგორ, ასე შუა ქუჩაში უამრავი ადამიანის თვალწინ იარაღს უმიზნებდნენ?**

— დიახ, უმიზნებდნენ, ტყვია არ უსვრიათ, მაგრამ კონდახი სულ თავში ურტყეს, სურათებზეც ჩანს, თავშიც და საფეთქლის ოდნავ ზემოთაც. ბავშვი სასწაულებრივადაა გადარჩენილი.

**— კი მაგრამ, ვიღაც ნიღბიანებმა რა იცოდნენ, რომ ბაკო სულხანის შვილია?**

— როგორ არ იციან, ჩვენი სახლიდან 10 მეტრშია რჩეულიშვილის ქუჩის ქვეგანყოფილება, ყველას ცნობენ სახეზე. ბავშვს გვარი რომ ჰკითხეს, მერე ერთმა მიაძახა, თურმე, — ხომ გითხარით, მოლაშვილის შვილიაო და აღარც დაინდეს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ 14 წლის ბავშვებმა ამდენ ნიღბიანს რაიმე დაუშავეს, რომც დაეშავებინათ, ამ ფორმით ვინ ამყარებს წესრიგს ჩვენი ხელისუფლების გარდა?

ესაუბრა
**მაია სვიანაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გამარჯობა, ავღანეთო, შენი!..



**„ბარბაროსმა“ ავღანელებმა „ცივილიზებულ“ ამერიკელებს შავი დღე აყარეს. კვირა ისე არ გავა, რომ ავღანეთში კოალიციის (ნატოს) ჯარისკაცებსა თუ სამხედრო კოლონებზე თავდასხმა არ მოხდეს. საქმე ისე გართულდა, ვაშინგტონი იძულებული გახდა, კოალიციური ჯარების სარდალი სამსახურიდან გაეთავისუფლებინა.**
**ნატოს წევრი ქვეყნები, რომლებიც ამერიკელებთან ერთად მონაწილეობენ ავღანეთის „გადემოკრატების“ პროცესში საგონებელში ჩავარდნენ და უკვე ღიად ეძებენ მიზეზს, უფრო სწორად, საბაბს, რათა დროულად გამოიყვანონ საკუთარი ჯარისკაცები ამ სასაკლაოდან.**

**საქართველოდან „ხალხთა დიდი გადასახლება“ დაიწყო, ისეთი, IV-VII საუკუნეებში რომ მოხდა ევროპაში, როცა გერმანული, სარმატული და სხვა ტომები მასობრივად შეიჭრნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, ოღონდ, ამჯერად, რა თქმა უნდა, ჩვენი ეროვნული ნიუანსებით გამდიდრებული.**

შეგახსენებთ, რომ ავღანეთში ქართველები ხალისით მიჰყავდათ საბჭოთა ეპოქაშიც. ეს შეხსენება იმიტომ დამჭირდა, რომ დღეს, როდესაც კოალიციის წევრი ქვეყნები იქედან ჯარის გამოსაყვანად საბაბსღა ეძებენ, ჩვენმა ხელისუფლებამ ამ ხორცსაკეპში ქართული ბატალიონის გაგზავნა გადაწყვიტა...

**მოკლედ, პატრონის გარდა ქართველებისათვის არაფერი შეცვლილა — CCCP იყო და, — ავღანეთში ვიბრძოდით, ახლა ვაშინგტონს „ჩავუგორდით“ და კვლავ ავღანეთში ვაგზავნით ქართველ ჯარისკაცებს საზარბაზნე ხორცად...**

გახსოვთ, ალბათ, „კოკოითი ფანდარასტის“ პარალელურად ერთ ასეთ სიმღერასაც „ჩაუყარა“ მერაბიშვილის კანტორამ ნოტები — **გამარჯობა, აფხაზეთო შენი...**

აგვისტოს მოვლენების შემდეგ ეს სიმღერა, გასაგებ მიზეზთა გამო, არააქტუალური გახდა და მას უფრო და უფრო იშვიათად ატრიალებენ ტელე თუ რადიო ეთერში...

**გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. აფხაზეთს, მართალია, ვერ ვიბრუნებთ, მაგრამ ავღანეთში ხომ შეგვაქვს ცეცხლითა და მახვილით დემოკრატია... დემოკრატიის „მთესველ“ ჯარს კი თავის საბრძოლო ყიჟინაც სჭირდება და მარშიც...**

ამ გაგანია ეკონომიკური კრიზისის ფონზე ახალი სიმღერისა და კლიპის შესაქმნელად ზედმეტი თანხა რომ არ ვხარჯოთ, ძველი გადავაკეთოთ.

## იმ კლიპში ბიჭვინთის ხედი თორა-ბორას მთების ხედით შევცვალოთ, ტექსტში კი აფხაზეთი ავღანეთით ჩავანაცვლოთ — არც რითმა დაირღვევა, თანხაც დაიზოგება და საზარბაზნე ხორცად გამეტებულ ქართველ „ჯვაროსნებსაც“ ექნებათ ახალი მარში — „გამარჯობა, ავღანეთო, შენი!..“

ამ გადაწყვეტილების მიმღებ ხელისუფალზეა ნათქვამი — მთავარსარდალი გორში მუცლით დაღოღავდა და ავღანეთს გარბოდაო. **მთავარსარდალი ისე, სიტყვის მარაგად ვახსენე, თორემ ეს ანდაზა ძაღლზეა — შინ რომ არ ვარგოდა და სანადიროდ კი გარბოდა.**

ეს, რა თქმა უნდა, ირონიით; სერიოზულად კი ერთ მარტივ და აბსოლუტურად აპოლიტიკურ მიზეზს გეტყვით, რის გამოც საქართველომ, სულ ცოტა, თავი უნდა შეიკავოს ჩვენი მეომრების ანუ ერის გენოფონდის საუკეთესო ნაწილის ერაყში, ავღანეთსა თუ სხვა სასაკლაოებზე გაგზავნისაგან.

**„საქართველო და მსოფლიოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში წლეულს საქართველოდან ყველაზე მეტი განცხადება შევიდა. ჩვენი თანამოქალაქეები თავშესაფარს უცხოეთში ეძებენ, რადგან სამშობლოში მშვიდობიანი არსებობის ყველა იმედი გადაეწურათ.**

ჩვეულებრივ, ასე ხდება, როცა ქვეყანა პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, როცა ხელისუფლებაში არც კი იციან, რა არის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და უმუშევრობა საყოველთაო მოვლენად ჩამოყალიბდა; როცა ადამიანის ღირსების შელახვა ნორმაა, სიტყვის თავისუფლება და კერძო საკუთრების უფლება — ფიქცია და ა.შ.

როცა ტყუილი სახელმწიფო პოლიტიკად არის აღზევებული.

ერის ტრაგედიაა, როცა საკუთარი ნებით სამშობლოდან იძულებითი გადასახლება არა მხოლოდ ტენდენციის ხასიათს იძენს, არამედ შეუქცევად პროცესად ყალიბდება.

ყველაფერი რიგზე არ არის დანიის ჩვენს სამეფოში.

**იმ ადამიანებმა, რომლებიც სახელმწიფოს მართვისთვის დაიქირავა ქართველმა ხალხმა, არათუ ვერ უზრუნველყვეს ერის პრობლემების გადაწყვეტა, არამედ თავიანთი უგნური პოლიტიკით, კეკლუცობით ამერიკელი პროტექტორების წინაშე, უვიცობითა და არაპროფესიონალიზმით თვითონ შექმნეს ეს პრობლემები, შეგვიქმნეს და ისე გააღრმავეს, რომ მათ აღმოსაფხვრელად, ალბათ, წლებია საჭირო.**

ნარცისები ყვავის ხელისუფლებაში — ამ გაზაფხულზე განსაკუთრებული დიდებულებით გაიფურჩქნა საკუთარი თავით ტკბობის ეს ფუმფულა ყვავილი.

ისე გაიფურჩქნა, რომ „კმარას“ აქტივისტი, ოროსანი სტუდენტი თეა თუთბერიძე ტელევიზიის ეკრანზე ტელევიზიის პრობლემებზე იწყებს საუბარს: **სერენგეტის სავანაში გეგონება თავი, საყურეებიანი გიენების ქვეყანაში. როცა „ვარდების რევოლუციის“ ეს მადამ ბატერფლაი ქართულ სკოლებს უდგას სათავეში და მათ განვითარებას ხელმძღვანელობს, რატომ უარესს არ წარმოიდგენ?!**

მაგალითად, იმას, რომ ტელესტუდიიდან გამოსული თეა გადმოიღებს მანქანაში დამალულ ტამტამებს, აამქუხარებს ველურ რიტმებს და ხელგაშლილი აროკდება დეპუტატ ხერხეულიძესთან ერთად.

ამ დროს ეროვნულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თორემ, მე შენ გეტყვი, დროული და ზედგამოჭრილია მაშინ, როცა პრეზიდენტი ოპოზიციასთან საუბრისას აფორიაქებულ თავის ხალხს ჭკუანაღრძობს უწოდებს და გოკა გაბაშვილი ბანს ეტყვის;

**მგელმა თქვა:**
**„ქორწილს ვაპირებ,**
**ღვინო ჩავასხი ნასეტყვი.**
**წავალ, მეცხვარეს**
**ცხვარსა ვთხოვ,**
**ციკანს მომცემს**
**ან ცხვარს მეტყვის.**
**არ მომცემს? —**
**ძალით წავართმევ!**
**თუ იტირებს და**
**ბანს ვეტყვი“** (ხალხური).

ნაცნობი სიტუაციაა, არა, პატივცემულო მგლებო?

ახლა კი ციფრები ანუ „დიდი გადასახლების“ სტატისტიკა, რომელიც მოცარტის „რეკვიემზე“ უფრო დამთრგუნველია.

**წლეულს უცხო ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რეკორდული რაოდენობა ფიქსირდება: უკვე შესულია 6.921 განცხადება, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით — 1200-ით მეტი. ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი წლის ბოლომდე ცხრა ათასს მიაღწევს.**

**2007 წელს** ნოემბრის სისხლიანი მოვლენების შედეგად, უთუოდ, **ყველაზე დიდი რაოდენობა იყო — 8.422.**

ხელისუფლების მიერ გამოცხადებული და პანაცეად მიჩნეული „დემოკრატიული ტალღის“ მიუხედავად, გადასახლების მსურველთა რაოდენობა მატულობს.

უმეტესწილად, თავშესაფარს ეძებენ ავსტრიაში, შემდეგ — საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში.

წლეულს განსაკუთრებით დაინტერესდნენ სლოვაკეთით, ადრე ჩეხეთს აძლევდნენ უპირატესობას.

## კულუარული ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში გერმანიაში წამსვლელთა რაოდენობამ 7 პროცენტით იმატა, ამერიკაში — 14 პროცენტით, დიდ ბრიტანეთში — 12 პროცენტით.

სულ უბრალო სამუშაოს ეძებენ ჩვენებურები, კვალიფიციურზე არც ფიქრობენ. რომც მოისურვონ, ვინ მისცემს?! გერმანიაში წასვლის მსურველთა 60-70 პროცენტი მომვლელ გოგონებზე მოდის.

## უკანასკნელ წლებში 5 ათასზე მეტი ქართველი გოგონა გაემგზავრა ან ძიძად, ან მოხუცთა მომვლელად.

კეთილშობილური საქმეა, მაგრამ აქ ვინ გადაგვიწყვეტს დემოგრაფიულ პრობლემას, რომელიც კატასტროფის პირასაა მისული?

დასკვნისკენ წავიდეთ და ორი მომენტი გამოვყოთ.

**პირველი:**

ბოლო ერთი წელიწადია, მესამე სამყაროს ქვეყნების ლიდერების თხოვნით, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი პრეზიდენტის თხოვნითაც, გერმანიაში ყველა უკანონოდ მცხოვრები უცხოელის (რასაკვირველია, ქართველებისაც) კონტროლი და აღრიცხვა დაიწყო.

ხელისუფლება ცდილობს, გაქცეულებსაც სწვდეს ყელში და დაახრჩოს, საარსებო წყარო იქაც მოუსპოს, სადაც, ვინ იცის, რანაირი, მაგრამ მაინც სამუშაოთი არიან უზრუნველყოფილი და იქ მიღებული გასამრჯელოთი აქ არჩენენ თავიანთ ოჯახებს.

გერმანია, ასე თუ ისე, ურიგდებოდა ქართულ უკანონო მიგრაციას, თვალს ხუჭავდა. სააკაშვილი კი უზომოდ გაბოროტებულია. ეტყობა, ასეთია ბუნება მისი.

**მეორე მომენტი:**

ევროპა კარგად იცნობს თავის ისტორიას. ევროპაში იციან, რომ ხალხთა დიდი გადასახლების შედეგად რომის მონათმფლობელური იმპერია დაიშალა. ვინ მისცემს გარანტიას, რომ „ახალი გადასახლება“ ასეთივე საშიშროებით არ დაემუქრება „ომეგას“ მარკის საათის მექანიზმივით აწყობილ ევროპას?

**ეგებ, ამიტომაა, რომ, მაგალითად, საქართველოში ბრიტანეთის საელჩო 100 მსურველიდან მხოლოდ ერთს აძლევს ქვეყანაში შესვლის ვიზას. ასეა სამუშაოდ წასვლის მსურველთა რიგში მდგარი ქართველების ცნობით. გამონაკლისი არც ამერიკის შეერთებული შტატების, არც გერმანიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების საელჩოებია. ვიზას მხოლოდ იმდენს გასცემენ, რამდენიც წინასწარ აქვთ განსაზღვრული.**

რუსეთში შესვლის ყველა გზა ხომ გადაკეტილი გვქონდა და გვაქვს. იქ მილიონამდე საქართველოს მოქალაქეა ჩასახლებული, ვინც ადრევე მოასწრო რუსეთის ფედერაციაში დამკვიდრება და სამუშაოს პოვნა.

**ის დროა, როგორც ძველ რუსეთში, საზურგულოდ წოდებული ტომარა („კოტომკა“) გადავიკიდოთ, მარჯვენაში კვერთხი დავიკავოთ და მაწანწალებივით ხან ქვეყნის ერთ სასაზღვრო პუნქტს მივადგეთ, ხან — მეორეს, ეგებ, ვინმემ გაიღოს მოწყალება და გაგვიღოს კარი.**

ვის დაჰკარგვიხარ, ვინ გეძებს?!

**თუშეთში, გზაზე მკვდარი ნიბლია რომ უპოვიათ, უთქვამთ, საწყალი, თუშივით გზაში მომკვდარაო...**

ისეთ მომავალს გვიმზადებს მსოფლიოში არნახული და საქართველოს ისტორიაში პირველი დემოკრატიული ხელისუფლება, რომ მალე ან ავღანეთისა თუ ერაყის სანახებში ვემსხვერპლებით შაჰიდს, ან ლუკმაპურის მაძიებლად წანწალში ამოგვხდება სული, ან სულაც მიტინგებზე ჩავბარდებით მიქელგაბრიელს...

**გიორგი გიგიბერია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვაშინგტონს ცრემლების არ სჯერა, ანუ YANKEE, GO HOME!

**ხელისუფლება და ოპოზიცია 26 მაისისათვის ემზადებიან. ამასობაში სახელმწიფო მართლაც რომ ცეცხლმოკიდებულ ბორდელს დაემსგავსა. აზრი იმის შესახებ, რომ პრობლემა უნდა გადაწყდეს რაც შეიძლება მალე, საზოგადოებაში საკმაოდ ფართოდ დამკვიდრდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქვეყანა კარგავს დროს, როგორც ავადმყოფი — სისხლს და მისი მდგომარეობა ძალიან სწრაფად უარესდება. ალბათ, აჯობებს, მხარეთა სავარაუდო ტაქტიკის განხილვამდე გაცილებით მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. მიმდინარე კრიზისმა ნათლად გამოავლინა საზოგადოებაში დამკვიდრებული მკაფიო და საკმაოდ ძლიერი ანტიამერიკული განწყობა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ნამდვილად არ შეინიშნებოდა. მომავალში ეს ფაქტორი საქართველოს საშინაო პოლიტიკაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი გახდება. აშშ ჯერაც ინარჩუნებს კონტროლს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაზე, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მას აშკარად ,,გაექცა". ამ მხრივ უნიკალურები ნამდვილად არ ვართ, იდენტური განწყობა ლათინური ამერიკის და ევრაზიის უამრავ სხვა ქვეყანაშიც სუფევს. ჯანყის ფორმა სხვადასხვაა, მაგრამ არსი — ერთი: ,,წადით, თავი დაგვანებეთ!" — რომ იტყვიან: ,,იანკი, გოუ ჰოუმ!" რა გახდა ამის მიზეზი?**

## იმპერიის არწივი ყვითელ წინდებში

იოსებ სტალინს ერთ საგულისხმო ფრაზას მიაწერენ: **,,ამერიკას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. აშშ ყალბი იმპერიაა".** იგი, ალბათ, გრძელვადიან ისტორიულ პერსპექტივას გულისხმობდა. მართლაც, სამხედრო და ეკონომიკური ძალა (ამჟამად კლებულობს) მწყობრად სტრუქტურირებული იმპერიული სივრცის შესაქმნელად საკმარისი არ არის. **სხვის ტერიტორიაზე შევარდნა და გაძარცვა ბარბაროსთა ტომსაც შეუძლია.**

გრძელვადიან ბატონობას კი მკვიდრი მოსახლეობისთვის იმპერიულ იდეაზე დაფუძნებული ახალი წესრიგის შეთავაზება სჭირდება.

ყოველივე ეს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გვახსოვს: საზღვრებზე დგებიან ლეგიონები, ინჟინრებს გაჰყავთ გზები, ჩინოვნიკები კანონების დაცვაზე ზრუნავენ; მწერლები, მსახიობები და სხვა მსგავსი შამანები იმპერიულ კულტურას ავრცელებენ, ვაჭრები ვაჭრობენ, ქურდები ქურდობენ; ადგილობრივი ელიტა იბრძვის დიდი შესაძლებლობებისა და მცირე ვალდებულებებისათვის, ქურუმები კულტურულ, ხოლო მოსახლენი ფიზიკურ ასიმილაციას ეწინააღმდეგებიან. იმპერია კი ურყევი, გრძელვადიანი პრიორიტეტებიდან გამომდინარე იცავს ამ რთულ ბალანსს, რომელიც მთელი რიგი ურთიერთშეთანხმებებისგან შედგება.

მაგრამ ცენტურიონის მახვილივით მარტივი და საფუძვლიანი იმპერიული იდეის გამოჭედვას ფიქრისა და განსჯის საუკუნეები სჭირდება. სწრაფვა მარადიული (ზეისტორიული) წესრიგისა და მშვიდობისაკენ, რომელიც დიდ იმპერიებს ახასიათებთ, უფრო მეტია, ვიდრე სამხედრო კონტროლი ან ეკონომიკური დომინირება. **პარადოქსულად კი ჟღერს, მაგრამ აშშ, შესაძლოა, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა წარმონაქმნია იმისთვის, რომ ასეთ მატერიებს შეეჭიდოს; ამერიკელებმა ჯერ თავად არ იციან, რა უნდათ მათ. პრიორიტეტები ძალიან სწრაფად იცვლება, ხოლო ვაშინგტონის კონტროლი (დამყარებიდან მალევე) სხვა ერების მიერ აღიქმება როგორც უხეში ძალმომრეობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად რბილ (საინფორმაციო, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური გავლენის) ბერკეტებს იყენებს. აშშ ამყარებს კონტროლს, მაგრამ ვერ ინარჩუნებს მას. ფაქტობრივად, აჯანყდა ლათინური ამერიკა, იბრძვიან ერაყელები, ძველი ევროპა ზრდილობიანად, მაგრამ განუხრელად თავისუფლდება ამერიკული გავლენისაგან.** შეიძლება ბევრი ტაქტიკური შეცდომის ჩამოთვლა, რამაც ამა თუ იმ შემთხვევაში ანტიამერიკული აფეთქების დეტონაცია გამოიწვია, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ, ალბათ, მანკიერია თავად მიდგომა, რომელიც წესრიგის მაგივრად ქაოსს წარმოშობს.

თანაც, ჯორჯ ბუში რომელი მაკედონელი გვყავდა! ერთი საგულისხმო ისტორია გავიხსენოთ Wall Street Journal-იდან: **ფედერალური სარეზერვო სისტემის (აშშ ცენტრალური ბანკის ანალოგი, უმძლავრესი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მრავალმხრივ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება ტრანსნაციონალურ ფინანსურ ელიტასთან. ჩვენში ხშირად თვლიან, რომ ამ ელიტის ინტერესები სრულ თანხვედრაშია აშშ სახელმწიფო ინტერესებთან, რაც ფატალური შეცდომაა), მოკლედ, ამერიკული ,,ცენტრობანკის" თავკაცს ბენ ბერნანკეს, ყოველთვის ახასიათებდა აგდებული დამოკიდებულება ოფიციალური კოსტუმების მიმართ. ერთხელაც თათბირზე შავ კოსტუმსა და ყვითელ წინდებში გამოწყობილი მივიდა. ბუშმა უსაყვედურა. შემდეგ თათბირზე ბერნანკე ოდნავ ადრე გამოცხადდა. როდესაც ბუში ოთახში შევიდა, ყველა დამსწრე მაღალჩინოსანი, ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის ჩათვლით, ყვითელი წინდებით დახვდა. ამ ისტორიაში ძალიან კარგად ჩანს სხვაობა რეალურ და ვირტუალურ ხელისუფლებას შორის და იმ ადამიანების საბითუმო ფასიც, რომლებზეც ჩვენს ხელისუფალთ მზე და მთვარე ამოსდიოდათ.**



## დაწყევლილები და დავიწყებულები

**მოხუცი შვილიშვილებთან ერთად იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ფეხბურთი ნაკლებად აინტერესებდა, უფრო ბავშვების სახეებს აკვირდებოდა, ექიმებმა მხედველობა რომ სულ ახლახან დაუბრუნეს. ალბათ, იგი ძალიან ბედნიერი იყო (ამ თემას კვლავ დავუბრუნდებით).**

აშშ გლობალურ სტრატეგიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მარიონეტული რეჟიმების ფენომენს, რომელსაც ამჯერად არა პოლიტიკურ, არამედ სუფთა ადამიანურ ასპექტში განვიხილავთ. რა ემართება იმ ადამიანებს, ვინც მათ სამსახურში დგება და საკუთარ საზოგადოებას უპირისპირდება?

ბოლივიის პოლიტიკური ისტორიის დატევა ერთ ფრაზაში შეიძლება: **ქვეყანაში, რომელმაც დამოუკიდებლობა 1825 წელს გამოაცხადა, 187 გადატრიალება მოხდა. ხელისუფალთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს აშშ მეგობრად და სტრატეგიულ მოკავშირედ აცხადებდა. ბოლივია ძალიან მდიდარია ბუნებრივი რესურსებით: გაზით, თუთიით, ვოლფრამით, ვერცხლით, რკინით, ტყვით, ოქროთი, ხეტყით, ბოლოს და ბოლოს, ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, თუმცა, ვინაიდან ქვეყნის ხელისუფალნი ძლიერ მეგობრობდნენ სტრატეგიულ პარტნიორთან და საერთაშორისო კორპორაციებთან, იგი კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანა გახდა.**

დავუბრუნდეთ ჩვენს მოხუცს. ბოლივიაში ოფთალმოლოგია განვითარებული ნამდვილად არ არის. მასთან შედარებით, კუბა, რომელმაც ჯანდაცვის საოცარი სისტემა შექმნა, და ვენესუელა, რომლის ბიუჯეტში რამდენიმე მილიონი ზედმეტი ნავთობდოლარი მოიპოვება, ნამდვილად წინ გაიჭრნენ. ეს ორი ქვეყანა ერთობლივად ახორციელებს პროგრამას ,,მილაგრო" (,,სასწაული"), რომელიც ღარიბი ადამიანებისათვის უფასო ოპერაციების გაკეთებას გულისხმობს. 2004-დან 2008 წლამდე ოპერაცია 1.314.000 პაციენტს ჩაუტარდა. 2014 წლამდე კი მხედველობის დაბრუნებას ექვსი მილიონი ადამიანისთვის გეგმავენ. ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

**2007 წელს კუბელმა ექიმებმა ბოლივიაშიც ჩააღწიეს. ბევრი სამუშაო ჰქონდათ და მორიგი პაციენტის (ამ ჩვენი მოხუცის) საბუთებს დიდი ყურადღება არ მიაქციეს, მხედველობა აღუდგინეს და სახლში გაუშვეს. ყველაფერი ამით დასრულდებოდა, მის შვილს გაზეთისათვის სამადლობელი წერილი რომ არ მიეწერა, რომელშიც ექიმებს მადლობას უხდიდა. ასე გაირკვა, რომ მოხუცი ბოლივიის არმიის ყოფილი სერჟანტი მარიო ტერანი ყოფილა, რომელმაც 1967-ში ჩე გევარა მოკლა, ყველაზე საძულველი ადამიანი კუბელებისთვის.**

სერჟანტ ტერანის ცხოვრება მას შემდეგ, რაც თვითონ გამოთქვა სურვილი (სასამართლოს გარეშე), დაეხვრიტა ცნობილი რევოლუციონერი, ძალიან მძიმედ წარიმართა — ჯერ გალოთდა, შემდეგ გაგიჟდა და თავის მოკვლა სცადა, ბოლოს დაბრმავდა, თუმცა მის ისტორიას ბედნიერი და სიმბოლური დასასრული ჰქონდა.

**საინტერესოა, რა დაემართათ იმ ადამიანებს, რომლებიც მის მხარდამხარ სისხლში ახშობდნენ ნებისმიერ პროტესტს (და არა მხოლოდ ჩე გევარას ამბოხს), რათა მორიგ კორუმპირებულ რეჟიმს და მის კურატორებს თავი მშვიდად ეგრძნოთ.**

**ჰარი პრადო — იმ რეინჯერების მეთაური, რომლებმაც ჩე გევარა დაატყვევეს;** ამერიკელების მიერ გაწვრთნილი სამხედრო, რომელიც უბედური შემთხვევის შედეგად დაინვალიდდა. უცნაურია, მაგრამ გენერალი პრადო მემარცხენე პარტია ,,მშვიდობის" (რომლის ზოგიერთი იდეა თავად ჩე გევარასაც კი რადიკალურად მოეჩვენებოდა) აქტივისტი და აგიტატორი გახდა. პარტიულ შეკრებებზე მშობლიურ ქალაქ სანტა-კრუსში იგი ამერიკულ იმპერიალიზმს მუსრს ავლებდა.

**სერჟანტი ბერნარდინო უანკე, რომელიც ტერანთან ერთად, ხვრეტდა პარტიზანებს, ქალაქ კოჩაბამბაში ცნობილი ქუჩის გიჟი და ლოთი გახდა.**

პოლკოვნიკი ანდრეას სელიჩ შონი, რომელიც განთქმული იყო იმით, რომ სასტიკად აწამებდა პატიმრებს, ჯერ დაწინაურდა და შს მინისტრი გახდა, შემდეგ კი თავად მას წამებით ამოჰხადეს სული მომდევნო დიქტატორის გამომძიებლებმა.

**მისი წინამორბედი მინისტრი ანტონიო არგედასი ციხეში ჩაჯდა ადამიანთა გატაცებისთვის, სასჯელმა დანაშაულის ჩადენიდან ოც წელიწადში უწია.**

გენერალი ჰოაკინ სენტენო ანაია, გენერალი ხოსე ჰოაკინ ტორესი, პოლკოვნიკი რობერტო კინტანილია — სამივე გამორჩეული განსაკუთრებული სისასტიკით ამა თუ იმ საპროტესტო აქციის ჩახშობის დროს; პირველი მოკლეს ულტრა-მემარჯვენეებმა, მეორე და მესამე — ულტრა-მემარცხენეებმა და, რაც ნიშანდობლივია, სამივე საზღვარგარეთ გამოასალმეს სიცოცხლეს, რადგან წარსულს, როგორც ჩანს, ვერსად დაემალები.

**ონორატო როხასმა პარტიზანების გაცემისათვის მიიღო სახელმწიფო ჯილდო რანჩო სანტა-კრუსის მახლობლად და მალევე — ორი ტყვია შუბლში.**

პრეზიდენტი რენე ბარიენტოს ორტუნიო ფრიად საეჭვო ავიაკატასტროფაში დაიღუპა, რომელიც, სავარაუდოდ, პოლიტიკურმა კონკურენტებმა მოუწყვეს. დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე მას დევნის ძლიერი მანია განუვითარდა. იმ კაბინეტში, სადაც იგი იჯდა, ახლა სოციალისტი ევო მორალესი ზის და კედელზე ჩე გევარას პორტრეტი უკიდია. ბარიენტოსის პრეზიდენტობის მოკლე რეზიუმე შემდგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ,,იზრდებოდა ძალადობა, კორუფცია და საგარეო ვალი".

**ყოველივე ამას ხანდახან ,,ჩე გევარას წყევლასაც" უწოდებენ, თუმცა, ბუნებრივია, წყევლა არაფერ შუაშია. უბრალოდ, ამ ადამიანებს (სიის გაგრძელება ძალიან დიდხანს შეიძლება) დროდადრო მედია იხსენებდა და ფაქტებსაც თავს ერთად უყრიდა, თორემ კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც იგივე ხდებოდა. როდესაც ადამიანი უნაყოფო მარიონეტული რეჟიმის სამსახურში დგება, საზოგადოებისა და საყოველთაოდ აღიარებული ჰუმანური ნორმების წინააღმდეგ მიდის, როგორი ხმამაღალი სიტყვებითაც უნდა ნიღბავდეს საკუთარ საქციელს და რაოდენ დიდ საფრთხეებსაც (ნამდვილს თუ წარმოსახვითს) უნდა ებრძოდეს, იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, ცუდად დაასრულებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გააცნობიეროს ყველამ, ვისაც პატიმრის თავზე ხელკეტი აქვს აღმართული.**

სადღაც იქ, ბოლივიაში, მოხუცი შვილიშვილებთან ერთად ფეხბურთს უყურებს და შესაძლოა, ბოლომდე ვერც აცნობიერებს, რა სიმბოლური დატვირთვის მქონე ამბავი გადახდა თავს. ნუღარ შევაწუხებთ, მისი ისტორია დასრულდა.

## ცუდსა და უარესს შორის

**პოლიტიკური პროცესი მარიონეტების სპექტაკლს დაემსგავსა, ოღონდ ამჯერად თოჯინების ძაფები ერთმანეთს გადაება, ზოგან კი — გაწყდა. არსებობს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სცენარი, რაც საზოგადოებაში ფართოდ განიხილება: ა) რეჟიმი დაუყოვნებლივ ემხობა; ბ) ხდება მისი თანდათანობითი დემონტაჟი (ასე, 1-1,5 წლის განმავლობაში); 3) სააკაშვილი ხელისუფლებაში რჩება და ქვეყანაში (მცირე ხნით, რესურსების საბოლოო ამოწურვამდე) სასტიკი დიქტატურა მყარდება.** შესაძლოა, ვაშინგტონს მეორე ვარიანტი საუკეთესო გამოსავლად ეჩვენება. შეგვიძლია მოვლენათა ასეთი განვითარებაც ვივარაუდოთ: პროცესების მოხერხებული მართვის შემთხვევაში, სტაბილურობის შენარჩუნება და საზოგადოების უკმაყოფილების განელებაც მოხერხდება. **ხელისუფლება კი ეტაპობრივად დამჯერი (,,რესპუბლიკელები" და მათთან გათანაბრებული პირები), მაგრამ ,,ნაციონალებზე" უფრო დალაგებული ძალების ხელში გადავა, ვინაიდან საუბარია არა ერთი პოლიტიკური ძალის, არამედ მთელი სისტემის კონტროლზე. ამავე დროს, მეორე პოლუსზე ასეთივე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**დამჯერი, მაგრამ უფრო რადიკალური ფიგურებით წარმოდგენილი პოლიტიკური ცენტრის ფორმირება უნდა მოხდეს. იდეაში ბოლოს უნდა გამოვიდეს ორპოლუსიანი სისტემა (პარტიების რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს), რომლის ფარგლებში ერთი და იმავე (სხვისი) მიზნების მიღწევის ორ გზას შემოგვთავაზებენ. ერთპარტიული (მრავალპარტიულობის პირობებში) ე.წ. „მექსიკური“ მოდელი კი წარსულს ჩაბარდება.**

საერთოდ, პოლიტიკაში არჩევანი ორი მოცემულობიდან სინამდვილეში ცრუ არჩევანია, ერთგვარი ხაფანგი, თავისუფალი არჩევანი სამი ვარიანტიდან (რაც მეტი, მით უკეთესი) იწყება. ყველა ეს სქემა (შევარდნაძე ან აბაშიძე, რესპუბლიკელები ან დემოკრატები, ლიბერალები ან კონსერვატორები და ა.შ.) საბოლოო ჯამში მხოლოდ არჩევანის ილუზიას გვაძლევს. მაგრამ ხანდახან, კრიზისების დროს, ერთგვარი „შესაძლებლობების ფანჯარა“ იხსნება. უახლოეს მომავალში თავისუფალი არჩევნების ჩატარება რეალური არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემდა და სწორედ ამიტომ გარკვეული ძალები შეეცდებიან, წინ აღუდგნენ მათ ჩატარებას, ვიდრე საქართველოს პოლიტიკური სივრცის გადაფორმატებას არ დაასრულებენ.

**ოპოზიციურ სპექტრში რჩება ორი პოლიტიკოსი, რომელთაც პროცესებში გარდატეხის შეტანა შეუძლიათ, ტაქტიკურის — ირაკლი ოქრუაშვილს, სტრატეგიულის კი — ნინო ბურჯანაძეს. რა დამოკიდებულებაც უნდა გვქონდეს ამ ორი ფიგურის მიმართ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ საბოლოო სიტყვა შექმნილ მდგომარეობაში ჯერაც არ უთქვამთ (თუ რას და როგორ გააკეთებენ დანარჩენი პოლიტიკოსები 26 მაისს და შემდგომ დღეებში, მეტ-ნაკლებად, ცხადია).**

შექმნილი მდგომარეობა ნინო ბურჯანაძეს შესაძლებლობას აძლევს, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს, მეტიც, პროცესებს სათავეში ჩაუდგეს თუ, რა თქმა უნდა, საამისო ნებისყოფა აქვს. ამ საფრთხეს გრძნობს სააკაშვილიც და მას განსაკუთრებული გააფთრებით უტევს. **ფაქტია, რომ ბურჯანაძე ძალიან კარგად იცნობს მას და მისი ჩანაფიქრების გაშიფრვაც (ТОЖЕ МНЕ, БИНОМ НЬЮТОНА!) შეუძლია. სააკაშვილი გრძობს, რომ მისი გარემოცვის ნაწილი შეიძლება ბურჯანაძის მიერ გაცემულ გარანტიებს დათანხმდეს. ამასთანავე, მან იცის, რომ ყოფილი თანაგუნდელი ინარჩუნებს სერიოზულ კონტაქტებს სახელმწიფო აპარატის შიგნით, რომელთა პოტენციალი გამოყენებული ჯერაც არ არის.**

პარადოქსი ისაა, რომ თუ ადრე ნინო ბურჯანაძეს ყურადღებით უნდა მოესმინა შევარდნაძისა და ჟვანიასათვის, დღეს მან საერთოდ არავის არ უნდა მოუსმინოს და საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე იმოქმედოს. **მალე მისთვის ე.წ. „ჭეშმარიტების მომენტი“ დადგება. სავარაუდოდ, 26 მაისს ჩვენ (ბოლოს და ბოლოს) გავიგებთ, თუ ვინ არის ნინო ბურჯანაძე სინამდვილეში და რა გზა აირჩია მან.**

**დიმიტრი მონიავა**

# თუ ხალხი ბოლომდე იბრძოლებს, სააკაშვილი აუცილებლად დამარცხდება!

**საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას ყოფილმა შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა** განაცხადა, რომ ირაკლი ალასანიას ამერიკა ლობირებს...



**— მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის პასიური ქმედებები, გარკვეულწილად, საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს, როგორ შეაფასებთ პრეზიდენტთან გამართულ დიალოგს?**

— ოპოზიცია საკმაოდ ჭრელი სპექტრისაგან შედგება და არ არის ერთსულოვანი. ბევრს პირველობის პრეტენზია აქვს და მიაჩნია, რომ მისი აზრი უნდა იყოს გადამწყვეტი... ფაქტია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ოპოზიცია გაცილებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხელისუფლებამ ეს ფაქტი სათავისო პიარისათვის უკვე გამოიყენა.

**— ალბათ, ამაზე ოპოზიციასაც უნდა ეფიქრა...**

— ბუნებრივია, ამაზე უნდა ეფიქრათ. ჯერ ერთი, თავიდანვე შეცდომა იყო, იმის თქმა, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ გამართავდნენ დიალოგს. მერე ამბობდნენ, რომ დასხდებოდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, მაგრამ არ ილაპარაკებდნენ არაფერზე სააკაშვილის წასვლის გარდა. ზოგიერთმა ოპოზიციურმა ძალამ, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, ეს უკვე გამოიყენა და წამოაძახა კიდეც რადიკალურ ოპოზიციას. საბოლოო ჯამში ეგრეთ წოდებულმა რადიკალურმა ოპოზიციამ (რადიკალური არც მათ ქმედებაშია რაიმე და არც — მოთხოვნაშია. კ.ნ.) გარკვეული შეცდომები უკვე დაუშვა, მაგრამ შეცდომებისგან, სამწუხაროდ, არ იყო დაზღვეული, თუნდაც თავისი მწირი რესურსების გამო.

**— როგორც ამბობენ, ამ აქციების მოსაწყობად საკმაოდ სოლიდური თანხა იხარჯება...**

— რასაკვირველია, გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე საპროტესტო აქციები ვერ ჩატარდებოდა, მაგრამ ვთვლი, რომ ის თანხა, რაც საჭირო იყო, არ დახარჯულა.

**— ამ ეტაპზე, ვინ უფრო მომგებიან პოზიციაშია — ხელისუფლება თუ ოპოზიცია?**

— ამ შეხვედრამდე, მათი პოზიციები თანაბარი იყო, თუმცა დღეს ხელისუფლება უფრო მომგებიან მდგომარეობაშია. ვფიქრობ, ხელისუფლების კოზირი მარტო ის კი არაა, რომ ადმინისტრაციული რესურსი აქვს, არამედ ისიც, რომ პიარტექნოლოგიებში მას ჯერ კიდევ ვერ დაეწია ოპოზიციური სპექტრი. მართალია, უმრავლესობამ თავიდან ბევრი შეცდომა დაუშვა — მომიტინგეების ცემა, ის ფაქტი, რომ არ ალაგებდნენ იმ ტერიტორიას, სადაც აქციები ტარდებოდა, ვითარებას უფრო ამწვავებდა, მაგრამ, მგონი, მიხვდნენ, რომ ეს შეცდომა იყო და ახლა მომიტინგეებს აღარ არბევენ. ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა და, ამდენად, რთულია იმის თქმა, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ მთავარია, ხალხი არ დაივიწყოს არც ერთმა და არც მეორე მხარემ.

მე თუ მკითხავთ, დამარცხდება თუ არა სააკაშვილი, გიპასუხებთ: თუ ხალხი ბოლომდე იბრძოლებს, სააკაშვილი აუცილებლად დამარცხდება! ახლა ოპოზიციამ ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რა დღეშიცაა ეს ხელისუფლება ბოლო წლების განმავლობაში.

**— რას გულისხმობთ?**

— ხელისუფლებამ მთელი ხუთი წელიწადი იმუშავა ისე, რომ უკან დასახევი გზა არ დაიტოვა. ხშირ შემთხვევაში მისი შეცდომებიც ამით იყო განპირობებული. ახლა ოპოზიციამ აირჩია იგივე ტაქტიკა. წარმოიდგინეთ, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ორი ისეთი ძალის დაპირისპირებამ, რომელთაც უკან დასახევი გზა არ აქვთ. ეს ყველაფერი კონფრონტაციამდე მივა.

**— ფიქრობთ, რომ ოპოზიცია რამეს შეცვლის?**

— ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. ოპოზიცია უკან დასახევ გზას არ იტოვებს და, ბუნებრივია, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით თუ არა, ფრედ მაინც დაამთავროს. ჩემი აზრით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები სიტუაცის განმუხტვის საშუალება იქნებოდა და, სავარაუდოდ, ეს მაინც და მაინც შორეული პერსპექტივა არაა. შესაძლოა, ასევე, თბილისის მერის და ადგილობრივი მმართველობის არჩევნების ჩატარებაც. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ერთად ვერ მოხდება, მაგრამ ოპოზიციამ დაინახა, რომ ხელისუფლება ამაზეც არ მიდის, რადგან იცის, რომ არჩევნებში უხეში ჩარევის გარეშე შეიძლება ისეთი პარლამენტი მიიღოს, რომ პრეზიდენტს მაინც მოუწიოს წასვლა. რასაკვირველია, სააკაშვილი ამაზე არ წავა. ახლა ხელისუფლება ფიქრობს: დავუშვათ, დავნიშნე საპარლამენტო არჩევნები, — იძულებული ვიქნები, დაახლოებით ისეთივე მეთოდები გამოვიყენო, როგორიც — 5 იანვარს და 21 მაისს. თუკი ამ ზომებმა კიდევ ახალ საპროტესტო ტალღას მისცა იმპულსი, მაშინ რაში მჭირდება ასეთი არჩევნები? ხელისუფლება არჩევნებს თავის ნებაზე არავითარ შემთხვევაში არ მიუშვებს, ეს გამორიცხულია!

**— ბატონო კობა, ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ ხალხის ნებაზე არ იქნება დამოკიდებული და ამაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, თუნდაც, ამერიკა...**

— საქართველო ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობს, რომ აქ ხან სპარსეთი, ხან ბიზანტია, ხან ოსმალეთი, მერე რუსეთიც შემოვიდა, მაგრამ მაინც ყოველთვის საიმედო პარტნიორის ძიების პროცესში ვიყავით. ამერიკისადმი ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულება შევარდნაძის კურსია. როგორც კი ამერიკელებმა იგრძნეს, რომ შევარდნაძე შეიძლება წასულიყო და მის ნაცვლად მოსულიყო კაცი, რომელიც იგივე კურსს არ გააგრძელებდა, აქტიური ჩარევა გადაწყვიტეს ამ პროცესებში. ჩემი აზრით, ახლაც იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მართალია, ამერიკელებს დღეს არაავტორიტეტული ლიდერი ჰყავთ საქართველოში, მაგრამ ეს კაცი, ავად თუ კარგად, უსმენს მათ. ასე რომ, ამერიკა ვიდრე მტკიცედ არ დარწმუნდება იმაში, რომ არსებობს შემცვლელი, რომელიც არ გადაუხვევს არსებულ კურს და იქნება მისი ინტერესების გამტარებული, არაფერს მოიმოქმედებს; ღიად კი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს მხარს სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლას. თეთრი სახლისთვის სააკაშვილი ის პერსონაა, რომელიც მას 2013 წლამდე გარანტირებულად მოუსმენს; შესაძლოა, ალაც მოსწონთ, მაგრამ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ისინი სააკაშვილის ფორსირებულ რეჟიმში შეცვლას არ გეგმავენ!

**— სააკაშვილის შემცვლელად და ამერიკის მორიგ „პროექტად“ დღეს „რატომღაც“ ირაკლი ალასანია მოიაზრება...**

— ღიად ნამდვილად ვერ ვისაუბრებ იმაზე, ვინ ვისი „პროექტია“, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ამერიკელებს დღეს გაცილებით მეტად მოსწონთ ალასანია, ვიდრე სხვა პოლიტიკოსები.

**— იქნებ სამართლებრივად შეაფასოთ 6 მაისს ქალაქის სამმართველოსთან მომიტინგეების დარბევა...**

— სამართლებრივად როგორ შევაფასო, როდესაც მომხდარს სამართალთან საერთო არაფერი აქვს?! ეს პოლიტიკური აქტი იყო. ასამდე მომიტინგე დაზარალდა და არცერთ ფაქტზე გამოძიება არ ჩატარდა. ერთი ექვმიტანილიც არაა დაკავებული. ამ უსამართლობის „სამართლებრივი“ დასასრული ის იყო, რომ ხელისუფლებამ გამოუშვა დაკავებული ბიჭები. საინტერესოა რატომ?

**— ხელისუფლებამ ეს იმით ახსნა, რომ საპატრიარქოს თხოვნა გაითვალისწინა...**

— რა შუაშია საპატრიარქო? კანონში სად წერია, რომ საპატრიარქოს შუამდგომლობა პირს სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან ათავისუფლებს?! ეს იყო, პოლიტიკური აქტი, მას სამართალწარმოებასთან საერთო არაფერი აქვს და ნათლად ადასტურებს, რომ პოლიცია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის კი არა, პოლიტიკური პოლიციის, რეპრესიის მექანიზმის ფუნქციას ასრულებს.

**— თქვენი შს მინისტრობის დროს რომ მომხდარიყო ასეთი რამ, არ გამოიყენებდით ძალას? მისცემდით მომიტინგეებს სამმართველოში შეღწევის საშუალებას?**

— სამმართველოს ეზოში ერთი კაცი შევიდა და დანარჩენები უყურებდნენ, როგორ სცემდნენ მას. ვინც გადაძვრა და დაარღვია ადმინისტრაციული კოდექსი, მასზე უნდა განხორციელებულიყო ადმინისტრაციული სასჯელი. ჩემი მინიტრობის დროს „კმარას“ აქტივისტები რომ შემოვიდნენ შს სამინისტროს შენობაში, დავაკავეთ და მერე გავუშვით.

**— ეს ძალიან მცირე ჯგუფი იყო...**

— რატომ მცირე? ათამდე ადამინი დავაკავეთ, მეტი რომ მოსულიყო, მეტს დავაკავებდით. ჩვენ ადეკვატური ძალა გამოვიყენეთ და არ გვიცემია არავინ. ასეთი სახით ძალას როგორ გამოვიყენებდით?! ტყვიას როგორ ვესროდით მომიტინგეებს?! გარდა ამისა, კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ რეზინის ტყვიის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წელს ზემოთ, რადგან თავის არეში ამ ტყვიის მოხვედრამ შეიძლება სიკვდილიც კი გამოიწვიოს. ამასთან, ძალა რომ აშკარად არაპროპორციული იყო, ესეც ნათელია.

**— და ბოლოს, თურმე, შეხვედრის დროს პრეზიდენტმა აღიარა, რომ გაჩეჩილაძემ მას თბილისში არჩევნები მოუგო და ამიტომ იგი თბილისის მერად წარმოუდგენია; შარტავასთვის უთქვამს, „ეროვნულ ფორუმს“ მაღალი რეიტინგი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხს თქვენი პარლამენტში ხილვა სურსო...**

— თუ ეს საუბარი მართლა შედგა, შეიძლება, ოპოზიციამ კიდევაც ინანა, რა გვაყვირებდა, რატომ ვითხოვდით სააკაშვილის გადადგომასო... (იცინის).

ესაუბრა
**მანანა ჩხეიძე**

# აზერბაიჯანი შეიარაღების მსხვილი მწარმოებელი ხდება



**2005 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის ინიციატივით შეიქმნა აზერბაიჯანის თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო, რომელიც დღეს უკვე 20 უწყებას აერთიანებს. ამჟამად აზერბაიჯანი 300 დასახელების შეიარაღებას აწარმოებს, მათ შორის ცეცხლსასროლ იარაღს, ახლო ბრძოლის საშუალებებს, საარტილერიო საშუალებებს, საბრძოლო მასალებს, ჭურვებს, საინჟინრო და სადაზვერვო სისტემებს.**

ძალზე პერსპექტიულია აზერბაიჯანული 14,5 კალიბრიანი სნაიპერული შაშხანა „ისტიგლარი“, რომელსაც სამიზნის განადგურება 2400 მეტრის სიშორეზე შეუძლია. უახლოეს მომავალში აზერბაიჯანი რეაქტიული საარტილერიო დანადგარების, ჯავშანტექნიკის, ვეტმფრენების და უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების დაწყებას გეგმავს. 2008 წლის დასაწყისში აზერბაიჯანის თავდაცვის მრეწველობის სამინისტრომ თურქულ კომპანია „როკესტანთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ბაქოში აზერბაიჯანულ-თურქული რეაქტიული საარტილერიო დანადგარი აეწყობა. თურქეთი აზერბაიჯანულ მხარეს მხოლოდ „ტრ-107“ და „ტრბ-107“ ტიპის რაკეტებს მიაწვდის. ასევე, გაფორმდა ხელშეკრულება სამხრეთ აფრიკულ **„პარამოუნტ გრუპ“**-თან, რომლის მიხედვითაც, აზერბაიჯანში სამხრეთ აფრიკული ჯავშანმანქანების — „მატადორის“ და „მარადიორის“ წარმოება დაიწყება. ეს ჯავშანმანქანები საიმედოობით გამოირჩევა. „მარადიორს“ — 8-10 კაციანი, „მატადორს“ კი 10-12 კაციანი დესანტის გადაყვანა შეუძლია.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანული შეიარაღებით, სომხეთის გამოკლებით, პირველ რიგში, უახლოესი მეზობლები დაინტერესდებიან.

გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ჯიმი ჯალიაშვილი: საქართველოში თუ რაიმე საჭიროებს ძირეულ ცვლილებას, უწინარესად, ესაა საგარეო პოლიტიკა

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯიმი ჯალიაშვილი** გვესაუბრება



## ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მოქკავშირის წიაღიდან აღმოცენებული ძალები ტრიალებენ

**— ბატონო ჯიმი, უკვე თვეზე მეტია, თბილისში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. ჯერჯერობით ოპოზიციამ და საზოგადოებამ ხელისუფლებას ძვრაც ვერ უყო. როგორ ფიქრობთ, ეს ხელისუფლების ძლიერების ნიშანია თუ, უბრალოდ, ოპოზიცია ვერ იყენებს რესურსებს?**

— ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება ძლიერია და ამიტომ ვერ ხერხდება მისი შეცვლა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — მიხეილ სააკაშვილის ეპოქაში საქართველო ჩამოყალიბდა ავტორიტარულ სახელმწიფოდ...

რაც შეეხება საპროტესტო აქციებს, ჩვენი საზოგადოება ბოლო 20 წლის მანძილზე ძალიან შეეჩვია არეულობას და დღეს ყველას ჰგონია, რომ ესაა უმარტივესი გზა, რადგან მიტინგების გზით შევარდნაძის ხელისუფლების დამხობა უმოკლეს ვადაში მოხერხდა, ახლაც სწორედ მიტინგებში ხედავს ხალხი გამოსავალს... ეს უკვე წესად გვექცა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ ხელისუფლების დამხობა შესაძლებელია სამ კვირაში... რა თქმა უნდა, ნორმალურ ქვეყნებში ეს ხდება, მაგრამ ჩვენ არანორმალურ ქვეყანათა რიცხვს განვეკუთვნებით.

**— იქნებ ოპოზიციის წარუმატებლობას ისიც განაპირობებს, რომ იგი პრობლემას ერთ ადამიანში — მიხეილ სააკაშვილში ხედავს?**

— არც სააკაშვილია ჩვენი პრობლემა და არც რომელიმე კონკრეტული პიროვნება. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ უკვე ჩვიდმეტი წელია, საქართველო არასწორი პოლიტიკით ხელმძღვანელობს. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის სტრატეგიულ კურსს ქვეყანა დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მიჰყავს. ასე იყო ზვიად გამსახურდიას დროსაც, მაგრამ მაშინდელი პროცესებისგან განსხვავებით, სააკაშვილის პირობებში ეს პოლიტიკა შემზადდა ძალოვანი სტრუქტურებით. ამ ხელისუფლებამ უფრო მეტად შეუტია რუსეთს და მივიღეთ გაცილებით ცუდი შედეგი, ვიდრე ზვიადის დროს.

ამდენად, დღეს უკვე ნათელია, რომ საქართველოში თუ რამე საჭიროებს ძირეულ ცვლილებას, უწინარესად, ესაა საგარეო პოლიტიკა...

ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლები, ვალდებულნი ვართ დავფიქრდეთ და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები. დღევანდელ ვითარებაში საჭიროა, ვილაპარაკოთ არა იმაზე, რომ ქვეყანას მართავს ცუდი პიროვნება, არამედ იმაზე, რომ პოლიტიკა, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, მცდარია ძირშივე. სანამ ეს პრობლემა არ იქნება გადაჭრილი, საქართველოს არაფერი ეშველება...

**— იმისთვის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი შეიცვალოს და ქვეყანა დაადგეს სწორ გზას, საკმარისია თუ არა ერთი პიროვნების ანუ პრეზიდენტის შეცვლა?**

— ამ თემაზე, როგორც პოლიტიკოსები, ისე რიგითი მოქალაქეები ძალიან ხშირად საუბრობენ და, სამწუხაროდ, საკითხს ასე სვამენ — ხელისუფლების გადაყენების შემთხვევაში, ვინ მოვიყვანოთ ან ვის გავყვეთ? ეს თავისთავად არასწორი მიდგომაა. ჩვენ იქამდე უნდა მივიდეთ, რომ ვსაუბრობდეთ, რას გავყვეთ და რა გზას დავადგეთ, თუმცა სიმართლე გითხრათ,

**არცერთი ოპოზიციური პარტია არ ამბობს, როგორ მოაგვარებს ჩვენს მთავარ პრობლემას — რუსეთთან ურთიერთობას. არადა, ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის გაუთვალისწინებლობამ საქართველო უკვე მიიყვანა კატასტროფამდე.**

დღევანდელ ოპოზიციურ სპექტრში მე ვერ ვხედავ ძალას, რომელიც პროცესებს ამ მიმართულებით წარმართავს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ არცერთი ოპოზიციური პარტია არ ამბობს, როგორ მოაგვარებს ჩვენს მთავარ პრობლემას — რუსეთთან ურთიერთობას. არადა, ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლის გაუთვალისწინებლობამ საქართველო უკვე მიიყვანა კატასტროფამდე...

**ჩვენს პოლიტიკოსებს, იქნება ეს ოპოზიციონერი თუ ხელისუფლებაში მყოფი, ერთმნიშვნელოვნად უნდა ესმოდეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებისა და საერთო ენის გამონახვის გარეშე, საქართველოს არანაირი პერსპექტივა საერთაშორისო ასპარეზზე არ აქვს. ამიტომ, რაც უნდა განსხვავებული ფასეულობების მატარებელი იყოს, ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.**

სამწუხაროდ, რამდენიმე წელია, ჩვენთან ყალბი ცნობიერება ჩამოყალიბდა — თუ რუსეთს აგინებ, გზა ხსნილი გაქვს ხელისუფლებისაკენ და, რაც უფრო მეტს აგინებ, მით უფრო ასაბუთებ სამშობლოს სიყვარულს; ცხადია, რომ ამაში ხელისუფლება სარგებელს ხედავს, მტრის ხატის არსებობით. მმართველ ძალას საშუალებას აძლევს საპროტესტოდ განწყობილი საზოგადოების ყურადღება გარეშე საფრთხეზე გადაიტანოს, მაგრამ არ შეიძლება, ხალხის ინტერესები და კეთილდღეობა ხელისუფლების წარმომადგენელთა შეცდომებს შეეწიროს...

**— 6 მაისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, დიალოგი მოითხოვა. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის მხრიდან ეს იყო გარკვეული უკანდახევა, სამოქმედო გეგმებში რაიმე სტრატეგიული ცვლილება თუ დასავლელი პოლიტიკოსების დიპლომატიური ზემოქმედების შედეგი?**

— დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ის ინიციატივები, რაც სააკაშვილმა ოპოზიციას მოლაპარაკების დროს შესთავაზა, რეალურად არაფერს შეცვლის. დღეს ამოცანა ნომერი პირველი, რომელიც ხსნის ყველა პრობლემას, ესაა საქართველოს პოლიტიკური გარესარტყელის გაუსაფრთხოება. მხოლოდ საჭიროა ამ პოლიტიკის მიგნება. ჩვენ იმდენად ნიჭიერი ერი ვართ, რომ მშვიდობიანობის შემთხვევაში, ძალიან ძლიერ სახელმწიფოს და მდიდარ საზოგადოებას შევქმნით.

**— დავუშვათ, გადადგა სააკაშვილი, ვინ შეიძლება მოვიაზროთ პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატად?**

— ოპოზიციის ლიდერებიდან ბევრს პირადად ვიცნობ და დაბეჯითებით შემიძლია, ვთქვა, რომ ძალიან მომზადებული, ნიჭიერი და ენერგიული ხალხია, თუმცა, როგორც გითხარით, ჯერჯერობით ვერცერთი მათგანი ვერ გვთავაზობს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის წარმართვის ისეთ გეგმას, რომელიც მოგვიტანს მშვიდობას და გაცილებით უფრო მეტ დამოუკიდებლობას, ვიდრე ამჟამად გვაქვს. ამას რომ ვამბობ, უწინარესად მხედველობაში მაქვს ჩვენი მეზობლების — აზერბაიჯანისა და სომხეთის პრაქტიკა, რომლებმაც შეძლეს ისეთი დაბალანსებული პოლიტიკის გატარება, რომ ყველა ქვეყანასთან, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც, ნორმალურ ურთიერთობას ინარჩუნებენ.

ჩვენთან ასეთი პოლიტიკისა და პოლიტიკური ხედვების მქონე ადამიანების ნაკლებობა რომაა, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, არასწორადაა ინფორმირებული ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებზე; სკოლაში ბავშვებს პირდაპირ ეუბნებიან, რომ ამქვეყნად საქართველოს მტერი მხოლოდ რუსეთია, ამერიკა კი — ჩვენი კულტურული იდენტურობის გარანტი სახელმწიფო. ეს, რა თქმა უნდა, ფარსია და არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ამას რეალურად არ აღიქვამს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამით ხელისუფლება მომავალ თაობებზე სერიოზულ ფასეულობით ზემოქმედებას ახდენს...

**— ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ოპოზიცია ნინო ბურჯანაძეს მიიჩნევს. თქვენი შეხედულებით, დღევანდელ სიტუაციაში რამდენად არის ბურჯანაძე ის ლიდერი, რომელიც სჭირდება ქვეყანას?**

— საქართველოში დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, არ მოქმედებს პოლიტიკური გაკოტრების კრიტერიუმები, რაც გულისხმობს, რომ როცა ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურა გრძნობს საკუთარ შეცდომებს, მაშინვე ტოვებს პოსტს და ემზადება ახალი არჩევნებისთვის. ჩვენი ცნობიერებისთვის ასეთი რამ უცხოა და ამიტომაც ჩვენს პოლიტიკოსებს აქვთ პრეტენზია, რომ ყველა ხელისუფლებაში იყონ. თუ დააკვირდებით, ამჟამად არსებულ პოლიტიკურ სპექტრში ყველა სუბიექტი ერთი და იმავე წერტილიდან აღმოცენებული მცენარეა — დღეს, ფაქტობრივად, მოქალაქეთა კავშირის წიაღიდან გამოსული ძალები ტრიალებენ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც...

**ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლები, ვალდებულნი ვართ, დავფიქრდეთ და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები. დღევანდელ ვითარებაში საჭიროა, ვილაპარაკოთ არა იმაზე, რომ ქვეყანას მართავს ცუდი პიროვნება, არამედ იმაზე, რომ პოლიტიკა, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, მცდარია ძირშივე. სანამ ეს პრობლემა არ იქნება გადაჭრილი, საქართველოს არაფერი ეშველება.**

**რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, რაც მართალია, მართალია, ძალიან ნიჭიერი და განათლებული ადამიანია, მაგრამ ის განცხადებები, რაც მან აგვისტოს ომიდან დღემდე გააკეთა, არანაირად არ მაძლევს მისი პოლიტიკური ხედვებისადმი ნდობისა და დადებითი დამოკიდებულების საფუძველს.**

ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ბურჯანაძე იყოს ის პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც შეუძლია, დაიწყოს რუსეთთან დიალოგი და, შესაბამისად, ქვეყანა გამოიყვანოს ჩიხიდან...

**— დღეს რეალურად რა რესურსები არსებობს რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად?**

— ამ ეტაპზე რუსეთს რაც უნდოდა, ყველაფერი წაღებული აქვს და, სამწუხაროდ, ახლა სულ არ აინტერესებს ჩვენთან დიალოგი. ერთადერთი რამ, რაც შეიძლება მოსკოვსა და თბილისს შორის ჯერ კიდევ იყოს ვაჭრობის საგანი, ესაა საქართველოს ნატოში გაწევრების საკითხი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვაზე, რუსეთმა შეიძლება გარკვეულწილად შეარბილოს საქართველოს მიმართ მწვავე დამოკიდებულება, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ახლა სწორედ ამ ნაბიჯებს ვდგამდეთ, კრემლის ჯინაზე (როგორც სააკაშვილი და მისი გარემოცვა აცხადებს) ნატოს წვრთნებს ვატარებთ და ვცდილობთ, რაც შეიძლება, მეტად დავუახლოვდეთ ამ ალიანსს...

**— თუ ნატოს ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ კიდევ უფრო გაიზრდება და, როგორც ამბობენ, მომავალში საქართველო გახდება ალიანსის სამხედრო ძალების საწვრთნელი პლაცდარმი, რა რეაქცია მოჰყვება ამას რუსეთის მხრიდან?**

— აუცილებლად ძალისმიერი, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, რუსეთის მხრიდან ისევ და ისევ თავისი გეოსტ-

რატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე ადეკვატური იქნება მხოლოდ ძალის გამოყენება, ბუნებრივად ისმის კითხვა: თუკი ამერიკისთვის და ნატოსთვის საქართველო, უკრაინა და ერაყი სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცეა, როგორ ვაიძულოთ რუსეთი, რომ აღარ დაინტერესდეს, რა ხდება საქართველოში?! ეს ხომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ვერანაირი დიპლომატიური თუ სხვა სახის ზემოქმედება კრემლის გავლენას ვერ შეასუსტებს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში. ამით იმის თქმა მსურს, რომ ის პოლიტიკა, რომლითაც მოწამლულია დღეს მთელი საქართველო, მცდარია ძირშივე და სანამ ამ გზით ვივლით, სულ უფრო და უფრო მწვავე კომფრონტაციაში შევალთ რუსეთთან, რაც შესაძლოა, საბოლოო ჯამში თვით რუსეთისთვისაც არ აღმოჩნდეს მთლად პოზიტიური შედეგის მომტანი, მაგრამ ჩვენთვის ნამდვილად იქნება დამღუპველი...

**— თქვენ თქვით, რომ ნატოში გაწევრებაზე უარის თქმით, შეიძლება, რუსეთთან ურთიერთობა გარკვეულწილად გამოვასწოროთ. თვითონ რუსეთი რას გვთავაზობს ამ ნაბიჯის სანაცვლოდ?**

— არაფერს არ გვთავაზობს. რუსეთს არ სჭირდება საქართველოსთან საერთო ენის გამონახვა იმისთვის, რომ აქ არ შემოვიდეს უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები. თუ ნატო საქართველოში ბაზებს განათავსებს, ეს, რა თქმა უნდა, რუსეთისთვის იქნება ძალიან დიდი თავსატეხი, მაგრამ ამ პრობლემას ის როგორმე თვითონაც მოაგვარებს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დღეს რუსეთი იმდენად დასუსტებულია, რომ საკუთარი ინტერესების დაცვას ვერ შეძლებს, ეს ძალიან მცდარი შეხედულებაა. კრემლის ცალსახა პოზიციაა კავკასიაში გავლენის სფეროს შენარჩუნება და ამ მიზნისთვის ის ბოლომდე იბრძოლებს. ამას დასავლეთშიც კარგად ხედავენ და ამიტომ ყველა წამყვანი სახელმწიფო, მათ შორის ამერიკაც და ევროპის მოწინავე ქვეყნებიც, ყველანაირად ცდილობენ, რუსეთთან ღია კომფრონტაციისთვის თავის არიდებას...

ერთადერთი ჩვენ ვართ, ქართველები, რომლებსაც გვგონია, რომ დაპირისპირებით რაიმეს მივაღწევთ. უფრო მეტიც, ზოგს იმის იმედი აქვს, რომ რუსეთი მალე დაიშლება და ამით ყველა პრობლემა მოგვეხსნება. ღმერთმა ნუ ქნას, ეს მოხდეს, თორემ საქართველო კი არა, შეიძლება მთელი მსოფლიო წალეკოს ამ უზარმაზარი სახელმწიფოს დაშლამ...

**— საზოგადოებაში და პოლიტიკოსთა გარკვეულ წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ თუ საქართველოში ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, კრემლი შეეცდება, შემოგვიგდოს თავისი კანდიდატი. თქვენ რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს მოსაზრება?**

— ამ ეტაპზე მგონია, რომ რუსეთი ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს, ვინაიდან, როგორც გითხარით, ეს მას არ სჭირდება. ის პროცესები, რაც ახლა საქართველოში მიმდინარეობს, თავისთავად საინტერესოა რუსეთისთვის, მაგრამ მისწრაფება იქითკენ, რომ აქ ხელისუფლებაში ჩაერიოს ვინმე პრორუსული, ჯერჯერობით კრემლის პოლიტიკაში არ ჩანს. ამდენად, გამოვრიცხავ რუსეთის ჩარევას საქართველოს საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებში...

**— რაც შეეხება ოპოზიციის მიერ 26 მაისს დაგეგმილ სამოქალაქო აღლუმს, ხალხში არის იმის მოლოდინი, რომ ამ დღეს გადაწყდება, არის თუ არა სააკაშვილი და მისი გარემოცვა მართლა წამსვლელი. ოპოზიციონერი ლიდერებიც საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ... როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ოცდაექვსში?**

— იმ პროცესების გათვალისწინებით, რაც ახლა მიმდინარეობს ქვეყანაში, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ ოცდაექვსი მაისის სამოქალაქო აღლუმზე რაიმე იმედები დავამყაროთ, მაგრამ, ვთქვათ და, რომ გადადგეს ხელისუფლება, რეალურად რა შეიცვლება ამით?..

**ის ძალა, რომელიც ჩაიბარებს ქვეყნის მმართველობას, რა გარანტიას გვაძლევს, რომ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არ ჩაგვაგდებს? ხალხი ხომ რეალურად არცერთი პარტიის სამოქმედო გეგმას არ იცნობს?! როგორ უნდა ავირჩიოთ ადამიანი მმართველად, როცა არ ვიცით, რა ცვლილებებს გვთავაზობს და როგორ წარმოუდგენია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, როგორ უნდა ვენდოთ ასეთ პიროვნებას?!**

არსებობს მეორე (შიშის) მომენტიც — ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა ოპოზიციურ პარტიებს შორის ხომ არ გადაიზრდება ურთიერთდაპირისპირებაში?! ხომ არ ატყდება ქაოსი და განუკითხაობა?! მე, სიმართლე გითხრათ, ამის ძალიან დიდ საშიშროებას ვხედავ და, თუ ეს მოხდება, ეს იქნება ყველაზე დიდი უბედურება და დამანგრეველი ჩვენი ქვეყნისთვის... ამიტომ საზოგადოებას დაფიქრება მართებს; თუ სწორად გავაანალიზებთ შექმნილ ვითარებას და გადაწყვეტილებასაც სწორს მივიღებთ, გადარჩება საქართველო, თუ არადა, — ისედაც დაღუპვის გზაზე ვდგავართ და, მგონი, ბევრიც არაფერი გვიკლია საბოლოო განადგურებამდე...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**ირაკლი კორძაია:**

# „ალანია“ მერაბიშვილის ისეთივე წარუმატებელი პროექტია, როგორც — „კოკოითი ფანდარასტ“...

**რამდენიმე დღის წინათ მოძრაობამ „რატომ?“ ტელეკომპანია „ალანიასთან“ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე მოძრაობის ერთ-ერთ დამფუძნებელს ირაკლი კორძაიას ვესაუბრეთ.**



— დაარსების დღიდან ტელეკომპანია „ალანიას“ მიმართ ხალხს უამრავი საყვედური დაუგროვდა. დეკლარირებული იყო, რომ ამ ტელევიზიის შექმნა მიზნად ქართველი და ოსი ხალხების დაახლოებას ისახავდა, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანდა იქამდე, რომ სამაჩაბლო დაუბრუნდებოდა საქართველოს. სინამდვილეში, „ალანია“ უნისონში მუშაობდა სააკაშვილთან და მერაბიშვილთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ქართველი და ოსი ხალხის დაშორებისთვის და შედეგმაც არ დააყოვნა. გარდა ამისა, ეს ეგრეთ წოდებული ტელეკომპანია შს სამინისტროს ისეთივე დანამატია, როგორც კუდი, სოდი და ამდენად, არანაირი სატელევიზიო ფუნქცია რეალურად მას არ აკისრია. „ალანია“ არის შს სამინისტროს ისეთივე ვიდეო საარქივო სამსახური, როგორიცაა „რუსთავი 2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, მაგრამ გაცილებით მიკერძოებული და ვულგარულიც კი. კომპანიის ხელმძღვანელობა, ალბათ, სარგებლობს იმით, რომ საქართველოში რუსული ენა ბევრს ისე არ ესმის, როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო, გაცილებით ბინძურად ამიტომაც ფუთავს იმას, რასაც შედარებით ფრთხილად აკეთებს „რუსთავი 2“. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს, არაქართველი თანამოქალაქეები, ვისთვისაც ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალებაა „ალანია“, რას სთავაზობს ეს ტელევიზია მათ?! — იმას, რომ, თურმე, ქვეყანაში ყველაფერი ლამაზ ფერებშია, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი არ არსებობს და მთავრობა ყველაფერს აკეთებს ხალხისთვის. ეს არის ჩვეულებრივი სადეზინფორმაციო პოლიტიკა, რომლითაც იკვებება ჩვენი არაქართველი მოსახლეობა. რაც მთავარია, ჩვენი ინფორმაციით, ეს არხი დოკუმენტალურად საერთოდ არ არსებობდა.

**— ვინ არის ოფიციალურად ამ ტელეკომპანიის მფლობელი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ‘ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას ფინანსური საბუთები რომ მოსთხოვოთ, საეჭვოა, რაიმე დოკუმენტი მოგაწოდოს, რადგან ბუნებაში ასეთი რამ არ არსებობს. ეს ტელეკომპანია ფინანსდებოდა და დღესაც ფინანსდება შს სამინისტროს მიერ, რადგან მისი პროექტია, თანაც წარუმატებელი, ისევე, როგორც „კოკოითი ფანდარასტ“, ისევე, როგორც ტრაგიკომიკური პერსონაჟის — სანაკოევის შექმნა და ა. შ.

**— კონკრეტულ პერსონებთან თუ გაქვთ რაიმე პრეტენზია და გაგრძელდება თუ არა თქვენი აქციები?**

— საერთოდ, შეიძლება ყველას გაუგო, მათ შორის იმ ადამიანებსაც, ვინც იქ მუშაობენ, ალბათ, მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ, მაგრამ მინდა, ვუთხრა „ალანიას“ ჟურნალისტებს: თქვენ წართმეულ ტელეკომპანიაში მუშაობთ! თქვენ შს სამინისტროში მუშაობთ და არა — ტელევიზიაში! თქვენ ემსახურებით ტოტალიტარულ რეჟიმს! გირჩევთ, არ დაემორჩილოთ ივანე მერაბიშვილის უკანონო ბრძანებებს და დატოვოთ ეს ტელევიზია. საკვირველია ის ფაქტიც, რომ არცერთი ჟურნალისტი იქ თავისი სახელით და გვარით არ მუშაობს და რაღაც ფსევდონიმებს არიან ამოფარებული.

**მინდა ვუთხრა „ალანიას“ ჟურნალისტებს: თქვენ წართმეულ ტელეკომპანიაში მუშაობთ! თქვენ შს სამინისტროში მუშაობთ და არა — ტელევიზიაში! თქვენ ემსახურებით ტოტალიტარულ რეჟიმს! გირჩევთ, არ დაემორჩილოთ ივანე მერაბიშვილის უკანონო ბრძანებებს და დატოვოთ ეს ტელევიზია.**

**ჟურნალისტმა გაზეთში რომ გამოაქვეყნოს სტატია ფსევდონიმით, გასაგებია, მაგრამ სატელევიზიო ჟურნალისტი, რომლის სახეც ეკრანზე ჩანს და საზოგადოებას ეცნობა ფსევდონიმით, ეს სპეცსამსახურების ხელწერას ჰგავს! რაც შეეხება ტელევიზიის ხელმძღვანელებს, არათუ „დავერბოვკებულები“ არიან, ნათესაური კავშირიც აქვთ ვანო მერაბიშვილთან და, უბრალოდ, ეს ადამიანები მედიაფრონტზე იბრძვიან.**

**— დღეს ძალიან აქტუალურია სირცხვილის კორიდორში ჟურნალისტების გატარება, ხომ არ აპირებთ ტელეკომპანია „ალანიასთან“ მსგავსი აქციის მოწყობას?**

— „ალანიასთან“ ეს აქცია გამაფრთხილებელი იყო. ჩვენ დავიწყებთ ამ არხის რეგულარულად პიკეტირებას. სხვათა შორის, როდესაც ჩვენი აქცია დაანონსდა, ტელეკომპანია „ალანია“ გაძეძგილი იყო პოლიციელებით, თითქოს, იქ ვინმე შეჭრას აპირებდა. ჩვენი პროტესტის ძირითადი მიზანია, არხი სრულად დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს — „ობიექტივს“, ან სულ მცირე, ჯერ კიდევ მათ საკუთრებაში არსებული იმ 40%-ის კვოტით განსაზღვრული საეთერო დრო მაინც დაეთმოს ოპოზიციური აზრის გაშუქებას.

**P.S.** „საქართველო და მსოფლიო“, ჰუმან რაით ვოჩის მასალებზე დაყრდნობით, შეგახსენებთ, როგორ შეიქმნა ტელეკომპანია „ალანია“:

ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ 2003 წელს დაარსდა. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ჟურნალისტი ირმა ინაშვილი ამბობს, რომ მასში 200-ზე მეტი ჟურნალისტი იმ მიზნით გაერთიანდა, რომ დაეცვა ჟურნალისტების უფლებები, გამოევლინა ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები, მოემზადებინა საგამოძიებო ფილმები. საამისოდ კი რევოლუციის შემდეგ ბევრი საინტერესო მასალა დაგროვდა. მათ შორის, დეციმეტრული არხების წართმევასა და იძულებით ჩუქების ფაქტებზე, თუმცა არც ისე ხილული, როგორც მაგალითად, მესაკუთრეთათვის სახლის ან ქარხნის ჩამორთმევის შემთხვევებში.

სიხშირეების მფლობელებზე ზეწოლა ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა. თავიდან „ობიექტივს“ დახმარებისთვის ტელეკომპანია „აისმა“ მიმართა, რომელიც თბილისში მაუწყებლობდა. მისი ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ მარეგულირებელი კომისია მათ ხელოვნურ პრობლემებს უქმნიდა, რადგან ამ არხზე უნდა გასულიყო ჟურნალისტური კავშირის „ობიექტივის“ მიერ მომზადებული მასალები. ერთ დღესაც არხის დირექტორის მოადგილემ მიშა აგლაძემ თანამშრომლებს გამოუცხადა, რომ მაუწყებლობა უნდა შეეწყვიტათ. ცოტა ხანში ამ არხზე ტელეკომპანია „ალანია“ გავიდა. 2004 წელს „ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტი გადაფორმდა დავით კაკაურიძეზე, თავის დროზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტელეკომპანია „იბერია“ სწორედ კაკაურიძეზე გადააფორმეს. სიხშირეს ახალი სახელი — „ობიექტივი 2“ დაარქვეს.

2007 წელს მიშა აგლაძემ სასამართლოს მიმართა. იგი იხსენებს, რომ შპს ტელეკომპანია „ობიექტივი“ 2001 წელს შეიქმნა. მასვე გადაეცა ლიცენზია „ტვ 33“-ის ბაზაზე. როგორც აღვნიშნეთ, ტელეკომპანია ეთერში 2004 წლამდე გადიოდა, მანამდე, ვიდრე აგლაძე ეროვნული კომისიის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა დიმიტრი ქიტოშვილმა არ დაიბარა და არ გააფრთხილა: **„თქვენ შეიძლება პრობლემები შეგექმნათ. უშეცდომო ტელევიზია არ არსებობს და ჩვენც გვქონდა გარკვეული ხარვეზები. ასეთ დროს ტელევიზია, როგორც წესი, შენიშვნას იღებს.“ მეც მიზეზი ვიკითხე, რატომ უნდა შეგვქმნოდა პრობლემა. ქიტოშვილმა პირდაპირ მითხრა, ან წილის ნახევარი დატოვეთ, ან სულ წაგართმევთო. ხარვეზებზე ჩვენთან არ ულაპარაკიათ. სჭირდებოდათ თავისუფალი არხი და მიიღეს კიდეც. დღეს ამ არხზე „ალანია“ მაუწყებლობს“...**

**მანანა ჩხეიძე**

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ექვსი გაუთვალისწინებელი რჩევა, რაც აგვისტოს

## ალექსანდრე ჭაჭია:

# როგორც საქართველოს მოქალაქეს, მტკივა და მწყინს, რომ ჩემი სამშობლო ვიღაცის კოლონიურ დანამატად იქცა

**პოლიტიკურ წრეებში კიდევ დიდხანს იმსჯელებენ აგვისტოს მოვლენებზე, მის წინმსწრებ თუ თანმდევ პროცესებსა და შედეგებზე. შარშან ჩვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა და ამ „ყურადღებით“ ხელისუფლების თავისმოწონებას, სამწუხაროდ, საქმეში ჩაუხედავი ადამიანებიც იზიარებდნენ...**

**რა მოხდა და რა შეიძლება მოხდეს, ამას სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. ქართველებს გადაბრუნებული ურმისა და შედეგად გამოჩენილი გზის შეგონება ყოველთვის გვახსოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად ვითვალისწინებთ...**

**ფაქტია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ვექტორს გადახედვა სჭირდება, თანაც — საფუძვლიანად.**

**რამდენიმე წელიწადია, სხვადასხვა სტატიასა თუ ინტერვიუში საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემებზე საუბრობს და მათი მოგვარების გზებსაც გვისახავს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია.**

**თუმცა ხელისუფლება, რომელსაც გულზე ლოდივით ადევს ოკეანისგაღმა აღებული ვალდებულებები, ჯიუტად აგრძელებს იმ კურსს, რომელმაც ქვეყანა თავზე დაგვაქცია.**

**ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ქართველებმა ისტორიის გაკვეთილებიდან ვერაფერიც ვერ ვისწავლეთ, რადგან დღემდე ერთსა და იმავე შეცდომებს ვუშვებთ... ხალხური სიბრძნისა არ იყოს, „ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“.**

**ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, შარშან, საპარლამენტო არჩევნებამდე, გამოქვეყნდა უცხოურ პრესაში.**

**ბევრი ავისმომასწავებელი პროგნოზი მაშინ არც საზოგადოებამ იღო ყურად და არც ხელისუფლებამ. ამ გადასახედიდან, ანუ მას შემდეგ, რაც წინამდებარე მასალაში გამოთქმული პროგნოზების დიდი ნაწილი ახდა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტუალურია ის პრობლემები, რომლებზეც ავტორიტეტული მეცნიერი საუბრობს. ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული და თუკი ამჯერად მაინც სათანადო გულისყურით მოეკიდება საქართველოს ხელისუფლება ამ ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს, იქნებ, საშველი მართლაც დაადგეს ამ ქვეყანასაც და ამ ქვეყნის გაწამებულ ხალხსაც.**



**ამგვარად, ძირითადი გარე მოთამაშეების პოზიციები ნათელია, თუმცა სრულებით გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. რაში არგია საქართველოს გადაქცევა რუსული ან ირანული რაკეტების სამიზნედ? რატომ ამბობს უარს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე თავის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო ბაზების განთავსების სანაცვლოდ? რატომ უგულებელვყოფთ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების თვალსაზრისს, თუ ევროპასთან თანამშრომლობა გვსურს?**

**რამდენად გამართლებულია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების ე.წ. ევროპული ორიენტაცია და ნატოში გაწევრების კურსი?**

— გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს საგარეო პოლიტიკის მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რეალურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ხარისხისა და დონის გაუმჯობესებას. ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ნატოში გაწევრებისა იმიტომ, რომ კარგად შევისწავლე ამ ორგანიზაციის საქმიანობის ის მხარეები, რომლებიც არ აფიშირდება და არ რეკლამირდება ნატოს პროპაგანდისტების მიერ; ვიცი, რომ ნატოში ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნის გაწევრება, როგორიც საქართველოა, ფაქტობრივად, სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას, ხოლო ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის პირობებში მორიგ მსხვერპლად და სამიზნედ გადაქცევასაც ნიშნავს. ნატოსთან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიაში ამერიკელთა ინტერესი გასაგებია: მათ საქართველო პაიკად სჭირდებათ რუსეთთან დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში (რუსეთთან პრობლემური საკითხების განხილვისას ამერიკელები თავიანთ კოზირებს შორის ტყუილად კი არ ასახელებენ შესაძლებლობას, ნებისმიერ დროს საქართველოს მეშვეობით მოახდინონ კავკასიაში სიტუაციის დესტაბილიზაცია); სჭირდებათ, ასევე, საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურა ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში (ირანის საპასუხო ქმედებები, სხვათა შორის, მიმართული იქნება არა შორეული ამერიკის, არამედ მტრულად განწყობილი მეზობლის — საქართველოს მიმართ); რასაკვირველია, საჭიროა გაზსადენის გაკონტროლებაც. საგულისხმოა, რომ ყველა ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად არც სამხრეთ ოსეთი და არც აფხაზეთი საჭირო არ არის.

გასაგებია თურქეთის ინტერესიც: ნატოს ეგიდით საქართველოში სწორედ თურქეთის სამხედრო ბაზები განთავსდება, რაც ამ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ გააკონტროლოს საქართველო, რომელსაც თურქეთის ელიტა ყოველთვის თავის ვასალ ტერიტორიად მიიჩნევდა, არამედ უშუალო კავშირი დაამყაროს თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, ანუ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას „დიდი თურანის“ იდეის რეალიზაციის გზაზე.

ამ საკითხში გასაგებია ევროპის პოზიციაც (მხედველობაში მაქვს წამყვანი ევროპული ქვეყნები, ანუ ძველი ევროპა – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი და არა ახალგამოჩეკილი „ევროპელები“, მაგალითად, პოლონეთი ან ბალტიისპირა რესპუბლიკები, რომლებიც მოსამსახურეების ან, როგორც ამერიკელები ამბობენ, ამერიკის საგარეო პოლიტიკისთვის „შავი მუშების“ როლს ასრულებენ): ევროპას ხელს არ აძლევს რუსეთთან ერთობ მომგებიანი ურთიერთობების გამწვავება, მეტადრე, რომ თავად ევროპას სრულებით არ აინტერესებს ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხი.

ჯერ ერთი, რომ ევროპას ჩინებულად ესმის, — ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის იარაღია. ეს კი ევროპას აღიზიანებს, რაც იმით ვლინდება, რომ ევროპელებს არ სურთ ერაყსა და ავღანეთში ამერიკულ ავანტიურებში მონაწილეობა და მკაფიოდ უარყოფითად ეკიდებიან ირანთან კონფლიქტის საკითხს. მეორეც, ევროპა არ მიიჩნევს საქართველოს ევროპულ ან ისეთ ქვეყნად, რომელიც პოტენციურად მაინც წარმოადგენს მისთვის პოლიტიკურ ანდა ეკონომიკურ ინტერესს. ამ ინტერესის უქონლობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ საქართველოს აქამდე არ სწვევია რომელიმე დიდი ევროპული სახელმწიფოს ლიდერი. სამარცხვინოც კია, მაგრამ ყველაზე მეტი, რასაც ველირსეთ, პოლონეთის პრეზიდენტ კაჩინსკის ვიზიტებია, რომელსაც ევროპაში „ევროპელ მასხარად“, „ევროკავშირის ტაკიმასხარად“ მიიჩნევენ. საქართველოსადმი სწორედ ეს დამოკიდებულება გამომჟღავნდა ნატოს ბუქარესტის სამიტისას. საინტერესოა, რომ ყველა საღად მოაზროვნე და გათვითცნობიერებული ადამიანისთვის ნათელი იყო: საქართველო ვერ მიიღებდა მაპს ბუქარესტში. ეს იცოდა საქართველოს ხელისუფლებამაც, მაგრამ მაინც აგრძელებდა თავისი ხალხის მოტყუებას. დღეს ჩვენმა პოლიტიკოსებმა ამ პრობლემის გადაჭრა დეკემბრამდე „გადადეს“, თუმცა დეკემბერშიც ანალოგიურ შედეგს მივიღებთ. მერე რა ტყუილს მოიგონებენ?

ამგვარად, ძირითადი გარე მოთამაშეების პოზიციები ნათელია, თუმცა სრულებით გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. რაში არგია საქართველოს გადაქცევა რუსული ან ირანული რაკეტების სამიზნედ? რატომ ამბობს უარს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე თავის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო ბაზების განთავსების სანაცვლოდ? რატომ უგულებელვყოფთ ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების თვალსაზრისს, თუ ევროპასთან თანამშრომლობა გვსურს? საქართველოს ხელისუფალთა პოზიციას ზოგი მათი უმეცრებით, გამოუცდელობით, ელემენტარული ანალიზის უუნარობით ხსნის. მაგრამ განა ამდენად უმეცარნი არიან, რომ ის ანბანური ჭეშმარიტებაც ვერ აღიქვან, რომელიც შორეულ სოფელში მოსახლე მცირედ განათლებული გლეხისთვისაც კი ნათელია? ეტყობა, საქმე ისაა, რომ თავისუფალი არ არიან ქვეყნის პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასა და გატარებაში და მხოლოდ გარე ძალების ნების შემსრულებლებად გვევლინებიან. ამ გარე ძალებისთვის კი საქართველოს ეროვნული ინტერესები არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენს. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას იმ სიტუაციის აბსურდულობა, რომელშიც ხელისუფლების წყალობით აღმოჩნდა საქართველო.

თავად განსაჯეთ: ნატოში გაწევრების შესახებ მრავალწლიანი ლაქლაქით ჩვენ საფუძველშივე გავიფუჭეთ რუსეთთან ურთიერთობა, სრულიად გავყინეთ კონფლიქტების დარეგულირების პროცესი, დავკარგეთ ერთადერთი მასშტაბური ბაზარი ჩვენი პროდუქციისათვის, მაგრამ ნატოში მაინც არ გვიღებენ და არც მიგვიღებენ კიდევ დიდხანს. გამოდის, რომ ქვეყანა რეალურ სინამდვილეს მსხვერპლად სწირავს პოლიტიკოსების ფანტაზიებს. სრული აბსურდია!

**— კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბევრი შეშფოთებით ელოდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. ეს არ მომხდარა, მაგრამ აფხაზეთს თავის დროზე შემოღებული სხვადასხვა სახის სანქცია მოეხსნა. ხომ არ მოჰყვება ამას მისი დამოუკიდებლობის აღიარებაც?**

— ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების მომხრე რუსეთში ბლომადაა. ეს გასაგებიცაა, რადგან მათი ხელისუფლებაც და მოსახლეობაც, რუსეთ-საქართველოს მტრული ურთიერთობების ფონზე, რუსეთისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირებას ახდენენ და მასთან თანამშრომლობისკენ ისწრაფვიან. რასაკვირველია, ამ პირობებში ამკრძალავი ზომების მოქმედებების გაგრძელება შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში არიან ძალზე გავლენიანი ლობისტები, რომლებიც კატეგორიულად აცხადებენ: საქართველომ რუსეთთან კონფრონტაციის, რუსეთისადმი მტრულად განწყობილ სამხედრო ბლოკში გაწევრების გზა აირჩია და ამიტომ მას ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც მტერ სახელმწიფოს. მე ხშირად მიწევს ამ ადამიანებთან კამათი, მაგრამ ისინი, ძირითადად, ბოლო ორ ათწლეულში, ანუ ჩვენს ქვეყნებს შორის კონფრონტაციული ურთიერთობების პერიოდში, ჩამოყალიბებული ახალი ფორმაციის პოლიტიკოსები არიან. ამიტომ უჭირთ ჩემი არგუმენტაციის, ისტორიულ გამოცდილებასა და ერთობლივ წარსულზე აპელირების და სხვ. მიღება.

საბედნიეროდ, არიან ისეთი პოლიტიკოსებიც, რომელთათვისაც საერთო ისტორია, ერთმორწმუნეობა, ევრაზიული ერთიანობა ლიტონი სიტყვები კი არა, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესთა თანხვედრის ისტორიული დადასტურებაა. ასეთ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება ვ. ვ. პუტინიც. ამიტომაც მოვუწოდებდი საქართველოს ხელისუფლებას, ქვეყნის სასიკეთოდ გამოეყენებინა ვ. ვ. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდი, ქართველი ხალხისადმი მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფალნი პირიქით მოიქცნენ. ვიმედოვნებ, რომ რუსეთის ახალი პრეზიდენტი ვ. ვ. პუტინის მსოფლმხედველობრივი პოზიციის ამ ნაწილსაც იზია-

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ომსა და ტერიტორიების დაკარგვას აგვაცილებდა

რებს და თუ საქართველოს ხელისუფლება მომწიფდება იმისთვის, რომ სათანადოდ გააცნობიეროს ეროვნული ინტერესები, მაშინ მოსკოვი კეთილგანწყობით შეხვდება, თუმცა, დროის გაჭიანურების შემთხვევაში, ეს იმედი ნაკლებად რეალური გახდება.

მე კვლავაც ვამტკიცებ, რომ რუსეთისა და საქართველოს ობიექტური (ხაზს ვუსვამ — ობიექტური!) გეოპოლიტიკური ინტერესები სავსებით თანმხვედრია. ამიტომ რუს კოლეგებთან საუბრისას სწორედ რუსული სახელმწიფოებრივი ინტერესებით ვაპელირებ და ვამტკიცებ, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა რუსეთის გრძელვადიან ინტერესებში არ შედის. სანაპიროზე მდებარე დამოუკიდებელი აფხაზეთი მაგნიტივით მიიზიდავს ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების სეპარატისტულ წრეებს, რომლებიც დიდი ხანია, ზღვაზე პირდაპირ გასასვლელზე ოცნებობენ. კვლავ აღორძინდება თავის დროზე თურქეთის გენშტაბის მიერ შემუშავებული აფხაზეთისა და ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა.

გავიხსენოთ: ამ იდეის რეალიზაციას შეუდგნენ კავკასიის მთიელი ხალხების კონფედერაციის შექმნით, რომლის დედაქალაქად სოხუმი გამოცხადდა. ყურადღება მიაქციეთ: არა კავშირი, არა ხალხთა ასოციაცია, არამედ სწორედ რომ კონფედერაცია, ანუ სახელმწიფო მოწყობის ფორმა. ამასთან, აფხაზეთის დამოუკიდებლობის სტატუსი მას თურქეთთან პირდაპირი სახელმწიფოთაშორისი სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარების საშუალებას მისცემს, ამის შედეგებს კი ვერავინ განსაზღვრავს. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი ინტერესების რეალიზაციისთვის სამხრეთ კავკასიაში არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ სჭირდება. უფრო მეტიც, ამ კონფლიქტების გადაუჭრელობა ხელს უშლის სამხედრო ბლოკში საქართველოს გაწევრებას და დამატებით არგუმენტს წარმოადგენს იმ ევროპული ქვეყნებისთვის, რომლებსაც არ სურთ ნატოს შემადგენლობაში საქართველოს ხილვა. ამიტომ აშშ სიამოვნებით აირიდებდა თავიდან ამ პრობლემას, მაგრამ საქართველოს მოუწოდო, უარი თქვას ისტორიულ ტერიტორიებზე, ნიშნავს „მეგობრისა“ და „მფარველის“ როლის უგულებელყოფას. ამიტომ ამერიკელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ამას რუსეთის ხელით გააკეთებენ, ამასთან, შეინარჩუნებენ საკუთარ იმიჯს და დაადასტურებენ, რომ რუსეთი „მტერი“ და „აგრესორია“. ყველა ეს გარემოება გაითვალისწინა ვ. ვ. პუტინმა, რის გამოც რუსეთის ხელისუფლება არ წამოეგო ამერიკის პროვოკაციას და არ გაიმეორა კოსოვოს პრეცედენტი.

თუმცა უსასრულოდ ასე ვერ გაგრძელდება. თუ ნატოში საქართველოს გაწევრების რეალური შესაძლებლობა წარმოიქმნება, ანუ რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ნატოს ბაზების განთავსების საფრთხე გაჩნდება, რუსეთის ხელისუფლება, ცხადია, გააფართოებს თავისი უსაფრთხოების ზონას, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ხარჯზეც. ანალოგიურ ნაბიჯს რუსეთი კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრის შემთხვევაშიც გადადგამს, რაზედაც ხშირად მსჯელობენ ბრიყვები სააკაშვილის გარემოცვაში. ვფიქრობ, თავად პრეზიდენტი თავისი ხალხის ინტერესებს არ უღალატებს და სამხედრო ავანტიურაზე არ წავა, რადგან ეს კატასტროფა იქნება როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ისე ქართველი ერისთვისაც, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენისთვის.

**— ბოლო წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ძალაუნებურად გებადება კითხვა: საერთოდ შესაძლებელია კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

— მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ძალზე რთული, ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში — სრულებით შესაძლებელი. მომხდარი ომის მიზეზებს ხომ ობიექტური, ანტაგონისტური ხასიათი არ აქვს. დამოუკიდებლობის ხანაში ქვეყნის მმართველი შევარდნაძის ნაცვლად დამოუკიდებლად მოაზროვნე, ეროვნულად ორიენტირებული, გონიერი ადამიანი რომ ყოფილიყო, ომი არ გაჩაღდებოდა. ომის შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ხელისუფლებას არ გადაუდგამს რეალური ნაბიჯები ურთიერთობათა ნორმალიზებისთვის. პირიქით, ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება ისე, თითქოს აფხაზეთის მოკვეთა ჩვენი პოლიტიკოსების ფარულ მიზანს წარმოადგენდეს.

მიმაჩნია, რომ დღესაც დაგვიანებული არ არის ამ ერთობ რთული, მაგრამ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამუშაოს დაწყება. ოღონდ ჯერ უნდა განისაზღვროს საქმიანობის მიმართულება.

**პირველი:** აუცილებელია ქვეყნის შიგნით ამ თემაზე სპეკულაციური პოლიტიკური ჭრიჭინისა და გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში უაზრო ლაყბობის შეწყვეტა, რადგან მათ მიუფურთხებიათ ჩვენი პრობლემებისთვის. შევარდნაძემ ჩვენი პოლიტიკოსები ამგვარ უნაყოფო საქმიანობას შეაჩვია, რათა ერის ყურადღება ამ პრობლემიდან სხვა რამეზე გადაეტანა. სამწუხაროდ, მას ეს გამოუვიდა.

**მეორე:** კატეგორიულად უნდა უგულებელვყოთ რაიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანების იდეა, რადგან ეს საქართველოს მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების მტრად აქცევს. არადა, ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც, ეკონომიკური განვითარებაც და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობაც. საქართველო მშვიდობიანი, ყველა ქვეყნისადმი კეთილგანწყობილი, ღია და, სამხედრო თვალსაზრისით, ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოს.

**მესამე:** სამხედრო ნეიტრალიტეტზე დაფუძნებით, მან უნდა აღადგინოს და გააფართოვოს რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენი კონფლიქტური ტერიტორიები დსთ პასუხისმგებლობის ზონაში მდებარეობს და იქვეა განთავსებული რუს მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტი, რომელსაც გაერო სისტემატურად უგრძელებს და კვლავაც გაუგრძელებს მანდატს. რუსეთისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესების ერთიანობაზე დაფუძნებით, უნდა მივაღწიოთ რუსეთის ხელისუფლების, რუსული პოლიტიკური ელიტის მხრიდან ურთიერთგაგებასა და აქტიურ მხარდაჭერას. ჩვენ ამას მოვახერხებთ, თუ პოლიტიკაში, კულტურაში, ბიზნესურთიერთობებში, პირად კავშირებსა და მართლმადიდებლური ეკლესიის ხაზით ჯერ კიდევ არსებული პოტენციალის მობილიზებას მოვახდენთ.

**მეოთხე:** აუცილებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობებსა და ადგილობრივ ელიტურ ჯგუფებთან პირდაპირი დიალოგის გამართვა, ხოლო პარალელურად — მოქალაქეთა მასობრივი კონტაქტებისთვის პირობების შექმნა. ბუნებრივია, პირველ ეტაპზე ეს რუსეთის შუაკაცობით მოხერხდება, მაგრამ დროთა განმავლობაში შემუშავდება მექანიზმი, რომელიც პროცესს შეუქცევად ხასიათს შესძენს. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ დიალოგი შესაძლებელია და კონკრეტული კომპრომისების მიღწევაც სავსებით რეალურია.

**მეხუთე:** დაუყოვნებლივ საჭიროა მასშტაბური სამუშაოს დაწყება ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან მრავალმხრივი ურთიერთობების აღსადგენად და გასავითარებლად. გვავიწყდება, რომ კავკასიელები ვართ, არა — მითური „ევროპელები“, არამედ — კავკასიელები. კავკასიელ ხალხებთან ურთიერთობა საქართველოსთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ჰოლანდიასთან ან ბელგიასთან. მაგრამ შევარდნაძე არ კადრულობდა ამ ხალხების ლიდერებთან ურთიერთობას და უპირატესობას ანიჭებდა გაეროში ფუჭ გამოსვლებსა და ცოცხალ-მკვდარ გენშერთან ან ცრუპენტელა ბეიკერთან შეხვედრას. სააკაშვილმა, სამწუხაროდ, განაგრძო ეს მანკიერი პრაქტიკა და გენშერი ჭკუიდან გადამცდარი ბჟეზინსკითა და საერთაშორისო მასშტაბის აფერისტებით — სოროსითა და ბალცეროვიჩით — ჩაანაცვლა. დროა, მიმოვიხედოთ. გარშემო კავკასიელი ხალხები გვახვევია, რომლებთან ურთიერთობანიც ამპარტავნულად შევწყვიტეთ. ხოლო ამ ხალხების თანამგრძნობი და მეგობრული მხარდაჭერის გარეშე ვერც აფხაზეთისა და ვერც სამხრეთ ოსეთის პრობლემას ვერ გადავჭრით.

**მეექვსე:** აქტიურად უნდა ჩავერთოთ იმ რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში, რომლებშიც რუსეთი აფხაზეთს ჩართავს. ამ პროექტების რეალიზაცია საქართველოს გარეშე არ უნდა მოხდეს. უფრო მეტიც, საქართველო ამ პროექტების უმთავრეს კავკასიელ მონაწილედ უნდა იქცეს. მხედველობაში მაქვს იგივე ოლიმპიადა და მასთან დაკავშირებული გრანდიოზული გეგმები. პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლიანობის გარდა, ამ პროექტებში მონაწილეობა საშუალებას მოგვცემს, უკვე საწყის ეტაპზე სამშობლოში დავაბრუნოთ ლტოლვილების მნიშვნელოვანი ნაწილი.

თუმცა ყველაფერი, რასაც გთავაზობთ, შეიძლება განახორციელოს მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პატრიოტულად განწყობილმა ხელმძღვანელობამ, რომელიც საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს...

**— თქვენ საჯაროდ არა ერთხელ განაცხადეთ, რომ საქართველოს სახელმწიფო არ შედგა, თუმცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავისი პირველი საპრეზიდენტო ვადის უმთავრეს მიღწევად სწორედ ის დაასახელა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა...**

— შემდგარ სახელმწიფოს რამდენიმე მახასიათებელი აქვს, რომელთაგან უმთავრესია ცენტრალური ხელისუფლების უნარი, გააკონტროლოს ქვეყნის მთელი ტერიტორია. უკვე ამ ნიშნით ლაპარაკი საქართველოზე, როგორც შემდგარ სახელმწიფოზე, არ შეიძლება. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სხვა მახასიათებლებთანაც — დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ეროვნული მოდელის არსებობა. ფორმალური დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველო ვერ იქცა საერთაშორისო ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტად. სასაცილოა: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხებს არა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, არამედ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტთან აგვარებს. რაც შეეხება ეკონომიკის ეროვნულ მოდელს, მთავრობა, პრემიერ-მინისტრის გამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, ვერც კი ხვდება, ეს რა არის.

**— თქვენი აზრით, შეძლებს კი პარლამენტის ახალი შემადგენლობა ქვეყნის პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანას? სავარაუდოდ, ოპოზიცია ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას მიიღებს...**

— განა ოპოზიციას აქვს ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი? ვერც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ვერ წარმოადგინა რეალური ალტერნატიული პროგრამა, რომელიც საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის, ეროვნული ეკონომიკის ფორმირების, ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის კონკრეტულ წინადადებებს და ახალ მიდგომებს შეიცავს. არ მსმენია ამგვარი რამ არც ამჟამინდელი ხელისუფლებისგან, როცა მათ შევარდნაძის რეჟიმი შეცვალეს. შეიცვალნენ დეპუტატები, მინისტრები, მილიციელები, მაგრამ შიდა და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები უწინდელი, შევარდნაძისეული დარჩა. თავის დროზე მე მას სამი „დ“-ს პოლიტიკა ვუწოდე: დეინდუსტრიალიზაციის, დესტრუქციის, დეგრადაციის.

მიაქციეთ ყურადღება, რა მოთხოვნები წამოაყენა ოპოზიციამ ბოლო ხანებში? ეს მოთხოვნები რომ დაკმაყოფილებულიყო კიდეც, განა საქართველოში არსებულ ვითარებასა და საერთაშორისო არენაზე ქვეყნის მდგომარეობას შეცვლიდა? რისთვის მოაწყვეს მრავალათასიანი მიტინგები? რისთვის აცემინეს ხალხი ხელკეტებით? რისთვის დაიწყეს „სასიკვდილო“ შიმშილობა, რომელიც დიდი ხანია, ფარსად იქცა? იმისთვის, რომ სავარძლებში უსაქმურთა და მარიონეტთა ერთი ჯგუფის ნაცვლად მეორე ჩასვან? ჩვენ უკვე ჩავანაცვლეთ შევარდნაძე იმ ხალხით, ვინც გაჰყვიროდა: „ძირს შევარდნაძე!“ მაგრამ არც კი დავინტერესებულვართ, რა გზით წაიყვანდნენ საქართველოს ეს მყვირალები.

**დღეს გაჰყვირით: „ძირს სააკაშვილი!“ მაგრამ განა ჰყავს ოპოზიციას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ალტერნატიული სტრატეგიის მატარებელი? მსგავსი არაფერი — არც პარტიაა, არც — პიროვნება. და ეს გასაკვირი არ არის. ქვეყნის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალების მთელ სპექტრს მკაცრად აკონტროლებენ ამერიკის შესაბამისი სამსახურები.**

ასეთსავე კონტროლს ექვემდებარება მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომლებიც პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის კადრებს ამზადებენ. ამ პირობებში უაღრესად ძნელია დამოუკიდებელი, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალის შექმნა. ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მტკივა და მწყინს, რომ ჩემი სამშობლო ვილაცის კოლონიურ დანამატად იქცა მარიონეტული პოლიტიკური კლასით. გარედან მართული პოლიტიკური ძალები ეროვნული ინტერესების რეალიზებას ვერ მოახდენენ. ამიტომ ახალი პარლამენტი, რა შემადგენლობისაც უნდა იყოს, ვერ გადაიქცევა თავისი არსით ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანოდ, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ნებისა და ინტერესების გამომხატველი იქნება.

სხვა საქმეა, რომ საპარლამენტო არჩევნები საშუალებას აძლევს პრეზიდენტს, ცვლილებები შეიტანოს სახელმწიფოს პოლიტიკაში. თუ მას ესმის, რომ ქვეყანა ჩიხშია, ისევე, როგორც შევარდნაძის მმართველობისას, და მეორე ვადის ჩასამთავრებლად და მისი სახელის კეთილად მოსაგონრად ერთადერთი საშუალებაა, კარდინალურად შეცვალოს საგარეო და საშინაო ეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ ის გამოიყენებს არჩევნებს, რათა მოახდინოს პარლამენტის მიერ ახალი ინიციატივების წარმოდგენის ინსპირირება; შეცვალოს მთავრობის შემადგენლობა და მიმართოს იგი განვითარების ხარისხობრივად ახალი პროგრამის რეალიზაციისკენ, ანუ გამოიყენოს პარლამენტის ახალი შემადგენლობა ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის საწარმოებლად. ამასთან, მას შეეძლება, თავი იმართლოს ამერიკელ კურატორებთან და ამ ცვლილებებში ახალი პარლამენტი „დაადანაშაულოს“. თუ პრეზიდენტი ამ შანსს ვერ გამოიყენებს, ისტორიული ტერიტორიების საბოლოოდ დაკარგვის გარდა საქართველოს უკვე მომავალ წელს მასშტაბური ეკონომიკური კრიზისი დაემუქრება, რომელიც შემდგომში უთუოდ გადაიზრდება ეკონომიკის კოლაფსში. გასაყიდი ხომ აღარაფერი დარჩა. სასწრაფოდ აღსადგენია ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

**2008 წლის აპრილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# საქართველოს ხალხთა ასამბლეის კონგრესი თბილისში უნდა ჩატარებულიყო და მისი ორგანიზატორი საქართველოს პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო!




საქართველოს ეთნიკურ სათვისტომოთა ლიდერების მიმართვა

თბილისი, 2004 წლის 31 მაისი

**დასაწყისისთვის — მცირე ისტორია: 2004 წლის 31 მაისს საქართველოს ყველა ეთნიკური თემის ლიდერებმა სახელმწიფო კანცელარიაში ჩააბარეს მათ მიერ სახელმწიფო ომბუდსმენის ოფისში ხელმოწერილი „მიმართვა მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს“ (№ 94/7), რომელშიც სთხოვდნენ, განეხილა პოლიტოლოგის, პუბლიცისტისა და ჟურნალისტის არნო ხიდირბეგიშვილის კანდიდატურა იმ რეფორმირებული სტრუქტურის ხელმძღვანელის პოსტზე, რომელიც სახელმწიფოში ნაციონალური უმცირესობების საკითხებითაა დაკავებული.**
**აღსანიშნავია, რომ ამ „მიმართვამდე“ ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ საქართველოს რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული, ებრაული, გერმანული, ქურთული, ასირიული, ლატვიური და ესტონური დიასპორების ლიდერებს ხელი მოეწერათ ერთობლივი დოკუმენტისათვის და გაერთიანებულიყვნენ ერთი, თანაც — ეროვნებით ქართველი პიროვნების ირგვლივ! მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ხელმომწერნი საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედის ნებას გამოხატავდნენ: როგორც ცნობილია, საქართველოში არაქართველი მოსახლეობა ერთ მილიონზე მეტ მოქალაქეს ითვლის.**

დიასპორათა ხელმძღვანელების ერთობლივი მიმართვა, საქართველოს პრეზიდენტის გარდა, მოგვიანებით დაეგზავნა **საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს — ზურაბ ჟვანიას, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს — ირაკლი ჩუბინიშვილს, „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს — გიორგი არველაძეს, სახელმწიფო მინისტრს — ზინაიდა ბესტაევას, პრეზიდენტის პრესსპიკერს — გელა ჩარკვიანს, „საქართველოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სპიკერს — ბესო ჯუღელს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს — ელენე თევდორაძეს, პარლამენტარებს — გიგა ბოკერიასა და ედვარდ სურმანიძეს — პარლამენტის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარეს, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს — კოტე გაბაშვილს, საპარლამენტო ფრაქცია „ნაცმოძრაობა-დემოკრატების“ თავმჯდომარეს — მაია ნადირაძეს, სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების დარეგულირების დარგში — გიორგი ხაინდრავას, საქართველოს სახალხო დამცველს — სოზარ სუბარს, ასევე პირადად გადაეცა პირველ ლედის — ქალბატონ სანდრა რულოვსს და გამოქვეყნდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“.**

თუმცა საქართველოს დიასპორათა ლიდერების მიმართვა უპასუხოდ დარჩა...

ვინ დაიწუნა ბატონ არნო ხიდირბეგიშვილის — ნაციონალურ უმცირესობათა საკითხებში კვალიფიციური სპეციალისტის, ცოტა ხნის წინ ორ ენაზე — ქართულად და რუსულად გამოცემული წიგნის — **„საქართველოს ნაციონალური უმცირესობანი — რეალიები და პერსპექტივები“** — ავტორის კანდიდატურა?

ვის არ აძლევდა ხელს, რომ არაქართველი მოსახლეობის პრობლემებით დაკავებული სტრუქტურისთვის ქართველ სპეციალისტს ეხელმძღვანელა?

ვის აძლევდა ხელს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საინფორმაციო ვაკუუმში ყოფილიყო და მის ყურს არ მისწვდომოდა საკუთარი ხალხის ხმა?

ვის აძლევდა ხელს, რომ ამ გზით საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობაში წარმოშობილიყო და გაზრდილიყო უკმაყოფილება პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ?

ვის აძლევდა ხელს, რომ მჟავანაძის, პატიაშვილის, გუმბარიძის, შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს საქართველოს ნაციონალური უმცირესობა ხელისუფლებაში წარმოდგენილი ყოფილიყო ერთი და იგივე, არა ერთხელ კომპრომეტირებული, თანამემამულეთა შორისვე დაბალრეიტინგიანი პერსონებით?

ვის აძლევდა ხელს, რომ პრეზიდენტს არ ჰქონოდა რეალური ინფორმაცია ნაციონალური უმცირესობების თემით მოვაჭრე პიროვნებებზე, რომლებიც ხელს ითბობდნენ და მათთვის ამ ნოყიერ ნიადაგზე პოლიტიკურ და ფინანსურ კაპიტალს აგროვებდნენ?!

**ვის არ აძლევდა ხელს, რომ არნო ხიდირბეგიშვილი, საქართველოში არსებულ დიასპორათა ხელმძღვანელებთან ერთად 2004 წელს ჩასულიყო ცხინვალში და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობასა და ოს საზოგადოებასთან ერთად მოლაპარაკებათა მაგიდას მისჯდომოდა (მით უმეტეს, რომ ოსეთის მხარე მზად იყო მათ მისაღებად!)? იქნებ, სწორედ ამ დიალოგის წყალობით (2004 წელს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამხედრო ინციდენტამდე ოთხი დღით დრე!) მოვლენები სხვაგვარად — მშვიდობიანად განვითარებულიყო და აღარც მომხდარიყო ტრაგედია 08.08.08?!**

ეს კითხვები დღემდე უპასუხოდ რჩება...

ახლა კი დღევანდელ დღეს დავუბრუნდეთ — მოვლენას, რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, საქართველოს ხელისუფლებას 2004 წელს რომ არ დაებლოკა ზემოხსენებული მიმართვა და მისთვის სათანადო ყურადღება დაეთმო.

თუ გახსოვთ, ძვირფასო მკითხველო, გასულ კვირას პუბლიკაციაში — **„არაკორუმპირებულ პროფესიონალთა დიქტატურა“** — მე ვახსენე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის 2009 წლის 9 მაისის მილოცვა დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს მოქალაქეებისადმი გამარჯვების 64-ე წლისთავთან დაკავშირებით, სადაც გაკეთებული იყო აქცენტი **„საერთო ისტორიულ მემკვიდრეობაზე, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის ტრადიციებზე ჩვენს ხალხებს შორის (რომლებიც არასდროს ყოფილან მტრები), ნდობისა და ურთიერთგაგების აღდგენის მკვიდრ საფუძველზე“.**

შემდგომ დავასახელე როგორც ორგანიზაციები, რომლებიც ნდობისა და ურთიერთგაგების შენობას სწორედ რომ **მყარ საფუძველზე — ისტორიულ სიმართლეზე** აგებენ (კერძოდ: **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ (თბილისი), „ქართველთა კავშირი რუსეთში“**), ასევე ისინი, ვინც საკუთარი თუ სახაზინო სახსრებით ლამობს მეგობრობის შენობის აგებას არა საძირკვლიდან, არამედ **ზედა სართულების დაშენებებიდან**. გაწაფული მკითხველი, ცხადია, მიხვდა, რომ ჩემ მიერ იქ ნახსენები **„შერეული“ საზოგადო მოღვაწენი საბრძოლო სახელებით** სინამდვილეში ნიშნავდა **რუსეთის საზოგადოებრივი პალატის შერეულ კომისიას მაქსიმ შევჩენკოს ხელმძღვანელობით** (რით არ არის საბრძოლო სახელი?!). დიახ, ქართველი ხალხის „დიდი მეგობრის“, რომლის კომისია დროდადრო იკრიბება მოსკოვში, ბაქოში, მინსკში (მაგრამ არა — თბილისში!) ჰუმანური მიზნით — დააბრუნოს (ალბათ, დისტანციურად!) ქართველი ლტოლვილები თავიანთ მიწაზე და მოძებნოს 2008 წლის აგვისტოში უგზოუკვლოდ დაკარგულები... მორიგი ასეთი შეხვედრა ივნისში მინსკში გაიმართება. როგორც ჩანს, შევჩენკომ გადაწყვიტა, რომ ზემოაღნიშნული ამოცანები კომისიამ უკვე გადაჭრა და ამჯერად კონფერენციას ატარებს, რომელზეც, როგორც „იტარტასს“ აცნობა, **„მიწვეული არიან კავკასიის რეგიონის ოთხი ქვეყნის — რუსეთის, საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლები“.** აი, სად შეასრულა დანამდვილებით მაქსიმ შევჩენკომ თავისი ამოცანა! — **მისმა პოლიტიკურმა სპეცპროექტმა „ОРТ“-ზე (გადაცემა „თავად განსაჯეთ“) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთისა და საქართველოს გვერდით დღეს მოხსენიებულიყო თანასწორუფლებიან ქვეყნებად.** ზემონახსენებ პუბლიკაციაში არც ის გამომირიცხავს, რომ **„ბნელ ღამეებში“** ამგვარივე **„ანსამბლები“** შეიქმნება. თითქოს წინასწარ ვჭვრეტდი: **2009 წლის 14 მაისს ქალაქ სოჭში, სადაც, როგორც ცნობილია, ბნელი ღამეები იცის, შეიკრიბა „საქართველოს ხალხების ასამბლეა“.** რანაირი **„ანსამბლი“** გინდა, სულო და გულო, იქ რომ არ ჩასულიყო! რად ღირს, თუნდაც, **„ვენის კლასიკოსები“!.. ბახი, მოცარტი და ბეთჰოვენი** კი არა, შარშან ვენაში კრიმინალური მილიონერის ლევან პირველის მიერ მიწვეული არანაკლებ კრიმინალური მილიონერი **ებრალიძე,** მისი ადიუტანტი **მელაძე** და „შერეული საზოგადოებრივი მოღვაწე“ **შევჩენკო** (მაქსიმის გარეშე, როგორც ხედავთ, არაფერი გამოდის!) ჩავიდნენ; ასევე, ცნობილი „იუმორისტი“ და პუბლიკის კერპი, მსგავსი „ტუსოვკების“ მუდმივი მონაწილე, ერთწევრიანი გაუგებარი ორგანიზაციის პრეზიდენტი (რომლის ერთადერთი წევრი თავად არის!) **ვლადიმერ ხომერიკი**, რომელსაც გვარისა და ულვაშის გარდა, საქართველოსა და ქართველებთან არაფერი აკავშირებს...

**ამასთან, სოჭის „ღამეები“ იმდენად „ბნელი“ აღმოჩნდა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის გაუგებარი დარჩა შეკრების მიზანი:**

მაინც რა იყო ეს: საერთაშორისო **კონფერენცია „საქართველო – მშვიდობის, სტაბილურობისა და პარტნიორობის რეგიონი“,** როგორც მისი საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **გოჩა ძასოხოვმა** განუცხადა „როსიისკაია გაზეტას“ მიმომხილველს ამ ღონისძიების გახსნის წინადღეს, თუ **საქართველოს ხალხების**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**ასამბლეის კონგრესი,** როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადდა და გაზეთებშიც დაიწერა?

ე.წ. **საქართველოს ხალხების ასამბლეა**, როგორც იურიდიული პირი, რატომ **დარეგისტრირდა შვეიცარიაში**, თანაც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ?!

რატომ ჩატარდა ასამბლეის კონგრესი **არა თბილისში, არამედ სოჭში**, ხოლო მორიგი კონგრესი რატომაა დაგეგმილი **სტამბულში**?

საქართველოს ხალხების ასამბლეის კონგრესს, რომელსაც 18 ქვეყნის 20 ეროვნების 1500 დელეგატი ესწრებოდა, საქართველოდან რატომ ჩავიდა მხოლოდ 60 წარმომადგენელი (20 — თბილისიდან და 40 — სოხუმიდან და ცხინვალიდან)? **ვინ და რა პრინციპით შეადგინა ეს საიდუმლო ნუსხა?**

თბილისიდან მიწვეულებმა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) რატომ არაფერი იცოდნენ იმ ღონისძიების შესახებ, სადაც მათ **უსიამოვნო სიურპრიზებიც** ელოდათ?

**თავად ორგანიზატორებმა რატომ არ იცოდნენ, რა ღონისძიების გამართვას აპირებდნენ?!** მოვიყვან ციტატას ასამბლეის ერთ-ერთი დამფუძნებლის — წარმოშობით ბერძენი მოსკოველი მეწარმის **მიხეილ კონოსოვის** ინტერვიუდან: *„შესაძლოა, არც დამიჯეროთ, მაგრამ არანაირი დღის განრიგი არ გვაქვს. ყველა მთავარი, მნიშვნელოვანი, ყურადსაღები და რეაგირების ღირსი საკითხი გვინდა, როგორც პრეზიდენტ ძასოხოვის, ასევე ცალკეული დელეგატის — ფართო საზოგადოებრივი სპექტრის წარმომადგენლის გამოსვლებიდან ამოვიღოთ. სწორედ მათგან ველით სასარგებლო იდეებსა და წინადადებებს, რაც შემდეგ ჩვენი პრაქტიკული საქმიანობის პროგრამაში მოხვდება. შეგახსენებთ, ჩვენი ორგანიზაცია ნორჩია, შეცდომებისა და მცდელობების გზას ვადგავართ...“* **იქნებ, გვეყოფა მცდელობებიცა და შეცდომებიც ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სფეროში, ოდესლაც მართლაც მოძმე ხალხების ურთიერთობებში?! იმ მცდელობებისა და შეცდომების, რომლებიც ასე ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა?!**

რატომ უნდა გადაწყვიტოს სოჭში მსჯელობის საგნად ქცეული, საქართველოსთვის უმთავრესი საკითხები (საქართველოს ხალხები და მათი დამოკიდებულება ქვეყანაში არსებული ვითარებისადმი; არსებული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის გზები; საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მომავალი; რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები; საქართველოს ურთიერთობები მომიჯნავე ქვეყნებთან; საქართველოს ურთიერთობები მსოფლიო თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან) **დსთ ქვეყნების, ევროპის, აზიის, აფრიკის, თურქეთის (თუნდაც, წარმოშობით ქართულ მიწასთან დაკავშირებულმა!) ათას ხუთასმა წარმომადგენელმა და არა — საქართველოს სამ-ნახევარმა მილიონმა მოქალაქემ, მათ შორის, საქართველოს ნაციონალური დიასპორების მრავალრიცხოვანი ეთნიკური თემის წევრებმა და ლიდერებმა?!**

**ვინ მიანიჭა უფლებამოსილება საქართველოს ხალხების ასამბლეის დამფუძნებელ ბატონებს, ილაპარაკონ კავკასიის ხალხების სახელით და წარმოადგინონ საქართველოს ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ნაციონალურ დიასპორებში არიან გაერთიანებული?!** *„დღეს საქართველოში 500 ათასამდე აზერბაიჯანელი, 300 ათასი სომეხი, 300 ათასზე მეტი რუსი, აფხაზი, ოსი, ებრაელი, ქურთი და სხვა ხალხები ცხოვრობენ. ასამბლეის მთავარი მიზანი მათ შორის ნდობის აღდგენა და მათი დაახლოებაა“*... რომელი ნდობის აღდგენაზე ლაპარაკობს აქ ასამბლეის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბატონი **შენგელია,** რომელიც ამ ციფრებს ასახელებს და ერთად ახვავებს ნამდვილად მრავალეროვანი საქართველოს ყველა პრობლემას? როგორ აპირებს ასამბლეა საქართველოში თავისი კეთილშობილური, მშვიდობისა და თანხმობის იდეების განხორციელებას, თუ თავად მოსკოვში იმყოფება?! **ალბათ, შევჩენკოს კომისიასავით – დისტანციურად...**

**იმ ორი მილიონი დოლარიდან, რაც, ჩემი მიახლოებითი გათვლებით, ამ ღონისძიების ჩატარება დაჯდა, რამდენი გადაიხადა ბატონმა ებრალიძემ და, როგორც ნებისმიერი ფულის დამბანდებელი ბიზნესმენი, რა დივიდენდების მიღებას ელოდება?** იმის გათვალისწინებით, რომ ეს მისი საპრეზიდენტო კამპანიის დასაწყისია, ალბათ — არცთუ მცირეს: ორგანიზატორებთან უთუოდ წინასწარ შეთანხმებულ თავის გამოსვლაში მან ყოველგვარი ცრუ მოკრძალების გარეშე გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი, რაზეც ბოლო 20 წელია, ოცნებობს **(ალბათ, საკუთარ კაზინოებში ან საპატიმროებში ყურყუტიდან ყურყუტამდე...).**

**რა აკავშირებს ორჯერ ნასამართლევ ებრალიძეს პოლიციის გენერალ-ლეიტენანტ ძასოხოვთან, რომელიც 2004 წელს საქართველოს შსს კოლეგიამ ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია?** იქნებ, ერთად ურჩევდნენ „დინამოს“ ბიზნესპარტნიორებს?! ანდა, იქნებ, საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდება, ებრალიძე ძასოხოვს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სავარძელს ჰპირდება?! ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ **ვინ მისცა მათ უფლება, პირადი მიზნებისთვის გამოიყენონ „აკრძალული იარაღი“ — პოლიტიკური პარტიის შექმნა ნაციონალური ნიშნით?! მრავალეროვან საქართველოში ხომ ეს აკრძალული იარაღი კასეტური ბომბების აფეთქებაზე უფრო სახიფათოა!!!** არადა, სწორედ ამის გაკეთებას აპირებენ საქართველოში პარტიისა და საკუთარი მედიის — გაზეთებისა და ტელევიზიის შექმნით!..

**ვინ მისცა ნება ქართული „შაქრის კომბინატის“ ყოფილ გენერალურ დირექტორსა და „აგროინვესტბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს** (და არა საქართველოსა და რუსეთში ცნობილ პოლიტიკოსს, მეწარმესა და საზოგადო მოღვაწეს, როგორც დღეს მას წარმოადგენენ!), **შუღლი ჩამოაგდოს ქართველებსა და არაქართველებს შორის?!.**

„ყოველთვის იყო ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ ქართველების ინტერესებს წარმოადგენდნენ — ქართველთა კავშირი რუსეთში, ქართული დიასპორები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა და ქალაქში და ა.შ. მაგრამ, ამასთან, თითქოსდა დუმდნენ იმაზე, რომ მრავალკონფესიურ და მრავალეროვან საქართველოში მოქალქეთა დაახლოებით 30 პროცენტი არაქართველი იყო. როგორც დღეს უწოდებენ — არატიტულოვანი ხალხები. სამშობლო კი ერთია და გამოდის, რომ მისთვის ვიღაც შვილია, ვიღაც კი — გერი. გერის მიმართ დამოკიდებულებაც ცნობილია...“ — ეს სიტყვები **საქართველოს ხალხების ასამბლეის თავმჯდომარემ გოჩა ძასოხოვმა, რომელიც, თურმე, საქართველოში გერად გრძნობდა თავს,** წარმოთქვა სოჭში გამართულ კონგრესზე. **განა პრეზიდენტ სააკაშვილს, არატიტულოვანი ხალხებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო, ხან სომხურ წარმომავლობას არ მიაწერდნენ და ხანაც — მარნეულის პრეზიდენტად არ ნათლავდნენ?** განა მას არ ეკუთვნის სენტენცია: **„საქართველოში არ არიან ნაციონალური უმცირესობანი — არიან სხვადასხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები“?!. განა საქართველოში არაქართველ ძასოხოვს შაქარივით ტკბილი ცხოვრება არ ჰქონდა? განა მას — „შაქრის კარიერის გენერალს“ წოდება, თანამდებობა და ფული აკლდა?!**

ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემისას რატომ მოჰყავთ ასამბლეის ხელმძღვანელებს **კარდინალურად განსხვავებული ციფრები?** მაგალითად, „სვობოდნაია გრუზიას“ კორესპონდენტის კითხვაზე — *რამდენ კაცს აერთიანებს თქვენი ასამბლეა* – უკვე ხსენებულმა **მიხეილ კონოსოვმა** მიუგო: *„სამწუხაროდ, ზუსტ მონაცემებს მეც არ ვფლობ. შემიძლია, დავასახელო ციფრი და, გარკვეულწილად, შევცდე. ეს დაახლოებით 800.000 კაცია. ყველა მუშაობს და სოლიდური შემოსავლებიც აქვთ, ეხმარებიან საქართველოში მცხოვრებ ახლობლებსა და ნათესავებს. ასეთი დახმარება ბევრისთვის ერთადერთი საარსებო წყაროა. ახლა კი პატარა ტრენინგის სახით, გაამრავლეთ 800.000 საშუალოდ 3-ზე ან 4-ზე — ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, და მიიღებთ რამდენიმემილიონიან რიცხვს, რომელსაც „რუსი ქართველები“ თავიანთი შრომით ინახავენ...“* ნება მომეცით, გკითხოთ: **და რა შუაში არიან აქ „რუსი ქართველები“?! რა აკავშირებთ მათ ძასოხოვის ასამბლეასთან?! იმავე ძასოხოვის აღიარებით, ქართველთა ინტერესებს ხომ იქაურ ქართველთა კავშირი წარმოადგენს რუსეთში!** მაშ, ვინ ჰყავდა მხედველობაში ბატონ კონოსოვს, როცა ამ თავბრუდამხვევ მონაცემებს ასახელებდა?!

**განა შემთხვევით აღმოჩნდნენ სოჭში შეკრებილთა შორის ისინიც, ვინც რუსეთში 2009 წლის 3 თებერვლის ქართველთა კავშირის ყრილობის შემდეგ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტზე — რუსეთში ქართული დიასპორის ხელმძღვანელ მიხეილ ხუბუტიაზე გაცეცხლდნენ იმის გამო, რომ მან (პოლიტიკურ მეძავთა საამებლად) არ აქცია ის ყრილობა ხმაურიან ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ სანახაობად?**

**გოჩა ძასოხოვმა 2009 წლის 14 მაისს კონგრესის მონაწილეებს ასე მიმართა:**

„მადლობელი ვარ, რომ საშუალება მომეცით, ჩემეული ხედვა გაგაცნოთ, როგორ უნდა განვითარდეს საქართველო ამჟამინდელი გაკოტრებული რეჟიმის გარდაუვალი, დარწმუნებული ვარ, სწრაფი და ჩვენთვის სასურველი დამხობის შემდეგ... კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვის ამჟამინდელი ხელისუფლების აგრესიული ნაციონალიზმი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო მხოლოდ ქართველებისაა! როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე, თუ ჩვენს თანამოქალაქეებს – რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ებრაელებს, ქურთებს, ოსებს არ მიეცათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სამშობლოს აღორძინებაში?.. საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა პოლიტიკური მოვლენების მეტ-ნაკლებად სასურველი განვითარებაა. ვიმედოვნებ, რომ ამჟამინდელი ავტორიტარული რეჟიმისგან ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ საქართველოს მოქალაქენი პოლიტიკური მოწყობის სწორედ ამ ფორმას აირჩევენ... ნეიტრალური სტატუსი საქართველოს საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის პარადიგმად უნდა იქცეს...“

**ბატონო გოჩა, საიდან ამდენი აგრესია და სიცრუე; ასეთი თავდაჯერებულობა საკითხებში, რომელთა შესახებაც, პირდაპირ ვთქვათ, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვთ?! ნეიტრალური სტატუსი, საპარლამენტო რესპუბლიკა, რეგიონული უსაფრთხოება: პლაგიატობასაც ნიჭი უნდა, სხვაგვარად, პირველწყაროთა „ყურები“** (პუბლიკაციები, საიდანაც თქვენ ან იმან, ვინც ეს მოხსენება შეგიდგინათ) **თვალში საცემია!**

და ბოლო კითხვა: **ვინ მისცა უფლება მაქსიმ შევჩენკოს, საჯაროდ გამოაცხადოს ბატონი ებრალიძე პუტინის ახლო მეგობრად და ამით არა მხოლოდ რუსეთის პრემიერ-მინისტრის** (რომელიც, როგორც ამბობენ, იმ დღეებში სოჭში იმყოფებოდა), **არამედ მთელი რუსეთის კომპრომეტირება მოახდინოს?! კრემლთან აშკარად შეუთანხმებელი ამ კვეხნით შევჩენკო ძირს უთხრის რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში — მის საშინაო საქმეებში ხაზგასმულ ჩაურევლობას ამჟამინდელი მწვავე პოლიტიკური კრიზისის პირობებში!**

**P.S. „ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ გავიმარჯვებთ!“** — ეს სტალინის სიტყვებია, რომლითაც ებრალიძემ (შევჩენკოსთვის „ასე იშვიათი ნამდვილი ქართველის განსახიერებამ!“) დაასრულა **„პრეზიდენტობის კანდიდატის“** სოჭური გამოსვლა... **ვფიქრობ, რომ გენერალისიმუსის ხანაში ბატონებს — ებრალიძესა და შევჩენკოს კარგი არაფერი ელოდათ!**

მე კი მათი, უბრალოდ, არ მჯერა!..

**საქართველოს ხალხების ასამბლეის კონგრესი კი თბილისში უნდა გამართულიყო და მისი ორგანიზატორი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უნდა ყოფილიყო!**

ეს თავად უნდა მოესაზრებინა საქართველოს ხელისუფლებას, უფრო მეტად რომ უსმენდეს თავის ხალხს და არ ყრიდეს მის მიმართვებს სანაგვე ყუთში...

# ამერიკის პრეზიდენტმა წინასაარჩევნო დაპირებებს გადახედა

**აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა, როგორც ჩანს, იწყებს თავისი წინასაარჩევნო კამპანიისდროინდელ დაპირებათა გადახედვას. იგი ვაშინგტონის ძველი ადმინისტრაციის პოლიტიკის მამხილებელი ფოტოდოკუმენტების პუბლიკაციის წინააღმდეგ გამოვიდა.**



პრეზიდენტი ობამა წინააღმდეგია იმ ფოტოსურათების გამოქვეყნებისა, რომლებზეც წამების მომენტებია დაფიქსირებული, რასაც ადგილი ჰქონდა ერაყისა და ავღანეთის ციხეებში თეთრი სახლის ძველი ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. ეს განცხადება ეწინააღმდეგება ობამას წინასაარჩევნო დაპირებებს. ადრე მან მხარი დაუჭირა მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის ამერიკული კავშირის მოთხოვნას პატიმართა დამცირების ამსახველი ფოტოების გამომზეურების თაობაზე.

ფოტოებზე ნაჩვენებია, რომ ციხეებში დაკითხვების დროს ფართოდ გამოიყენებოდა წამების ისეთი ხერხები, როგორიცაა: ძილის უფლების წართმევა, ცემა, მათ შორის, დამამცირებელი. ამ ფოტოების გამოქვეყნებაზე უარის თქმის ერთ-ერთ არგუმენტად იქცა ის, რომ ოპერაციები ერაყსა და ავღანეთში დღესაც გრძელდება. ქაბულში დამატებით გადასროლილია აშშ არმიის 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებმაც უნდა დაასრულონ თალიბების წინააღმდეგ მიმართული კონტრტერორისტული ოპერაცია. ამასთან დაკავშირებით, ფოტოგრაფიების პუბლიკაციამ, ამერიკელი სამხედროების აზრით, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს შეიარაღებული ძალების იმიჯზე.

ექსპერტები დიდი ხანია, ფიქრობენ, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე, ახალი ამერიკული ადმინისტრაცია დაიწყებს თავისი წინასაარჩევნო დაპირებების გადახედვას. ასეთ შეფასებას ეთანხმება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი ანატოლი ეგორინი:

ჩვენ ყველანი ამერიკული ჯარებისა და მათი მოკავშირეების მიერ უბრალო ერაყელებისა და სამხედრო ტყვეების აბუჩად აგდების ფაქტების მოწმენი ვიყავით. და დღეს გვინდა, განვსაჯოთ და ვისაუბროთ ამ თემაზე, რათა გავარკვიოთ ის, რაც დაფარულია ან წარმოდგენილია იმგვარად, როგორც ეს დასავლეთს აწყობს. ამის წინააღმდეგ საჭიროა მსოფლიო საზოგადოების მხრიდან საყოველთაო პროტესტის გამოხატვა.

ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსი გამოვიდა ბარაკ ობამას გადაწყვეტილებათა მკვეთრი კრიტიკით. მათი აზრით, ეს იმ კურსიდან გადახვევაა, რომელიც თეთრი სახლის ახალმა მეთაურმა აიღო თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს. სენატორთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ობამა სისტემატურად უბრუნდება ვაშინგტონის წინამორბედი ადმინისტრაციის პოლიტიკას.

თავად ობამა ამბობს, რომ ფოტოგრაფიები თავის დროზე აუცილებლად გამოქვეყნდება. უბრალოდ, ჯერ საამისო დრო არ დამდგარა. როგორც უნდა იყოს, ამერიკული პრესა თვლის, რომ ამერიკის პრეზიდენტმა არა თუ გადაარჩინა ამით ამერიკული არმიის იმიჯი, არამედ საკუთარიც შელახა. ციხეებში პატიმართა აბუჩად აგდების ფაქტები ყველამ დიდი ხანია, იცის, ამიტომ სიმართლის დაფარვის მცდელობა უაზრობა იქნება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

### ზურაბ გაგნიძე:

# დათა თუთაშხიასი არ იყოს, ირაკლი ალასანია მაინც მოგზავნილი მგონია

**დღეს საქართველოში ერთ მხარეს ღირსებაშელახული ხალხია, ხოლო მეორე მხარეს — ფუფუნებაში ჩამხრჩვალი პლუტოკრატია. ამას ემატება წელში გაწყვეტილი ქვეყნის ტერიტორია, ლტოლვილთა „გეტოები“, გაბატონებული პოლიციური რეჟიმი, დანგრეული ეკონომიკა, შეურაცხყოფილი განათლების სისტემა, დაზღვევის სხვადასხვა ფორმაში ჩაძირული ჯანმრთელობა, დემორალიზებული ჯარი, დაშინებული ბიზნესი, დაკარგული თაობები.**
**ქვეყნის პრეზიდენტს რუსთაველზე გამოსული ხალხის რაოდენობა უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე მისი მოთხოვნები. ტრიბუნაზე კი ყველაზე ხშირად კლასიკური მოღალატეები და ავანტიურისტები ჩანან... — სადაა ძალა წმინდა, ერის წადილთან წილნაყარი, დროის სიავეზე მაღლა მდგომი, უაღრესად ეროვნული, მაგრამ ყველასთვის გასაგები, რომელშიც ერის იდეები პერსონიფიცირდება? — ნატვრაშეპარული სინანულით სვამს კითხვას ქართველი კაცი... ის ყველა ჩვენგანშია, უკვე ოცი წელია, დგას რუსთაველზე... მაგრამ ვაი რომ მტრის მიერ ტროას ცხენივით შემოპარული, პიარტექნოლოგიებით შეფუთული „გმირი“ მხოლოდ გვაბრუებს, მოჩვენებითს სინამდვილედ წარმოგვიჩენს და ქვეყანას უფრო ღრმა უფსკრულისკენ მიაქანებს. ერის მიზანი უცვლელია. სამაგიეროდ, იცვლება და იხვეწება მტრის ხრიკებისა და ფანდების არსენალი. ამიტომ დიდი დაფიქრება გვმართებს, უნდა ვისწავლოთ შავისა და თეთრის გარჩევა, „სანამ ურემი გადაბრუნდება“...**
**დღეს საუბარი გვექნება ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი ალასანიაზე („ალიანსი საქართველოსთვის“), რომლის ფსიქოტიპს წარმოგვიდგენს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



## ირაკლი ალასანია სინამდვილეში საშუალო დონის სწორხაზოვანი ჩინოვნიკია, რომელსაც განდიდების ჭია ღრღნის

**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით ირაკლი ალასანიას ფსიქოტიპის შესახებ, რამ გამოიწვია ირაკლის „აღმოჩენა“ და ასეთი სწრაფი „პოპულარობა“ დღევანდელ პოლიტიკურ ავანსცენაზე?**

— ირაკლი ალასანია 1998 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო პოსტებზე საგარეო საქმეთა სამინისტროში, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ — სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილედ, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ფაქტია, ის „ლიდერად“ არ წარმოჩენილა. ალასანიამ თავისი ნამოქმედარით საქართველოს თავი ვერაფრით დაამახსოვრა. მისი პიროვნების დამახსოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი შტრიხი მის პირად ტრაგედიას — მამის — მამია ალასანიას აფხაზეთის ომში დაღუპვას უკავშირდება. თებერვალში ალიანსის შექმნისთანავე განაცხადა მისმა ლიდერმა მოთხოვნა რეფერენდუმზე (რამდენად შეესაბამებოდა ეს მოთხოვნა პოლიტიკურ ვითარებას, ახსნა პოლიტოლოგებისთვის მიმინდვია), ხოლო შემდეგ საუბარი პლებისციტზე მინელდა. ესეც ირაკლის ფსიქოლოგიის იმ შტრიხზე მიგვითითებს, რომ ის დიდი ენთუზიაზმით იწყებს საქმეს ან ჩანაფიქრის განხორციელებას, შუა გზაში მგზნებარება უცხრება, ხოლო ფინალში საკითხს პროტესტის გარეშე ტოვებს. სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც ლიდერი, ამგვარი სვლებით მთლიანად ანგრევს მასებში ნდობის ძლიერ განცდას. ეს ფსიქოტიპი სწორად ვერ აფასებს სიტუაციებს, არ შეუძლია მის მიერვე წამოჭრილ საკითხებზე ხანგრძლივი და ეფექტიანი მუშაობა.

**— ბატონო ზურაბ, თუ მას ლიდერობის მახასიათებელი ძირითადი კრიტერიუმები აკლია, რატომ გაუჩნდა ლიდერობის სურვილი, სხვის ჩონგურზე ხომ არ აწყობს ლარებს?**

— ალასანიას ფსიქიკური წყობის მნიშვნელოვანი შტრიხია „მეს“ უკიდურესი განცდა, რის თქმის უფლებას მაძლევს ალასანიას ალიანსის განცხადება — „ალიანსი შეიქმნა როგორც არსებული ხელისუფლების ძლიერი ალტერნატივა, რომელიც საზოგადოების ფართო მხარდაჭერით შეცვლის სააკაშვილის რეჟიმს. ჩვენ საფუძველს ვუყრით ალტერნატივას გამოკვეთილი ლიდერით“.

თუ საქართველოს ოპოზიციურ სპექტრს გადავხედავთ, წინა წლების გამოცდილებით, ყველაზე ულიმღამო სახისა და ინდივიდუალობას მოკლებული „ლიდერის“ ირაკლი ალასანიას „თავკაცად“ გამოცხადება უბრალოდ სირცხვილია. ამის განცდა ნამდვილად უკავშირდება „ეგოს“ გაფართოებას, ანუ საკუთარ შესაძლებლობებზე არასწორ, ავადმყოფურად გაზვიადებულ წარმოდგენას, უზომო პატივმოყვარეობასა და განსჯასმოკლებულ ამპარტავნობას. ამ თვისებების გამო გაუჩნდა ლიდერობის სურვილი, თორემ რამდენად იმსახურებს ამას, ხალხი განსჯის. ირაკლი ალასანია სინამდვილეში საშუალო დონის სწორხაზოვანი ჩინოვნიკია, რომელსაც განდიდების ჭია ღრღნის. მისი „ეგო“ დომინანტურია, ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ მისი სახელდახელოდ შექმნილი პოლიტიკური გუნდი დაეყრდნო საქართველოში წლობით არსებულ პროდასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ გაერთიანებებს: „ახალ მემარჯვენეებსა“ და „რესპუბლიკურ პარტიას“. აქ კი ლიდერი დომინანტური „მეს“ მატარებელი ფსიქოტიპი გახდა. უფრო მეტიც, ალიანსში შემავალმა პარტიებმა სასწრაფოდ უკუაგდეს თავიანთი პოლიტიკური პოზიცია კონსტიტუციური მონარქიისა და საპარლამენტო რესპუბლიკის შესახებ და ალასანიას გუნდის პრინციპულ მოთხოვნას — ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტზე სიტყვაშეუბრუნებლად დათანხმდნენ.

საინტერესოა, რა იარაღს ფლობდა ალასანია ასეთ სიტუაციაში. მე კი მისი შესაძლებლობის არსენალიდან იმ ფსიქიკურ შტრიხს გავუსვამდი ხაზს, რასაც დომინანტური „მე“ ჰქვია და ბუნებაში ცხოველურ ინსტინქტებში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე დემოკრატიული ხასიათის სტრუქტურის მატარებელ პიროვნებებში. ასეთი მხარდაჭერა კი მის ფსიქიკას ცუდ სამსახურს გაუწევს; ისედაც ეგოცენტრისტ ალასანიას უფრო ანომალიური ტენდენციებისკენ უბიძგებს საკუთარი პიროვნული პოტენციალის რეალიზებისას. თანაც, საზოგადოების ჯანსაღ ნაწილში „ალიანსის“ მხარდაჭერა ისედაც სუსტია, რადგან მასში შემავალი პარტიების მრწამსი და პოზიცია ხშირად იმ მიმართულებით იცვლება, „საიდანაც ქარი ქრის“ და ახლა ამ მერყევ და საეჭვო ძალთა ლიდერი რატომ უნდა იყოს მტკიცე და სანდო? დომინანტური „მეს“ პატრონი ხშირად ზედმეტ მოთხოვნებს უყენებს თავს ცხოვრების მიერ დასმულ პრობლემებზე რეაგირების ჟამს და შეიძლება კატასტროფული მოთხოვნილებებიც გაუჩნდეს. აქ მისი სულიერი უნარები დიდ როლს თამაშობს, თუნდაც, ბრიყვული თვითდარწმუნება, მშვილდოსნის მიზანსწრაფვა და, რაც მთავარია, ეგოისტური იმპულსები, ზღვარგადასული სიამაყე, საკუთარ „მეს“ არასრულყოფილი განსაზღვრა, რეალობის სუსტი აღქმა, გარეპირობების გაუთვალისწინებლობა და პასუხისმგებლობის უგულებელყოფა. კაცს, რომელსაც ეს-ესაა 36 წელი შეუსრულდა, რომლის ჩინოვნიკურ საქმიანობას ერი ნაკლებ ან სულაც არ იცნობდა, რადგან ყველაზე მწვავე პრობლემებზეც კი არ რეაგირებდა, გაუჩნდა სურვილი, ქვეყნის პირველი პირი გახდეს.

ფართომასშტაბიანი მიტინგები პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩვენში უფრო ხშირი იყო, 2007 წლიდან კი ხალხის მასობრივმა გამოსვლებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო. არ მახსოვს, ხალხის ინტერესებთან დაკავშირებით ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე, განათლებასთან თუ ჯანმრთელობასთან მიმართებაში ალასანიას საკუთარი აზრი დღემდე გამოეთქვას. ახლაც იმ ხარისხით ვერ გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს, რომ ვიფიქროთ, მასში დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა.

**— ბატონო ზურაბ, ირაკლი ალასანია საზოგადოებაზე ტოვებს გაწონასწორებული და ზომიერების გრძნობით დაჯილდოებული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას... განა ეს ცუდია?**

— სამწუხაროდ, მისი ეს „დადებითი“ სულიერი უნარები უკავშირდება პატივმოყვარეობით გაჟღენთილ საკუთარ ეგოისტურ მიზნებს. ფსიქოლოგ შობინის პიროვნების ნორმალურობის კრიტერიუმებში ხაზგასმულია ისეთი ასპექტები, როგორიცაა: სერიოზულობა, თვითკონტროლი, პიროვნული პასუხისმგებლობა, მაგრამ არ გამოირიცხება რაღაც დაფარულის გამჟღავნების ფარული შიში ანდა ვერსია, რომ პოლიტიკურ სცენაზე „სხვას თამაშობს“, თანაც, მას გავლილი აქვს სახელმწიფო უშიშროების სკოლის გამოცდილება. ამ გამოცდილებით კი კაცი საქმეს უნდა მიუდგეს ყოველგვარი ფსიქიკური აფეთქებისა და თვალშისაცემი განცდების გარეშე.

ფსიქოპლასტებით თავი რომ არ მოგაბეზროთ, ვიტყვი, რომ „დამდგარ წყალში უფრო მეტი ბაცილაა“. მისი ყველა სვლა თანდათანობით უფრო იძენს ლაბირინთულ ქვეტექსტებს, ძნელად ამოსაცნობსა და უცხო თვალით რთულად აღსაქმელს, ხოლო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის — გაუშიფრავს. მის გამოსვლებსა და კომენტარებში სრულიად არ ჩანს ხალასი, უშუალო, ბუნებრივი და გულიდან წამოსული ანალიზი, ალასანია მოკლებულია ლიდერის შინაგან გაბედულებას. ამ წონასწორობის გამო მას ხშირად უწოდებენ „დასავლური ტიპის“ ლიდერს, მის აპოლოგეტებს კი ავიწყდებათ, სამხრეთული ტემპერამენტის ქართველი რამდენად შეესაბამება დასავლურ ლიდერს. ფსიქოლოგია ხომ გვასწავლის, რომ ჭეშმარიტი ლიდერი უნდა იყოს ერის ორიგინალური ნაწილი, მისი სისხლი და ხორცი, ერთი ჩვენგანი.

ეროვნული ნიშნებისგან დაცლილ „ინტელექტუალების“ ლიდერს ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ეროვნული სპეციფიკის შტრიხები. ჭეშმარიტი პოლიტიკური ლიდერის გამოსვლა დაკეცილ დროშას ჰგავს, გაშლი და ცეცხლი წაგეკიდება. არ მგონია, გაწონასწორებულმა ალასანიამ ამით ხალხი მიიზიდოს ან გაიყოლოს, რადგან მის გონიერ და სულიერ უნარებს აკლია აზრის სიცხადე და ნათელი პოზიცია, თუმცა ტაქტიანად მეტყველებს, მაგრამ დღეს რევოლუციის ელექტორატი დაღლილია პოლიტიკური რებუსებით. ალასანიას აშკარად არ აქვს ორატორული ნიჭი და არც ქარიზმატულია. გადაჭარბებით შეფასდა მისი როლი, მისი ფსიქოტიპი ძალიან შორსაა მონოლითური რწმენისაგან, მან ჯერ კიდევ გუშინ დატოვა სახელმწიფო მოხელის პოსტი. აქამდე ხომ მისი პოზიცია შორს იდგა ოპოზიციისგან?!.

საინტერესოა, მისი ავტორიტეტის გაზრდა-გაფართოებაში ვის რა წილი და მიზანი აქვს? ალასანიას ასეთი აღზევება გარკვეული წრიდან ინდულგენციების მიღების სურვილს ჰგავს და ამომრჩეველთა ელექტორატის დეზორიენტაციის მცდელობას ემსახურება. მის სულიერ ანატომიაში, რომელიც ეგოისტური კონსტრუქციისაა, ლიდერის ფსიქოშტრიხები არ დევს, რადგან ლიდერის უმნიშვნელოვანესი შტრიხია ერთ-ერთი ამოცანის დამთავრება, შესრულება მაინც. და თუ ეს შეძლო, მაშინ ალიარებაც თავისთავად მოვა. თუმცა ის აცხადებს, რომ „მომავალს ვქმნით დღეს“.

**— ბატონო ზურაბ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ამერიკელების მიერ „კარგად შეფუთული“ ირაკლი ალასანია მიშას ძლიერი ალტერნატივაა. გაქვთ კომენტარი?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი გასცდა „პატრონის“ მიერ შეზღუდულ სივრცეს და ლამის მსოფლიო ბალანსის დამრღვევად იქცა, რასაც თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ამერიკაში ხელისუფლების შეცვლა, ეს ეჭვი საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს. იმ ფსიქოლოგიურ ასპექტსაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ახალი ლიდერი უნდა მოსულიყო შეფარვით, შეუმჩნევლად, შეპარვით და საქართველოში მიმდინარე პროცესი ხმაურიანი საშიშროებით კი არ დაემუხტა, არამედ ნელი, ჭკვიანური, თანდათანობითი ცვალებადობით ავანსცენიდან „ლომების“ განდევნით ამ პროცესისთვის ბუნებრივი დინების სახე მიეცა, ეს ვერსია სიმართლეს ჰგავს. მას ხალხში ახალი გმირის ყალბრომანტიკული იერიც დაჰკრავს.

ამავე ვერსიას ადასტურებს მისი თანაგუნდელების გამოსვლების ფრაგმენტებიც: „გვინდა სააკაშვილის ალასანიათი და ნაციონალური მოძრაობის ალიანსით შეცვლა“ (დავით გამყრელიძე, ინტერვიუ. 2009, მარტი, საინფორმაციო ბიულეტენი)... ან „ამას ჩვენ მსოფლიო საზოგადოებისთვის გავაკეთებთ“...

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ალასანიამ უმოკლეს ვადაში შეძლო ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ძლიერი, კვალიფიციური და საიმედო ორგანიზაციული სისტემის ფორმირება. თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში ფუნქციონირებს ალასანიას შტაბები. თუ ის დასავლეთის რჩეულია, მაშინ აუცილებლად იქნება კოსმოპოლიტური აზროვნების პრაქტიკოსი ელასტიკური მიდგომებით. თუ ალასანიას ფსიქოლოგიურ შტრიხებსაც დავუმატებთ, მისი ასპარეზი იქნება მედროვე კაცის სახელისა და სიმდიდრის შოვნის საშუალება. ამ შემთხვევაში იგი ოკუპანტის ახალი პოლიტიკის პროლოგია. მართალია, მას ქართველი ერი დღეს დიდი ინტერესითა და ყურადღებით უსმენს, მაგრამ ხვალ დაკანონებულ ფასეულობათა სიყალბე და „დამალულის“ გამჟღავნება ხალხის წინააღმდეგობას გაამძაფრებს, როგორი პრესტიჟული ნიღბითაც უნდა წარდგეს საზოგადოების წინაშე. დრო კი დაუნდობლად ჩამოხსნის ნიღბებს მედროვეებსა და კარიერისტებს, დრო ყველაზე უტყუარი ფსიქოანალიტიკოსია. მე კი, დათა თუთაშხიასი არ იყოს, ირაკლი ალასანია მაინც მოგზავნილი მგონია.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

# ვინ ადგენს ტელეეთერში არგამოსაჩენ კულტურის მუშაკთა სიებს?

**კოკა ყანდიაშვილი:**

# ვანო მერაბიშვილი, გია ჭანტურია, გიგი უგულავა და სანდრაც კი ლტოლვილებისგან მოპარული ფულით აჭმევენ შვილებს



**ლევან ყუბანეიშვილი იმიტომ ხელმძღვანელობს სააკაშვილის აგიტაცია-პროპაგანდის ინსტრუმენტს, რომ პრეზიდენტმა ისევ იმ მანქანებით იაროს, თავად კი უფრო მეტი ჭამოს და მოიპაროს. სამაგიეროდ, პირველი არხი დღეს, ხვალ და ზეგ იტყვის, რომ ოპოზიციაში განხეთქილებაა, ვერაფერს ახერხებენ, რუსეთიდან ფინანსდებიან და ა.შ. მათ იციან, რომ ხალხის გამარჯვების შემთხვევაში ესენი ყველანი გასამართლდებიან.**

**საკითხი — რამდენად მაღალია ქართული ტელეარხების თავისუფლების ხარისხი, დღის წესრიგში კიდევ ერთხელ მას შემდეგ დადგა, რაც ოპიზიციის მხარდამჭერებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ „სირცხვილის კორიდორი“ მოაწყვეს. მართალია, ხელისუფლებამ ლამის ვენებიც კი გადაიჭრას იმის მტკიცებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალი არხია და მხოლოდ საზოგადოებრივ დაკვეთას ასრულებს, მაგრამ ექსპერტი მასმედიის საკითხებში კოკა ყანდიაშვილი მიიჩნევს, რომ პირველი არხი „ნაცმოძრაობის“ აგიტაცია-პროპაგანდის ინსტრუმენტია. სწორედ ბატონ კოკასთან შევეცადეთ, გაგვერკვია, ოპოზიცია ღაღადებს ჭეშმარიტებას, როცა ამ ტელევიზიას ტენდენციურობაში სდებს ბრალს, თუ ხელისუფლების ბაგეებით ვისმენთ სიმართლეს, როდესაც მოსახლეობას არწმუნებს, თითქოს ოპოზიცია ცდილობს, საზოგადოებრივი მაუწყებელი საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს.**

## „რუსთავი 2“-ის მფლობელი სააკაშვილი და მერაბიშვილია, ისევე, როგორც — „იმედის“

**— ბატონო კოკა, როგორც ექსპერტი, როგორ შეაფასებთ პირველი არხის წინ მოწყობილ „სირცხვილის კორიდორს“?**

— მიმაჩნია, რომ საქართველოში არ არის საზოგადოებრივი მაუწყებელი და ის სახელმწიფო ტელევიზია, რომელშიც ვმუშაობდი, „ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაცია-პროპაგანდის ინსტრუმენტადაა ქცეული. ამ არხზე მომუშავე ჟურნალისტებს წართმეული აქვთ ეს პროფესია და რეალურად ერთ-ერთი პარტიის თანამშრომლები არიან. აღნიშნულ ტელევიზიას არაფერი აკავშირებს საზოგადოებასთან. ეს ერთი პარტიის ტელევიზიაა, ამიტომ ხალხს უფლება აქვს, უბრალოდ, ვალდებულია, დაიბრუნოს თავისი საკუთრება. დაიბრუნოს ის, რაც, ასე ვთქვათ, პარტიამ წაართვა. ამდენად, მივესალმები ოპოზიციის ამ ქმედებას, ვარ მათი აქტივისტი და ყველანაირად მხარს ვუჭერ.

**— თუკი ასეთი ზეწოლაა ჟურნალისტებზე, თუნდაც საკუთარი ღირსების დასაცავად, რატომ არ ტოვებენ ტელევიზიას?**

— საზოგადოებრივ არხზე ჟურნალისტები არ მუშაობენ. შეიძლება ეს ადამიანები არიან პროფესიით ჟურნალისტები, მაგრამ ამ კონკრეტულ ტელეარხზე ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობას. ჩეხოვიც ძალიან კარგი ექიმი იყო, მაგრამ ჩვენ როგორც ბრწყინვალე მწერალი, ისე დაგვამახსოვრდა. ასევეა ამ შემთხვევაშიც. ჩვენ გვახსოვს, რომ ეს ადამიანები ოდესღაც იყვნენ ჟურნალისტები, დღეს არიან პარტიის აგიტაცია-პროპაგანდის თანამშრომლები. ყოველდღიურ რეჟიმში ატყუებენ ხალხს. რაც შეეხება პირველი არხის დატოვებას, მოვუწოდებ მათ, გამოაცხადონ თვითმმართველობა და გააკეთონ ის, რაც თვითონ უნდათ. ხელისუფლება ძალით რომ უკავიათ ხელში ჭანტურიას, ბერძენიშვილსა და ყუბანეიშვილს, ვერაფერს დაუშავებენ. მათ რამდენიმე დღელა მოუწევთ ამ არხზე მუშაობა.

**— შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტელესივრცე ორადაა გაყოფილი, რის გამოც საზოგადოება ყოველდღიურად ორ სიმართლეს ისმენს. რიგითმა მოქალაქეებმა როგორ დაასკვნან, ვინ ამბობს სიმართლეს?**

— არ ვთვლი, რომ ტელესივრცე ორადაა გაყოფილი. რეალურად ყველა ტელევიზია ერთი პარტიისაა. „კავკასიასა“ და „მაესტროს“, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციას ასრულებენ, რა თქმა უნდა, ამის ვალდებულება არ აქვთ, თუმცა შექმნილ ვითარებაში შეგვიძლია, ორივე ტელევიზია, როგორც მხარე, ისე აღვიქვათ, რადგან ისინი აჩვენებენ სიმართლეს, ყველა დანარჩენი კი — არა. რაც შეეხება, თუ როგორ უნდა გააკეთონ დასკვნა რიგითმა მოქალაქეებმა, ჩვენ ნიჭიერი, ჭკვიანი, „ჯიგარი“ ხალხი გვყავს ამ ქვეყანაში და არაფერი შეეშლება. სამწუხაროა, რომ „მაესტრო“ და „კავკასია“ თბილისის მიღმა რამდენიმე რეგიონში გადის, თუმცა ეს დროებითია.

**— ოპოზიცია ითხოვს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობის შეცვლას, რაც უკვე მეორედ მოხდა. რამდენად აქვს აზრი პიროვნებების ცვლას?**

— ხელმძღვანელობის შეცვლა ბევრ რამეს შეცვლის. თქვენ ყოველდღიურად ხედავთ, როგორ ჰყვებიან ჟურნალისტები, რომ „საკნების“ ნაცვლად უნდა ვთქვათ „გალიები“, „ოპოზიციის“ ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „რადიკალური ოპოზიცია“, ოპოზიციიდან უნდა ჩავწეროთ აუცილებლად ჯონდი ბაღათურია ან ეკა ბესელია და ა.შ. მიტინგიდან მხოლოდ ის მონაკვეთი უნდა ვაჩვენოთ, როდესაც მთავრობის მიერ რომელიმე დავალებული კაცი ტრიბუნაზე ავა და იქიდან მორალის კითხვას დაიწყებს. ეს ადამიანები არ აჩვენებენ, რა ხდება რეალურად და ამას აკეთებენ იმ დირექტორატის, იმ მენეჯმენტის მეშვეობით, რომლებიც სააკაშვილის რეპრესიული მანქანის აქტიური მაღალი თანამდებობის პირები არიან. ლევან ყუბანეიშვილი, გია ჭანტურია, ხათუნა ბერძენიშვილი, როგორც კი არ შეასრულებენ პრეზიდენტის დავალებებს, მაშინვე ციხეში ამოყოფენ თავს.

რა თქმა უნდა, მათი წასვლა ძალიან დიდ ცვლილებებს მოიტანს. ეს ჟურნალისტები დაიბრუნებენ თავიანთ პროფესიას და მაშინ, როგორ გგონიათ, ინგა გრიგოლია ასეთ გადაცემას გააკეთებს?! მას გაცილებით დიდი ფორმატის შოუ ექნება, რომელიც კვირაში ორჯერ, სამჯერ ან ყოველ საღამოს გავა. პირდაპირ ეთერში იქნება მსჯელობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედზე.

**დღეს პირველ არხს არ აინტერესებს, ახალი ლტოლვილები როგორ და რა პირობებში ცხოვრობენ, შიათ თუ წყურიათ... ან ახლა, როცა დაცხა, ხომ არ უფუჭდებათ პროდუქტი, თუ აქვთ საერთოდ... ბავშვები სკოლაში დადიან თუ არა... წარმოიდგინეთ, თქვენ რომ საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან გამოგაგდონ, არაფერი არ გაგაჩნდეთ და არც არავინ გამოგიწოდოთ დახმარების ხელი... რა არის, იცით, სააკაშვილის რეჟიმი? ნახეთ იმ ლტოლვილების სახლი „გეტოში“ და მერე ნახეთ სააკაშვილის სახლი...**

**— თავად ლტოლვილებმა საქათმეები შეარქვეს იმ სახლებს, სადაც დააბინავეს...**

**— მე ამას ლტოლვილებს არ ვაკადრებ, მაგრამ, უბრალოდ, ნახეთ სააკაშვილის ესკორტის მანქანები. მათი ფასი უფრო მეტია, ვიდრე ყველა იმ სახლის, ათასობით დევნილისთვის რომ ააშენეს.**

ლევან ყუბანეიშვილი იმიტომ ხელმძღვანელობს სააკაშვილის აგიტაცია-პროპაგანდის ინსტრუმენტს, რომ პრეზიდენტმა ისევ იმ მანქანებით იაროს, თავად კი უფრო მეტი ჭამოს და მოიპაროს. ვანო მერაბიშვილი, გია ჭანტურია, გიგი უგულავა და სანდრაც კი ლტოლვილებისგან მოპარული ფულით აჭმევენ შვილებს. იმ ჯარისკაცების დაღვრილი სისხლის ფასად მიაქვთ საჭმელი სახლში. ეს არის მაგათი ხელობა, სამაგიეროდ, პირველი არხი დღეს, ხვალ და ზეგ იტყვის, რომ ოპოზიციაში განხეთქილებაა, ვერაფერს ახერხებენ, რუსეთიდან ფინანსდებიან და ა.შ. მათ იციან, რომ ხალხის გამარჯვების შემთხვევაში ესენი ყველანი გასამართლდებიან.

**— თქვენ თქვით, რომ თუკი ყუბანეიშვილი დაკვეთას არ შეასრულებს, მას დაიჭერენ. რამე კონკრეტული ინფორმაცია ხომ არ გაქვთ საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით?**

— რამდენადაც ვიცი, გამოძიება მიმდინარეობს, თუ როგორ ფლანგავდნენ ფულს ჯერ თამარ კინწურაშვილი, ახლა — ლევან ყუბანეიშვილი და მისი მოადგილეები, თუმცა აქ კოკას კომენტარი არ არის საჭირო. სანამ გამოძიების მასალები არ იქნება, არ მინდა, ვინმეს ბრალი დავდო. სულაც რომ არაფერი ჰქონდეთ მოპარული, რასაც ეს ტელევიზია აკეთებს, მარტო ამისთვის არიან გასასამართლებელნი. ამ რამდენიმე დღის წინათ „უცნობის“ გადაცემაში დარეკა თამარ ღვინიანიძემ და იმ ჟურნალისტს ეკამათა, რომელმაც პირველი არხი დატოვა, უთხრა: — „არ გრცხვენია, ჩვენზე ასეთ რაღაცებს რომ ლაპარაკობ. ჩვენ ხომ გადაცემა „ალიონი“ ვართ და ეს ერთადერთი გადაცემაა, სადაც კულტურის წარმომადგენლებს, რომლებიც სიაში არიან შეყვანილები და არც ერთ არხზე არ ეძახიან, ვიწვევთ პირდაპირ ეთერში. მათთვის ნამდვილი ოაზისია“... ნახეთ, რა დღეში ვართ. დღეს არა მხოლოდ პოლიტიკოსები ჰყავთ სიაში, არამედ — კულტურის წარმომადგენლებიც, რომლებსაც, თურმე, საზოგადოებრივი არხი არ უნდა აჩვენებდეს. ამ რეალობისთვის არის დასასჯელი ეს ხალხი და დაისჯება კიდეც.

**— ბატონო კოკა, ოპოზიციას პრეტენზიები „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ მიმართაც აქვთ. რატომ არ აწყობენ „სირცხვილის კორიდორს“ ამ ორი მაუწყებლის წინ?**

— ზოგადად, მიმაჩნია, რომ ოპოზიცია კი არა, ხალხი აწყობს ამ აქციებს. ხალხს აქვს სამართლიანი მოთხოვნა იმ ტელევიზიასთან, რომელიც მის საკუთრებად მიაჩნია. ეს არის პირველი მიზეზი და რატომღაც ძირითადი აქცენტი გადატანილია საზოგადოებრივ არხზე, ხოლო „რუსთავი 2“ და „იმედი“ კერძო საკუთრებას წარმოადგენს და კერძო საკუთრებასთან ნაკლები პრეტენზია აქვთ. მფლობელი საკუთარი სურვილისამებრ გააშუქებს მოვლენებს.

**— დღეს ბევრს აინტერესებს, ვის საკუთრებაშია „რუსთავი 2“. თქვენ ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?**

— „რუსთავი 2“-ის მფლობელი სააკაშვილი და მერაბიშვილია, ისევე, როგორც — „იმედის“.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

# საზოგადოებრივ არხზე ჟურნალისტები არ მუშაობენ!

### ჟოზე ლოურეირუ დუშ სანტუში:

# სააკაშვილმა ვერ გაიგო, რომ ის პაიკია თამაშში, რომელიც მისით არ შემოიფარგლება

**მიხეილ სააკაშვილი გადაჭარბებით აფასებს თავის როლს და ტყუილად ჰგონია, რომ შეუცვლელია დასავლეთის ხელმძღვანელობის თვალში, — დარწმუნებულია პორტუგალიის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ჟოზე ლოურეირუ დუშ სანტუში. საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ დასავლეთის მტკიცე მხარდაჭერით სარგებლობს, სინამდვილეში კი ის პაიკია, რომელსაც ხელსაყრელ დროს მსხვერპლად შესწირავენ. თბილისის რეჟიმისთვის ასეთ არასასიამოვნო განცხადებას აკეთებს პორტუგალიელი გენერალი სტატიაში — „სააკაშვილი სამართებლის პირზე დადის“, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას მიეძღვნა და ლისაბონის გაზეთ „პუბლიკუში“ გამოქვეყნდა.**



ლოურეირუ დუშ სანტუში, რომელიც გადადგომის შემდეგ რეგულარულად აქვეყნებს ბეჭდვით მედიაში მასალებს მწვავე საერთაშორისო პრობლემებზე, არცთუ სახარბიელო აზრისაა სააკაშვილზე როგორც სტრატეგზე. საქართველოს პრეზიდენტის შეცდომები ძვირად დაუჯდა მთელ ნატოს, რადგან ალიანსის გავლენა შეასუსტა კავკასიაში და გააძლიერა იქ რუსეთის პოზიციები, — აღშფოთებას გამოთქვამს გენერალი.

„გასაკვირი არ არის, რომ ქართველ სამხედროთა უმეტესობა უკმაყოფილოა პრეზიდენტით, რომელმაც ისინი ჩართო რუსეთის წინააღმდეგ ომში, სადაც გამარჯვების საშუალება არ ჰქონდათ, — წერს ექს-მინისტრი, — ბუშის ადმინისტრაციიდან ზოგიერთი რესპუბლიკელი მეგობრის მიერ წაქეზებულმა სააკაშვილმა, რომელიც აშკარად ვერ აფასებდა რეალობასა და ძალთა თანაფარდობას და, შესაძლოა, იმედოვნებდა, — რაკიღა სამხრეთ ოსეთში შეჭრის ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, ამერიკელები (და ნატო) დახმარების ხელს გაუწვდიდნენ, თავად აჩუქა რუსეთს შესაძლებლობა, რომელიც მას ასე ძალიან სურდა. მან უფლება მისცა რუსეთს, წერტილი დაესვა იმ წარმატებისთვის, რომელსაც ამერიკამ „ცივ ომში“ გამარჯვების შედეგად მიაღწია; უფლება მისცა, განეცხადებინა, რომ საქართველო რუსეთის გავლენის ზონაში შედის, და შეექმნა პირობები აღმოსავლეთით ნატოს გაფართოების დასაბრკოლებლად ბუფერული ზონების აღდგენის პროცესის მომზადებით. ეს ზონები კი საქართველოს დიდი დასავლური სახელმწიფოებისგან მიჯნავენ.“

ექს-მინისტრს მიაჩნია, რომ ასეთი ბრიყვული საქციელით სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ხელი მოაწერა საკუთარ განაჩენს. „არ შეიძლება რუსეთის როლის მიჩქმალვა ამ პროცესში, თუმცა, ვფიქრობ, რომ ოპოზიციას ქვეყნის ასეთი ქარაფშუტა ლიდერის დასამხობად დიდი დახმარება არ სჭირდება,“ — წერს გენერალი.

ლოურეირუ დუშ სანტუში შეაშფოთა არა იმან, სააკაშვილის უპასუხისმგებლო მოქმედებები საქართველოსთვის ტრაგედიად რომ იქცა, არამედ იმან, რომ რუსეთს ხელში ჩაუგდო ახალი კოზირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გავლენის აღსადგენად. გენერალმა მაგალითად მოიყვანა ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს უარი საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს მანევრებში მონაწილეობაზე. „განსაკუთრებით მრავლისმთქმელი იყო რუსეთის მომიჯნავე ნატოს წევრი ქვეყნების — ესტონეთისა და ლატვიის უარი,“ — მიუთითა გენერალმა. მან მკაფიოდ განმარტა, რატომ წარმოადგენს ეს საშიშროებას და რით ემუქრება ალიანსს.

„ეს ნიშნავს ეჭვის შეტანას იმაში, რომ ნატოს შეუძლია დაიცვას ეს ქვეყნები რუსებისგან, და ბადებს სერიოზულ შეშფოთებას იმით, რამდენად თანმიმდევრულია ალიანსი და რამდენად მაღალია მისი ნდობა,“ — აღნიშნა ექს-მინისტრმა.

მოსკოვის გავლენის ზრდისა და ნატოს ავტორიტეტის შესუსტების დასტურად ლოურეირუ დუშ სანტუშმა მოიყვანა ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის უარი, შეუერთდნენ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების პროექტს შუა აზიიდან რუსეთის გვერდის ავლით. ასეთივე დასტურად მოიყვანა „ნიავი, რომელიც რუსეთისკენ უბერავს უკრაინაში.“ ამ პირობებში ნატოს დაჟინება, მაინც ჩაატაროს საქართველოში მანევრები, რომლებიც რუსეთის თვალსაჩინო და ძლიერ გაღიზიანებას იწვევს, გენერალმა იმის ნიშნად მიიჩნია, რომ აშშ, მიუხედავად ვაშინგტონის მშვიდობიანი განცხადებებისა, არ აპირებს რაიმე დათმობაზე წასვლას. „იქნებ ეს რუსეთის რეაქციის შესამოწმებელი საბაბია ნატო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენის შემდეგ, რაც ახალი ამერიკული ადმინისტრაციის მიდგომის შედეგია? — სვამს კითხვას ექს-მინისტრი, — ყოველ შემთხვევაში, ეს მიუთითებს, რომ აშშ უკან არ დაიხევს სოლიდური კომპენსაციის გარეშე.“

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, ის ამ დიდ თამაშში მსხვერპლად შესაწირი პაიკია, — დარწმუნებულია ლოურეირუ დუშ სანტუში. გენერალმა მკითხველს შეახსენა, რომ სააკაშვილმა ოპოზიციასთან შეხვედრაზე თანხმობა მხოლოდ მას შემდეგ განაცხადა, რაც „ნატოს პასუხისმგებელმა პირებმა ურჩიეს, დადებითად გამოხმაურებოდა შეთავაზებას მოლაპარაკებების გამართვაზე“... „ქვეყნის ამჟამინდელი მეთაური ყოველთვის უგულებელყოფდა კონტაქტებს ოპოზიციონერებთან, რომელთაგან ზოგიერთი მისი ყოფილი თანამშრომელი იყო, მან ახლა პირველად დათმო, — აღნიშნა ექს-მინისტრმა, — ეს ძალას შეჰმატებს მათ, ვისაც სააკაშვილის ჩამოგდება სურს და ვისთვისაც უცხო არ იქნება რუსული პოზიცია“.

პირადად საქართველოს პრეზიდენტს გენერალი შესაშურ ბედს არ უწინასწარმეტყველებს. „არ გამიკვირდება, თუ ვითარება სწრაფად შეიცვლება რუსეთისთვის სასურველი მიმართულებით, ანუ შეიცვლება ის, ვინც მასთან დაპირისპირება გაბედა, — ასკვნის დუშ სანტუში, — ფუჭად დაიმედებულმა, რომ ზურგს ნატოს პოტენციალი და, განსაკუთრებით, ამერიკა უმაგრებენ, სააკაშვილი ვერ მიხვდა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ პაიკია თამაშში, რომელიც მისით არ შემოიფარგლება და რომლის სვლებსაც მომავლის საერთაშორისო წესრიგი განსაზღვრავს.“

**„იტარ-ტასი“**

### სალომე ზურაბიშვილი:

# სააკაშვილი შეშლილია!

**გერმანული „der spiegel“ აქვეყნებს ინტერვიუს საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრთან სალომე ზურაბიშვილთან, რომელიც დღეს ოპოზიციის რიგებშია და არსებული რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე შეურიგებელი კრიტიკოსია.**

თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრის კომენტირებისას ექს-მინისტრმა აღნიშნა, რომ სინამდვილეში პრეზიდენტს არ ესმის, რა ხდება მის ქვეყანაში და კვლავ სჯერა ზღაპრების. პრეზიდენტის თქმით, მას მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის 65 პროცენტი და, ეკონომიკურის გარდა, საქართველოში არანაირი კრიზისი არ არის. ამასთან, — აღნიშნავს ზურაბიშვილი, — ბოლო ხანს ქვეყნის მოსახლეობას არ ჰქონდა საშუალება, უკმაყოფილება გამოეთქვა დემოკრატიული მეთოდებით: არჩევნების შედეგები ფალსიფიცირებულ იქნა, პარლამენტი მართულია, ძალაუფლება კი კონცენტრირებულია კაცის ხელში, რომელსაც ექს-მინისტრი შეშლილად მიიჩნევს.

„საქართველოს გზის“ ლიდერის თქმით, ომი რუსეთთან ნამდვილ ეროვნულ ტრაგედიად იქცა, რომელმაც ოპოზიცია აიძულა, პრეზიდენტის მხარე დაეჭირა, რათა მოსკოვისთვის სიტუაციის გამოყენების შანსი არ მიეცა. თუმცა, შემდგომ, — განაგრძო ზურაბიშვილმა, — პრეზიდენტმა ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა, ყური მიეგდო თავისი ხალხისთვის, რამაც უკმაყოფილების ესკალაცია გამოიწვია..

რაც შეეხება სამხედრო გადატრიალების მცდელობას, რომლის შესახებაც საქართველოს ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, ზურაბიშვილი, ისევე, როგორც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა, მას ინსცენირებად მიიჩნევს. „პრეზიდენტი სააკაშვილი ხელს უშლის დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციას,“ — ირწმუნება ზურაბიშვილი და დასძენს, რომ საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების გამო ქართველები შესაძლოა, განიხიბლონ დასავლეთითა და დემოკრატიით: „ამერიკელებს დღემდე ერთმანეთში ერევათ საქართველოსა და სააკაშვილის მხარდაჭერა.“ ამიტომ, ექს-მინისტრის აზრით, ქართველებმა მზერა ევროპას მიაპყრეს. „ევროპამ ზეწოლა უნდა მოახდინოს სააკაშვილზე და დაარწმუნოს არჩევნების დანიშვნის აუცილებლობაში. ეს ერთადერთი გზაა ძალადობის აღმოსაფხვრელად,“ — დარწმუნებულია ზურაბიშვილი.

სალომე ზურაბიშვილის აზრით, დღეს საქართველოში კონფლიქტია პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის. „ჩვენ ისევ უნდა დავუბრუნდეთ გონივრულ პოლიტიკას, როგორც მაშინ, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი,“ — აღნიშნავს ექს-მინისტრი. მისი აზრით, ეს ითვალისწინებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციასაც, რამაც, ცხადია, არ უნდა შეასუსტოს დასავლეთთან კავშირები.

**„DER SPIEGEL“**



# საქართველოს ოპოზიციამ შეერთებულ შტატებს ზურგი შეაქცია

**საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება გრძელდება, ახალ ფორმას იძენს და იმ მნიშვნელოვან ტენდენციებს გამოკვეთს, რომლებიც ქართული ელიტისა და პოლიტიკური კლასის წიაღში მომწიფდა.**

9 მაისს მრავალათასიან მიტინგზე გამოსვლისას ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საქმეში, ამჟამად კი ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, კინორეჟისორმა გიორგი ხაინდრავამ ბევრისთვის მოულოდნელად კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აშშ ელჩი თბილისში ჯონ ტეფტი. „ამხანაგი ტეფტი უპირობოდ უჭერს მხარს ამჟამინდელ ანტიხალხურ რეჟიმს. ნუთუ სრულებით ვერ გრძნობს რუსთაველის პროსპექტიდან მომდინარე სუნს? თუ ვერ გრძნობს, მაშინ მის საელჩოსთან მივიტანთ რამე ისეთს, რასაც ამგვარი სუნი უდის,“ — დაიქადნა ხაინდრავამ. როგორც „ვესტი კავკაზა“ უკვე იტყობინებოდა, რამდენიმე დღის წინ უცნობმა პირმა (ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლებისგან მოგზავნილმა პროვოკატორმა) მოპიკეტეებს „სიბინძურიანი“ პარკები ესროლა. თბილისის მერია უარზეა, გაიტანოს ნაგავი პარლამენტის წინ მდებარე მოედნიდან და გამოყოს ბიოტუალეტები, რის შედეგადაც სახელგანთქმული რუსთაველის გამზირი ოპოზიციის ერთთვიანი გამოსვლების განმავლობაში ნელ-ნელა ნაგავსაყრელად იქცა. ზოგჯერ ოპოზიციონერები თავადვე ასუფთავებენ მოედანს და ნაგვით სავსე ტომრები მერიის შენობასთან მიაქვთ.

თუ ყოფილი სახელმწიფო მინისტრის კრეატიული იდეა განხორციელდება, ალბათ, კარგი დღე არც აშშ საელჩოს ახალთახალ შენობას დაადგება. სხვათა შორის, ეს საელჩო ხუთჯერ დიდია ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე რუსეთის საელჩოზე, რომელიც დიპურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ პრაქტიკულად დაცარიელდა. „ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არ დავუშვებთ, — აცხადებს წყარო შინაგან საქმეთა სამინისტროდან, — საელჩოს ტერიტორია იმ ქვეყნის ტერიტორიად ითვლება, რომელსაც იგი წარმოადგენს. ეგლა გვაკლდა, რომ მსგავსი ხულიგნური გამოხდომით ოპოზიციამ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები გაგვიფუჭოს.“

ასეა თუ ისე, ხაინდრავას განცხადებაში გამოიხატა ქართველ ოპოზიციონერთა შეხედულებების ევოლუცია საქართველო-ამერიკის და, ზოგადად, დასავლეთთან ურთიერთობებზე. ოპოზიციას აშკარად აღიზიანებს ვაშინგტონის მიერ საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა და ეს აიძულებს, ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური კურსის მიზანშეწონილობაზე დაფიქრდეს. ხაინდრავას ესმის, რომ აშშ საელჩოსთვის უწმინდურობების ტყორცნით საეჭვოა, ოპოზიციამ ვაშინგტონთან კეთილი ურთიერთობები შეინარჩუნოს.

ხაინდრავას სოლიდარობას უცხადებს „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილიც, რომელსაც არა ერთხელ გაუმართავს საპროტესტო აქციები აშშ საელჩოს შენობასთან, მათ მიერ სააკაშვილის მხარდაჭერის გამო. რაკიღა მკაფიო პასუხი ვერ მიიღო, დავითაშვილი თავს დაესხა საქართველოს პოლიტიკური ელიტის ხელშეუხებელ სიწმინდეს: თუ ნატო საქართველოს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს და ჩვენს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს, იქნებ საქართველოს ნეიტრალიტეტზე ეფიქრა, ანუ უარი ეთქვა ნატოში გაწევრებაზე?!“

**„ვესტი კავკაზა“**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გრეჩიხა, საძმო და ახალი ქართული ელიტა

**არიან ადამიანები, ვისაც სკოლისა და ჭაბუკობისდროინდელი მეტსახელები მთელი ცხოვრება ეწებებათ. ისინი წარმატებული ბიზნესმენები, პოლიტიკოსები ხდებიან, მაგრამ გარშემომყოფთათვის კვლავ „ჩვენი ეზოს ბიჭებად" რჩებიან. განსაკუთრებით ხშირად ხდება ეს საქართველოში — პატრიარქალური ქალაქური ტრადიციების მქონე პატარა ქვეყანაში. აქ ბავშვობის მეგობრები დროთა განმავლობაში მთელ მეგაპოლისს ანდა დიდ ქვეყანას კი არ მოედებიან, არამედ მთელი ცხოვრება მეზობლებად რჩებიან და თავიანთი წრის ტრადიციებსა და ფასეულობებს „მიკროსოციუმში" ინარჩუნებენ.**

**„გრეჩიხა" პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, არცთუ შორეულ წარსულში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენის, ხოლო ამჟამად პრეზიდენტ სააკაშვილის „ქუჩის" მთავარი მოწინააღმდეგის, 44 წლის ლევან გაჩეჩილაძის მეტსახელია. აღარავის ახსოვს, როდის და რისთვის შეარქვეს ასე, არსებითი მნიშვნელობაც არ აქვს, მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწორედ გაჩეჩილაძე იქცა ახალი ქართული რევოლუციის „ძრავად" და ქართველი საზოგადოების გავლენიან სოციალურ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში.**

## ოთხმოციანელები

გაჩეჩილაძის პოლიტიკური ფენომენის გაგება შეუძლებელია იმ სოციალური ფენომენის გარეშე, რომელსაც ის ასახიერებს.

უკვე რამდენიმე წელია, საზოგადოება ელიტის ორი თაობის ცვლის გარდამავალ პერიოდში იმყოფება. „ნულოვანი წლების" დასაწყისში პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა თაობა, რომელიც 1960 წელს იშვა. „დიდი ბელადის მზით დასიცხული" ედუარდ შევარდნაძის თაობისგან განსხვავებით, ლევან გაჩეჩილაძის თაობა ბრეჟნევისა და ანდროპოვის ეპოქაში შიშისგან თავისუფალი იყო და არა მარტო იმის გამო, რომ „ძია იოსების" (ასე ეძახიან სტალინს საქართველოში) რეპრესიული აპარატი დასუსტდა, არამედ თავიანთი სრული აპოლიტიკურობის გამო. 1970-1980-იან წლებში თბილისის ელიტური ახალგაზრდობა მხოლოდ სუფრით, „ტუსოვკებით," როკმუსიკით, ჩაცმის დასავლური სტილითა და ევროპული ფეხბურთით იყო დაინტერესებული. ამ „ვესტერნიზაციის" პროცესმა 20 წლის შემდეგ თბილისის ელიტური კვარტლების „ინკუბატორში" ახალი ქართული ისტებლიშმენტის საფუძვლადქცეული განსაკუთრებული სოციალური ჯგუფი გამოიყვანა.

**მიხეილ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის ბრძოლა ახალი ელიტის შიგნით ფასეულობათა ორი სისტემის, ორი ჯგუფის ბრძოლაა. მთავარ საკითხში (საგარეო და შიდა პოლიტიკური ორიენტაცია, სოციალური მოწყობა, კერძო საკუთრებისადმი მიდგომა) ისინი ერთიანი არიან, თუმცა სერიოზული უთანხმოება აქვთ სახელმწიფო მოწყობის, დემოკრატიისა და, რა თქმა უნდა, ძალაუფლების საკითხებში.**

გარდა ამისა, გაჩეჩილაძე და სააკაშვილი, როგორც მათი მხარდამჭერი გუნდები, განსხვავდებიან მენტალიტეტითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. პირველი — ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭია, ქუჩაში, თავისი მკაცრი კანონების მქონე „საძმოს" გარემოში გაზრდილი, სადაც პატივს სცემდნენ მამაკაცურ ძალას და თავმოყვარეობისა და ღირსების თავისებური გაგება ჰქონდათ. მეორე (სხვათა შორის, მისი სკოლისდროინდელი მეტსახელი არავინ იცის) — ხუთოსანი, ბრეჟნევის ეპოქის კომკავშირელი, რომელიც იშვიათად გამოდიოდა ქუჩაში და უფრო დიდ ყურადღებას უთმობდა კითხვას, ვიდრე „ტუსოვკებსა" და „ბიჭურ გარჩევებს."

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიშა ლევანისთვის დედიკოს ბიჭია. „გრეჩიხა" ვერ ეგუება იმას, რომ ოქროსმედალოსანი ბეჯითი ბიჭი, რომელსაც „არც ერთი ნაღდი თბილისელი ბიჭი არ იცნობს", უცებ სახელმწიფოს მმართველად იქცა, ხოლო ის, ლევან გაჩეჩილაძე, ვისაც პატივს სცემენ და ვინც ყველაფერს რისკითა და მიზანსწრაფვით მიაღწია, მეორეხარისხოვან როლს უნდა დასჯერდეს.

გაჩეჩილაძეს უყვარს იმის გამეორება, რომ ბიზნესი 500 დოლარით დაიწყო. ცხადია, ის, გარკვეულწილად, აზვიადებს კიდეც. გავლენიანი ოჯახიშვილი იყო და ეხმარებოდნენ. და მაინც „გრეჩიხა" არ მიეკუთვნებოდა „წითელ დირექტორთა კოჰორტას," რომლებმაც „პერესტროიკის" დაწყებისთანავე დოლარის კაპიტალში მოახდინეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში თავიანთი თანამდებობების კონვერტირება.

„გრეჩიხამ" მცირე ბიზნესიდან — ჯიხურებიდან, აქსესუარების მწარმოებელი პატარა საამქროებიდან დაიწყო, მერე იყო ავტომანქანებიც, ბოლოს კი მან თავის ოქროს საბადოს — მეღვინეობას მიაგნო. საერთო ნაცნობების მეშვეობით გაჩეჩილაძემ იოლად დაამყარა კავშირი ქართული ღვინის სამშობლოს — კახეთის რეგიონულ ელიტასთან, შეისყიდა საუკეთესო ვენახები და დაიწყო საკმაოდ ხარისხიანი ღვინის ექსპორტირება რუსეთში. გაჩეჩილაძის კომპანია „GWS" საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. ყოფილი „ძმა" მისაბაძ „ახალ ქართველად" იქცა, რომელიც ყოველ ზაფხულს ოჯახთან ერთად კალიფორნიაში ისვენებდა და გიჟდებოდა 1000-დოლარიან მოდურ ფეხსაცმელზე, რომლითაც ერთი თვის შემდეგ „ქუჩის" მეგობრებს ასაჩუქრებდა.

## ბიზნესიდან ხელისუფლებაში

სწორედ მაშინ შეამჩნიეს ის „ახალგაზრდა რეფორმატორებმა" — პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ და მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის" ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა. აჭარის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან (რომელიც შევარდნაძესავით, ძველ ქართულ ელიტას ასახიერებდა) ბრძოლისას, მათ გაჩეჩილაძეს „მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით კენჭისყრა შესთავაზეს. მან ეს წინადადება მიიღო და განაცხადა, რომ, მართალია, „არასოდეს უოცნებია საჯარო თანამდებობებზე, მაგრამ მზადაა, ახალი ფასეულობების მქონე ახალი საქართველოსთვის ბრძოლაში ჩაერთოს."

ძველი ფასეულობების განსახიერებად „გრეჩიხა" სოფლის მეურნეობის მინისტრს, ყოფილ პარტიულ მუშაკს, ბაკურ გულუას თვლიდა, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში ღვინომასალებს მოლდავურ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს მიჰყიდდა. ისინი კი „კიშინიოვური ჩამოსხმის ქართული ღვინის ექსპორტირებას რუსეთში ახდენდნენ, რითაც სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ „GWS"-ის „ნამდვილ ქართულ ღვინოს". მინისტრის წინააღმდეგ ბრძოლაში „გრეჩიხას" მხარს მიხეილ სააკაშვილი უჭერდა. შედეგად, გულუა (რომელმაც ბრეჟნევის ეპოქაში „ფოთის ექსპერიმენტით" — გორბაჩოვისეული „სამეურნეო ანგარიშის" წინამორბედით — გაითქვა სახელი) გადააყენეს.

„ახალგაზრდა მგლების" წარმატებებით დამფრთხალმა შევარდნაძემ კლასიკურ ინტრიგას მიმართა. მან სიტყვა გადაუკრა გაჩეჩილაძეს, სახელმწიფო მინისტრად (არსობრივად — პრემიერად) დანიშვნის შესაძლებლობაზე, რითაც „გრეჩიხასა" და სააკაშვილს შორის კონფლიქტის პროვოცირება მოახდინა. საქმე ისაა, რომ „ახალგაზრდა რეფორმატორები" გაჩეჩილაძეს თავიანთი ლიბერალური რეფორმების წარმატებების ილუსტრაციად განიხილავდნენ და აზრადაც არ მოსვლიათ, მისთვის რეალური ძალაუფლება მიენიჭებინათ, თუმცა ვერ გათვალეს და ვერ გაითვალისწინეს „გრეჩიხას" თავისებურებანი, რომელსაც „ნამდვილი თბილისელი ბიჭის" ამბიციებმა შემოუტია. სააკაშვილმა საჯაროდ უწოდა გაჩეჩილაძეს ოლიგარქი. ეს 2001 წელს მოხდა — ოთხმოციანელთა თაობის ორ თვალსაჩინო წარმომადგენელს შორის აშკარა მტრობა დაიწყო.

## „ჯიგარი"

ლევან გაჩეჩილაძე წინააღმდეგი იყო „ვარდების რევოლუციისა" სწორედ იმიტომ, რომ ის ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის მოსვლას გულისხმობდა, თუმცა რევოლუციის შემდეგ (და საქართველოში კორუფციასთან გაჩაღებული ბრძოლისა, რომელიც ქონების კონფისკაციითა და მისი ხელახლა განაწილებით დასრულდა) „GWS"-მ ხელისუფლების წნეხის შესასუსტებლად ღვინო „სააკაშვილი" გამოუშვა.

ცხადია, ეს გაჩეჩილაძის თანხმობის გარეშე ვერ გაკეთდებოდა, თუმცა ამ დროისათვის ის კომპანიის უშუალო ხელმძღვანელი აღარ იყო. გაჩეჩილაძის ხასიათის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რად დაუჯდა ასეთი თავის დამცირება. მით უმეტეს, რომ კომპანია მაინც დაკარგა — რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვის გამო „GWS"-ის საკონტროლო პაკეტის გაყიდვა მოუხდა.

თუმცაღა, გაჩეჩილაძის თქმით, რუსეთის ბაზრის დაკარგვა არავითარ როლს არ ასრულებს სააკაშვილთან მის დაპირისპირებაში. დღეს „გრეჩიხა" ქუჩის ლიდერია. აი, სად და როდის გამოადგა თბილისის „ქუჩური მენტალიტეტის" ცოდნა. როგორც აღმოჩნდა, რუსთაველზე მომიტინგეების უმრავლესობა სწორედ ამ, „გაგებასა" და ძალისადმი პატივისცემაზე დაფუძნებული მენტალიტეტის მქონეა.

სხვა ოპოზიციურ ლიდერთაგან არავის შეუძლია ხელისუფლების მიმართ აბობოქრებული ბრბოს მართვა.

**საკმარისი იყო „ინტელიგენტ" ირაკლი ალასანიას სიტყვა დაეძრა მოლაპარაკებებზე, რომ მისი ხმა**

**აღშფოთების გუგუნმა ჩაახშო. მიკროფონთან გაჩეჩილაძე მივიდა, ბრბოს დაუღრიალა და უბრძანა, ლიდერებს დაემორჩილეთ, რომლებმაც „უკეთ იციან, რა უნდა გააკეთონო." მრავალათასიანი მიტინგი მიყუჩდა. „გრეჩიხა" მომიტინგეებს „ჯიგრებოთი" მიმართავს.**

**არც მიხეილ სააკაშვილი, არც ირაკლი ალასანია, არც ნინო ბურჯანაძე არასდროს დაიწყებენ ასე თავის გამოსვლას მიტინგზე, ისევე, როგორც არც ერთი სერიოზული რუსი პოლიტიკოსი არ მიმართავს შეკრებილებს: „მუჟიკი!" მაგრამ ნამდვილი თბილისელი ბიჭი „ჯიგარია." მან იცის იმ ქუჩების ენა, სადაც გაიზარდა.**

„ვესტი კავკაზა"



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



# ფესტოსის დისკო კოლხურ

## ქართველი მათემატიკოსის გია კვაშილავას მეცნიერული აღმოჩენა — ლონდონის კონფერენციის გვირგვინი

**ენიგმატური ფესტოსის დისკო ჩვ.წ.აღ-მდე მეორე ათასწლეულით თარიღდება და 1908 წელს დოქტორმა ლუიჯი პერნიემ კუნძულ კრეტაზე, ფესტოსის სასახლეში აღმოაჩინა. დისკოს უდიდეს მნიშვნელობაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ აღმოჩენიდან 100 წლის შემდეგაც იგი ვრცელ ღია დისკუსიებს იწვევს აკადემიურ წრეებში. მეცნიერები უკვე ერთი საუკუნეა, ეძებენ უნივერსალურ გასაღებს, რომელიც დისკოს საიდუმლოს ამოხსნის.**

ამჯერადაც ასე მოხდა. 2008 წლის 31 ოქტომბერსა და 1 ნოემბერს ლონდონის სიძველეთა შემსწავლელ საზოგადოებაში ჟურნალ „მინევრას“ (დიდი ბრიტანეთი) დაფინანსებით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე მეცნიერებმა კიდევ ერთხელ სცადეს ფესტოსის დისკოს საიდუმლოს ამოხსნა და ერთმანეთს იმ კვლევების შედეგებიც გაუზიარეს, წლების მანძილზე რომ ეწეოდნენ. ისინი მრავალი წლის მანძილზე შეისწავლიდნენ ფესტოსის დისკოს, აანალიზებდნენ მისი შესრულების ტექნიკას, ადგენდნენ ტექსტის წაკითხვის მიმართულებას, არკვევდნენ მის ავთენტურობას. ასე რომ, **ერთობ სოლიდური სამეცნიერო თავყრილობა არა მარტო ორგანიზაციულობით, არამედ, უპირველესად, გაწეული სამეცნიერო ღვაწლის წარმოჩენითაც გამოირჩეოდა.**



გია კვაშილავა

ჩვენი პუბლიკაციის მიზანი ამ კონფერენციის ვრცლად გაშუქება არ არის, თუმცა, ვიდრე მთავარ საკითხზე გადავიდოდეთ, რამდენიმე მომხსენებლის მოსაზრებას გაგაცნობთ, რათა მეტ-ნაკლები წარმოდგენა გქონდეთ, თუ რა **დიდი მნიშვნელობის აღმოჩენით გაამდიდრა მსოფლიო მეცნიერება ქართველმა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ. იგი ამ კონფერენციის ერთ-ერთი მომხსენებელი იყო და იმ მეცნიერთა აღფრთოვანება გამოიწვია, რომლებმაც მთელი ცხოვრება ფესტოსის დისკოს კვლევას მიუძღვნეს.**

**გერმანელი მეცნიერი ტორსტენ ტიმი** (დრეზდენი) დისკოს სტრუქტურული ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **დისკოს ორივე მხარე ერთმანეთთან შეუსაბამოა, ზოგიერთი სიმბოლო განსხვავებული სიხშირით გამოიყენება დისკოს მხარეებზე.** სტრუქტურული ანალიზის შედეგად დოქტორი ტიმი დასაშვებად მიიჩნევს კავშირს A-ხაზოვან დამწერლობასა და ლინგვისტურ მოდელს შორის. ასევე **გერმანელი მეცნიერის, დოქტორ დიტერ ა. რუმპელის** (დიუსელდორფი) აზრით კი, **ტექსტი დიდი ალბათობით დაწერილია ღია მარცვლებით ჰომოფონებისა და იდეოგრამების გარეშე.** მან დისკოს შესაძლო გრამატიკული სტრუქტურაც გააანალიზა.

**ბრიტანელმა დოქტორმა ჯონ კოლემანმა** (ოქსფორდი) შესაფერისი სამეცნიერო ყურადღებით შეისწავლა კავშირი A-ხაზოვან დამწერლობასა და კრეტულ იეროგლიფებს შორის. მისი აზრით, **პიქტოგრაფიული კავშირი დისკოს ბევრი ნიშნისა კრეტულ იეროგლიფსა და „მონუმენტურ“ A-ხაზოვანს შორის აშკარაა.** იგი იშველიებს **ამერიკელი დოქტორის ჯერომ აიზენბერგის** (ნიუ-იორკი) მოსაზრებასაც, რომ **„კრეტის იეროგლიფების გაგრძელება A/B-ხაზოვან დამწერლობებში, როგორც ჩანს, უზრუნველყოფს დისკოსის 12 ნიშნის ახსნას და, ალბათ, სხვა ათისაც“.**

სხვათა შორის, მეცნიერებს დიდი თავისტკივილი გაუჩინა ფესტოსის დისკოს ტექსტის გაყალბების შესაძლებლობამაც, თუმცა **ამერიკელი დოქტორი ტომ პალაიმა** (ოსტინი, ტეხასი) აცხადებს, რომ **„თუ ფესტოსის დისკო ყალბია, მაშინ ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, რა ჰქონდა განზრახული მის გამყალბებელს XX საუკუნის დასაწყისში და რა იცოდა პრეისტორიული ეგეოსური კულტურისა და ენის შესახებ“.**

**ბერძენი დოქტორი გერეთ ოუენსის** (ჰერაკლიონი, კრეტა) აზრით, **შესაძლებელია ფესტოსის დისკოს „წაკითხვა“ გარკვეულ დონეზე მაინც, სამუშაო ჰიპოთეზად მისი წარმოდგენა A და B-ხაზოვანი დამწერლობების ფონეტიკური ბგერების მნიშვნელობათა გამოყენებით,** მაგრამ, ამის მიუხედავად, **ჯერ კიდევ შეუძლებელია დისკოს „გაგება“.** მისივე მოსაზრებით, **„ეპიგრაფიკულად დისკო მინოსური წარწერაა, ლინგვისტურად კი — მინოსური ენა ინდო-ევროპულად არის მიჩნეული“.**

**ბრიტანელი მეცნიერი ნიკოლას რიდი** (ფოუკსტონი, კენტი) **შეუძლებლად მიიჩნევს ფესტოსის დისკოს გაყალბებას. არგუმენტად კი ის ფაქტი მოჰყავს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, ამ შემთხვევაში გამყალბებელს ამდენი (ანუ 16) შესწორება შეეტანა დისკოს ბეჭდვის დროს. იგი ასევე ასაბუთებს, რომ დისკოს A და B მხარის შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავებულია.** მაგალითად, ერთი ღმერთია განდიდებული პირველ მხარეზე და სხვა, განსხვავებული ღმერთი — მეორეზე.

**ბერძენი მეცნიერი პანაიოტის გრეგორიადისი** (ათენი) კატეგორიულია. იგი **ფესტოსის დისკოს მინოსური ფლოტის მიერ გამოყენებულ უძველეს პორტატულ წლიურ კალენდრად წარმოგვიდგენს. მისი აზრით, ეს კალენდარი თანხმობაშია მინოსურ კალენდრულ აბაკუსთან, რომელიც მუშაობს ყოველგვარი მოძრავი ნაწილის გარეშე.**

**პოლონელი დოქტორი იან ბიგაი** (უსტშიკი-დოლნე) ფესტოსის დისკოს ნიშნების ფონეტიკურ მნიშვნელობას კვიპროსულ მარცვლოვან დამწერლობასთან მიმართებაში განიხილავს და სამ პრინციპს ითვალისწინებს: **ფესტოსის დისკო აკროფონური ტიპის სილაბური დამწერლობაა; ბერძნულია, დიდი ალბათობით, თავად წარწერისა და ხაზოვანი სიმბოლოების ენა; ასევე ბერძნულია კლასიკური კვიპროსული დამწერლობის ენა, რომელიც დისკოს სურათების ადეკვატურია.** იგი ამტკიცებს, რომ **კვიპროსული მარცვლოვანი დამწერლობა ფესტოსის დისკოს გაგრძელებაა.** მათგან პირველი მეორის განვითარებას უნდა წარმოადგენდეს და, სავარაუდოდ, **კვიპროსელ გადამწერებს მათი მიზნებისთვის მოურგიათ და გაუმარტივებიათ იგი.**

**ბრიტანელ მეცნიერს უილიამ ჰ. კონსიდინს** (დასავლეთ ესექსი) მიაჩნია, რომ **დისკო საქმიანი ბიზნეს-დოკუმენტია და სიმბოლოები ვაჭრობასთან დაკავშირებული ობიექტები, ანუ იმდროინდელი ვაჭრობის დარგებისა და საქონლის ამომწურავი ამონათვალი უნდა იყოს.**

რაკი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების მოსაზრებებს უკვე გავეცანით (აქვე იმასაც დავძენ, რომ ყველას შემოთავაზება ვერ შევძელით) ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ლონდონის სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების წაკითხვის სურვილი გამოთქვეს ასევე ავსტრიელმა, შვეიცარიელმა, ბრიტანელმა, ამერიკელმა და ლუქსემბურგელმა მეცნიერებმა. ამდენად, მეორე კონფერენცია უკვე საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე გაიმართება. სწორედ იქ, სადაც ფესტოსის დისკოს პირველად ხელი შეახეს 100 წლის წინათ.

ფესტოსის დისკოს შესახებ მეცნიერთა მოსაზრებების ასე ვრცლად წარმოდგენის შემდეგ თავადაც დარწმუნდებით, თუ რა ფურორს მოახდენდა ქართველი მკვლევარის გია კვაშილავას მოხსენება ლონდონის კონფერენციაზე. **„ფესტოსის დისკოს — კოლხური ოქროდამწერლობის ნიმუშის — გაშიფვრა“,** — ასე დაასათაურა მან თავისი მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ

**„გაშიფვრის საფუძველს წარმოადგენს მატრიცების ბრუნვა. ზოგი ერთი და იგივე ნიშანი ერთზე მეტ პოზიციაშია დისკოზე წარმოდგენილი. A, რომლებიც მარჯვნივ „იყურება“, არის ორმარცვლიანი ლოგოგრამები, ხოლო A, რომლებიც მარცხნივ „იყურება“, ისიც ლოგოგრამებია, ოღონდ მარცვალთა შებრუნებული რიგით.**




ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები: ნიკოლას რიდი, ედმუნდ მერიჯი, გია კვაშილავა, მარკ მერონი, ჯერომ აიზენბერგი და სხვები ლონდონის სიძველეთა შემსწავლელი საზოგადოების (ხელოვნების სამეფო აკადემია) წინ

გადმობეჭდილია ჟურნალ „MINERVA“-დან WWW.MINERVAMAGAZINE.COM

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოქროდამწერლობას ასხივებს

**A ლოგოგრამის მხოლოდ პირველი მარცვალი იკითხება ზედა მხარეს მოქცეულ ნიშნებში; A ლოგოგრამის მხოლოდ მეორე მარცვალი იკითხება ქვემოთ მოქცეულ ნიშნებში“.**

**გია კვაშილავა დისკოს ტექსტს თარგმნის, როგორც დიდი დედისა და ღმერთქალის, ნენანას (რეა-კიბელე) საგალობელს.**

გია კვაშილავამ ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა წაკითხვისათვის შექმნა ალგორითმი, რომელიც ბუნებრივად ეყრდნობა თვით მასალის გრაფიკულ მონაცემებს და მოიცავს არა მარტო დისკოს ტექსტს, არამედ ვრცელდება იმ სამ წარწერაზეც, სადაც გამოყენებულია ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნები. კერძოდ, არქალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე და ფესტოსის ლარნაკზე.

**ფესტოსის დისკოს კოლხურ (პროტო-ქართველურ) ენაზე წაკითხვას მტკიცედ უჭერს მხარს უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური მასალა, რომელიც მიღებულია აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და პროფესორი გივი მაჭავარიანის მიერ შედარებითი მეთოდებით პროტო-ქართველური (კოლხური) ენის აღდგენისას და მთელი ეს მასალა ადეკვატურად არის ასახული დისკოს წარწერაში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფესტოსის დისკო ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულით თარიღდება, ამ დროისათვის კი საერთოქართველური ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი ერთი მხრივ, მეგრულ-ჭანურ, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ განშტოებებად.**

აღსანიშნავია, რომ გია კვაშილავამ შეძლო ცალ-ცალკე ნახატ-ნიშნების მორფოლოგიური ღირებულების მარცვლოვანი წაკითხვა და შეაჯამა დისკოს ორივე მხარის შინაარსი.

**ქართველი მკვლევარის ამ აღმოჩენამ თავდაყირა დააყენა მთელი 100 წლის მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ნაღვაწი.**

ეს ის შემთხვევაა, როცა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, — ისტორიულ მასალებზე მუშაობისას, შეიძლება ისეთი რამ აღმოჩნდეს, რომელიც მთელ კვლევასააყირავებსო, — აქსიომატურ ჭეშმარიტებად იქცა. ამასთან შეგუება ბევრ მეცნიერს უჭირს. ალბათ, ამიტომაც, ყველა ერთხმად აღიარებს გია კვაშილავას აღმოჩენის უპირატესობას, მაგრამ აცხადებენ, რომ ერთბაშად ასეთი მასალის ათვისება ძნელია. გია კვაშილავას კი სამიოდ წელიწადს მოთმინებას ურჩევენ, ვიდრე მთელი მსოფლიო მისი აღმოჩენის უპირატესობაში დარწმუნდება.

**უცხოელმა მეცნიერებმა კარგად იციან, რომ ფესტოსის დისკო სამ წელიწადს ვერ „მოიცდის“. ისიც იციან, რომ ეს სამი წელიწადი მათ სჭირდებათ ამ აღმოჩენასთან შესაგუებლად, თორემ მსოფლიო უკვე აღიარებს ამ მიგნების უნიკალურობას.**

გაოგნებულ მეცნიერებს (ვუწოდოთ მათ „ფესტოლოგები“ ან, თუ გნებავთ, „დისკოლოგები“) გულმა ვერ მოუთმინათ და თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულებმა ქართველ მკვლევარს შთაბეჭდილებები წერილობით გაუზიარეს.

**ამერიკელი დოქტორი ჯერომ აიზენბერგი „სრულიად განსაცვიფრებელს“** უწოდებს გია კვაშილავას აღმოჩენას. **გერმანელი დოქტორი დიტერ რუმფელი** კი ქართველ მათემატიკოსს სწერს: **„ძალიან ვაფასებთ თქვენს სამეცნიერო თვალსაზრისს, ცოდნასა და ძალისხმევას. რამდენადაც ვიცი, თქვენ დისკოს ერთადერთი მკვლევარი ხართ, რომელმაც გაბედა და თავის დაბეჭდილ გამოკვლევაში ჩართო მითოლოგიის პერსონაჟები“...**

**ავსტრიელი იოხენ ციგენფუსი** გია კვაშილავას ამშვიდებს: **„თქვენ, ცხადია, გმართებთ მოთმინება და სიმტკიცე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სწორ გზას ადგახართ და საბოლოოდ გაღიარებენ“.** იგი ასევე დარწმუნებით აცხადებს, რომ **გია კვაშილავას „კვლევა და აღმოჩენები დრამატულად შეცვლის მრავალ ადრინდელ შეხედულებას ისტორიაზე“.**

**ამერიკელი რ. სპროუტი** კი განსაკუთრებით საინტერესოდ მიიჩნევს ქართველი მეცნიერის ანალიზს **„ნიშანთა როტაციაზე, რომელსაც განმასხვავებელი ფუნქცია აქვს... არც ერთ „ორგანულ“ სისტემას არ ვიცნობ, რომელსაც ეს თვისება ახასიათებს. ამითაც, თუ ეს დისკოს სისტემის დამახასიათებელი ნიშანია, დისკოს წარწერა კიდევ უფრო უჩვეულო აღმოჩნდა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა“.**

გია კვაშილავას მიგნებამ **ბერძენი კოლეგების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.** ერთ-ერთმა ბერძნულმა გაზეთმა გამოაქვეყნა **პროფესორ ტასოს კაფანტარისის** სტატია, რომელშიც იგი წერს მისი ადრინდელი ვარაუდის შესახებ, იმის თაობაზე, რომ ფესტოსის დისკოს წარწერა ეკუთვნოდა მოსახლეობას, რომელიც დომინირებდა ეგეოსის რეგიონში მინოსურზე უფრო ადრე. სავარაუდო იყო, რომ რომელიღაც უძველესმა ენამ იქონია ძლიერი გავლენა ამ რეგიონის ენობრივ გადანაწილებაზე. ბერძენი მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს მისი ვარაუდი განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო ქართველი გია კვაშილავას მოხსენებას ლონდონის კონფერენციაზე.

**„კვაშილავას გამოკვლევამ, რომელმაც ბიძგი მისცა ჰერბერტ ძებიშის გამოკვლევებმა, არა მხოლოდ აჩვენა, რომ დისკოს ენა იმდროინდელი ქართული — კოლხურია, არამედ მან კრეტას დაუკავშირა კორიბანტები და მათი კირბები, ერთმანეთთან დააკავშირა კრეტელი, ლემნოსელი და სამოთრაკიელი კორიბანტები; ენაზე, რომელზეც ისინი ლაპარაკობდნენ, აგრეთვე, საუბრობდნენ მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, კოლხეთის მეფე აიეტი, მისი ქალიშვილი მედეა და ოდისევსის მომაჯადოებელი კირკე... კრეტელებს შეუძლიათ, იოცნებონ იმ დროზე, როდესაც ისინი მსოფლიოს ლიდერები იყვნენ“, — წერს ბერძენი მეცნიერი.**

ავსტრიელმა მკვლევარმა, დოქტორმა ჰერბერტ ძებიშმა, ვის შესახებაც აღნიშნავს პროფესორი კაფანტარისი, პირველმა დაუკავშირა ფესტოსის დისკო კოლხურ-იბერიულ ენას, რომელსაც რამდენიმე წიგნი მიუძღვნა. ფესტოსის დისკოს პროტოქართველურ ენაზე წაკითხვის თაობაზე მან პირველად ბუდაპეშტის EIRENE-ს საერთაშორისო კონგრესზე (1988 წელი) ისაუბრა, ხოლო 1991 წელს იგივე ვარაუდი გამოთქვა ჯერ კუნძულ კრეტაზე გამართულ კრეტოლოგთა კონგრესზე, შემდეგ კი — რომში, მიკენოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. დოქტორი ძებიში საქართველოშიც იმყოფებოდა და ვანის საგანძურსაც გაეცნო.

ფესტოსის დისკოზე კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული
„ნენანას“ საედრებელ-საგალობლის თანამედროვე ვარიანტი:


ფესტოსის დისკოს A მხარე

A მხარე

I. აია-ჭაბუკნო, განმწმენდელ(ნ)ო დაფარული ტაძრი(სანო),
II. აია-ჭაბუკნო, დედის კარი(ს) განმწმენდელ(ნ)ო, სადარ(ნ)ო,
III. დაფარე(თ) თაღი, ჯაღეთიურებულ(ნ)ო, სადარ(ნ)ო!
IV. ქვეყნის სვეტ(ის) / სიმაღლ(ის) სადარ(ნ)ო,
V. წინმავალ(ნ)ო ჯარუფუ(ნ)ო,[1]
VI. ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო / არწივის სადარ(ნ)ო,
VII. პქმენ(თ) დაფარული ტაძარი!
VIII. ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო / არწივის სადარ(ნ)ო,
IX. უკანმავალ(ნ)ო ჯარუფუ(ნ)ო,
X. გარდაპქმენი(თ) აიას სიცოცხლე ყველანაირად!
XI. ღამ(ის) მთვარ(ით) განათებულ(ნ)ო, სადარ(ნ)ო,
XII. დედ(ის) ქვეყანა მუდამ დაფარე(თ)ო,
XIII. დაასხ(ნ)ი(თ) ხელ(ნ)ი დაფარულ(ად), სხივოსანო მფარავ(ნ)ო, . . .
XIV. ოჯახ(ის) ფუძ(ის), ჯიშის სვლა-ბრუნვ(ის) განმწმენდელ(ნ)ო, სადარ(ნ)ო!

*დასასრული*

[1]. ჯარუფუ – *1. კორიბანტი, რეა-კიბელეს ქურუმ-ღვთაება; 2. ქურუმი, „მფარავი, მფარველი ანგელოზი“*

ფესტოსის დისკოზე კოლხური ოქროდამწერლობით ამოტვიფრული
„ნენანას“ საედრებელ-საგალობლის თანამედროვე ვარიანტი:


ფესტოსის დისკოს B მხარე

B მხარე

I. ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო,
II. მოღგმ(ის) ნენავ,
III.ააყვავე ხუთი მგო, *გვ[ვედრები(თ)]*, მშვენი,
IV. ჯიშის სიწმიდით, ახლით ნირშემოსილი.
V. ერთო მგოვ ძლიერო, *გვ[ვედრები(თ)]*,
VI. ოჯახის წმიდავ, ძლიერო,
VII. წმიდავ, ხელ(თ)ძლიერო ხუთი მგო(ისა),
VIII. მფარველო, სხივოსანო დედაღმერთო,
IX. წინამძღოლო, ხანგრძელ პყავ დედ(ის) ტაძარი სპილენძ(ისა)!
X. მაყვავებელო თაღო,[2]
XI. ნათელო ფათო,[3] დახურე(თ), *გვ[ვედრები(თ)]*,
XII. წინამძღოლო, განმწმენდელსხივოსანო,
XIII. მისი მოგიზგიზე, დაფარული სახახლე დაფარე(თ), *გვ[ვედრები(თ)]*,
XIV. ჩვენო მჭედელო, ახლითმოსილო, მთვარ(ის)ნაირო, *გვ[ვედრები(თ)]*!

*დასასრული*

2. თაღა – *თემები, თარხონი, ტარონისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება*
3. ფათი – *1. პეფესტო, ოსტატ-ღვთაება, ცეცხლის ღვთაება; 2. ფათი, ფეთები, ფთახი, ცეცხლის ღვთაება*

**ჰერბერტ ძებიშმა შექმნა კომპიუტერული პროგრამა (PC), რომელშიც შეეძლო ნებისმიერი ენის ჩასმა და ამ ენების მასალის შედარება დისკოს ნიშანთა განაწილებისათვის. მისი მცდელობა „უპასუხოდ“ დატოვა ბიბლიის ებრაულმა, ძველმა სლავურმა, აღმოსავლურმა და სხვა ენებმა. მოგვიანებით კი, როცა პროგრამაში პროტო-ქართველური ჩასვა, მისი პროგრამა ამოქმედდა.** დოქტორმა ძებიშმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები ძველი ქართულის შესწავლას მოანდომა. იგი 1993 წელს გარდაიცვალა.

უდიდესმა ავსტრიელმა მეცნიერმა თავისი ვარაუდის დამტკიცება ვერ მოასწრო. მომავალი მკვლევარი გია კვაშილავა კი იმ დროს მხოლოდ 16 წლისა იყო. ჰერბერტ ძებიშის ვარაუდმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა და შედეგი თვალნათლივ იხილეს ლონდონის სიძველეთა შემსწავლელ საზოგადოებაში გამართული ენიგმატური ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე მეცნიერებმა. როგორც უკვე ვთქვით, მათი გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია ქართველი მკვლევარის აღმოჩენამ.

**ფაქტია, რომ ბატონმა გია კვაშილავამ ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი და შრომატევადი სამუშაო ფესტოსის დისკოს — მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი რელიგიურ-ლიტერატურული დოკუმენტის — დეშიფრირების ისტორიის, პრობლემების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის მიმართულებით. მან მიაღწია დისკოზე ამოტვიფრულ ნახატ-ნიშანთა ამეტყველებას კოლხურ ენაზე და დაადგინა, რომ ეს ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამწერლობაა“ (ბერძნულად — „ხრისოგრაფია“).**

გია კვაშილავას მიერ თითქმის ოთხი ათასწლეულის სიძველის უნიკალური ტექსტის ამოკითხვამ შესაძლოა, სამანი დაუდოს მეცნიერთა დავას საქართველოს სახელმწიფოებრიობის განსაზღვრის შესახებ. **ამ მიგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს კულტურისა და რელიგიისა, აგრეთვე მისი ისტორიისთვის, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს ახალი აღმოჩენებისკენ უბიძგებს. გამორიცხული არ არის კიდევ არაერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის მოწმენი გახდეთ, თუ რა უდიდეს გავლენას ახდენდა პროტო-ქართველური კულტურა ევროპული კულტურის ფორმირებაზე.**

დაბოლოს, ლონდონში გამართულ კონფერენციას ესწრებოდა **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ნანა შენგელაია,** რომელსაც მადლობას ვუხდით პუბლიკაციის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის. სწორედ მისი შეფასებით მინდა დავამთავრო ეს წერილი: **„თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ბატონი გია კვაშილავას მოხსენება იმ დიდებული, ისტორიული, საერთაშორისო კონფერენციის გვირგვინი იყო“.**

**P.S. თუ ამ წერილმა ვერ დააკმაყოფილა თქვენი ინტერესი ფესტოსის დისკოსადმი და მკვლევარ გია კვაშილავას უნიკალური აღმოჩენისადმი, შეგიძლიათ, ესტუმროთ ვებსაიტს www.kvashilava-gia.com და სწორედ იქ მოძებნით პასუხს კითხვაზე — რატომ გამოიჭედა ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი ლონდონური კონფერენციის გვირგვინი მაინც და მაინც საქართველოში.**

**ბონდო მძინარაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოს ევროპული ორიენტაციის შესახებ

**დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აგერ უკვე თითქმის ორი ათეული წელიწადია, ხან ევროპისაგან ველით ხსნასა და შველას, ხანაც ამერიკისაგან. შედეგად კი მივიღეთ მოშლილი ეკონომიკა, დაკარგული ტერიტორიები, ქვეყნიდან წასული მილიონზე მეტი თანამოძმე... ერთი სიტყვით, — ვერშემდგარი სახელმწიფო. ნათქვამია, რომ ისტორიას უყვარს გამეორება, რომელიც ცოდნის დედაა... ერთგვარ დეჯავიუს შეგრძნებას იწვევს ის გარემოებაც, რომ უმძიმეს ისტორიულ ვითარებაში მყოფი საქართველო გვიან, შუა საუკუნეებშიც, ამაოდ ეძებდა შველას ევროპულ სახელმწიფოთა შორის. ამაოების ნათელ დასტურად სულხან-საბას მაგალითიც იკმარებდა, მაგრამ ქვემოთ გთავაზობთ ჩვენი დროის „პროპაგანდისტების“ მიერ „რუსეთუმე მეფედ“ შერაცხულ, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორეს ზოგიერთ წერილს, რომლებიც თურქეთ-სპარსეთის პირისპირ მარტოდმარტო დარჩენილი სამეფოს გასაჭირზე მოგვითხრობს. ქართველთა მონარქი შველას ამაოდ სთხოვდა ავსტრიის, საფრანგეთისა თუ ვენეციის ხელმწიფეებს. ისინი საოცარი გულგრილობით ეკიდებოდნენ ჩვენს გასაჭირს. მათ თითქოს ის თორმეტი დუკატი უფრო ადარდებდათ, რაც ერეკლე მეფის წერილების თარგმნაში გადაიხადეს, ვიდრე მრავალჭირნახული, ქრისტიანული ქვეყნის ბედ-იღბალი. აქვე შეგახსენებთ, რომ ამ წერილებს და სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტებს შეგიძლიათ, გაეცნოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემულ ბროშურათა სერიაში „ჟამი ხსნისა“. მასალებს ამ სერიიდან მომავალშიც შემოგთავაზებთ.**



## ერეკლეს მიერ ავსტრიის იმპერატორისადმი ქართულად მიწერილი წერილი

**დიდად პატივცემულო და მწყალობელო უდიდებულესობავ,
დიდად მშვენიერო უზენაესო იმპერატორო კეისარო,
დიდად სამართლიანო მეფევ, ჩემო პატრონო და სულთანო!**

თქვენი უდიდებულესობის სიძლიერისა და სიდიადის პირველი შთაბეჭდილება მავალებს, თავმდაბლად პატივი გცეთ და მორჩილების გამოცხადებისთანავე გისურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, სიმდიდრე, კარგად ყოფნა და სიცოცხლის ბედნიერი დასასრული, რათა თქვენ დიდად კეთილშობილ კარს ბედნიერების მომასწავებელი ნიშანი თან სდევდეს.

ჩუენ შორის შეთანხმების საკითხში თქვენი მსახურისათვის ნიშანდობლივია გულწრფელობის გამოჩენა, რადგან უდიდებულესობის საიმპერო სამსახურისათვის ვერავითარი მომსახურება, თქვენი მსახურის მხრიდან, თავის შედეგს ვერ მიაღწევს, ასევე საწინააღმდეგო საბაბით შორეული თავდაცვით ერთგულებასაც ვერ გამოამჟღავნებს. აქამდეც ვერც შემთხვევა და ვერც ხელსაყრელი დრო ვერ გამოვნახეთ, რადგან მტანჯავ გარემოებაში მოხვედრილი გოდებასა და ჩივილში დავუძლურდით. ჩვენ თავი აღარა გვაქვს, რომ ავკრძალოთ მონობა, რომელიც სისხლის ღვრით შეიქმნა.

კმარნა. ჩუენ დიდებულების სახელოვანი ნიშნით უნდა დავეხმაროთ ყოველ ჟამს უმძლავრეს ხელისუფლებას და ჩვენსავე თავში ძლიერი მხნეობა დავასადგუროთ.

ამ კარში ორი მოტივი გვაქვს წამოყენებული: პირველი, ქრისტიანობის თხოვნა; მეორე, თუკი შესაფერისად მიიჩნევთ, საჭიროა ფიცის დადება, რათა გამბედაობა გვეყოს თქვენს უმაღლესი კარის რეზიდენციაში მარად თავაზიანი წარდგომისა. ისე ნურასოდეს იქნება, რომ დროის გასვლასთან ერთად ჩუენი სამეგობრო განწყობა და სწრაფვა მძიმე უსიამოვნებად იქცეს, რაც ხელს შეუშლის ჩვენს წარგზავნილს, რომელიც შიკრიკის მოვალეობას ასრულებს.

ჩემო მოწყალეო და შორსმჭვრეტელო სულთანო, წარსულში ჩუენი მამა-პაპანი გულით მოსურნენი და მოწადინებულნი იყვნენ; მათ ყოვლად განათლებული და მოწყალე ჩემი პატრონის ბრწყინვალე კარამდე შეეძლოთ, მიეღწიათ სანუკვარი თხოვნით და სურვილიც აღესრულებინათ, მაგრამ ყოვლად ძლიერი მაჰმადიანური სექტის გამო ამ მიზანთან დაკავშირებული ვერც დრო და ვერც შემთხვევა ვერ გამონახეს. ახლა კი დახმარებითა და ხელისშეწყობით ჩუენ შევიგნეთ საკუთარი ძალა და ნება, რათა გამოვხატოთ სურვილი და თხოვნა ჩუენ მამა-პაპათა; უფრო თავდაჯერებულად ვბედავთ და მოგმართავთ, რათა თქვენმა მეფურმა უდიდებულესობამ თავაზიანად და სულგრძელად ბოლომდე შეიწყალოს ჩუენი თხოვნა და სურვილი.

ო, ჩემო დიდად მოწყალეო და უმაღლესო მწყალობელო კეისარო, ჩემო პატრონო, ინებეთ და შეისმინეთ ჩუენი თხოვნა და მომართვა. უმაღლესი უფალი თქვენი უდიდებულესობის მეშვეობით ლოცავს და იცოდებს დიდად გატანჯულ და აწიოკებულ ქრისტიანებს.

იმპერატორები და მეფეები, მზეზე უფრო ბრწყინვალენი, სიკეთითა და სამართლიანობით ცნობილნი იყვნენ: ასეთ უბედურებაში ჩავარდნილი ქრისტიანების შემწეობა და დახმარება მათს უდიდეს ღირსებად ითვლებოდა, ერთი სიტყვით, სააქაო და საიქაო ცხოვრებისათვის საჭიროა სამართლიანი ღვთის მადლიერების მოპოვება. ამ მიზნით თქვენმა მსახურებმა მწიგნობარი და გულწრფელი პატრი მაურო გამოგზავნეს. ის თქვენს რეზიდენციაში მიუდგომლად გაცნობებთ და შეგატყობინებთ დანაბარებს, თუ კი უმაღლესი უფალი ინებებს, ის დროც დადგება, როცა თქვენს ბრწყინვალე და უდიდებულესობის სამეფო კარზე სამთხვევად ჩამოვალთ. რაც შეეხება იმ მოტივებს, რაც ჩუენს განძრახვას უდევს საფუძვლად, საიდუმლო მუდარასთან ერთად საკმარისი იქნება ჩუენი ქვეყნის მიმართ დახმარებისათვის, რაც ერთმანეთთან სიშორის მიუხედავად ჩუენ ხელს დიდად შეგვიწყობდა.

თბილისში მცხოვრები პატრი დომინიკო მრავალი მსახურისა და თარჯიმნის თანხლებით გასულ წელს გამოვგზავნე თქვენი ბრწყინვალების საიმპერიო უდიდებულესობის წინაშე. მიუხედავად მრავალი თხოვნისა, ვთვლით, რომ ჩუენი სურვილი და თხოვნა კარგად ვერ გამოვხატეთ. კვლავ განვაახლეთ თხოვნა და გაახლეთ შემდეგი მითითებანი. მიუხედავად ჩემი წერილისა, მას პირადადაც უნდა მოეხსენებინა ყოვლად შემწყალებლებისათვის ზემოაღნიშნული თხოვნა. მას გზაში ღვთის მიერ წინაგანზრახული სვე-ბედი ეწვია. ჩუენი მეფური უდიდებულესობა დარწმუნებულია და კმაყოფილია ნეტარსახსენებელი განსვენებულის ენისა და სიტყვისა. დიდად გულწრფელი ჩუენი მოხსენება ასეთი იყო: გასულ წლებში აღმოსავლეთის ქვეყნებში ხმამ მოაღწია, რომ ჩემს უძლიერეს ხელმწიფეს სრულყოფილი ძლევამოსილი ნიშანი მოუცია, ძლევამოსილი ომი აწარმოოს თურქეთის სულთნის წინააღმდეგ. ამ ახალმა სასიხარულო ამბავმა დაბადა იმედი და წმინდა სურვილი ჩუენში — თქვენს გულითად მეგობრებში, რათა მათთვის თანაგრძნობა გაგვეწიათ. ეს შემთხვევა გაახარებდა თვით გარდაცვლილ პატრსაც, რომელიც თქვენი უდიდებულესობის სამეფო ტახტისაკენ იყო გამოგზავნილი და რომელიც შეძლებდა ჩუენი მონარქიისათვის შესაფერისი სამსახური გაეწია.

ამ დღეებში აღმოსავლეთის სამეფო რეზიდენცია მთლიანად დაანგრიეს და ჩუენზე წამოვიდა ყველა დიდი და ძლიერი, ველური მტერი. საჭირო საომარი იარაღი ნაკლებად გვაქვს. ხელჩართული ბრძოლა კი ნაკლებ გვშველის. ყოველ დროში თქვენი უკეთილშობილესი სამეფო უდიდებულესობა ერთგვარ მტრობასა და წინააღმდეგობას უწევდა თურქეთის სულთანს და ნუთუ ამის შემდეგ გულწრფელი მეგობრობა დამყარდება თქვენს შორის? დარწმუნებით ვიცით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები არავითარ შემთხვევაში თურქეთის სულთანს არ დაეხმარებიან და ხელსაც არ შეუწყობენ, არც მიემხრობიან. ჩუენი წინანდელი თხოვნა ზემოთ მოგახსენეთ, რითაც ჩუენი განზრახვა შეგახსენეთ. ახლა უფრო თამამად ვამჟღავნებთ ჩუენს სურვილს: თქვენი გვირგვინის წინაშე გემუდარებით და თქვენს უდიდებულესობას, ყოვლად ძლიერს, უბრწყინვალესსა და ყოვლისშემძლებელ ჩემს პატრონს ვთხოვ, რომ ურჯულოების მტვერს ხელი არ შეუწყოთ.

**ყოვლად ღვთისმოსავო,
უმაღლესო,
ყოვლად მოწყალე,
უძლიერესო.
ჩემი პატრონის,
ზეალმატებული ღირსების
იმპერატორის ბედნიერების
მოსურნე მსახური,
საქართველოს სამეფოსა და
დანარჩენი სამთავროების
მეფე ერეკლე**

## პრუსიის მეფესთან ერეკლეს მიერ მიწერილი წერილი

იცის დიდებულებამან მათმან, რომ რუსეთის ყოვლად დიდებულნი ხელმწიფენი ნეტარხსენებულნი წინაპარნიცა და ახლაც იმპერატრიცა დიდი ეკატერინა ჩუენსა და ჩუენს ქვეყანაზედ მწყალობელნი იყვნენ და კიდეც არიან, რომ როდესაც ჩუენ უსჯულოთა მტერთაგან დიდად გაგვჭირვებია, რუსეთის დედოფალს ხელმწიფეს შევხუეწივართ და იქ მოვრჩობილვართ და თუ მცირე შეწუხება და ან მტერთაგან ძალი დაგვდგომია, კიდევ რუსეთის იმპერიამ და რუსეთისავე ხელმწიფისაგან ნუგეში გვბოძებია.

საქართველოს კაცნი მტრებისაგან რომ გაქცეულან, შეწყნარებითა და გამოზრდით შეუწყნარებიათ და ვინც შეწუხებულნი და გაღარიბებულნი მისულან, მოწყალებით და მიცემით და კიდევ ტყუეთათვის გამოხსნით და განთავისუფლებით მოწყალება უქნიათ. როგორათაც ყირიმელთა ზედა რომ იმპერატრიცა დიდის ეკატერინას ჯარი მოვიდა და ჩუენი მრავალ ათასი ტყუენი მრავლის წლის დატყუებულნი და იქავ ყირიმში დაცოლშვილიანებულნი გამოიხსნა და სრულიად განათავისუფლნა.

და ყოველთვის რუსეთის ხელმწიფიდამ და რუსეთის იმპერიიდამ უანგარიშოდ ნუგეშის ცემულნი ვართ ყოვლითურთ და ჩუენ უმეტესის თავის შეწყენის კადნიერება არა გვაქვს, იმათი დიდად მადლობელნი ვართ და ამდენი იმათი წყალობა კიდევ ჩუენ და ჩუენს ქვეყანას არ ვყო.

რადგან ასეთსა შინა ადგილსა ვიმყოფებით, თუ რამ უდიდესი წამალი კიდევ ზედ არ დაგვერთო, საბოლოოთ დიდის განსაცდელის შიში გვაქვს და არა გვაქვს ძალა ასეთის რიგისა, რომ ერთი რომელიც ევროპას შინა ჯარის განწესება არის, ის განწესება ვიპყრათ. ცოტანიც რომ ვიყუენით. იმ რიგით რამდენიც უნდა ბევრი იყუნენ ჩუენს წინააღმდეგი, ღვთით მაინც მოვერევით და არც ჩუენი წინააღმდეგობა იმათღა შეეძლება საბოლოოთ.

რადგან სპარსეთშიაც და სულ აზიის სახელმწიფოში ძალი ყოვლითურთ მოკლებული არის და ერთი მეორესთან აშლილნი და მტერნი არიან, ამის გამო ახლა არ შეუძლიანთ. თუ ჯარი ევროპის წესზე გასწავლებულ გვეყოლება, რომ ამისათვის გვატანენ ძალას დაღისტნელნი და მაჰმადიანნი სხვანი ჩუენნი მეზობელნი, რომ სამუდამო ჯამაგირის ჯარი არა გვყავს და ესენი და დაღისტანელნი ლეკნი ერთს პირს იქმონენ, ჩუენ ძალას დაგვატანენ და მომშველებელი ჩუენი ვინც არის, ისინიც მაშინ უთეთროდ არ მოგვეშველებიან. დიდი განსაცდელი იქნება მაშინ ჩუენზედ მომავალი.

და ამისთვის მათის დიდებულებასა და ყოვლად მოწყალებისაგან ვითხოვთ, რომ საბოლოოთ რა ერთისაც პოლკის ჯარის შენახვის შეძლება გვეთხოოს, შეგვაძლებინონ და გვიბოძონ ეგება წყალობითა ზეგარდმოთა, რომ ერთხელ ამ ქვეყანამაც აქედან ევროპის დიდებულ ხელმწიფეებს მსახურის თავისის შესაძლებლობა უჩუენოს.

**მეფე ქართლისა და
კახეთისა და სხვათა
ერეკლე**
**წელსა 1782,
თვესა ოქტომბერს 18.**

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტ. 38-41-97.**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკა ახალ მოკავშირეებს ეძებს

**ამერიკის ახალი ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტების გადაფასების ზღურბლზე დგას, ამ გადაფასებას კი შესაძლოა, მთელ მსოფლიოში მოჰყვეს საერთაშორისო ურთიერთობების კონფიგურაციის ცვლილება.**



ამერიკის დაზვერვის ნაციონალური საბჭოს მოხსენების თანახმად, უახლოესი ათი წლის განმავლობაში ამერიკის საომარ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მნიშვნელოვნად შემცირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებებით ის მაინც დარჩება მსოფლიოში უძლიერესად. ეკონომიკური და საომარ-პოლიტიკური ზრდა ყველაზე მეტად ევროპის საზღვრებს გარეთ შეინიშნება, განსაკუთრებით კი, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, მექსიკის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების როლის ზრდა იქნება თვალშისაცემი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ იძულებული გახდება, ხელახლა განსაზღვროს ახალი მოკავშირეებისა და პარტნიორების ვინაობა.

პრეზიდენტმა ობამამ ამერიკული სტრატეგიული ინტერესები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ავღანეთში ომის როგორმე დამთავრება; პაკისტანში სტაბილურობის ყოველმიზეზგარეშე შენარჩუნება, ვინაიდან ქვეყანა ბირთვულ იარაღს ფლობს და ეს იარაღი არამც და არამც არ უნდა მოხვდეს ისლამური ფუნდამენტალისტების ხელში; ირანისა და კორეის ბირთვულ სახელმწიფოებად გადაქცევის თავიდან აცილება; ბირთვული გაუვრცელებლობა; ერაყიდან ამერიკული ჯარების გაყვანა და საამისოდ აუცილებელი სტაბილურობა; ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული უსაფრთხოება. უკვე დღეისათვის ცხადია, რომ ამერიკის ტრადიციული ევროპელი მოკავშირეები და ნატო ჩამოთვლილთაგან, პრაქტიკულად, ვერც ერთი მიმართულებით ვერ შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს. ნატოს 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილმა სამიტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეს ორგანიზაცია ინერციით მივა საკუთარ აღსასრულამდე და ამერიკის სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის საკითხში ეფექტიან დახმარებას ნამდვილად ვერ გაუწევს. ნატოს ჯარების კონტინგენტის დაპირებული ზრდა ავღანეთში მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა და ავღანეთის ომი ცალსახად ამერიკის ომად იქცა. ლონდონში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე კი ევროპულმა ქვეყნებმა ეკონომიკის სტიმულირების ამერიკულ პროგრამას მხარი არ დაუჭირეს.

ასე რომ, შეერთებულ შტატებს საგარეო ურთიერთობების გადახედვა არ ასცდება, ახლებური ხედვით კი, ყველაზე ნაყოფიერ მომავლის იმედს რუსულ-ამერიკული ურთიერთობები იძლევა — რუსეთი ამერიკის ბუნებრივი პარტნიორია ამერიკელთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა ასპექტში. ამ ორი გიგანტის ინტერესები არც ერთ საკითხში არ ეჯახება ერთმანეთს, ამით კი ობამას ადმინისტრაციას ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს მედვედევის ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახლებურად ფორმირების აუცილებლობის წინადადება. ამისათვის შტატების ადმინისტრაციას ძველ სტერეოტიპებთან გამომშვიდობება მოუწევს. მან არჩევანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და მიმდინარე ინტერესებს შორის უნდა გააკეთოს. ეს არჩევანი საბოლოოდ გასცემს პასუხს კითხვაზე: ვინ აყალიბებს ამერიკულ საგარეო პოლიტიკას — ვაშინგტონი თუ თბილისი, რიგა, ტალინი და ვარშავა, რომლებიც დასავლეთსა და მოსკოვს შორის კონფლიქტური სიტუაციის შენარჩუნებაში დაინტერესებულნი არიან. პოსტსაბჭოთა სივრცე ერთადერთი სფეროა, სადაც დღეისათვის კვლავ იგრძნობა დაძაბულობა რუსეთსა და ამერიკას შორის. როგორც ჩანს, რუსეთი და ამერიკა მსოფლიო უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ფორმირებას დაიწყებენ, ახლა ორივე მათგანის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზება და საზღვრებზე სტაბილურობის შენარჩუნებაა. მართალია, მსოფლიოში ყოველთვის მოიძებნება ქვეყნები, რომელთაც ძველი სტერეოტიპებითა და სქემებით ურჩევნიათ ცხოვრების გაგრძელება, მაგრამ ობამას ადმინისტრაციის გაბედული ნაბიჯები შიდა პოლიტიკაში, განათლების, ჯანდაცვისა და ენერგეტიკის სფეროების პრაგმატული რეფორმირება იმის გარანტიაა, რომ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების რაციონალური გაანალიზების შემდეგ იგივე მიდგომა წარმატებით გავრცელდება საგარეო პოლიტიკაზეც.

# ქიმიკოსებმა დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის ახალი ახსნა გამოჩხრიკეს

**დედამიწაზე სიცოცხლისათვის დასაბამისმიმცემი პირველი ბიოლოგიური მოლეკულები მილიარდობით წლის წინათ გაჩნდა.**

თანამედროვე ბიოლოგიური მოლეკულები, რომლებიც შთამომავლობას მემკვიდრეობით ინფორმაციას გადასცემენ, ცოცხალ ორგანიზმებში ფერმენტების ზემოქმედებით სინთეზირდება, შორეულ წარსულში კი ისინი სპონტანურად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ითვლება, რომ პირველი ასეთი მოლეკულა რიბონუკლეინმჟავა იყო, მაგრამ როგორ გაჩნდა ის თავისთავად ბუნებაში, დღემდე არავინ იცოდა. მეცნიერები ძალიან დიდი ხნის მანძილზე თვლიდნენ, რომ თავის დროზე სწორედ ამ ნაწილების გაერთიანებით შეიქმნა რიბონუკლეინმჟავას ჯაჭვი. თუმცა, ბუნებრივ პირობებში ასეთი გაერთიანება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რაც მეცნიერებას დღემდე ჩიხში ამწყვდევდა. პრობლემა დიდი ბრიტანეთის მანჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჯონ საზერლენდმა გადაჭრა — დაამტკიცა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი გაერთიანება ბუნებრივ პირობებშიც შესაძლებელია, თუ კატალიზატორის ფუნქციას თავად მოლეკულის ერთ-ერთი ნაწილი ასრულებს. ასეთი ნაწილი კი ფოსფორი აღმოჩნდა.

# რუსეთი თურქეთში ატომურ ელექტროსადგურს აშენებს

**რუსეთი თურქეთში АЭС-ის 4 მსხვილ ბლოკს ააშენებს. ამის თაობაზე ახლახან განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან რეჯეპ ტაიპ ერდოღანთან შეხვედრის შემდეგ.**

თავის მხრივ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში დასრულდება ტენდერთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, რომლის მიხედვითაც რუსეთის კომპანია „ატომმშენექსპორტი“ მონაწილეობას მიიღებს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში. „ეს კომპანია მონაწილეობდა ტენდერში და გაიმარჯვა“, — დაამატა მან.

როგორც პუტინმა განაცხადა, რუსეთი ასევე მზადაა, მონაწილეობა მიიღოს თურქეთში თბოელექტროსადგურის მშენებლობაშიც. ჩვენ მოვახდენთ თურქეთთან ჩვენი ენერგეტიკული კონტაქტების დივერსიფიკაციას“, — ხაზი გაუსვა მან.

ამას გარდა, ჩვენი ქვეყნები შეთანხმდნენ გაზის მიწოდების დასავლეთის მარშრუტის შესახებ ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე. „ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ დაუყოვნებლივ დავიწყოთ ამ ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებული სამუშაოები“, — თქვა ერდოღანმა. მან გაიხსენა, რომ მოცემული შეთანხმება 1986 წელს დაიდო და მისი მოქმედების ვადა 2012 წელს გადის. ამასთან, მან აღნიშნა, რომ თურქეთი ზრდის რუსეთიდან მოწოდებული გაზის მოცულობას.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მოცემული ხელშეკრულების ჩარჩოებში თურქეთს მიეწოდება დაახლოებით 6 მილიარდი კუბომეტრი გაზი წელიწადში. თურქეთის მოთხოვნა გაზზე 2012 წლისათვის არსებითად გაიზრდება. 2008 წელს თურქეთისათვის მიწოდებული რუსული გაზის მოცულობამ 23,8 მილიარდი კუბური მეტრი (2007 წელს — 23,5 მილიარდი) შეადგინა. 2009 წელს მოსალოდნელია მისი გაზრდა 25,5 მილიარდ კუბომეტრამდე.

ამას გარდა, ვლადიმერ პუტინი დაჰპირდა თურქულ მხარეს, რომ ყურადღებით მოეკიდება მათ თხოვნას და დაარეგულირებს საბაჟოსთან და ტვირთთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. „ჩვენ ამას დამატებით მივუბრუნდებით, ვნახოთ, რისი გაკეთება შეიძლება, რათა ყველა პრობლემა მოვხსნათ, რომელიც ეკონომიური საქმიანობის მონაწილეებს გაუჩნდებათ“, — განაცხადა მან.

თურქული მხარე სთავაზობს რუსეთს, მოაწყოს ტვირთთა არჩევითი საბაჟო კონტროლი. რამეთუ კონტრაბანდის დიდი რაოდენობის გამო ამ მიმართულებით რუსეთის მებაჟეებს არასოდეს გამოუჩენიათ მსგავსი შემწყნარებლობა. პუტინი დაჰპირდა, რომ ამ საკითხს გაარკვევდა.

რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ პრობლემას — მთიან ყარაბაღს, რფ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „კომპრომისი თავად კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა უნდა იპოვონ“.

მისი სიტყვებით, სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ეხმარებიან მათ ამ კომპრომისის მიღწევაში, შეუძლიათ მხოლოდ შუამავლისა და უკვე მიღწეულ შეთანხმებათა შესრულების გარანტის როლის შესრულება. ყარაბაღის საკითხის დარეგულირებას მხარს დაუჭერს რუსეთიც და თურქეთიც.




# აფხაზეთი მილიარდს მიიღებს

**14 მაისს სოჭის რეზიდენციაში ვლადიმერ პუტინი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს შეხვდა და მილიარდრუბლიან კრედიტს დაჰპირდა, მაგრამ როგორც «КоммерсантЪ» წერდა, ბაღაფში უკმაყოფილო დარჩა და აღიარა კიდეც, — ეს დიდი თანხა არაა არც ჩვენთვის და არც რუსეთისთვისო.**



უფრო უპრიანი იქნებოდა, ეთქვა, — არც რუსეთისათვის და არც აფხაზეთისთვისო... ბოლოს და ბოლოს, კრედიტი ხომ მან ითხოვა რუსეთისაგან და არა — რუსეთმა — მისგან. ბაღაფშის აზრით, კრედიტი საბანკო სფეროს მოხმარდება. მეორე საკითხი, რომელიც ბაღაფშს აწუხებს, საქართველოსთან საზღვარი და იქ რუსი მესაზღვრეების დაყენებაა. როგორც ჩანს, აფხაზეთი რუსეთისაგან ფულთან ერთად მესაზღვრეებსაც კრედიტით იღებს. ბოლოს ბაღაფშმა ისიც აღიარა, პუტინი აფხაზეთში დავპატიჟე და ჩემი წინადადება მიიღო კიდეც, მხოლოდ ვადებია დასაზუსტებელიო. **«КоммерсантЪ»** -ის კომენტარით კი, იმ დღის ლოგიკის მიხედვით, აფხაზეთში პუტინის ვიზიტი აფხაზეთს ისევე ესაჭიროება, როგორც — თავად რუსეთს.

# ფხენიანის რაკეტებმა იაპონიას თავზარი დასცა

**ფხენიანი წარმატებით ავითარებს სარაკეტო პოტენციალს, რაც აპრილში მძლავრი რაკეტის გაშვებამ დაამტკიცა. სწორედ ეს შინაარსი იკითხებოდა იაპონიის თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ჩრდილოეთ კორეამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ფართო რადიუსის მოქმედების რაკეტების შექმნის საქმეში.**



იაპონიის თავდაცვა შეშფოთებულია, რადგან 5 აპრილს მუსუდან-ნის პოლიგონიდან გაშვებული სამნაწილიანი ბალისტიკური რაკეტის ტექნიკური პარამეტრები ექსპერტებს აიძულებს, ივარაუდონ, რომ ჩრდილოეთ კორეამ საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების მოდერნიზება მოახდინა, რომელთაც ახლა შეუძლიათ დიდი სიზუსტით მიაღწიონ მიზნამდე იაპონიის ტერიტორიაზე. თავდაცვის უწყება ირწმუნება, რომ რაკეტის პირველი ნაწილი სანაპიროდან 300 კილომეტრის დაშორებით იაპონიის ზღვაში ჩაეშვა, მეორე ნაწილმა კი იაპონიას გადაუფრინა, აფრენის წერტილიდან 3000 კილომეტრზე მეტი გაიარა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა. ექსპერტების მტკიცებით, კორეულმა რაკეტამ თავის წინამორბედს (1998 წელს გაშვებულ ბალისტიკურ რაკეტას) ფრენის მანძილით ორჯერ აჯობა. 1998 წლის შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთხელ მოინდომა რაკეტების გამოცდა, მაგრამ 2006 წელს ეს მცდელობა კრახით დამთავრდა — რაკეტა აფრენისთანავე დაიშალა. წლევანდელი შედეგი კი მთელი მსოფლიოსათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მართალია, თავად ჩრდილოეთ კორეა რაკეტის გაშვებას თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანით ნიღბავს, მაგრამ იაპონია და მთელი რიგი სხვა ქვეყნებიც თვლიან, რომ ეს მხოლოდ მიზეზი იყო კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტის გამოსაცდელად.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# დოლარსა და მსოფლიოს

**ზოგიერთ მკითხველს გაეცინება, როცა გაეცნობა გამოკვლევას დოლარზე, რომელიც მოხატულია მასონური სიმბოლოებითა და „ეშმაკის დუჟინით“; თითქოს მაინც არაფერი გამოვაო. რასაკვირველია, კონსპიროლოგები ზოგჯერ იმასაც კი ხედავენ, რაც არ არსებობს. მაგრამ დოლარის ისტორიაში, მართლაც, ბევრი გამოცანაა.**
**ვისთვისაა ხელსაყრელი მწვანე ბაქსის ეს პირამიდა?**



ბერნანკე — ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე, მეტსახელად შვეულმფრენი ბენი, „ბაქსებით“ აქრობს მსოფლიო კრიზისს.

## ქრისტემ გარეკა მეკერმეები

მასონური მისტიკის მოყვარულმა, „და ვინჩის კოდის“ ავტორმა დენ ბრაუნმა უკვე დაწერა ახალი რომანი ამერიკის შეერთებული შტატების მასონებზე. მთავარი დაშიფრული წერილი გახდება იგივე ერთდოლარიანი კუპიურა. ასე რომ, წინ გველის „დოლარის კოდი“. მაგრამ მთავარ საიდუმლოს დენ ბრაუნი მაინც არ გვიმხელს. მაინც, ვინ ააგო ბაქსების გიგანტური პირამიდა „ყოვლისმხილველი თვალით“? ჭკვიანი ხალხი ამბობს, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ქრისტემ ტაძრიდან მოვაჭრენი გამოდევნა, გადააყირავა მეკერმეთა მაგიდები, მონეტები კი გადაუყარა. მეკერმეები მომსახურებისათვის პროცენტს იღებდნენ ე. ი. ეწეოდნენ მევახშეობას. არავის ძალუძს, ემსახუროს ორ ბატონს... ღმერთსა და მამონას, — ამბობდა ქრისტე. მევახშეობა დიდი ხნის განმავლობაში ეკრძალებოდათ ქრისტიანებს. მაჰმადიანებში დღემდე შედის იგი შვიდ სასიკვდილო ცოდვაში, რადგან ფულის მეუფება ჭკვიანის ხელში ყველაზე ძლიერი საშუალება ხდება.

## ბრძოლა ხელისუფლებისათვის

აშშ კონსტიტუციის პირველ მუხლში წერია: „კონგრესს აქვს უფლება: ჭედოს მონეტა, აწესრიგოს მისი ღირებულება და უცხოური მონეტის ღირებულება... დააწესოს სასჯელი ფასიანი ქაღალდებისა და შეერთებულ შტატებში ბრუნვაში არსებული მონეტების გაყალბებისათვის“. თითქოს ყველაფერი ზუსტადაა განსაზღვრული... საუკუნოდ! ამერიკელები ხომ არ ცვლიან კონსტიტუციას, თუმცა ბანკირები დაჟინებით ცდილობდნენ, პირად საკუთრებაში მიეღოთ საბეჭდი დაზგა. ჯერ კიდევ 1790 წელს, როდესაც ამერიკაში პირველად განიხილებოდა კანონი კერძო ცენტრალური ბანკის შესახებ, მსოფლიო საბანკო დინასტიის დამფუძნებელმა მეიერ ამშელ როტშილდმა წარმოთქვა ცნობილი ფრაზა: „მომეცით უფლება, გამოვუშვა და ვაკონტროლო ქვეყნის ფულის და ჩემთვის სულერთი იქნება, ვინ გამოსცემს კანონებს“.

## თეთრი სახლის პირველი ბატონ-პატრონები თავს იცავდნენ, როგორც შეეძლოთ

აი, აშშ პრეზიდენტის, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორის ჯეფერსონის განცხადება: „თუ ამერიკელი ხალხი ოდესმე მისცემს ბანკს უფლებას, კონტროლი გაუწიოს თავისი ვალუტის ემისიას, მაშინ ინფლაციის, შემდეგ კი დეფლაციის საშუალებით ბანკები და კორპორაციები... წაართმევენ ხალხს მთელ ქონებას... მე ნამდვილად ვფიქრობ, რომ საბანკო ინსტიტუტები უფრო სახიფათოა თავისუფლებისთვის, ვიდრე რეგულარული არმიები“. პრეზიდენტ ჯეფერსონს, რომელიც ბანკირებს დაუპირისპირდა, ესროლა ქილერმა, მაგრამ ააცილა.

ფულის საბეჭდი დაზგის პრივატიზაციის მცდელობას ებრძოდა აბრამ ლინკოლნიც. ის მოკლეს. წელიწადნახევარზე ნაკლები ხნით იყო თეთრ სახლში ჰარფილდი. ეტყობა, ვიღაცა ძალიან შეაშინა მისმა განცხადებამ: „ის, ვინც აკონტროლებს ქვეყნის ფულის მასას, არის მისი მრეწველობისა და ვაჭრობის სრული მფლობელი... როდესაც გაიგებთ, თუ მთელ ეკონომიკურ სისტემას როგორ მარტივად აკონტროლებს რამდენიმე გავლენიანი ადამიანი, თქვენთვის აღარ იქნება საჭირო დეპრესიებისა და ინფლაციების მიზეზების ახსნა“. ჰარფილდს ზურგში ესროლეს. დაიღუპა პრეზიდენტი მაკ კინლიც, რომელმაც ერთ-ერთი დიდი ბანკის წინააღმდეგ დაიწყო ანტიმონოპოლიური გამოკვლევა.

## შეთქმულება კუნძულზე

მეიერ ამშელ როტშილდის ოცნება 123 წლის შემდეგ ახდა. 1910 წელს პატარა კუნძულ ჯეკილზე, ატლანტის ოკეანეში „იხვებზე სანადიროდ“ საიდუმლოდ ჩამოვიდა სოლიდურ შეთქმულთა ჯგუფი. ისინი წარმოადგენდნენ უდიდეს საერთაშორისო საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებს: როკფელერებს, მორგანებს — როტშილდებს, ზაკსებს, გოლდმანებს, კუნებსა და ლებებს. შეხვედრის ინიციატორი იყო გერმანელი ბანკირი პოლ ვალბურგი, ოპენჰეიმერის ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი. შეთქმულებაში მონაწილეობდა სენატორი ოლდრიჩი, ჯონ როკფელერის სიმამრი. სწორედ მათ შეიმუშავეს აშშ ფულის ბეჭდვის კერძო ორგანიზაციის შექმნის საიდუმლო გეგმა. შენიღბვის მიზნით, მას ფედერალური სარეზერვო სისტემა (ფსს) უწოდეს, მაგრამ მაშინდელი პრეზიდენტი ამის წინააღმდეგი იყო. საჭირო გახდა პრეზიდენტად მათი კაცის — ვუდრო ვილსონის წამოყენება. სენატორმა ოლდრიჩმა მოამზადა კანონპროექტი ფსს-ის შესახებ. ის სასწრაფოდ დაამტკიცეს 1913 წლის 23 დეკემბერს — შობის წინა დღეს, როდესაც ბევრი სენატორი არდადეგებზე წავიდა. პრეზიდენტმა ვილსონმა იმავე დღეს მოაწერა ხელი კანონს. ამისთვის ის მოგვიანებით უკვდავყოფილი იქნა ყველაზე ძვირფას 100000-დოლარიან კუპიურაზე. მოგვიანებით კონგრესმენმა ლუი მაკფედენმა განაცხადა, რომ ფედერალურმა რეზერვმა „შექმნა ზესახელმწიფო, რომელსაც მართავენ საერთაშორისო ბანკირები და მრეწველები, გაერთიანებულნი თავიანთი მოგებისათვის მსოფლიოს დასათრგუნავად“.



ფედერალური სარეზერვო სისტემის ბეჭედი.
13 ფოთოლი. 13 შავ-თეთრი ხაზი.

## ფედერალური სარეზერვო სისტემის საიდუმლო

მაინც რა იყო შეთქმულთა იმ ოპერაციის ინტრიგა? ყოველ სახელმწიფოში არის მისი ცენტრალური ბანკი. ერთი — ის სახელმწიფოს ეკუთვნის ან არის მისი კონტროლის ქვეშ, მაგრამ ამერიკაში სიტყვა „ფედერალური“ ფსს-ის სახელწოდებაში მახეა. ესაა კერძო სტრუქტურა, რომელიც შედგება 12 კერძო სააქციო ბანკისაგან. თითოეულს აქვს ფულის გამოშვების უფლება. სახელმწიფოს რეზერვები კი **ამ სარეზერვო** სისტემაში არაა. კანონით ფსს-ის გადაწყვეტილებებს აქვს დამოუკიდებელი ძალა და არ მოითხოვს პრეზიდენტის ან სხვა სტრუქტურების მოწონებას. გადაწყვეტილებებს იწონებენ მთავარი აქციონერები. მათი ინტერესები კი ყოველთვის როდი ემთხვევა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს, რადგან აქციონერებს მხოლოდ მოგება სურთ.

ამჟამინდელ კრიზისს ხშირად ადარებენ ამერიკის დიდ დეპრესიას. ამის თაობაზე ეკონომისტი სერგეი ეგიშიანცი აღწერს თავის წიგნში „გლობალიზაციის ჩიხები“.

„1927 წელს ფსს-მ განახორციელა საკრედიტო ემისიის ძლიერი შეტევა ეკონომიკაზე. დამატებითი ფულის ლომის წილი წავიდა საფონდო ბაზარზე. ბირჟაზე ძალიან ბევრი ხალხი თამაშობდა: 1929 წლის შემოდგომისთვის აქციებს ფლობდა ამერიკელთა ოჯახების დაახლოებით მეოთხედი... ფასები იზრდებოდა ყველა აქციაზე განურჩევლად.

1929 წლის აპრილში ფსს-ის პირველმა უფროსმა პოლ ვარბურგმა (კუნძულ ჯეკილის შეთქმულების ინიციატორი — რედ.) ოლიგარქებს გაუგზავნა საიდუმლო წერილი გაფრთხილებით მომავალი კრიზისის გარდაუვალობის შესახებ. აშშ უდიდესმა ბანკირებმა მთელი თავიანთი ფული გამოიტანეს საფონდო ბაზრიდან და გადაიტანეს ოქროზე; 1929 წლის 24 ოქტომბრის შემდეგ საერთოდ შეწყვიტეს საფინანსო კომპანიებზე რაიმე კრედიტის გაცემა ერთ დღეში დაფარვის ვადით. დაიწყო საფინანსო-საკრედიტო სისტემის დამბლა, რისი პასუხიც გახდა 28 და 29 ოქტომბერს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ჩამოქცევა. ხალხის უზარმაზარი დანაზოგები ერთ წამში მტვრად იქცა, რასაც ნახევარი წლის შეჩერების შემდეგ მოჰყვა მთელი საკრედიტო პირამიდის კრახი... სამაგიეროდ, იმ დროის უდიდესმა ოლიგარქებმა (როტშილდებმა, როკფელერებმა, მორგანებმა, კენედებმა, ბარუნებმა და ა.შ.) კარგად მოითბეს ხელი — მაგალითად, ჯოზეფ კენედის ქონება 1929 წლიდან 1935 წლამდე გაიზარდა 25-ჯერ“.

კრახის წინ ბანკირების გამოსვლამ ბირჟიდან ეჭვი გამოიწვია. მორგანი აშშ კონგრესის სპეციალურ კომისიაზეც კი მიიწვიეს, სადაც მან ერთი შემთხვევა გაიხსენა: ერთხელ ქუჩაში მორგანი მწმენდავს ფეხსაცმელს აპრიალებინებდა, სხვათა შორის, მან თურმე ბანკირს რკინიგზის კომპანიის აქციების შესახებ ჰკითხა, რამაც ბანკირს ერთი ჭეშმარიტება დაანახვა: თუ ფეხსაცმლის მწმენდავებიც შეძვრნენ საფონდო ბაზარში, მაშასადამე, კრახი ძალიან ახლოსააო. ამ ზღაპარს კონგრესზე დაუჯერეს.

ზოგიერთი ეკონომისტი, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმანი მიიჩნევდა, რომ დიდ დეპრესიაში თავისი წვლილი ფსს-ს მიუძღოდა. 1929 წლიდან 1933 წლამდე ამერიკაში ნაღდი ფულის მოცულობა ერთი მესამედით შემცირდა! მაგრამ ვინ იდგა საბეჭდ დაზგასთან? — ფსს.

როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა რუზველტი, გაჩნდა ნაღდი ფული. რუზველტმა გაამტკიცა ფსს-ის პოზიციები, ქვეყნის შიგნით მიმოქცევიდან ამოიღო ქაღალდის ფულის მთავარი კონკურენტი — ოქრო. აშშ ყველა მომდევნო პრეზიდენტიც ასევე ეხმარებოდა ფსს-ს პირამიდის მშენებლობაში. 1963 წლის 4 ივნისს ჯონ კენედიმ ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც ფედერალურმა მთავრობამ, პირველად 1913 წლიდან, მიიღო უფლება, დაებეჭდა ვალუტა, და არ ესესხა ფული ფედერალური რეზერვიდან პროცენტებით. ეს ვალუტა მთლიანად იყო უზრუნველყოფილი ვერცხლით. თითქოს ახალი ფული დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ შემოდგომაზე დალასში კენედი მოკლეს. ბანკნოტები ამოიღეს და, თუმცა კენედის ბრძანებულება არ გაუუქმებიათ, თეთრ სახლში უკვე აღარ იყვნენ სახელმწიფო ფულის ბეჭდვის მსურველები. როგორც კი ბაქსის ხელისუფლება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, საქმეში ერთვება მძიმე არტილერია — ომები, ტერორი.

## კონკურენტებს თავიდან იცილებენ

1968 წელს მეამბოხე სტუდენტების დახმარებით თავიდან მოიშორეს დე გოლი, რომელიც ხელყოფდა დოლარს. და მაინც, 1979 წელს გაჩნდა პირველი ევროპული ვალუტა — ეკიუ. თავდაპირველად ის შემოიღო საერთო ბაზრის ექვსმა ქვეყანამ, შემდეგ მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა; საჭირო გახდა კონტრზომების მიღება. ბევრს ახსოვს, 1992 წელს როგორ დაესხა თავს ინგლისურ გირვანქას ამერიკელი ფინანსისტი სოროსი, 1 მილიარდზე მეტი დოლარი რომ გამოიმუშავა. ცხადია, ის მარტო ამას ვერ



პლანეტის უმდიდრესი ოჯახების ფუძემდებლები — მეიერ ამშელ როტშილდი (მარცხნივ) და ჯონ დევისონ როკფელერი

# კერძო ბანკები მართავენ

შეძლებდა. დარტყმის მთავარი მიზანი ეკიუ იყო. სოროსის ოპერაციის შემდეგ ის დაკნინდა. შეშინებული ინგლისი, რომელმაც გამოიცნო „მინიშნება“, საერთოდ გამოვიდა ევროპის სავალუტო კავშირიდან. 1997 წელს „ცხვირზე წკიპურტი“ მიიღეს „აზიელმა ვეფხვებმა“, თავი რომ რაღაცად წარმოედგინათ. ამავე დროს იაპონურ იენსაც მოხვდა.

1999 წელს გაჩნდა ევრო. ნატოს მოუწია იუგოსლავიის დაბომბვა, რათა კონკურენტი დოლარის ღირებულებაზე დაბლა დაეწიათ. ერთხანს ამან შედეგი გამოიღო და სცენაზე გამოჩნდა სადამ ჰუსეინი. თუ 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტზე იფიქრეთ — შეცდით, დადასტურებულია, რომ არ ღებულობდა მონაწილეობას. სადამმა საკუთარ თავს სიკვდილის განაჩენი თვითონ გამოუტანა, როდესაც გადაწყვიტა დოლარიდან ევროზე გადასულიყო ნავთობზე გადაანგარიშებით. აი, ესაა დარტყმა! ერაყს ხომ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ნავთობის მარაგების მიხედვით. აშშ შურისძიება მკაცრი იყო. ამასთან ერთად, ჩაშალეს 2003 წლისათვის დაგეგმილი ისლამის ოქროს დინარის შემოღება 23 ქვეყანაში.

მაგრამ ერაყში შტატები ჩაფლავდა, ავღანეთშიც. ამასობაში კი ჩინეთი თვალდათვალ იზრდება. მასთან ომს ვერ დაიწყებ. უკვე სხვა ქვეყნებიც ალაპარაკდნენ ბანკების მკაცრი კონტროლის შესახებ, ახალ მსოფლიო ვალუტაზეც კი. ნუთუ ბაქსის ეპოქას დასასრული ემუქრება?

## ვისთვისაა ხელსაყრელი?

აქ ჩნდება კითხვები: მაინც რა უდგას უკან მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისს? საერთაშორისო ოლიგარქებმა ჯინი გამოუშვეს ბოთლიდან და პროცესი უმართავი გახდა? თუ ყველაფერი დაგეგმილი იყო? შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ კრიზისის მთავარ დამნაშავედ ბუშსა და კლინტონს კი არ ასახელებენ, არამედ ფსს-ის ყოფილ ხელმძღვანელს ალან გრინსპენს? შარშან მას სპეციალურ კომისიაზეც კი იწვევდნენ, რომელიც კრიზისის პირობებს იკვლევს. ჩვეულებრივად თავის თავში დარწმუნებული გრინსპენი აქ უსუსურად შლიდა ხელებს, ვერ დაინახეთ უბედურება, ასეთი კრახი ას წელიწადში ერთხელ ხდებაო. ეს ისტორია რაღაცით მორგანისა და ფეხსაცმლის მწმენდავის ამბავს გვაგონებს.

საინტერესოა „ფაინეშნელ ტაიმსში“ გამოქვეყნებული აშშ ყოფილი ფინანსთა მინისტრის პოლსონის სტატია. ის ეთანხმება მოსაზრებას, რომ საჭიროა საფინანსო რეგულირების რეფორმა, მათ შორის ამერიკაშიც. ყველაფერი მოფიქრებულია! ერთი წლის წინათ პოლსონი თავად მონაწილეობდა რეფორმის საკითხების მომზადებაში. საჭიროა სამი უწყება: ერთი თვალყურს გაადევნებს მთლიანად საფინანსო სექტორის სტაბილურობას, მეორე შეაფასებს ცალკეული კომპანიების საიმედოობას, მესამე კი — დაიცავს მომხმარებელთა უფლებებს. პირველი უწყების როლში შეიძლება გამოვიდეს ფსს, მიაჩნია პოლსონს. წარმოგიდგენიათ? მათ ყველაფერი წინასწარ აქვთ დაგეგმილი, ჯერ ამერიკაში, ხოლო როდესაც ყველას კიდევ უფრო მეტად გაუჭირდება, მაშინ ფსს შეიძლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაამტკიცონ. აი, მაშინ აჩვენებს თავის თავს ფსს. იუანიც გაუფასურდება, ევროც, იენაც, დინარიც რუსულ ოქროს რუბლთან ერთად. იქნებ სწორედ ამაზე იყო გათვლილი საიდუმლო გაანგარიშება?

დაველოდოთ. ვიდრე ფსს-ის ხელშია საბეჭდი დაზგა, ბანკირები შეეცდებიან, დაინახონ მსოფლიო მათ ფეხებთან გართხმული დოლარის იმ პირამიდიდან. ისინი თავის მონოპოლიას ასე უბრალოდ არ დათმობენ. მაგრამ გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად მათი საიდუმლო გეგმები ჩაიშლება.

## სადაც საბეჭდი დაზგები ტრიალებენ

1991 წლამდე ყველა ბანკნოტს ვაშინგტონში ბეჭდავდნენ, რაზეც მოწმობს მასზე გაკეთებული წარწერა, მაგრამ სიმძლავრეები აღარ არის საკმარისი. 1991 წლის აპრილში აშშ გრავირებისა და ბეჭდვის ბიურომ ფორტ-უერტში, ტეხასის შტატში აამოქმედა მეორე ფაბრიკა. ფაბრიკებში დაახლოებით 2800 კაცი მუშაობს, ყოველდღიურად უშვებენ სხვადასხვა ნომინალის დაახლოებით 35 მილიონ ბანკნოტს, სავარაუდოდ, 635 მილიონი დოლარის საერთო ღირებულებით. ერთი ბანკნოტის დამზადების ღირებულება დაახლოებით 5,7 ცენტია. ჩარხები მხოლოდ ერთ დღეს არის გაჩერებული — შობას!

## ვინ უფრო ძვირფასია ბანკირებისათვის

ცხადია, ვინც ბაქსებს ბეჭდავს, იგი უკვეთავს პორტრეტებსაც მათზე. ვნახოთ, როგორ აფასებენ საიდუმლო მეპატრონეები აშშ ოფიციალურ მმართველებს.




აქ აღნიშნულია, რომ კუპიურა დაბეჭდილია ვაშინგტონში

## მეგობრები

100 000 დოლარი (ყველაზე ძვირი კუპიურა ყველაზე მდიდრებისათვის) — პრეზიდენტი ვ.ვილსონი. დაეხმარა ფსს-ის აფერაში!

10 000 დოლარი — აშშ ხაზინის მდივანი ს. ჩეიზი. ბანკირების მზვერავი ლინკოლნის ბანაკში.

100 დოლარი (ყველაზე პოპულარული კუპიურა) — ბ.ფრანკლინი, ამერიკელი მასონების „მამა“.

## მტრები

5 დოლარი — პრეზიდენტი ა. ლინკოლნი.

2 დოლარი (არარეგულარული გამოშვება) — პრეზიდენტი თ. ჯეფერსონი.

## სიმბოლო

1 დოლარი — აშშ პირველი პრეზიდენტი ჯ. ვაშინგტონი. მაგრამ ესაა ყველაზე მასობრივი კუპიურა, აღსავსე მასონური სიმბოლოებით.

## ამერიკის მთავარი ხაზინადარები

კარგადაა ცნობილი გამოთქმა: „როცა ამერიკა ახველებს, ირყევა მთელი მსოფლიო“. მაგრამ უნდა დაახველოს არა მარტო პრეზიდენტმა, არამედ აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემაც! პრეზიდენტები თეთრ სახლში მოდიან 4, მაქსიმუმ 8 წლით. ფსს-ის ხელმძღვანელებს კი შეუძლიათ, ისხდნენ თავიანთ სავარძლებში მთელი 14 წელი. კიდევ მეტიც. რა ხალხია ისინი? გადავხედოთ უკანასკნელი სამეულის ბიოგრაფიებს.

**პოლ ვოლკერი** (1979-1987 წლები) — 82 წლის, იყო დევიდ როკფელერის პირადი კონსულტანტი, შემდეგ ჩეიზ მანჰეტენ ბანკის (როკფელერი და ვარბურგი) ვიცე-პრეზიდენტი, წავიდა სახელმწიფო სამსახურში, ფინანსთა მინისტრის ამ თავმდაბალი მოადგილის რეკომენდაციით პრეზიდენტმა ნიქსონმა 1971 წელს გამოაცხადა, რომ აშშ დოლარს აღარ გადაცვლის ოქროზე.

ამჟამად ვოლკერი სათავეში უდგას ობამასთან ეკონომიკის საკონსულტაციო საბჭოს.

**ალან გრინსპენი** (1987-2006 წლები) — 83 წლის იყო Mobil P. Morgan-ის (როკფელერისა და ბანკის) დირექტორთა საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა ფსს-ს თითქმის 20 წელი! მას პლანეტის ყველაზე გენიალურ ფინანსისტს, მსოფლიოს მთავარ ბანკირს, ახალ დელფიის ორაკულს უწოდებდნენ. დღეს კი გრინსპენი მსოფლიო კრიზისის 25 მთავარ დამნაშავეთა სიაში პირველ ადგილზეა. მისმა დაბალი საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკამ და კონტროლის უქონლობამ იპოთეკურ დაკრედიტებაზე გამოიწვია „ბუშტების“ წარმოქმნა საცხოვრებლების ბაზარზე, რითაც დაიწყო კოლაფსი. კიდევ ერთი ბრალდება — გრინსპენი დერივატივების განვითარებისათვის იბრძოდა. მის დროს ისინი 100-დან 500 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა; პენსიონერია.

**ბენ შალომ ბერნანკე** — ფსს-ს სათავეში უდგას 2006 წლიდან, 55 წლის, დაიბადა ორთოდოქსალურ ებრაულ ოჯახში; წინამორბედებისაგან განსხვავებით, მსოფლიო ოლიგარქების კომპანიებში არ უმუშავნია; ჰარვარდში შევიდა მასონურ საზოგადოებაში „ფი-ბეტა-კაპა“. ნახევარი წლის განმავლობაში უმცროსი ბუშის დროს სათავეში ედგა ეკონომიკური ექსპერტების საბჭოს; ზედმეტი სახელი — შვეულმფრენი ბენი. ერთხელ საჯაროდ განაცხადა, რომ ზოგჯერ კრიზისის პირობებში საჭიროა ფულის გადმოყრა შვეულმფრენიდან, ე.ი. მთელი ძალით საბეჭდი დაზგის ამუშავება. სწორედ ამას აკეთებს ახლა.

**ევგენი ჩერნიხი**
**„კომსომოლსკაია პრავდა“**

# ამერიკის ჰეგემონიის დასასრული

**საიმონ ჯონსონმა „The Atlantic Online“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, რომ ამერიკულმა ეკონომიკამ მესამე მსოფლიოს ოლიგარქიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი თვისებები შეიძინა. ბანკებსა და ხელისუფლებას შორის საზღვარი იმდენად გაუფერულდა, რომ ვაშინგტონი, ფაქტობრივად, უოლ-სტრიტს ექვემდებარება.**




ფინანსურ სექტორს იმდენი ძალაუფლება და ფული აქვს, რომ ახლა, უმძიმესი კრიზისის პირობებში, ხელისუფლებაცა და ორივე პარტიაც საბანკო სისტემის საკეთილდღეოდ ივიწყებს ყველა სხვა პრობლემას. სისტემა, რომელშიც ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი მდიდარი ელიტის ხელქვეითია, განვითარებადი ქვეყნების — რუსეთის, არგენტინის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების მახასიათებელია. მსგავსი სიტუაცია მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში რომ შექმნილიყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აუცილებლად ჩაერეოდა და დაიწყებდა კორუფციასთან ბრძოლას. ის წამოაყენებდა ბანკების დროებითი ნაციონალიზაციის წინადადებას, რის შემდეგაც მათ დაყოფდა ან დაშლის საშუალებას მისცემდა. ამ წინადადებაზე დათანხმება კი ნებისმიერ ქვეყანას მოუწევდა, თუნდაც, მოსალოდნელი სრული ანარქიის შიშით. მეორე მხრივ, აშშ ნამდვილად არაა ისეთი ქვეყანა, რომელზეც საერთაშორისო სავალუტო ფონდს ექნება გავლენა. ჩვენ გვჯერა საკუთარი ეკონომიკური სისტემის საიმედოობის და ისიც დავიჯერეთ, რომ, თუ რაიმე კარგია ბანკისათვის, კარგია ქვეყნისთვისაც. შედეგად, ხელისუფლება მზადაა, მოქალაქეებს ჯიბიდან ფული ამოაცალოს და ბანკებს მისცეს, ოღონდაც მათი გადარჩენის გარანტია შექმნას. ხელისუფლებამ ისიც კი მოინდომა, საზოგადოებრივი სახსრებით კერძო ვალები გაესტუმრებინა, ჯონსონს კი ეს 90-იან წლებში კრემლის მოქმედებებს აგონებს.

დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ 1998 წელს, ვაშინგტონის „ბიჭების კლუბმა“ დასცინა ბრუკსლი ბორნს, რომელმაც კრედიტ-დეფოლტის რეგულირებისათვის ზომების მიღების იდეა წამოაყენა. ახლა ნანობს ყველა, ვინც მაშინ არ უსმინა ბორნს. ამ კამათიდან რამდენიმე თვის შემდეგ ბორნმა დატოვა სასწრაფო სავაჭრო ბირჟის კომისიის ხელმძღვანელის თანამდებობა. მას მაშინდელ პრეზიდენტ კლინტონთან რეპუტაცია საბანკო ელიტასთან კონფლიქტმა გაუფუჭა. ბორნის ომი მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმ სულელური პოლიტიკისა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ დაწყებული რეგულირების გაუქმებამ დაასრულა საკუთარი ციკლი და ჩვენ დანგრეული ეკონომიკის წინაშე აღმოვჩნდით. მაგრამ ქამრების მოჭერის ნაცვლად, ხელისუფლება განაგრძობს პოლიტიკას, რომელიც მხოლოდ ფინანსისტებს აძლევთ ხელს. პრეზიდენტი ობამა ცდილობს, როგორმე დაარეგულიროს პრობლემური ბანკები, მაგრამ მისი დირექტივები სავსეა თავდასაძრომებით, რომელთა გამოყენებაზეც უოლ-სტრიტის იდეალების დიდი მიმდევარი ფინანსთა მინისტრი ჰაიტნერი ზრუნავს.

მსგავს მდგომარეობაში სხვა ქვეყანა რომ აღმოჩენილიყო, საყოველთაო ზიზღს დაიმსახურებდა და სხვა ქვეყნებისგან დაფინანსების შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოუწევდა ხვეწნა-მუდარა. ის კი დახმარების სანაცვლოდ იმ კანონების მიღებას მოგვთხოვდა, რომლებიც ჩვენს ბანკებს გაანადგურებდა.

ცხადია, აშშ საერთაშორისო სავალუტო ფონდს კრედიტს ვერ მოსთხოვს — ჩვენ ხომ ამ ორგანიზაციის მთავარი კრედიტორები ვართ, მაგრამ კარგი იქნებოდა, მათ მიერ გამოქვეყნებულ ზოგიერთ დირექტივას თუ გავითვალისწინებთ. ჩვენ მთლიანად უნდა მოვახდინოთ ბანკების ნაციონალიზება და სუსტებს გაქრობის საშუალება მივცეთ, გადარჩენისუნარიანებს კი დავუწესოთ საზღვრები, რათა ყველაფერი ხელახლა არ განმეორდეს.

ყოველივე ეს ძვირად დაგვიჯდება, საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, მხოლოდ ბანკების გაწმენდა 1,5 ტრილიონ დოლარს მოითხოვს, მაგრამ ჯობს, ეს ფული დავხარჯოთ პრობლემის მოსაგვარებლად, ვიდრე ისევ ისე გავაგრძელოთ, როგორც აქამდე ვიქცეოდით. ჩვენ ხომ უკვე დავხარჯეთ დაახლოებით ამდენივე დაშლისპირას მყოფი ფინანსური სისტემის შესანარჩუნებლად და ვერაფერს მივაღწიეთ. ამერიკა სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს და ზუსტად ისევე უნდა დაიცვას ფინანსური პასუხისმგებლობის წესები, როგორც სხვა ნებისმიერმა ქვეყანამ მსოფლიოში. თუ ყურადღებას არ ვაქცევთ ჩვენი ეკონომიკის სხვა ნათელ პრობლემებს, ხომ შეგვიძლია, ფინანსური სექტორით მაინც დავკავდეთ სერიოზულად იმის ნაცვლად, რომ განვაგრძოთ ძველი დამანგრეველი პოლიტიკა.

# ყაზახეთში ციდან ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ცვივა



**როგორც თვითმხილველები ირწმუნებიან, ყაზახეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე დასახლებაში ამ რამდენიმე დღის წინათ, ღამის სამ საათზე, ცაზე ორი მანათობელი ბურთი გამოჩნდა.**

ბურთები დედამიწისკენ მოიწევდა და თან წითელ, ყვითელ და მწვანე ნაპერწკლებს აფრქვევდა. მიწაზე დავარდნის შემდეგაც მათთან მიკარება ვერავინ შეძლო, ვიდრე სამოციოდე სანტიმეტრის დიამეტრის მქონე გავარვარებული ბურთები საბოლოოდ არ გაგრილდა. ამის შემდეგ კი იჯერეს გული ცნობისმოყვარეებმა, რა აღარ მოიმოქმედეს, მაგრამ უცნაურ მრგვალ სხეულებს ბზარიც კი ვერ გაუჩინეს, მხოლოდ ნაპერწკლები გააყრევინეს კიდევ რამდენჯერმე.

ყაზახეთში ასეთი უცნაური მოვლენებით ძნელად თუ გააკვირვებთ ვინმეს. 5 იანვარს პოლიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა საკუთარი თვალით იხილა, თუ როგორ ჩაეშვა მდინარეში ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, მაშინვე აცნობა განსაკუთრებული სიტუაციების სამსახურსაც, მაგრამ, როგორც სამაშველო სამსახური ირწმუნებოდა, მინიშნებულ დროს მინიშნებულ მდინარეზე იდო ნახევარი მეტრის სისქის ყინული, რომელსაც 8-ტონიანი სიმძიმის გაძლება შეუძლია. მაგრამ პოლიციელს არაფერი მოლანდებია, ამოუცნობმა მფრინავმა ობიექტმა ამ ყინულზე 15 კვადრატული მეტრის ფართობის ხვრელი დატოვა.

# მომავლის ნოუთბუქებს რეზინის ეკრანები ექნება

**იაპონელმა მეცნიერებმა შექმნეს ელასტიკური დისპლეი, რომელიც მრავალჯერად მოკეცვასაც უძლებს და სიგრძესა თუ სიგანეზე გაწელვასაც.**



თანაც, დეფორმირებისას გამოსახულება აბსოლუტურად არ კარგავს ხარისხს. მართალია, ამ ეტაპზე მსგავსი მონიტორები მხოლოდ ერთეული რაოდენობითაა შექმნილი საჩვენებელ ვარიანტებად, მაგრამ სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ელასტიკური მობილურებისა და ფლეერების წარმოებაში ჩაშვება სულაც არაა საუკუნისშემდგომი პერსპექტივა. ამ ეტაპზე რეზინის მონიტორის ზომა 100 კვადრატულ სანტიმეტრს არ აღემატება, შესაძლებლობები კი — 256 პიქსელს. სამაგიეროდ, ათასჯერ მეტ ფართობზე გაწელვის შემთხვევაშიც კი ხარისხის კლება, ფაქტობრივად, არ იგრძნობა. ახლა მეცნიერები პიქსელების მომატების საკითხზე მუშაობენ.

# ევროპას მომავალ ზამთარს უარესი გამყინვარება ელის

**რუსეთ-ევროპის ენერგეტიკული პარტნიორობის მორიგი მოლაპარაკება, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა და თუ მდგომარეობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, დამდეგ ზამთარს აღმოსავლეთ ევროპას კვლავ ენერგოკრიზისი ელის. თანაც, ეს მხოლოდ ბუნებრივ აირს კი არა, ნავთობსაც შეეხება.**



ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპის ენერგეტიკულ ქარტიასთან მოლაპარაკება მკვდრადშობილი ბავშვია და ამით მიანიშნა, რომ ევროკომისიასთან ამ საკითხის განხილვასაც კი არ აპირებს. რუსეთი ევროპაზე უკრაინულ-ევროპული პროექტის ოდესა-ბროდის ნავთობსადენის საპირისპირო მიმართულებით ამუშავების გამოა გაბრაზებული. ახლახან ფინეთში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ძველმა ენერგეტიკულმა ქარტიამ და სხვა დოკუმენტებმა თანამშრომლობის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, რის გამოც რუსეთი მათ რატიფიცირებას არ აპირებს. რუსეთმა რატიფიცირებაზე უარი თქვა და თავად მედვედევმა დაუგზავნა, მისი აზრით, რუსეთისათვის მნიშვნელოვან ქვეყნებს ახალი დოკუმენტი. მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე კი ევროპას ამ დოკუმენტის განხილვის ნაცვლად მხოლოდ თავისმართლება უწევდა უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის პროექტზე ხელის მოწერის გამო. რუსეთის ვიცე-პრემიერმა იგორ სეჩინმა გარკვევით განმარტა, რომ რაკი ასეა, თუ უკრაინა ვერ შეძლებს, 19,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზით უზრუნველყოს ევროპაში საწვავის ტრანზიტი, 2009 წლის ზამთარი ამ უკანასკნელს წინა ზამთარზე უარესი ელის. ექსპერტების აზრით, ეს რუსეთის ახალი სცენარია ევროპასთან მომავალი ენერგოომის საწარმოებლად. თუმცაღა, ამ ომის თავიდან აცილება შეიძლება.



უკანასკნელი სიტყვა ახლა ევროკავშირს ეკუთვნის. რუსეთმა უკვე წამოაყენა თავისი პირობები და ბრძანა, რომ მხოლოდ მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში აიცილებს ევროკავშირი მოსალოდნელ თავისტკივილს. მაგრამ თუ ევროპა უკრაინული ოდესა-ბროდის პროექტის განხორციელებას მაინც გადაწყვეტს, რუსეთი ჩათვლის, რომ ეს კასპიის რეგიონის ნავთობია და მაშინ მთელი სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა ევროპელ მომხმარებლებს მოუწევთ. გარდა ამისა, აუცილებელი იქნება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გადაწყობა კასპიის ნავთობის ახალი პარამეტრების შესაბამისად, ეს კი მილიარდობით დოლარი დაუჯდება ევროპას. ყოველივე ამის შესახებ რუსეთმა ევროკავშირს ცალსახად და გახსნილად აცნობა, სეჩინმა კი ბოლოს ისიც დასძინა, — საიდან უნდა მოიტანონ ეს მილიარდობით დოლარი, იმათ იფიქრონ, ვინც ამ პროექტის განხორციელებას აპირებსო. ექსპერტები თვლიან, რომ რუსული არგუმენტები მყარია და ევროპას უკრაინის ამბიციური პროექტების მხარდაჭერის გამო გამყინვარება არ ასცდება. ევროკავშირის წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში ბოლოს იმასღა იხვეწებოდა, რომ დამსხდარიყვნენ და მოელაპარაკათ, მხოლოდ არა ისეთ ატმოსფეროში, რომელიც ხვალინდელი კატასტროფის გარდაუვალობას მოასწავებს.

# „აღმოსავლური პარტნიორობა“ ევროკავშირს ტვირთად ექცა

**პრაღაში ახლახან გაიხსნა „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტი, რომელშიც ევროკავშირის გარდა აზერბაიჯანის, ბელარუსის, სომხეთის, მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ყველა მონაწილე ქვეყნის პრეზიდენტებს პრაღაში ჩასვლით თავი არ შეუწუხებიათ, მაგრამ უკრაინიდან პრეზიდენტი იუშჩენკო პრემიერ ტიმოშენკოსთან ერთად გამოცხადდა. მუხროვანის მეამბოხეებთან გულითადი საუბრის შემდეგ სამიტი მიხეილ სააკაშვილმაც „დააფასა“.**

როგორც ცნობილია, „აღმოსავლური პარტნიორობის“ იდეა დასავლეთში გაჩნდა აგვისტოს სამხრეთკავკასიური ომიანობის შემდეგ, მაგრამ პოლიტოლოგები პროექტში ვაშინგტონის ხელსაც ხედავენ, რადგან პარტნიორობა რუსეთის გვერდის ავლით ენერგეტიკის სამხრეთი დერეფნის შექმნას გულისხმობს. ევროკავშირი 2013 წლამდე ექვსივე ქვეყანას ერთად 600 მილიონ ევროს, გამარტივებულ სავიზო რეჟიმს და თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნას ჰპირდება.

რუსეთს, ენერგორესურსების უმსხვილეს ექსპორტიორს, პროექტი ამ სფეროში გავლენის დაკარგვის საფრთხეს უქმნის, გარდა ამისა, რუსეთის უახლოესი მეზობლები ევროკავშირის გავლენის ქვეშ ექცევიან და მოსკოვს, ცხადია, არც ეს სიამოვნებს. რუსეთს შესთავაზეს, — თუ გსურს, შემოუერთდი ჩვენს კეთილმეზობლობასო, მაგრამ თავად რუსეთი თვლის, რომ მის ნაციონალურ ინტერესებს ანგარიშს არ უწევენ და სუვერენიტეტსაც საფრთხის ქვეშ აყენებენ. რუსეთის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევი შეშფოთებულია: „თუ აღმოსავლური პარტნიორობა იმისკენაა მიმართული, რომ ლამაზი ლოზუნგების თანხლებით რუსეთსა და ამ პროგრამაში შემავალ სახელმწიფოებს შორის ახალი საზღვარი გაავლოს, რა თქმა უნდა, ჩვენ ეს არ მოგვეწონება. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ევროკავშირი ვერ გაუძლებს ცდუნებას და ამ ქვეყნებს დააყენებს დილემის წინაშე: ან ჩვენთან ხართ, ან — რუსეთთან“.

„აღმოსავლურ პარტნიორობას“ სხვა პრობლემებიც აქვს. მაგალითად, აზერბაიჯანს სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან ევროკავშირისეული გეგმით თანამშრომლობის განვითარება არ სურს, თავად ევროპელი დიპლომატები კი თვლიან, რომ პროექტი არ იქნება იმდენად მასშტაბური, როგორიც აღმოსავლეთელ პარტნიორებს სურთ. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკები ევროპაში უვიზო მიმოსვლის პუნქტის დაუყოვნებლივ ამუშავებას ითხოვენ. ევროკავშირის ბევრ ქვეყანას კი სულაც არ სურს, პარტნიორობაში მონაწილე ექვსი ქვეყანა ევროპად მონათლოს და მომავალში ევროკავშირის წევრობის მადა აღეძრას. ყოველივე ამის გამო ევროპას აღნიშნულ თანამშრომლობაზე, ცოტა არ იყოს, გული აუცრუვდა და როგორც პრაღის სამიტის მონაწილე ევროკავშირის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა თქვა, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებისაგან ამ სამიტზე ჩამოუსვლელობა იმის მანიშნებელია, რომ ლონდონსა და პარიზში პროექტს სერიოზულად არ მიიჩნევენ.



ამრიგად, რუსეთის ირგვლივ მოკავშირეების რკალის შექმნის სტრატეგიული პროექტი ევროკავშირს თანდათან მძიმე ტვირთად აწვება და, როგორც ჩანს, დასავლეთში უკვე დაფიქრდნენ, რა ფასად დაუჯდებათ ერთმანეთთან მოქიშპე ან არასტაბილურ ქვეყნებთან საეჭვო თანამშრომლობა.

# რუსეთში კრიზისი მთავრდება

**მიუხედავად იმისა, რომ ტოპმენეჯერები გაყიდვების მოცულობით ჯერ კიდევ უკმაყოფილონი არიან, მაის-ივნისიდან რუსეთის საწარმოები პროდუქციის წარმოებას აღარ შეამცირებს.**

ყოველ შემთხვევაში, ასეთი შედეგები მიიღო გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტმა ჩატარებული კვლევიდან. იმავე ინსტიტუტის მონაცემებით, ეკონომიკური კრიზისი სხვადასხვა თანამდებობის პირებმა ბიზნესსექტორში სხვადასხვა დროს და სხვადასხვანაირად აღიქვეს. რაღაც არასასურველი პირველებმა დირექტორების მოადგილეებმა იყნოსეს ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, მაშინ ხელისუფლებაცა და უამრავი ექსპერტიც ირწმუნებოდა, რომ კრიზისი რუსეთს მხოლოდ გვერდს აუვლიდა და არანაირად არ შეეხებოდა. ოქტომბერში საწარმოების ხელმძღვანელებს თვალი აეხილათ და დარწმუნდნენ, რომ მათი მოადგილეები არ შემცდარან. ნოემბერში მოადგილეების პესიმიზმმა პიკს მიაღწია, დირექტორებისათვის იგივე ეტაპი დეკემბერში დადგა. ახლა წლის მეორე ნახევრიდან ხელისუფლებაცა და ექსპერტებიც ეკონომიკის მკვდრეთით აღდგენას ელიან, საკვები პროდუქტების წარმოებასა და მანქანათმშენებლობის მიმართულებით საიმედო ძვრები უკვე შეინიშნება. სამწუხაროდ, მონაცემები სულ სხვას მეტყველებს. აპრილის მაჩვენებლები ჯერჯერობით დაუთვლელია, მაგრამ მარტის შედეგების მიხედვით ერთ თვეში წარმოებამ 13,7 პროცენტით იკლო. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტის მონაცემები თებერვლის მონაცემებთან შედარებისას 11,1-პროცენტიან მატებას უჩვენებს. შარშან, როდესაც მსოფლიო კრიზისზე ჯერ არც კი ფიქრობდნენ, თებერვლიდან მარტამდე წარმოება თითქმის ასევე გაიზარდა. ასე რომ, იმედი არის.




# კოსმოსს ორი უნიკალური თანამგზავრი შეემატა

**ხუთშაბათს გაფრინდა რაკეტა, რომელმაც ორბიტაზე გაიყვანა ორი უჩვეულო აპარატი: უმსხვილესი ტელესკოპი „გერშელი“ და კოსმოსური ობსერვატორია „პლანკი“.**

„გერშელზე“ დამონტაჟებულია დღემდე კოსმოსში გაგზავნილთაგან ყველაზე მძლავრი ინფრაწითელი ტელესკოპი, რომლის სარკის დიამეტრიც 3,5 მეტრია და სწორედ ამის წყალობით მოახერხებს ის ყველაზე ცივი და შორეული ობიექტებისაგან გამოსხივებული რადიაციის მიღებას. „გერშელის“ მიზანია, შეისწავლოს ვარსკვლავებისა და გალაქტიკის ევოლუცია, რათა გაირკვეს სამყაროს წარმოშობისა და განვითარების იდუმალებით მოცული საკითხი. რაც შეეხება „პლანკს“, ის გახდება პირველი ევროპული ობსერვატორია, რომლის ამოცანაც დიდი აფეთქების შემდეგ შემორჩენილი მიკროტალღური ფონის შესწავლაა. თეორიის თანახმად, ეს აფეთქება დაახლოებით 14 მილიარდი წლის წინათ მოხდა. ეს აპარატები რაკეტამ დედამიწიდან 1,5 მილიარდი კილომეტრის დაშორებით დამოუკიდებელ ორბიტებამდე უნდა მიიტანოს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მედვედევმა რუსეთის ფედერაციის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია დაამტკიცა

**დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას „რუსეთის ფედერაციის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ 2020 წლამდე“. კრემლის პრესსამსახურის ცნობით, ახალი სტრატეგიის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანოების სტრუქტურების რაოდენობა შემცირდება, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობების პირების მიმართ საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით გაიზრდება სასამართლოების კომპეტენცია, განათლების სფეროში ახალი სტანდარტები დაინერგება.**

ეკონომიკის სფეროში გაგრძელდება მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესი და იგეგმება რუბლის გამყარება, შემუშავდება ფინანსური რისკების შეფასების ახალი სისტემები. პოლიტიკურ ასპექტში რუსეთი მრავალპოლარული მსოფლიოს იდეისა და რეგიონული კონფლიქტების დიპლომატიური გზით მოგვარების პრინციპის ერთგული დარჩება. პოლიტიკა მიმართული იქნება ურთიერთობების გამყარებისაკენ, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირთან, ჩინეთთან, ინდოეთთან, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებთან. საერთაშორისო პოლიტიკაში ყურადღების ცენტრში მოექცევა ენერგორესურსების წყაროების მფლობელობა ახლო აღმოსავლეთში, ბარენცის ზღვასა და არქტიკის სხვა რაიონებში, კასპიის ზღვის აუზში და ცენტრალურ აზიაში. საერთაშორისო მდგომარეობაზე ნეგატიურ ზეგავლენას უახლოეს მომავალში კვლავ მოახდენს ირანსა და ავღანეთში შექმნილი სიტუაცია, კონფლიქტები ახლო და შუა აღმოსავლეთში, სამხრეთ აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში, კორეის ნახევარკუნძულზე. ამავე დროს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის მიმართულებით პრიორიტეტს წარმოადგენს განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლზე ახალი შეთანხმებების მიღწევა, ნდობის გაძლიერება. 2020 წლამდე რუსეთი პრაგმატული არაკონფრონტაციული კურსით განავითარებს შიდა პოლიტიკას და — არავითარი შეიარაღება. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთის უსაფრთხოებას ემუქრება მთელი რიგი სახელმწიფოების სურვილი, მიაღწიონ უპირატესობას სამხედრო სფეროში.



რუსეთი გაამყარებს მრავალმხრივ ურთიერთობას ისეთ ფორმატებში, როგორიცაა: „დიდი რვიანი“, „ოცეული“ და სხვა. ამასთან, კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია განიხილება როგორც მთავარი სახელმწიფოთაშორისი ინსტიტუტი რეგიონული გამოწვევების (სამხედრო-სტრატეგიულიდან, ნარკოტიკულ-ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო ბრუნვის ჩათვლით) საწინააღმდეგოდ. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სტრატეგიის რეალიზება გააუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს, საზოგადოებრივ სტაბილურობას, ნაციონალურ თავდაცვას და გაზრდის ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს.

თავად პრეზიდენტმა მედვედევმა დოკუმენტს ფუნდამენტური უწოდა და აღნიშნა, რომ ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულია ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. მისივე თქმით, მსგავსი დოკუმენტი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთმა გადალახა გარდამავალი პერიოდი, ვითარდება და გადავიდა ხანგრძლივი სტრატეგიული განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე.

## გერმანია საქართველოში ნატოს წვრთნების გამო უკმაყოფილოა

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვოლტერ შტაინმაიერის აზრით, ნატოს წვრთნების საქართველოში ჩატარების იდეა ძალზე საეჭვოდ გამოიყურება.**

„ამ პირობებში, როდესაც რესპუბლიკაში შიდა მდგომარეობა დაიძაბა, მათი ჩატარებისათვის დროის შერჩევის საკითხზე კიდევ ერთხელ ღირდა დაფიქრება“, — განაცხადა გერმანიის მთავარმა დიპლომატმა. მისი აზრით, პრეზიდენტისა და ოპოზიციის დაპირისპირებას ეს წვრთნები კიდევ უფრო გაამწვავებს და ამ მოსაზრებას მისი რუსი კოლეგაც იზიარებს. სერგეი ლავროვის აზრით, საქართველოში ჩატარებულმა სწავლებებმა ქართულ რეჟიმს შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ ხელფეხის გახსნის შეგრძნება გაუჩინოს. შეგახსენებთ, რომ გერმანიამ და რიგმა სახელმწიფოებმა ამ წვრთნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ახლა, როდესაც წვრთნები მაინც დაიწყო, შტაინმაიერის აზრით, უმნიშვნელოვანესია, არავის მხრიდან არ დაიშვას „უტრირებული რეაქცია“, სააკაშვილს, რომელსაც უკვე უკიდურესად ნათლად მიანიშნეს, რომ მის ქვეყანას უახლოეს მომავალში ნატოს წევრობა არ ეღირსება, კვლავ მიეცა მიზეზი, ალაპარაკებულიყო, რომ დასავლეთი უსიტყვო მხარდაჭერას უცხადებს მის პოლიტიკას.

ნატოს მანევრებმა მხოლოდ საქართველოში როდი გაართულა მდგომარეობა, ალიანსის გადაწყვეტილებისადმი პროტესტის ნიშნად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა 18-19 მაისისათვის ბრიუსელში დაგეგმილ „რუსეთი-ნატოს“ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დასწრება აღარ მოინდომა. შედეგად, ამ ორგანოს მუშაობა იმთავითვე შეჩერდა.



## სააკაშვილმა დუმის დეპუტატისაგან გაქცევით დაიხსნა თავი

**მიხეილ სააკაშვილმა დუმის დეპუტატ იგორ ჩემერისისაგან თავს გაქცევითა და დაცვის ორი წევრის დახმარებით უშველა.**

რა ჰალსტუხები გაუძლებს, თუ ამდენი ინერვიულა, არადა, ახლახან ისევ გაანერვიულეს საქართველოს პრეზიდენტი. სააკაშვილი ჩეხეთის დედაქალაქს საქმიანი ვიზიტით — „აღმოსავლური პარტნიორობის“ 8 მაისის სამიტზე დასასწრებად ეწვია და სავაჭრო ცენტრშიც შეიარა. სწორედ ამ დროს ბუტიკში შემთხვევით იგორ ჩემერისს გადაეყარა და, ცხადია, ამის გამო განსაკუთრებული სიხარული არ განუცდია. სამაგიეროდ, ჩემერისი აღფრთოვანდა შეხვედრით და, როგორც შემდეგ უამბობდა ჟურნალისტებს, მიახალა, — არამზადავ, ეს რა ჩაიდინეო. სააკაშვილი მაშინვე ამოეფარა საკუთარ დაცვას და რაღაც ჩაიბურტყუნა ინგლისურად, შემდეგ კი ინგლისურადვე, დაუმშვიდობებლად დააპირა თანამოსაუბრის მიტოვება. მაგრამ განრისხებული დეპუტატი ამ საუბარმა ვერ დააკმაყოფილა და უახლოეს ბუტიკში შემალულ სააკაშვილს დაედევნა. ამ უკანასკნელმა კი პირადი მცველების დახმარებით სასწრაფოდ დატოვა სავაჭრო ცენტრი სათადარიგო გასასვლელიდან. — ვერც კი გავიგე, რა მიპასუხა, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ ამ შემთხვევისა, რომ მომეცა საშუალება, პირადად პირში მეთქვა ამ გარეწრისთვის, რასაც ვფიქრობ, — განაცხადა ჩერემისმა.

# ნაბუკო გაზის გარეშე დატოვეს

**„აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტის ეკონომიკური ნაწილი ჩავარდა. ჯერ იყო და, უზბეკეთმა, ყაზახეთმა და თურქმენეთმა უარი განაცხადეს რუსეთის შემოვლით გამავალი „ნაბუკოს“ გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტის ხელმოწერაზე. მერე კი ევროპის უმსხვილესი ქვეყნების ლიდერებმა თავიანთი დუმილით, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირეს რუსულ პროექტს სახელწოდებით „სამხრეთი ნაკადი“.**




„ნაბუკო“ ნამდვილად დაწყევლილია. ის ან შუა აზიაში უნდა დაიწყოს, ან ირანში და მთელი თურქეთის გავლით ევროპაში მოხვდეს. ნავთობსადენი ათასწლეულის დასაწყისში რუსული გაზის ალტერნატივად ჩაიფიქრეს, მაგრამ საქმის დაწყება უსასრულოდ გაიწელა. თავიდან გაერომ ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები დააწესა და ევროპას მისგან გაზის მიღება არ შეეძლო. შემდეგ თურქეთი განაწყენდა ევროკავშირში შესვლაზე უარის გამო. ახლა მშენებლობის დაწყების თარიღად 2011 წელია დასახელებული, მაგრამ მარშრუტი დღემდე არაა ცნობილი. კიდევ უარესი, არავინ იცის, საიდან უნდა გაჩნდეს „ნაბუკოს“ გაზსადენში გაზი. ცარიელი მილისათვის კი ფულს ნამდვილად არავინ გადაიხდის.

იმისათვის, რომ დათქმული ვადები არ დაირღვეს, ეს საკითხები დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშენებლობა გადაიდება, ამიტომ ევროკავშირის თავმჯდომარე ჩეხეთმა ის თავის უმთავრეს ეკონომიკურ სამიზნედ აქცია. „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტზე „ნაბუკოში“ მონაწილე ყველა ქვეყნის მეთაურს ხელმოწერით უნდა განემტკიცებინა პირობა, რომ „გააკეთებენ ყველაფერს“, რათა სახელმწიფოთაშორისი საბოლოო შეთანხმება გაზსადენის მშენებლობაზე ივნისში უკვე ხელმოწერილი ყოფილიყო. ამ დროს უზბეკეთმა, ყაზახეთმა და თურქმენეთმა დოკუმენტის ხელმოწერაზე უარი განაცხადეს. მარტში „ნაბუკო“ ევროკავშირმა პრიორიტეტული ფინანსირების სიიდან ამოშალა და მას შემდეგ მხოლოდ სიტყვიერად თუ დაუჭერდა ხოლმე მხარს. შემდეგ კი ჩეხეთში პარლამენტმა პრემიერ-მინისტრს უნდობლობა გამოუცხადა და „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტის გახსნა მირეკ ტოპოლანეკის უკანასკნელი სამუშაო დღე იყო. მის გარეშე კი ჩეხეთს აშკარად გული აუცრუვდა „შემოვლით“ გაზსადენზე. დასავლეთევროპელი ლიდერებიდან სამიტს მხოლოდ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ეწვია, გერმანია კი, როგორც ცნობილია, რუსეთთან ერთად აშენებს „ჩრდილოეთ ნაკადს“. საერთო ჯამში, „ნაბუკოზე“ კატეგორიული აზრი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა.

— საქართველო რეალურად გახდა ევროპისაკენ მიმავალი გაზის მთავარი სატრანზიტო პუნქტი, — ამაყად განაცხადა მან და ყველა მსმენელს დაუტოვა შესაძლებლობა, თავად ემკითხავათ, რა გზებით უნდა მივიდეს ნავთობი და გაზი ევროპაში საქართველოს გავლით.

„ნაბუკოზე“ ლამის ყველაზე ხმამაღლა საერთოდაც დაუპატიჟებელი ამერიკელები გაჰკიოდნენ. — ვგრძნობ, რომ თურქმენეთს სურს პროექტთან მიერთება, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებას ერიდება, — ფარდა ახადა საიდუმლოებას აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ მეთიუ ბრაიზამ.

მოკლედ, „ნაბუკოს“ ძველებურად აზერბაიჯანმა და სომხეთმა დაუჭირეს მხარი. თურქეთიც დაითანხმეს, როგორც იქნა. ფულის პრობლემაც გადაწყვეტილია — 2,5 მილიარდ ევროს გამოგიყოფთო, — დაჰპირდა ევროპის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტი ფილიპ მაიშტადტი. ახლა ერთი პრობლემაღა დარჩა — იქნებ აზერბაიჯანის ნაცვლად გაზის სხვა მომწოდებელიც გამოიძებნოს.

# რუსეთში მიგრანტების ბუმია

**2008 წლის განმავლობაში რუსეთში 14,5 მილიონი მიგრანტი ჩავიდა, მათგან მესამედისთვის ეს პირველი ჩასვლა არ ყოფილა.**

მიგრაციის სამსახური შეშფოთებულია და თვლის, რომ ეს ნაკადი რამენაირად უნდა შესუსტდეს, რათა თავად რუსეთის მოქალაქეების შრომითი უფლებები არ შეილახოს. გარდა ამისა, ახალი წესების მიხედვით, მიგრანტს მოეთხოვება, თავისი ქვეყნის დატოვებამდე დარწმუნდეს, რომ რუსეთის ფედერაციაში კონკრეტული სამუშაო ადგილი ელოდება. ამის დამადასტურებელი კი შრომითი ხელშეკრულება იქნება. გარდა ამისა, მიგრანტებს რუსეთში მუშაობის მხოლოდ ერთწლიანი უფლება მიეცემათ. მათ კი, ვინც მაინც აღმოჩნდება რუსეთის ტერიტორიაზე შრომითი ხელშეკრულების გარეშე, მოუწევს, სამ თვეში ან ოფიციალური სამსახური იშოვოს, ან თავის სამშობლოში დაბრუნდეს.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

### გულიკო ჩიტაძე:

# ამერიკელებს ფულის ან სამსახურის დაკარგვა უფრო აწუხებთ, ვიდრე — ახლობლების

**ქართველთა ოდისეა უცხო ქვეყნებში უკვე ორი ათეული წელია, გრძელდება. ოცი წელი ისტორიისთვის არაფერია, მაგრამ ცალკეული პიროვნებისთვის, მიტოვებული ოჯახებისთვის, უდედმამოდ დარჩენილი თაობებისთვის, უკვე ხანდაზმული მშობლებისთვის მთელი ცხოვრებაა, ტკივილითა და მოგონებით სავსე. ეს პრობლემა ზოგან შეურიგებელი კრიტიკით განიხილება, ზოგან — ტკივილიანი სიყვარულით, ზოგან — მონატრების სევდით. ამ მეტად მწვავე საკითხისადმი თითოეულს თავისი აზრი და შეხედულება აქვს. ზოგს ეს გზა ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ შანსად მიაჩნია, ზოგს — არსებული არასტაბილური გარემოდან თავის დაღწევის საშუალებად, ზოგს — ტრადიციული ჩარჩოების გარღვევად, ზოგისთვის კი უკომენტარო თემაა. უცხო ქვეყნებში ერის ასეთმა მასშტაბურმა გადინებამ სინამდვილეში შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს და ერის სულიერი დაკნინება გამოიწვიოს.**
**ამჟამად თავისი ათწლიანი ტკივილის შესახებ გვესაუბრება თბილისელი ქალბატონი გულიკო ჩიტაძე.**



**— ქალბატონო გულიკო, რამ გაიძულათ საზღვარგარეთ წასვლა და როდის დატოვეთ საქართველო?**

— ახალგაზრდა ვიყავი, უმაღლესი განათლებით, პედაგოგად ვმუშაობდი. ჩემი მეუღლე ინჟინერი გახლდათ. მშობლებისგან დატოვებულ 3-ოთახიან „ხრუშჩოვკაში" ვცხოვრობდით. მართალი გითხრათ, არც გვილხინდა და არც გვიჭირდა. მაგრამ ქვეყანა აირია, ჩემმა მეუღლემ სამსახური დაკარგა, მე კი ხელფასს თვეობით მიგვიანებდნენ. თავი ძლივს გაგვქონდა. ჩაბნელებული სადარბაზოები, გაციებული რადიატორები, ნავთის სუნით გაჟღენთილი ოთახები...

გოგონა უკვე მყავდა და მეორეზე ვიყავი ფეხმძიმედ. ვფიქრობდი, გაჭირვება მალე გაივლიდა... რას წარმოვიდგენდი, წინ რომ უარესი მელოდა. ერთ დღეს ლევანმა (ჩემს ქმარს ასე ერქვა) შემომთავაზა, ბინა ერთოთახიანში გადაგვეცვალა. უსახსრობამ და უმუშევრობამ საოცრად შეცვალა, ამიტომ დარჩენილი ფულით მეგობრებთან ერთად საქმის დაწყებას აპირებდა. შევეწინააღმდეგე, ვურჩიე, ბინას შეშვებოდა, მაგრამ თუ გულში რაიმეს ჩაიდებდა, აუცილებლად შეასრულებდა.

მეორე ბავშვის მოლოდინში 2 წლის გოგონასთან ერთად, შეკრული ბარგით მეზობელი კორპუსის ერთოთახიან ბინაში გადავსახლდით.

მალე პატარა საბა შემოგვემატა. ჩემი მეუღლე საქმეში ჩაება და ოჯახში ნორმალური თანხა შემოჰქონდა. ერთი შეხედვით, ცხოვრება აგვეწყო. ერთ დღეს ლევანის მეგობარმა, საქმეში მეწილემ საშინელი ამბავი მომიტანა — ლევანი მოკლეს!

სრულიად ახალგაზრდა ქალი ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ულუკმაპუროდ დავრჩი. ერთს რომ ხელში ავიყვანდი, მეორე კაბის კალთაზე მექაჩებოდა, გული კი დარდით მიტიროდა. დედისა და ძმის გარდა ჩემი მომკითხავიც აღარავინ იყო. თუ შემთხვევით ვინმეს შევხვდებოდი, თავის გასაჭირზე მელაპარაკებოდა...

გავიდა წლები, ბავშვები წამოიზარდნენ. გოგონა სკოლაში წავიყვანე ნათხოვარი ჩანთით, ნაჩუქარი წიგნებითა და სხვისი გამონაცვალი ფეხსაცმლით. ყველაფერი შემოგვაცვდა. ჩემს რძალს ვთხოვე, ჯიხურში მაინც მოეძებნა ჩემთვის რაიმე სამუშაო, მაგრამ — ამაოდ.

ერთ მშვენიერ დღეს მეგობრის დედასთან შეხვედრამ სულ შეცვალა ჩემი ცხოვრება. მან მირჩია, ამერიკაში წავსულიყავი და ჩემი ოჯახი ასე მერჩინა, პირველ ეტაპზე კი მისი შვილი — ამერიკაში უკვე რამდენიმე წლის წინ წასული ჩემი მეგობარი დამეხმარებოდა სამუშაოს მოძებნაში. ასეც მოვიქეცი და 1999 წელს ამერიკაში გავემგზავრე.

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ სუპერსახელმწიფოს დედაქალაქის ხილვისას, სამსახური მალე იშოვეთ?**

— ჩასვლისას მეგობარი დამხვდა. დროებით მიმაბარეს ემიგრანტ ქართველს. ქართული სათვისტომო ცენტრში იკრიბებოდა. იქაური სათვისტომო და ჩემი მეგობრის ნაცნობები მეხმარებოდნენ დასაქმებაში, ლუკმას მიყოფდნენ და დროებით ჭერსაც არ მაყვედრიდნენ. ერთხელ მოვახერხე საქართველოში დარეკვა, კი არ ვტიროდი, დაჭრილივით ვღმუოდი, ისე მენატრებოდა დედა, შვილები, სახლი... მიჭირდა მათთან განშორება, ვინც მიყვარდა და მეძვირფასებოდა. ამერიკა ჩემთვის უცნობი წყვდიადი იყო.

როგორც იქნა, მესამე კვირას მზარეულის თანაშემწედ მოვხვდი ერთ ფეშენებელურ სახლში, რომლის მსგავსი მხოლოდ ფილმებსა და კატალოგებში მენახა. დავკომპლექსდი. თავაზიანად შემიძღვნენ სამზარეულოში. სული რომ მოვითქვი, ქერათმიანი ლამაზმანი დავინახე, რომლის მზარეულობა ვერც კი წარმოვიდგინე. ის ერთფეხა მაღალ ტყავგადაკრულ სატრიალებელ სკამზე იყო მოკალათებული, თითქოს ისვენებდა, მის გარშემო კი ძრავების სუსტი ხმა და ვიბრაცია იგრძნობოდა. სამზარეულოს მთელი ავტომატიკა პულტით იმართებოდა. თავგზა ამებნა. სკოლაში ინგლისურს კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ამერიკელთა ინგლისური რომ გამეგო, სმენას ვძაბავდი. ამ უზარმაზარი სამზარეულო ავტომატიკის პულტით მართვის შესწავლას დრო სჭირდებოდა. დიდი და პატარა ქედმაღლურად და დამცინავი ღიმილით შემომცქეროდა. არასოდეს ვყოფილვარ ასე დაძაბული, დათრგუნული, ნირწამხდარი და დამცირებული, როგორც იმ მდიდრულ სახლში, სადაც მოსამსახურედაც ვერ გამოვდექი. სამი დღის შემდეგ წამოვედი...

ყველა მხრივ უზარმაზარი განსხვავებაა, მათ შორის, საყოფაცხოვრებო კულტურაშიც.

**— შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

— გოგოებმა დამამშვიდეს. მალე საშუალო შეძლების ოჯახმა სკლეროზიანი ბებიის მოსავლელად ამიყვანა. ეს მეხსიერებადაკარგული ქალი ტელევიზორში მთელი დღე ფანტასტიკურ, დეტექტიურ ან სექსუალურ ფილმებს უყურებს. ყურთ აკლია და აპარატის მიუხედავად ტელევიზორს მთელი ხმით აღრიალებს. მე მუდმივად მის გვერდით ვარ, რადგან არ ვიცი, როდის რას მოიმოქმედებს. ამ ზრიალ-გრიალში თავად მშვენივრად იძინებს, მე კი ხმაური მღლის და მქანცავს. ვბან, ვვარცხნი, ფრჩხილებს ვჭრი, ვუსუფთავებ ყურებს, ვაცმევ, ვაჭმევ. ზოგჯერ ეს გატუტუცებული დედაბერი დალეჭილს პირში იგროვებს და სახეში მაყრის. თუ გავუბრაზდები, ყვირის, ანჩხლობს, ხმამაღლა ტირის და ისტერიკას მიწყობს. ყოველდღიურად ეტლით საპარკო ზოლში ვასეირნებ. საუკეთესო შემთხვევაა, თუ სუფთა ჰაერზე დაეძინა, თუ არა და, ათასი ბოდიშის მოხდა მიწევს მისი ახირებების გამო, რაც ფრიად „დელიკატურ" ქვეტექსტს ატარებს. მაგრამ ვუძლებ, ღამითაც მის გვერდით ვწევარ. ეს დედაბერი რომ არა, შვილები მშივრები დამრჩება. იმდენი მოვახერხე, რომ გამართული სასაუბრო ინგლისური ვისწავლე, ბანკის ვალიც გადავიხადე, ოჯახიც გამოვკვებე, ცოტა გავფართოვდი და ჩემს ძმას ოპერაციისთვის ფულიც გამოვუგზავნე. მონურ შრომას შევეგუე, მაგრამ ნოსტალგიას ვერ ვერევი, მონატრებას ვერ ვშველი. ამერიკაში მოღუშულს, შუბლშეკრულს, გამწყრალსახიანს თუ წააწყდები, ნამდვილად ემიგრანტია.

**— ქალბატონო გულიკო, როგორ შეხვდა ქართული სათვისტომო აგვისტოს მოვლენებს ან დღევანდელი ინფორმაცია თუ აღწევს თქვენამდე?**

— სისტემატურად დავდივარ ეკლესიაში, სადაც ვლოცულობ და ქართველებსაც ვხვდები. აგვისტოს მოვლენების შესახებ ინფორმაციას ამერიკაში სულ სხვა სახით გვაწვდიდნენ. ჩვენ აქ რუს ემიგრანტებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. მათ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დავდივართ. ამერიკელებს რაღაც თვითდაჯერებულობის უპირატესი შეგრძნება აქვთ. მათში თანაგრძნობის აღძვრა შეუძლებელია. ჩვენ რომ საქართველოში დარჩენილ ოჯახებზე ვდარდობდით, უკვირდათ, რადგან მათი ოჯახები იზოლირებულ ინდივიდთა ნაკრებია. **გულწრფელად გეტყვით, საქართველოში თუ პოლიტიკური და სოციალური კრიზისია, ამერიკაში სულიერი კრიზისია. ამერიკელებს ფულის ან სამსახურის დაკარგვა უფრო აწუხებთ, ვიდრე — ახლობლების, ყველაფერს საოცრად უემოციოდ, აუღელვებლად ხვდებიან. იმიტომ გვიტანენ, რომ იაფი მუშახელი ვართ. კანონის შიში რომ არა, რა დააკავებდა მათ ზღვარგადასულ ზიზღსა და ამპარტავნობას სხვათა მიმართ.**

მილიონზე მეტი ადამიანი ვართ გადმოხვეწილი, მაგრამ დარჩენილებთან — გულით მიბმული. მერწმუნეთ, საქართველოს მდგომარეობას აქ უფრო მეტად განვიცდით.

მე რომ ნორმალურ, სტაბილურ, თუნდაც, იმედისმომცემ ქვეყანაში მეცხოვრა, რა მინდოდა ამერიკაში სკლეროტიკის მოსავლელად, როცა ჩემი მოხუცი დედა და ორი მოზარდი ღვთის ანაბარა მყავს მიტოვებული... რა უნდა ქართველ დედას უცხოეთში?!

სწორედ ჩემი ქვეყნის უმიზნო პოლიტიკამ გამოგვაგდო საშოვარზე ოკეანისგაღმა და უვადოდ დაგვტოვა.

**ესაუბრა**
**ლალი შაშიაშვილი**

### არჩილ ჭყოიძე:

# კუკიის საძმო სასაფლაოც ჩვენი მისახედია, რადგან ამ ხელისუფლების ყურადღების იმედი მიცვალებულებს კი არა, ცოცხლებსაც აღარ აქვთ

**„საქართველო და მსოფლიოს" წინა ნომერში ვრცლად გავაშუქეთ დიდი სამამულო ომის 64-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გამარჯვების დღე საქართელოში ყოველთვის ზეიმით აღინიშნებოდა და გამონაკლისი არც წლევანდელი 9 მაისი ყოფილა. გამარჯვების პარკში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" ჩაატარა „გიორგის ბაფთის" აქცია. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის ტარიელ გაგნიძის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ძირითადი აქცენტები გაკეთდა საბჭოთა ხალხების ერთიანობის მნიშვნელობაზე ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში. ავტორი ამავე პუბლიკაციაში ხაზს უსვამს ამ ისტორიული დღისადმი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების თავკერძა მიდგომას, რაც, ტარიელ გაგნიძის აზრით, „ემსახურება ერთ კონკრეტულ მიზანს — სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვკიდონ ერთმანეთს და პირველ რიგში — რუსეთს ხალხები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ერთიან ძმურ ოჯახად მშვიდობაში და თანხმობით ვცხოვრობდით". ასევე გულისტკივილი იყო გამოთქმული ხელისუფლების დამოკიდებულების გამო დიდ სამამულო ომში დაღუპულთა კუკიის საძმო სასაფლაოს მიმართ, რომელიც სრულიად მოუვლელია. როგორც შევიტყვეთ, ამ პრობლემას პირველად ერეკლე მეორეს საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება. ამის თაობაზე ვესაუბრეთ მის თავმჯდომარეს არჩილ ჭყოიძეს.**



— სამწუხაროა, რომ კუკიის საძმო სასაფლაო ასეთ სავალალო მდგომარეობაშია, — **თქვა მან.** — ხელისუფლებამ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალს ყურადღება უნდა მიაქციოს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის არაფერს ნიშნავს 400 ათასი სამშობლოს დაცვას შეწირული ადამიანის ხსოვნა. მთავარი ის არის, რომ ადამიანს, რომელიც თავის წარსულს და წინაპართა საგმირო საქმეებს ივიწყებს, მომავალი არ ექნება. ერეკლე მეორეს საზოგადოება კი, უპირველესად, მომავალზე ზრუნავს, როცა გმირული წარსულის გაფრთხილებით დღევანდელ თაობას ამ წარსულის პატივისცემას ვუნერგავთ.

**— კუკიის საძმო სასაფლაო სასწრაფოდ მიხედვას საჭიროებს...**

— ამ სასაფლაოს მიხედვა სახელმწიფოს ვალია, მაგრამ დღევანდელმა ხელისუფლებამ საერთოდ დაივიწყა ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე კუკიის საძმო სასაფლაოზე დაკრძალეს. იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გამოიჩინონ, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ცინიკურ განცხადებებსაც არ ერიდება „სხვისი ომის" შესახებ. არადა, ამ „სხვის ომში" 700.000 ქართველი იბრძოდა და მათგან ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა. უფრო მეტიც, მხოლოდ ჩვენთან აფასებენ ასე, თორემ მთელ მსოფლიოში, მათ შორის, ჩვენ „სტრატეგიულ მოკავშირე" შეერთებულ შტატებშიც კი ფაშიზმზე გამარჯვებას ისტორიულ მოვლენას უწოდებენ.

რაც შეეხება ჩვენს გეგმებს, ერეკლე მეორეს საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა" ერთობლივად ვგეგმავთ, რომ ყოველწლიურად პატივი მივაგოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და ამ ომში დაღუპული გმირების ხსოვნას. კუკიის საძმო სასაფლაოც ჩვენი მისახედია. თუ შევძლებთ, მივხედავთ, მაგრამ იქ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, რაც მხოლოდ სახელმწიფოს ძალუძს. თუმცა, ამ ხელისუფლების ყურადღების იმედი მიცვალებულებს კი არა, ცოცხლებსაც აღარ აქვთ.

სხვათა შორის, წლეულს პირველად, ერეკლე მეორეს საზოგადოებისა და „ისტორიული მემკვიდრეობის" ინიციატივით, კუკიის საძმო სასაფლაოზე მამა დავითმა გადაიხადა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა პანაშვიდი. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთაგან ყველაზე მეტი ქრისტიანი იყო, მათ შორის კი, უმეტესი მსხვერპლი მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა გაიღეს.

ამ ომის გმირებმა ყველაზე უძვირფასესი — საკუთარი სიცოცხლე შესწირეს საქართველოს მომავალს და მათი დავიწყების უფლება არავის აქვს.

# ამერიკული არმია — XX საუკუნის ყველაზე დიდი მითი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო და მსოფლიო,“ № 10-12)

**ერთადერთი დასკვნა, რომელიც ამერიკის მმართველმა ელიტამ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან თავისი ჯარების მიერ ომის წარმოების უუნარობის მორიგი მოწმობიდან გამოიტანა, ის იყო, რომ ასეთი მოწინააღმდეგის მოსყიდვის სურვილი გაუჩნდა, რათა მას თავი დამარცხებულად ეცნო და საშუალება მიეცა, კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო ამერიკის სამხედრო ძლიერება, ანუ გაემეორებინა 1944 წლის 6 ივნისს საფრანგეთში ამერიკული ჯარების გადმოსხმის სცენარი, რომელიც ასევე გამოიყენეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერაყის მეორე ომის პირველ ფაზაში 2003 წლის 19 მარტიდან 9 აპრილამდე. გავრცელებული ვერსიით, აქ საქმე ათამდე ერაყელი გენერლის მოსყიდვასთან როდი გვაქვს.**

საქმე ისაა, რომ თავად ერაყული რეჟიმი არცთუ ტოტალიტარული აღმოჩნდა. უცხოურ ბანკებში დაბანდებებმა, დასავლეთთან სხვა კავშირების მთელმა კომპლექსმა ერაყის მმართველ ელიტას კაპიტულაციის სურვილი გაუჩინა. ხოლო ერაყელმა გენერლებმა მხოლოდ შეასრულეს პოლიტიკური ხელმძღვანელობის კაპიტულანტური განკარგულებები ომის დროს, „დიადი და საზარელი“ სადამ ჰუსეინის ფიგურამ კი განტევების ვაცის როლი ითამაშა. რეალურად ერაყს სხვა ადამიანები მართავდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, მაგალითად, ტარიკ აზიზი, რომელიც ერაყის კაპიტულაციის შემდეგ ინგლისში გადასახლდა.

თუმცაღა, ერაყის ომში ამერიკელთა დანაკარგები მცირე სულაც არ ყოფილა და, უპირველესად, ეს ამერიკულ სამხედრო ავიაციას შეეხო. სხვა ერაყული ძალებისგან განსხვავებით, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა სრული სერიოზულობით ებრძოდა ამერიკულ ავიაციას და ეს ბრძოლა მხოლოდ ბაღდადში ამერიკული ჯარების შესვლამდე ორი დღით ადრე შეწყვიტა.

შედეგად, ამ ომში ამერიკულმა მხარემ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა: დაკარგა 400 ტანკი და 600 საბრძოლო თვითმფრინავი. გიგანტური დანაკარგები ბაღდადის თავზე და მის შემოგარენში ომის პირველსავე საათებში შეიმჩნეოდა. 2003 წლის 19 მარტიდან 4 აპრილამდე, როცა ბაღდადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ცენტრალიზებულად იმართებოდა, სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს მონაცემებით, ყოველდღიურად მარტო ქალაქის თავზე მფრინავ 3-5 ამერიკულ თვითმფრინავს აგდებდნენ, თუმცა რეალურად ქალაქის თავზე და მის შემოგარენში 10-12 ამერიკული თვითმფრინავი იღუპებოდა. ამგვარად, 19 მარტიდან 4 აპრილამდე ბაღდადში ამერიკელებმა 200-მდე თვითმფრინავი დაკარგეს. არადა, ბაღდადის გარდა, ისინი ყოველდღიურად ბომბავდნენ კირკუკს, მოსულს, ტიკრიტსა და სხვა დიდ ქალაქებს, სადაც ასევე მნიშვნელოვან ზარალს განიცდიდნენ.

როგორც კორეაში, ასევე ვიეტნამში, გრენადაში, სერბეთსა და ერაყში ამერიკულ თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს წარმატებით აგდებდნენ 37 მმ-იანი „61-K“ საზენიტო დანადგარებით (1937 წ.), მისი ორლულიანი მოდიფიკაციით (1964 წ.) და 57 მმ-იანი „C-60“-ებით (1951 წ.).

რაც შეეხება ამერიკული ავიაციის დანაკარგების რეალურობას ომის პირველ ფაზაში (19.03-15.04.2003), ამის ერთობ ხელშესახებ დასტურად იქცა უკრაინის მმართველი ელიტის საქციელი, რომელმაც 2000 წელს კარგად იხეირა ერაყისთვის „კოლჩუგების“ მიყიდვით (რომელთა მეშვეობითაც ასეთი დიდი ზარალი მიადგა ამერიკის ავიაციას).

ქვეყნის 12-წლიანი დამოუკიდებლობის მანძილზე უკრაინის მმართველი ელიტა, რომელიც ღიპიანი, ჩასუქებული და სახეგაფიჟვინებული ბიძებისგან შედგებოდა უკრაინის კომპარტიის ცეკას ყოფილი აპარატიდან, ჯიუტად არიდებდა თავს უცხო ქვეყნებში მიმდინარე ფართომასშტაბიან ომებში ჩართვას; ხოლო 2003 წლის შემოდგომაზე, ამერიკელთა მოწოდებით, უცებ გააგზავნა ერაყში 1600-კაციანი ბრიგადა. ეტყობა, ამერიკელები სწრაფად მიხვდნენ, რომ ერაყში ავიაციის გიგანტური დანაკარგების მიზეზი სწორედ „კოლჩუგები“ შეიქნა და განრისხდნენ. უკრაინის მმართველი ელიტა დაფრთხა, რადგან ამერიკულ ბანკებში სოლიდური ანგარიშები ჰქონდა და ამერიკელებს თავს მოუქონა ერაყში საზარბაზნე ხორცის გაგზავნით.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელები ომის პირველ ფაზაში კიდევ „ოლიად გადარჩნენ“ — მაშინ 2 ათას ბრიტანელთან ერთად 14 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

ომის მეორე ფაზაში 50-მდე ჯავშანტრანსპორტიორი და ჯავშანმანქანა „ჰამერი“ 16-ლულიანი „РПУ-14“-ის ერთადერთმა ზალპურმა ცეცხლმა ნაცარტუტად აქცია. ასამდე კაცი დაიღუპა. ერაყელებს რომ ომი სრული სერიოზულობით ეწარმოებინათ და ამერიკელებისთვის ცეცხლი ორასი 40-ლულიანი „გრადიდან“ გაეხსნათ, ორი დღის შემდეგ ამერიკული არმია არსებობას შეწყვეტდა ერაყში.

მიუხედავად ერაყის პოლიტიკური ელიტის კაპიტულაციისა, ერაყელი ხალხი, არმიისა და სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელების წინაშე კაპიტულაციას არ აპირებდნენ.

გავრცელებული ხმების მიუხედავად, რეალურად არ არსებობდა დროის მონაკვეთი ამერიკული ჯარების მიერ (15.04.2003) ერაყის დიდ ქალაქებზე დამყარებულ ფორმალურ კონტროლსა და ერაყელების მხრიდან ოკუპანტების წინააღმდეგ მასობრივი ჯანყის დაწყებას შორის. სხვაობა იყო მხოლოდ აჯანყების ინტენსივობის ხარისხში. 2003 წლის მაის-ივნისში ეს მცირე ინტენსივობის ბრძოლები იყო, მაშინ ერაყული წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციული სტრუქტურა ყალიბდებოდა და ძალებს იკრებდა.

ამერიკელებმა კი იმის ნაცვლად, რომ ოკუპაციის პირველსავე საათებში დაეწყოთ ერაყის სამოქალაქო მოსახლეობის განიარაღების პროცესი, მიტოვებული სამხედრო ტექნიკისა და დაყრილი იარაღის შეგროვება და საიმედოდ დაცვა-შენახვა, ამერიკელმა გენერლებმა, თავიანთი პოლიტიკოსების ნაქეზებით, ანტიკვარიატისა და უძველესი ხელნაწერების ძარცვას მიჰყვეს ხელი. მაროდიორობის დასამალავად კი ციხეებიდან გამოუშვეს ადგილობრივი დამნაშავეები, რომლებმაც ევროპიდან ჩამოსულ ერაყელ დისიდენტებთან ერთად ბაღდადსა და სხვა ქალაქებში ქაოსი მოაწყვეს. და სწორედ აქ გამოვლინდა ამერიკელების სიხარბე — რამდენიმე ტრილიონიანი დოლარის ღირებულების ნავთობის მარაგიანი ქვეყანა იმისთვის დაიპყრეს, რომ 2 მლრდ დოლარის ღირებულების ანტიკვარიატი მოეგდოთ ხელთ?!. ამას კი 40.000 ამერიკელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა.

შედარებისთვის: 1942 წლის 1 ივლისს, გერმანელების მიერ სევასტოპოლის დაპყრობიდან რამდენიმე საათში, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გერმანელი სამხედრო კომენდანტის №1 წერილობითი ბრძანებულება გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, ქალაქის მოსახლეობას ორი დღე-ღამის განმავლობაში გერმანული სამხედროოკუპაციური ხელისუფლებისთვის უნდა ჩაებარებინა მთელი იარაღი და ქონება, რომელიც პირადად მათ საკუთრებას არ წარმოადგენდა...



ამერიკული ოკუპაციური პოლიტიკის სიჩლუნგის თვალსაჩინო სიმბოლოდ კი ტელევიზიით ნაჩვენები თვითმავალი 155 მმ-იანი ჰაუბიცა იქცა, რომელიც ბაღდადის ცენტრალურ ბანკს „იცავდა.“ ამ იარაღს საკუთარი თავის დაცვაც არ შეუძლია და ჩინებულ სამიზნეს წარმოადგენს დამწყები ყუმბარმტყორცნისათვის.

ერყის 9-თვიანი ომისა და ოკუპაციისას (19.02-31.12.2003) ამერიკელებმა 50 ათასი კაცი დაკარგეს. გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“ 2003 წლის 16 სექტემბრის ნომერში წერდა: „ევროპელ ექსპერტთა მონაცემებით, 2003 წლის ივნის-აგვისტოში ირანში 6 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა. ამ ნორმების გათვალისწინებით, რომ 2-3 დაჭრილზე, ჩვეულებრივ, 1 მოკლული მოდის, 2003 წლის ზაფხულში ერაყში 2-3 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა“.

„ეხო პლანეტის“ 2003 წლის 36-ე ნომერში ვკითხულობთ: „2003 წლის ივნის-აგვისტოში მარტო ბაღდადში ყოველდღიურად იღუპებოდა 305 ამერიკელი ჯარისკაცი, მაგრამ ეს მონაცემები საბოლოო როდია. ამერიკის სარდლობა მოკლულებად არ მიიჩნევს მათ, ვინც ჭრილობების ან ტერორისტულ მოქმედებების შედეგად დაიღუპა.“

დაღუპულთა რიცხვის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებისას ამერიკის სარდლობა თავს იმითაც არ იტკიებს, რომ ერთსა და იმავე ცნობაში დასახელებული რაოდენობა ერთნაირი იყოს. ასე მაგალითად, უკრაინის დამოუკიდებელი ყოველკვირეული გამოცემა, პენტაგონის მონაცემებზე დაყრდნობით, იტყობინებოდა, რომ ქალაქ მოსულის ჩრდილოეთით (16.11.2003 წ.) ორი ამერიკული სატრანსპორტო შვეულმფრენი ჩამოაგდეს, რის შედეგადაც 40 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, და იქვე დასძენს, რომ სულ, 01.05.2003-დან 16.11.2003-მდე 200 ამერიკელი დაიღუპა. თუ მოსულიში (რომელსაც აშშ მოკავშირე ქურთები აკონტროლებენ) დღე-ღამეში 40 ამერიკელი დაიღუპა და 2 შვეულმფრენი ჩამოაგდეს, მაშინ რამდენი მსხვერპლი იყო ბაღდადსა და სხვა დიდ ქალაქებში, რომლებიც მოსულისთან შედარებით უფრო მშფოთვარე იყო?

ამის პასუხი ჟურნალ „ზარუბეჟნოე ვოენოე ობოზრენიეში“ შეგვიძლია ვიხილოთ: „2003 წლის 7 ნოემბერს ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე ქ. ტიკრიტის რაიონში საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით დაიცხრილა ორი ამერიკული შვეულმფრენი, ერთი ჩამოაგდეს, მეორემ მიწაზე დაშვება შეძლო. ბორტზე დაჭრილთა შორის აღმოჩნდა გენერალ-მაიორი ტომას როულინგი — აშშ მთავარი სამხედრო პროკურორი.“ უფრო გასაგები რომ იყოს, განვმარტავ: ამერიკულ არმიაში გენერლის პირველი წოდება „ბრიგადის გენერალი.“

თუ 2003 წლის მაის-ივნისში ერაყში ყოველდღიურად 20-მდე თავდასხმა ხორციელდებოდა ამერიკელებზე, ზაფხულის ბოლოს ეს რიცხვი 200-მდე გაიზარდა.

აი, როგორ აღწერს ერთ-ერთ ასეთ შეტაკებას გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტი: „მუჰამედის არმიის“ ერთი რაზმი ბაღდადის დასავლეთით მოქმედებდა. რაზმში 140 ბოევიკი იყო. მათ მესამედს ისლამისტები შეადგენდნენ ირანიდან, მალაიზიიდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან. რაზმი 10 ქვედანაყოფისგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული ყოველდღიურად 10-15 თავდასხმას ახორციელებდა ამერიკულ ჯარებზე. ინფორმაცია ამ თავდასხმების შესახებ ძალზე იშვიათად ხვდებოდა მასმედიაში. ამგვარი იერიშის ტიპური მაგალითი ვიდეოთი უჩვენეს: ეკრანზე დაჯავშნული „ჰამერია,“ რომელიც რომელიღაც ქალაქის გზაჯვარედინზე დგას. მის გვერდით ერთი ჯარისკაცია, კიდევ სამნი „ჯიპში“ სხედან. 300-400 მ-ის მანძილიდან „ჰამერს“ ყუმბარმტყორცნით ესვრიან. მანქანა ნადგურდება. ორი ამერიკელი იღუპება, ორიც დაჭრილია. თავდამსხმელთა მხრიდან მსხვერპლი არ არის.

აი, აშშ სამხედრო მედიცინის ერთობ მრავლისმეტყველი სტატისტიკა: ამერიკის არმიის მთავარი ჰოსპიტალი (უოლტერ რიდის სახელობისა) გათვალისწინებული იყო წელიწადში 150 ათას კაცზე. ერაყის ომამდე ჰოსპიტალი 83 პროცენტით იტვირთებოდა და ყოველწლიურად 117 ათას კაცს ემსახურებოდა, ხოლო 2003 წლის 19 მარტიდან აგვისტოს ბოლომდე ეს დატვირთვა 93 პროცენტამდე გაიზარდა. მკურნალობა ჩაუტარდა 15 ათას დაჭრილს.

არადა, ამ ჰოსპიტლის გარდა, ერაყში დაჭრილები ხომ აშშ სხვადასხვა შეიარაღებული ძალის კუთვნილ კიდევ რამდენიმე ასეულ ჰოსპიტალში იმყოფებიან (როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში). ამასთან, ამერიკული ჰოსპიტლების რესურსი საკმარისი არ არის და დაჭრილებს ნატოს ქვეყნების ჰოსპიტლებში ათავსებენ.

დასასრულ, ციფრი, რომელიც საშუალებას იძლევა, უფრო ზუსტად განისაზღვროს ერაყში ამერიკელთა დანაკარგი. ომის დაწყებიდან 2003 წლის აგვისტოს ბოლომდე აშშ შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს 185 ათასი რეზერვისტი. რაკი 2003 წლის ზაფხულში ამერიკის სარდლობა არ აპირებდა თავისი ჯარების რიცხოვნობის გაზრდას ერაყში, მაშასადამე, რეზერვისტთა გაწვევა მოხდა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელი იყო მოკლულთა, დაჭრილთა და დაკარგულთა რიცხვის საკომპენსაციოდ. ანუ ამერიკელთა მთლიანმა დანაკარგმა ერაყში 185 ათასი კაცი შეადგინა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ ნორმას: 1 მოკლული — 3 დაჭრილი, და ასევე, სხვადასხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსულთა რიცხვს, გამოდის, რომ 19.03.2003-დან 31.08.2003-მდე ამერიკელებს ერაყში 30.000-მდე კაცი მოუკლეს.





**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პენტაგონი მსოფლიო

**მომძლავრებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კაცობრიობის წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული რყევაა. ის ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში წინასწარ განჭვრეტილი შედეგებით იმისათვის, რომ გადაიზარდოს გლობალურ სოციალურ კრიზისში, მიგვიყვანოს საყოველთაო ბრძოლასთან მსოფლიოს რადიკალური გარდაქმნისათვის. ამიტომ იგი იქნება გაჭიანურებული, მრავალწლიანი, აღზევებითა და დაცემებით, იმის დემონსტრაციით, რომ მცდელობებს მისი სრული დაძლევისათვის მსოფლიოს მოწყობის არსებულ სისტემაში წარმატება არ მოჰყვება, მსოფლიოს ყველა ხალხს კი ქანცს გააცლის. ჩვენი თანამედროვენი ერთ დროს დასავლეთში განხილული „მართული ქაოსის“ თეორიის გამოყენების თვითმხილველები ხდებიან. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში საჯაროდ საუბრობდნენ, რომ სწორედ ეს სოციალური ტექნოლოგია იქნება გამოყენებული მსოფლიოს წამყვანი ძალების გადამწყვეტი სტრატეგიული მოქმედებების განსახორციელებლად.**



გამოყენებული პოლიტიკური ტექნოლოგიების არსი ისაა, რომ მოხდეს მოსახლეობის ცხოვრების დეზორგანიზაცია, დაირღვეს მისი სიცოცხლის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო მართვის, აგრეთვე, ბუნებისა და სოციალური სტიქიისაგან მისი უშიშროების დიდმნიშვნელოვანი მექანიზმები. პირველადი მოთხოვნილების საქონლისა და მომსახურების მწვავე დეფიციტი, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების დეზორგანიზაცია, აგრეთვე, საშიში ბუნებრივი და სოციალური მოვლენები (**მასობრივი უმუშევრობა, ტექნოგენური და კლიმატური კატასტროფები, უჩვეულო ეპიდემიები, შეიარაღებული პროვოკაციები, მასობრივი უწესრიგობანი** და ასე შემდეგ) შეიძლება მიზანდასახულად გამოიყენონ დაინტერესებულმა ძალებმა, შექმნან პირობები ამ მოვლენების წარმოქმნისა და განვითარებისათვის.

ამ ფაქტორების მოქმედება კატასტროფულ მასშტაბებამდე ავა, რათა დაითესოს პანიკა და უიმედობა მოსახლეობაში. ადამიანები იძულებულნი გახდებიან, გამოსავალი ეძებონ თავისთვის და ახლობლებისთვის. ამით თავიდან იქნება აცილებული ფართოდ ორგანიზებულ საპირისპირო მოქმედებათა შესაძლებლობა. ამის **მნიშვნელოვანი პირობა ადამიანთა მასებში სტიქიური უბედურებების შესახებ წარმოდგენის შენარჩუნებაა. ისინი არ უნდა ხედავდნენ ნამდვილ მტერსა და მის მოკავშირეებს, ვისთანაც საჭიროა ბრძოლა, ვინც სინამდვილეში ანადგურებს მათ. ისინი არ უნდა გამოვიდნენ ერთიანი გლობალური მტრის წინააღმდეგ, რომელიც ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით აწარმოებს მსოფლიოს ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.** ამის ნაცვლად ყველაფერი გაკეთდება, რათა დაუნდობელ და ძმათამკვლელ ბრძოლაში ერთმანეთს შეაჯახონ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი, ხალხები, რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციები.

ამ სცენარის განმახორციელებელი ძალები ასეთ პირობებში შეინარჩუნებენ მოქმედებათა ინიციატივას, ვინაიდან წინასწარ იქნებიან მომზადებული მათ მიერვე პროვოცირებული მთავარი კატასტროფული მოვლენებისათვის. ჩანაფიქრის შესაბამისად, სწორედ ეს მისცემს მათ საშუალებას, საჭირო მომენტში მოგვევლინონ მათ მიერვე მოწყობილი ქაოსიდან ხალხთა მხსნელის როლში, თუმცა შემოთავაზებული „გადარჩენის ფასი“ მეტად მაღალი იქნება.

**ხალხს მოუწევს, გასწიროს საკუთარი დიდმნიშვნელოვანი ინტერესები, უფლებები და თავისუფლებანი, გადაიდეს გლობალური ძალების უსიტყვო და უპირობო მორჩილებაში. ამაზე კი თანახმა იქნება მხოლოდ ტოტალური კატასტროფის პირობებში, განადგურების საფრთხის წინაშე. პარტიები, მოძრაობანი, მრავალ შემთხვევაში კი სახელმწიფო სტრუქტურებიც წაილეკება სასოწარკვეთილი ბრბოს მიერ.**

ამრიგად, საკითხი შეეხება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის რადიკალურ ცვლილებას მთლიანად კაცობრიობის მასშტაბით, გადატრიალებას მსოფლიოს მოწყობაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — მსოფლიო რევოლუციას. ცნობილი კანონზომიერებების გათვალისწინებით, ეს მიგვიყვანს საზოგადოებაში ადამიანთა ახალ სოციალურ-ჯგუფობრივ გადანაწილებასთან, საზოგადოებრივ ძალთა პოლიტიკური სპექტრის ცვლილებასთან ახალი პირობების, ბრძოლის მიზნების შესაბამისად.

**უახლოეს პერიოდში მსოფლიოს ყველა ხალხის პოლიტიკურ არენაზე ინფორმაციულად აღსაქმელ ასპექტში აშკარად გამოიკვეთება პოლიტიკურ მოღვაწეთა და მათ უკან მდგარ ძალთა ორი დამახასიათებელი კატეგორია. გამოჩნდება მკაფიო ნიშანი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება რეალურ მოწინააღმდეგეთა გარჩევა.**

ერთნი, მომხდარის მეთვალყურეობის ფონზე, მთელი ძალებით შეეცდებიან დემონსტრირებას, რომ ეს ქაოსი არის სტიქიის გამოვლინება, უმართავი დამანგრეველი პროცესები. ესენი იქნებიან უდიდესი გლობალური ძალების წარმომადგენლები, რომლებმაც წამოიწყეს კაცობრიობის გარდაქმნა და ამისთვის მოაწყვეს ქაოსი.

იქნებიან სხვებიც, უფრო გაბედულები. იმავე პროცესების მეთვალყურეობით, ისინი შეეცდებიან ამ ქაოსის მართვადობის მტკიცებას.

მსოფლიო გეოპოლიტიკური ბრძოლის ხარისხობრივად ახალ ეტაპში შედის. საზოგადოებაში გლობალური მასშტაბი და სიტუაციის რადიკალური ცვლილებები მალე დააყენებს საკითხს განურჩევლად ყველას სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

**არსებობის გაგრძელებასა და განვითარებას შეძლებენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომლებიც ფაქტობრივად განახორციელებენ კრიზისის ინიციატორების ეგოისტური ინტერესებისა და მოქმედებების დაპირისპირების ეფექტიან სტრატეგიას. ეს შეეხება როგორც შიდასახელმწიფო, ისე საერთაშორისო გაერთიანებებს, ამიტომაც მთლიანად — შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციას (შთო).**

### რა სურთ მსოფლიო რევოლუციონერებს?

**გეოპოლიტიკური ბრძოლის ახალი პოლიტიკური ეტაპი კარგადაა ცნობილი თეორიიდან. ცივი ომის დამთავრებისა და სსრ კავშირის განადგურების ეიფორიის ფონზე დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი ამის შესახებ საჯაროდ აცხადებდა 90-იანი წლების დასაწყისში. ეს თემა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც აიტაცეს, მაგრამ შემდეგ ამის შესახებ დადუმდნენ, ხოლო საჯარო გამოსვლებში ვრცელი ნაკადით წამოვიდა პოლიტიკური მითოლოგია. ეს იმიტომ, რომ მოსახლეობა, ბიზნესსა და ხელისუფლებაში წარმოდგენილი ადგილობრივი კლანები ვერ მიხვდნენ მათთვის გამზადებული ბედის შესახებ, რათა არ მიაქციონ ყურადღება მათი რბევის მომზადების აშკარა ნიშნებს, დარჩნენ ლოიალურები მსოფლიო ძალების მიმართ.**

ახალი გეოპოლიტიკური ეტაპის შინაარსი მონდიალიზმის სისტემის აგებაა. არსებითად, ეს ცენტრალიზებული მართვის ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნაა. რასაკვირველია, მსოფლიო სახელმწიფო შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს მოწყობილი, ჰქონდეს განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური სისტემა, შინაგანი ავტონომიები (მათ შორის, ეთნოკულტურული, ტრადიციულად ტერიტორიული). შეიძლება არსებობდეს მრავალნაირი განაწილება უფლებებისა და მოვალეობებისა და ა.შ. მაგრამ აუცილებლად დარჩება ის, რომ **კაცობრიობის მთელი რიგი ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს ცენტრალიზებულ რეგულირებას გლობალური მასშტაბებით.** უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება კაცობრიობის ზემოქმედების რეგულირებას პლანეტის ეკოლოგიაზე. ამიტომ მართვის გლობალური სისტემის ფორმირების, მაშასადამე, გლობალური ხელისუფლების თავად მოთხოვნა ზოგიერთი უფლებამოსილებით, სავსებით ობიექტურია.

ამჟამად შემოთავაზებული **მონდიალიზმის სისტემის მშენებლობის დროს პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ითვალისწინებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის, როგორც ასეთის, სრულ განადგურებას.** რასაკვირველია, ეს ვერ მოხდება ერთდროულად. ამას წლები დასჭირდება, მაგრამ ფუძემდებლური უკვე დაგეგმილია — შეიცვლება უფლების მთავარი სუბიექტი. **ეს იქნება მსოფლიო სახელმწიფო, სხვა სახელმწიფოები კი აღარ იარსებებს.**

ახალი მსოფლიო სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ობიექტურად წარმოქმნილ კანონზომიერებებზე. იგი განსაზღვრავს თავისი მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობას მის მიერ მიღებულ იდეურ-რელიგიურ საფუძველზე. ადამიანის უფლებათა პირველწყარო ახალი სოციალური სისტემის ფორმირების დროს გახდება გამარჯვებულის უფლებები. სიმდიდრე, სოციალური მდგომარეობა განაწილდება ამ უფლების მიხედვით. დგება უდიდეს ისტორიულ დაპირისპირებათა დასასრული, რომელშიც მხოლოდ ერთი შედეგია ყველასათვის: **„გამარჯვება ან განადგურება, ყველაფერი ან არაფერი“.**

გარდაქმნათა განსახორციელებელ პარადიგმაში დღეს არსებულ სახელმწიფოებს შეიძლება, ჰქონდეთ პრეტენზია იმაზე, რომ იყვნენ მსოფლიო სახელმწიფოს გუბერნიები დირექტიულად განსაზღვრული ადმინისტრაციული საზღვრებითა და მსოფლიოს ცენტრიდან დანიშნული ხელმძღვანელობით. თანაც, **სიტუაციის განვითარების დღევანდელი სცენარი არ ითვალისწინებს მსოფლიო სახელმწიფოს ჩამოყალიბებას დემოკრატიული მეთოდებით. ეს არ იქნება ნებაყოფლობითი გაერთიანება იმ ქვეყნების (საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ინსცენირების გამოკლებით), რომლებიც მმართველობის ზემდგომ ორგანოებში აწარმოებენ თავიანთი სახალხოდ არჩეული წარმომადგენლების დელეგირებას.**

### საკითხის გადაწყვეტის ფასი და გზა

მნიშვნელოვან ობიექტურ პირობებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიო ძალების მოქმედებათა სტრატეგიაზე, აღვნიშნავთ გლობალურ ეკოლოგიურ კრიზისს. იგი დაკავშირებულია სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სწრაფ ზრდასთან, საყოფაცხოვრებო ენერგოშეიარაღების ზრდასა და პლანეტის მოსახლეობის ფართო ფენების პირადი მოხმარების ნომენკლატურის გაფართოებასთან. ენერგომოხმარების საერთო მოცულობა, წარმოების მოცულობა, მოხმარების მოცულობა პრაქტიკულად პირდაპირ კავშირშია არა მხოლოდ ერთმანეთთან, არამედ გარემობუნების დაბინძურებასთან, პლანეტის ეკოლოგიაზე ზემოქმედებასთან. ამ ზემოქმედებამ უკვე კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც განადგურებით ემუქრება პლანეტაზე კაცობრიობის ყოფის ხელსაყრელ გარემოს. ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევა და უკანასკნელ წლებში სწრაფად მზარდი ბუნებრივი კატასტროფები.

მომავალი ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ წარმოების და, შესაბამისად, მოხმარების მკვეთრი შემცირებით. პრაქტიკულად შეუძლებელია, სასწრაფოდ დავამუშაოთ და ფართოდ დავნერგოთ ეკოლოგიურად სუფთა ახალი ტექნოლოგიები, რათა გლობალური მასშტაბით მრავალგზის შემცირდეს საზიანო გამონადენები წარმოების მოცულობის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის.

მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი არ განიხილავს წინადადებებს კაცობრიობის ახალი სახის ფორმირების შესახებ მოხმარების რაციონალური კოლექტიური ფორმების გამოყენებით. არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ **მსოფლიო სისტემის გარდაქმნასთან ერთად იქნება კატასტროფული მოვლენები მსხვერპლისა და ნგრევების უპრეცედენტო მასშტაბებით.**

არსებული მსოფლიომოწყობის გადაზრდა მსოფლიო სახელმწიფოს ფორმატში განხორციელდება სახელმწიფო მართვის ძირითადი ფუნქციების გადაცემის გზით სახელმწიფოს მაღლა მდგომი სტრუქტურებისათვის. ეს თანდათან **ჩამორეცხავს მსოფლიოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.** ისინი მსოფლიო პროცესების თანაბარუფლებიანი მონაწილეებიდან გადაიქცევიან მსოფლიო სისტემის დამოკიდებულ, გარედან მართულ რგოლებად.

სახელმწიფოს ეკონომიკური მართვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქტიურად იწყებს გადასვლას სახელმწიფოს ზემოთ მდგომ დონეზე. **უკვე გამოჩნდა საერთაშორისო ვალუტა ევრო, მიმდინარეობს განხილვა საკითხისა ჩრდილოამერიკული ვალუტის „ამეროს“ შექმნის, აგრეთვე, სხვა რეგიონული ვალუტების (გლობალური ვალუტისაც კი) შექმნის შესახებ. საერთოდ კი, დოლარი, თავისი არსით, არ ყოფილა სავსებით ამერიკული ვალუტა, უფრო მეტად ტრანსკონტინენტალური იყო.**

**სტრატეგიული რესურსების მონოპოლიური მართვა აუცილებლად შობს მთელი საწარმოო სფეროს ცენტრალიზებულ მართვას.**

ასევე ხელიდან გეცლება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციები უშიშროების სფეროში, ომისა და მშვიდობის საკითხები. **სამხედრო კონფლიქტები ახლა პრაქტიკულად ომის გამოცხადების გარეშე წარმოებს.** კონფლიქტები ვითარდება და მიმდინარეობს რომელიღაც საერთაშორისო ძალებით საერთაშორისო მანდატებზე მითითებით, ხშირად იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც ფორმალურად არ მონაწილეობენ კონფლიქტებში. **დარღვეულია ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი — სახელმწიფოთა განსაკუთრებული უფლება, ჰყავდეთ შეიარაღებული ძალები და იმოქმედონ სამხედრო ძალით, რომლის საფუძველზეც ისტორიულად არის აგებული საერთაშორისო-სამართ-**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქანდარმად იქცა

**ლებრივი პასუხისმგებლობა ომისა და მშვიდობის საკითხებში. ახლა კონფლიქტში სულ უფრო მეტად მონაწილეობენ დიდი არასახელმწიფო შეიარაღებული ფორმირებები.**

თავად ამ ფაქტს ომისა და მშვიდობის საკითხები სახელმწიფოთაშორისი სფეროდან გადაჰყავს შინაგან მოვლენათა სფეროში ერთიან საერთო-მსოფლიო სისტემაში. ამასთან, სუვერენულ სახელმწიფოთა დომინირებული როლი მკვეთრად ეცემა. **შემდეგი ეტაპი გახდება მსოფლიო სამხედრო-პოლიტიკური ძალების ღია შექმნა ყველა ქვეყანაში სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურების თანდათანობითი დაქვეითებით.**

## პრიორიტეტები საკითხის გადაჭრის მეთოდებში

ქაოსის ფორმირებას, საზოგადოების მართვის სხვადასხვა ფუნქციის დარღვევას უსათუოდ მივყავართ სხვადასხვა მასშტაბის სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის ძალოვანი მეთოდების მკვეთრ გაძლიერებასთან — ადგილობრივიდან გლობალურამდე. ბრძოლაში მონაწილე მხარეები იძულებული იქნებიან, ეს გამოიყენონ. მსოფლიოს მაღალი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ადგილობრივი ბრძოლა პრაქტიკულად არ შეიძლება მოხდეს იზოლირებულად იმ საგარეო მოკავშირეების მხარდაჭერის მოზიდვის გარეშე, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთაშორისო ძალების ამ ბრძოლის შედეგებით. შესაბამისად, ამ ბრძოლაზე აისახება უფრო მაღალი მიზნების მიღწევის ინტერესები. საბოლოო ჯამში, **ბრძოლის ნებისმიერი ეპიზოდი დაემორჩილება მსოფლიო პროცესების საერთო მოძრაობას.** ამ თვალსაზრისით გლობალური ბრძოლა იქნება ერთიანი, მთელი მისი ნაირფეროვნებით. **არავის შეეძლება „გადაიტანოს მძიმე პერიოდი წყნარ ადგილზე“.** ამიტომ ბრძოლას ექნება არა მხოლოდ გლობალური მიზნები, არამედ განაწილდება გლობალურად, პლანეტის ყველა ნაწილში.

**გლობალური ძალოვანი ბრძოლის ხასიათი შეიძენს ახალ, ადრე მისთვის უჩვეულო, ანდა ნაკლებად გამოვლინებულ ხასიათს. ასეთი ისტორიული პირობები ადრე არ არსებობდა. მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ბრძოლის დამდგარი გეოპოლიტიკური ეტაპის არსს, არის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის თანდათანობითი ნგრევა.**

**ბევრი ქვეყნის სათავეში იქნებიან მსოფლიო ძალების მიერ მოვლენილი პიროვნებები ან მბრძანებლური დაჯგუფებები. ამჟამად ეს მოვლენა აზვავდა. სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებანი წარსულს ჩაბარდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტთან ერთად. დაიწყება ტრანსკონტინენტურ ძალთა შეჯახებანი, რომლებშიც სახელმწიფოები ითამაშებენ მათი ჩანაფიქრის შემსრულებელთა ხელქვეითების როლს.** ეს განუხრელად იქნება დაკავშირებული მათში შინაგან ბრძოლასთან, ვინაიდან სახელმწიფო ინტერესების დარღვევა გამოიწვევს ამისაგან განაწამები სოციალური ჯგუფების პროტესტს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბრძოლის ფრონტის ხაზი“ გაყოფს ადამიანებს არა იმდენად სახელმწიფოთა მიკუთვნების მიხედვით, არამედ ახლად ჩამოყალიბებულ მსოფლიო სახელმწიფო სტრუქტურაში სოციალურ-ჯგუფობრივი ინტერესების მიხედვით. ძალოვან ბრძოლაში ასეთი დაყოფა ადრე დამახასიათებელი იყო მხოლოდ შიდასახელმწიფო დაპირისპირებაში, სამოქალაქო ომში. ახლა ეს გახდება ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს გლობალური ბრძოლის სურათის სიახლეს. ამასთან დაკავშირებით **გვთავაზობენ, ასეთ დაპირისპირებას მსოფლიო სამოქალაქო ომი ვუწოდოთ. ეს მსოფლიო რევოლუციის ბუნებრივი ატრიბუტია. ერთი მეორის გარეშე შეუძლებელია. ინიციატორებად აქ გამოდიან იგივე ძალები, რომლებმაც ვერ შეძლეს მისი განხორციელება 90 წლის წინათ. ახლა მათ გაითვალისწინეს შეცდომები და უკეთ მოემზადნენ...**

## ბრძოლის ხასიათის ცვლილებათა გამოვლინება

გლობალური ბრძოლის ხასიათის ცვლილების შესახებ წარმოდგენილ მოსაზრებებს ჯერ ვერ ვუწოდებთ საზოგადოდ მიღებულს. ამიტომ ისინი უნდა დადასტურდეს ცხოვრების მაგალითებით.

**სამოქალაქო ომის მნიშვნელოვანი ნიშანია ძალოვან სტრუქტურათა მოქმედების ხელახალი ორიენტირება ფართომასშტაბიანი პოლიციური ღონისძიებების შესრულებაზე. მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნიშანი კი დაპირისპირებულ ძალთა დაყოფის პრინციპია. ისინი ნაწილდება არა სახელმწიფო მიკუთვნების, არამედ სოციალურ-ჯგუფობრივი ინტერესების მიხედვით.**

**წარმოქმნილი ლოკალური კონფლიქტები სავსებით გამოკვეთილად იძენს გლობალური ძალების სამხედრო-პოლიციური ოპერაციების ხასიათს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შეიარაღებული ძალები თანდათანობით გარდაიქმნება ამ ფუნქციების შემსრულებლად.**

დასავლეთის წამყვანი თეორეტიკოსები თავიანთ გამოკვლევებში გვერდს ვერ უვლიან ობიექტურ პროცესებს, რომლებიც მსოფლიო სამოქალაქო ომების წარმოების პარადიგმას ქმნის, თუმცა მათ სულაც არ სურთ, საგნებს უწოდონ თავიანთი სახელები, ამიტომ ამ თემას გვაწვდიან ერთობ ბუნდოვნად, შეფარულად. აშშ სახმელეთო ჯარების სამხედრო კოლეჯის წამყვანი სამხედრო ანალიტიკოსი ანტულიო ჯ. ეჩევარია II 2008 წლის ივნისში გამოვიდა დიდი ანალიტიკური მოხსენებით: „იდეური ომი და იდეათა ომი“. არსებითად, ავტორი აღიარებს, რომ

**თანამედროვე სამხედრო მოწინააღმდეგეთა დაპირისპირება გადადის იდეურ საფუძველზე, მცირდება სახელმწიფოთაშორისი აზრთა სხვადასხვაობის ფაქტორი. ეს სამოქალაქო დაპირისპირების მნიშვნელოვანი ნიშანია, რის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობდით, და არა მხოლოდ ნიშანი, არამედ — განმსაზღვრელი ხასიათი. იდეურ სამოქალაქო ომში ძალთა სიძლიერის კრიტერიუმები მკვეთრად იცვლება.**

ეს კარგა ხანია, შეინიშნებოდა, სამხედრო პოლიტიკური მოტივებით სამხედრო დამსჯელი აქციების დაწყებიდანვე. აი, რა თქვა ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჯონ პოლ ვანმა ვიეტნამის ომთან დაკავშირებით: **„ეს პოლიტიკური ომია და იგი მოითხოვს უმაღლეს არჩევითობას მოწინააღმდეგის დამარცხების დროს... დასამარცხებლად საუკეთესო იარაღია დანა, მაგრამ მეშინია, ჩვენ ასე ომი არ შეგვიძლია. შემდეგი დონე — ეს შაშხანაა. ყველაზე ცუდი იარაღია ბომბდამშენი, შემდეგ — არტილერია. დარწმუნებული უნდა იყო, რომ კლავ სწორედ მოწინააღმდეგეს“.** რასაკვირველია, ეჩევარიას სულაც არ მოსწონს აშშ შეიარაღებული ძალების ახალი კრიტერიუმების მიხედვით ასეთი გადასინჯვა, თუმცა პრაქტიკა გვაიძულებს, ვიფიქროთ ამაზე.

ეჩევარიას ესმის აშშ შეიარაღებული ძალების დროის მოთხოვნებისადმი სერიოზული შეუსაბამობა. ამიტომ გვთავაზობს, გადავსინჯოთ კონცეპტუალური დოკუმენტები. მაგალითად, ის სარეკომენდაციო ნაწილში წერს: **„საინფორმაციო ოპერაციები დამხმარეა სამხედრო ოპერაციებისათვის. ეს სამართლიანია კონფლიქტების ბევრი ტიპისათვის. მაგრამ სხვა შემთხვევებში, კერძოდ, იდეათა მიმდინარე ომში, შეფარდება პირიქითაა: სამხედრო ოპერაციებმა ხელი უნდა შეუწყოს საინფორმაციოს“.** უკეთესად ვერ იტყვი. წარსულში ასე იყო. მიმდინარე ომში კი სხვანაირადაა. ეს უკვე იდეების ომია. მთავარია იდეური გამარჯვება. გასაგებია, რამდენად არ ეთანხმება ეს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის კლასიკას. სამაგიეროდ, მსოფლიო სამოქალაქო ომის პარადიგმაში ეწერება აბსოლუტურად ზუსტად.

ეჩევარია იძლევა რეკომენდაციებს იდეების ომის უზრუნველყოფის შესახებ ზევიდან, დაწყებული უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობიდან — ძირამდე.

**დიდ ბრიტანეთში სამხედრო თეორეტიკოსების მოსაზრებები სავსებით ჰარმონიულია ამერიკულთან.** აქ აღსანიშნავია სამეფო კოლეჯის (ლონდონი) სამხედრო კვლევის კათედრის მასწავლებლის დევიდ ჯ. ბეტცის სტატია, რომელიც გამოქვეყნდა 2005 წლის მაისში: **„რევოლუცია სამხედრო საქმეში და „არმიის ოპერაციები ომის პირობების შემდეგ“: ორლესული იარაღი“.** იგი ჯერ მსჯელობს კლაუზევიცის მიერ მოცემული ომის კლასიკური ოპერაციის განსაზღვრაზე. ირკვევა, რომ დღევანდელი ომებისათვის იგი მთლად შესაბამისი არაა. მისი თქმით, სამხედრო ოპერაციებს ომის პირობების გარეშე — იგივე შეზღუდულ ომებს, პრაქტიკულად, არასოდეს აქვს ზუსტი ამოცანები. შემდეგ აღნიშნავს: **„მაქს ბუტი ამტკიცებს, რომ ასეთი კონფლიქტები ამოიწურება შემდეგი სახეობებით: ომები, რომლებიც წარმოებს ომის გამოუცხადებლად; ომები, რომლებსაც არ გააჩნიათ შეიარაღებული კონფლიქტიდან გამოსვლის სტრატეგია; ომები, რომლებიც მიმდინარეობს ნახევარი ძალით; ომები, რომლებშიც სამხედროები სოციალური მუშაკების ერთგვარ როლს ასრულებენ; ომები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოთა ჩარევასთან საშინაო საქმეებში; ომები, რომლებზეც არ არის დამოკიდებული „სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები“; ომები, რომლებიც წარმოებს მრავალეროვანი ძალების ფარგლებში შერეული სარდლობით“.**

ჩამოთვლილი კატეგორიები არაა დამოუკიდებელი „კონფლიქტის ტიპები“, ვინაიდან ცხოვრებაში შეიძლება იყოს მოყვანილი ნიშნების ნებისმიერი კომბინაცია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ყველაზე არსებითი აქ არის **„სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციები გლობალური ცენტრისათვის დაუმორჩილებელ ხალხთა მოსათვინიერებლად“.**

მაგრამ პოლიციური ოპერაციები შინაგან საქმეთა ორგანოების ფუნქციაა. თუ შემოთავაზებულ სახელწოდებას ვაღიარებთ, ეს ნიშნავს, რომ ვაღიაროთ მსოფლიო სახელმწიფოს არსებობა (რომელიც მხოლოდ შენდება, მხოლოდ აცხადებს თავისი უფლებების შესახებ), რომლისთვისაც ყველა ეს ომი „საშინაო საქმეა“. მიუხედავად ამისა, სამხედრო თეორეტიკოსების რეკომენდაციები სავსებით ლოგიკურად შეესაბამება პენტაგონის გარდაქმნას „გლობალურ შინაგან საქმეთა სამინისტროდ“. დევიდ ჯ. ბეტცის აზრით, რა უნდა აკეთონ შეიარაღებულმა ძალებმა? ამონარიდი იმავე ნაშრომიდან: **„ტერორთან ბრძოლა და შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების სხვა სტრატეგიული გეგმები სულ უფრო ხშირად მოითხოვს სამომავლოდ შეიარაღებული ძალებისაგან გაკოტრებული და გაკოტრებასთან ახლო მყოფი სახელმწიფოების საქმეში ჩარევას, ეს კი ნიშნავს, რომ სამხედროებს, ნებით თუ უნებლიეთ, მოუწევთ დაეუფლონ წესრიგში მოყვანის, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის, მშვიდობის შენარჩუნებისა და ა.შ. ჩვევებს, აგრეთვე, შეიძინონ შესაბამისი ტექნიკა და მოწყობილობა. მიუხედავად ამისა, სანამ არ გაჩენილა უფრო მოხერხებული საზოგადოდ მიღებული სახელწოდება, უნდა ვიკმაროთ ტერმინი „საარმიო ოპერაციები ომის პირობების გარეშე“ („სოოპგ“). მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ტერმინი ცბიერია, გვინდა ეს ჩვენ თუ არა, საბრძოლო დავალებები, რომლებსაც ამჟამად „ოპერაციებს ომის გარეშე“ უწოდებენ, თანდათანობით აღარ მოგვეჩვენება თავისი „ჭეშმარიტი“ დანიშნულებისაგან — მოემზადოს მეორე მსოფლიო ომის ტიპის „კლასიკური“ ომისათვის — რაღაც განყენებულად... ვინაიდან ასეთი ომი ხდება სულ უფრო სავარაუდო. პირიქით, „სოოპგ“ მომავალში განიხილება როგორც საბრძოლო მოქმედებათა ძირითადი სახეობა“.**

საკომენტარო აქ აღარაფერია. ძირითადია პოლიციური ფუნქციები. შეიძლებოდა სხვა მაგალითების მოყვანაც, მაგრამ ზემოჩამოთვლილი ამერიკელი და ინგლისელი ავტორიტეტული თეორეტიკოსების პოზიციები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაზეა ორიენტირებული წამყვანი გლობალური ძალები. მათ ესმით დამდგარი ბრძოლის ხასიათი. ასეთს რუსეთზე ვერ იტყვი, თუმცა დასავლეთში გვიწევს აზროვნების ინერციის დაძლევა.

ჩვენ ვაჩვენეთ ახალი სამხედრო-ძალოვანი ბრძოლის პირობებისათვის მზადების პრობლემის ის ასპექტები, რომლებიც მოითხოვს მთლიანად შეიარაღებული ძალების, მისი პირადი შემადგენლობის შესაბამის სტრუქტურიზაციასა და აღჭურვილობას. ეს შეეხება იმ ტერიტორიების სამხედრო-პოლიციური (ოკუპაციური) კონტროლის უზრუნველყოფის საკითხებს, რომლებიც მოითხოვს სამხედრო მოსამსახურეების მასობრივ მონაწილეობას. მაგრამ პლანეტის მოსახლეობის შემცირებაზე დღევანდელი ორიენტაციის გათვალისწინებით მოსახლეობის წინააღმდეგ ომში არის მეორე მხარეც — მისი მასობრივი განადგურების უზრუნველყოფა.

**ბირთვული იარაღის გამოყენებით ტრადიციული დაშინება ამჟამად საგრძნობლად შენელდა. უწინარეს ყოვლისა, ეს დაკავშირებულია გარემოს ხანგრძლივ დაბინძურებასთან, აგრეთვე პერსონიზებული პოლიტიკური პასუხისმგებლობით მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე მისი გამოყენების შემთხვევისათვის.** მეტად სავარაუდოა, მის გამოყენებას ადგილი ჰქონდეს როგორც აქტს კაცობრიობის დაშინებისათვის, გაცილებით მეტი დაშინების დადასტურების აქტს. ეს შესაძლებელია შედარებით მცირე მუხტით ხალხის ცხოვრებისათვის (კლიმატური და ეკოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით) ნაკლებად ხელსაყრელ ან ნაკლებად პერსპექტიულ ტერიტორიებზე.

**მაგრამ არსებობს და მუდმივადაც ამუშავებენ მასობრივი ზიანისმიმყენებელი ზემოქმედების სხვა საშუალებებს. მათ შორის ბევრია ისეთი, რომლის ავტორობაც შეიძლება შენიღბო პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.** იგულისხმება არა მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობა, არამედ პოლიტიკური ძალების, სახელმწიფოების პასუხისმგებლობაც. **აქ ყველაზე მეტად ცნობილია ბაქტერიოლოგიური იარაღი. რეგულარულად ჩნდება ცნობები კლიმატური, მეტეოროლოგიური, გეოფიზიკური იარაღის, მასობრივი ფსიქოტროპული და ფსიქოტრონული ზემოქმედების სხვა იარაღის განუწყვეტლად დამუშავების შესახებ ფიზიკის ახალ პრინციპებზე.** რასაკვირველია, ამ საშუალებათა რეალურად ხელმისაწვდომი ეფექტიანობა სამხედრო საიდუმლოების საგანია. **მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებულ მნიშვნელოვან სივრცეებში მათ გამოყენებას შეიძლება ჰქონდეს კატასტროფული შედეგები.** ეს იარაღი ანადგურებს, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობას და არა მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს საბრძოლო პოზიციებზე. გეოპოლიტიკური ბრძოლის ახალი ეტაპის სტრატეგიული მიზნები, მათდამი დიდი ინტერესი, რასაც ადასტურებს საბრძოლო გამოკვლევებისა და დამუშავებათა გაქანება, სულ უფრო მეტად სავარაუდოს ხდის მათ გამოყენებას.

**შეიძლება მყარად დავაფიქსიროთ მთავარი. გაბატონებული მსოფლიო ძალები, მსოფლიოს მონოპოლარული მდგომარეობიდან მონდიალიზმში გადაყვანის სცენარის გათვალისწინებით, უკვე აქტიურად ემზადებიან ადრინდელისაგან განსხვავებული სრულიად სხვა სახის ბრძოლისთვის. საქმისადმი მათი მიდგომა თავსდება უკვე ამოქმედებული მსოფლიო სამოქალაქო ომის პარადიგმაში.**

**კონსტანტინე სოკოლოვი**
გეოპოლიტიკურ პრობლემათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რედაქციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოვიდა ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულის გიორგი მაისურაძის დეტექტივი. ნაწარმოების გაცნობამ მიგვახვედრა, რომ საქმე გვაქვს პროფესიონალ მწერალთან, რომელიც ფსევდონიმს ამოეფარა.
იმედია, დეტექტივის გამოქვეყნების დასრულებამდე რედაქციაც და გაზეთის მკითხველიც შევიტყობთ ავტორის ნამდვილ ვინაობას.
მკითხველი ნაწარმოებში ბევრ მსგავსებას იპოვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან, შესაძლოა, კონკრეტული პირებიც ამოიცნოს.
თუმცა ავტორი მიგვანიშნებს, რომ ყველა შესაძლო პარალელი მხოლოდ დამთხვევაა.

## გიორგი მაისურაძე

# სალამი საქართველოდან!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11-12

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტის მოწმობამ პრეზიდენტის რეზიდენციაში იგივე გავლენა და შედეგი იქონია, რაც ალი-ბაბას გამოქვაბულში სიტყვებმა — „სეზამ, გაიღე!“

ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩის ჯეფრი ჯელტრის გემოვნებაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანი ლიზი გასვიანი მართლაც ლამაზი ქალიშვილი გახლდათ. ძალზე თავაზიანად მიიღო სიდნეი როჯერსი (რა თქმა უნდა, ინგლისური იცოდა), თურქული ყავით გაუმასპინძლდა სტუმარს. სანამ ყავის სმას მორჩებოდნენ, როჯერსის აკრედიტაციის მოწმობაც მზად იყო.

— ეჭვი არ მეპარება, მიუხედავად უკიდურესი მოუცლელობისა, საქართველოს პრეზიდენტი „ნიუ-იორკ თაიმსისთვის“ დროს აუცილებლად გამოძებნის, — ასეთი იყო მისი პასუხი სიდნეი როჯერსის თხოვნაზე. ამის შემდეგ მობილური ტელეფონების ნომრები გაცვალეს და ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ. რაღაცნაირი ფამილარობა იგრძნობოდა ლიზი გასვიანის მანერებში — ფავორიტული ფამილარობა...

ჯონ ობრაიენი ისეთი იერით იჯდა მანქანაში, თითქოს მანეკენი ყოფილიყო.

— ხომ არ გვესადილა, მისტერ ობრაიენ? — ჰკითხა როჯერსმა მანქანაში ჩაჯდომისას.

— შეიძლება, — გულგრილად უპასუხა ობრაიენმა, — საელჩოში მივბრუნდეთ?

— არა, გეცოდინებათ აქ რაიმე ადგილი. მე გეპატიჟებით.

— თქვენი ნებაა, მისტერ როჯერს, — ობრაიენმა მანქანა დაძრა.

— სერიოზული საჭმელი თუ მსუბუქი? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— გემრიელი! — მოჭრა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— აქ ყველა საჭმელი გემრიელია, — იმავე კილოთი უპასუხა ობრაიენმა, — ოღონდ ზოგი მათგანი ძალზე მოუხერხებელია.

— როგორ, მოუხერხებელი?

— საჭმელად მოუხერხებელია, დისკომფორტი გექმნება ჭამისას, — განმარტა ელჩის თანაშემწემ...

მოუხერხებელი საჭმელი დაკეპილი, სანელებლებით შეზავებული, ცომში გახვეული მოხარშული ხორცი აღმოჩნდა, გამოსათქმელად გაცილებით მოუხერხებელი სახელწოდებით „ხინკალი“ და, რა თქმა უნდა, ფასტ-ფუდზე გაზრდილი, მიკროტალღოვანი ღუმელების თაობის ჭეშმარიტი წარმომადგენლისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანაშემწის — ჯონ ობრაიენისთვის, არ შეიძლებოდა, დისკომფორტი არ შეექმნა.

* * *

„მეტეხი-პალასთან“ დაემშვიდობა ჯონ ობრაიენს. სასტუმროს ჰოლში ჯეფრი ჯელტრის პირადი თარჯიმანი ნინო იაშვილი ელოდებოდა.

“ეტყობა, ღმერთმა ყველაზე მეტად ქართველი ქალებისთვის მოიცალა!” — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა. დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა ნინო იაშვილს და ოქროსფერი თმა, ახალგაზრდა კაცი ახლდა.

— გამარჯობა, მისტერ როჯერს. გაიცანით, ჩემი მეგობარი არჩილ კამარაული, — ახალგაზრდა კაცი წარუდგინა ნინომ, — თუ შეთანხმდებით, თქვენი მძღოლი და თარჯიმანი, — დასძინა მშვიდად.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა ახალგაზრდა კაცს ხელი გაუწოდა. საშუალოზე მაღალი იყო, გამხდარი, წაბლისფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმითა და ტევადი მწვანე თვალებით. მუქი ლურჯი ჯინსი, ტყავის შავი ფეხსაცმელი და მოკლესახელოებიანი შავი გადმოშვებული მაისური ეცვა, ოცდახუთიოდე წლისა იქნებოდა.

— როგორ ბრძანდებით, მისტერ როჯერს? — თქვა გამართული ინგლისურით ხელის ჩამორთმევისას.

სამივენი იქვე, ჰოლში, მაგიდას მიუსხდნენ. არჩილ კამარაულმა როჯერსის თანხმობის შემდეგ ყავა დაუკვეთა.

— მანქანა გყავთ? — ჰკითხა როჯერსმა.

— დიახ, მისტერ როჯერს, „ოპელ-ასტრა“.

— ხომ დადის? — მანქანის დასახელება არაფერს ეუბნებოდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს.

— ჯერჯერობით კი, მისტერ როჯერს.

— დროის მხრივ როგორ ხართ?

— ჩიტივით თავისუფალი! უმუშევარი ვარ, — გულგრილად თქვა ახალგაზრდა კაცმა.

— რამდენჯერმე შევთავაზეთ ჩვენთან, საელჩოში, თარჯიმანთა ბიუროში სამსახური, მაგრამ უარზეა. ასე მირჩევნიაო, სულ ამას ამბობს. — ქალიშვილის ხმაში წუხილის ბზარები შეიმჩნეოდა.

“აშკარად უყვარს”, — გაიფიქრა სიდნეი როჯერსმა, — “თანაც, ძალიან მაგრად!”

— აბა, რით ცხოვრობთ, მისტერ კამარაული? — პირდაპირ იკითხა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა.

— ეტაქსაობ, — მოკლედ მოჭრა ახალგაზრდა კაცმა, — ასე უფრო თავისუფალი ვარ, — დასძინა ცოტა ხნის შემდეგ.

სიდნეი როჯერსის მზერაში თანამოსაუბრისადმი აშკარა სიმპათია გამოიკვეთა.



ოფიციანტმა, შავგვრემანმა, ოციოდე წლის ბიჭმა, ყავა მოიტანა და ცხელი ფინჯნები ფრთხილად გაუნაწილა მაგიდასთან მსხდომთ. არაფერი შეშლია, პირველი ფინჯანი ქალიშვილს დაუდგა.

— რახან ეგრეა... — სიდნეი როჯერსმა ყავა მოსვა, — პრეზიდენტის კანცელარიაში უკეთესი იყო... — მაშინ მოვილაპარაკოთ და შევთანხმდეთ. ასი დოლარი დღეში მანქანით მომსახურებისთვის და ასიც — თარჯიმნობაში. საწვავის ხარჯი — ცალკე. გაწყობთ?

— კი, მაგრამ... — არჩილმა ქალიშვილს გახედა, — ბევრია, — თქვა ბოლოს, — უხერხულია.

— „ნიუ-იორკ თაიმსის“ დარდი ნუ გაქვთ, არ გაკოტრდება. ფასი ნათქვამია, ახლა თქვენი თანხმობაა საჭირო. ცოტა უცნაურიც კი მეჩვენება ყოყმანი იმის გამო, რომ გასამრჯელო ბევრია.

— კარგი, — თქვა ახალგაზრდა კაცმა, — კარგი, მისტერ როჯერს.

— კიდევ ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ.

— დიახ, მისტერ როჯერს.

— ნუღარ დამიძახებთ მისტერ როჯერსს, პირდაპირ შეგიძლიათ მომმართოთ „სიდ“. მეც სახელს დაგიძახებთ.

— არჩილი, — ჩაერია ნინო იაშვილი.

— დიახ, არჩილი, — გაიმეორა სიდნეი როჯერსმა, — არჩილი... არჩი! წინააღმდეგი ხომ არ ხართ?

— არა, — გაეღიმა ახალგაზრდა კაცს, — ნინოც ასე მეძახის.

— ძალიან კარგი. ახლა მობილურის ნომრები გავცვალოთ. ყოველ საღამოს შეგატყობინებთ მეორე დღის გეგმების შესახებ. არა მგონია, ძალზე დაგტვირთოთ.

— დღედაღამ თქვენს განკარგულებაში ვიქნები, მისტერ...

— სიდ! — შეახსენა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა, — სიდ, არჩი, სიდ!..

„ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური აგენტი სიდნეი როჯერსი სასტუმრო „მეტეხი-პალასის“ ჰოლში იდგა და გასასვლელისკენ მიმავალ ნინო იაშვილსა და არჩილ კამარაულს უყურებდა. საოცრად უხდებოდნენ ერთმანეთს. “რა კარგი ქვეყანაა!” — ფიქრობდა ბედნიერი წყვილის შემხედვარე სიდნეი როჯერსი.

გვიან ღამით „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა დაურეკა მობილურით და აცნობა, რომ დილით საქართველოს პრეზიდენტთან უნდა მისულიყო ინტერვიუზე.

— ზუსტ დროს პრეზიდენტის პრესმდივანი გაცნობებთ დილით, — დასძინა ჯეფრი ჯელტრიმ.

* * *

ინტერვიუს საქართველოს პრეზიდენტთან პრესმდივანი ლიზი გასვიანიც ესწრებოდა. დიქტოფონი ჩაერთო და საუბრის დუბლჩანაწერს აკეთებდა.

პრეზიდენტი მაღალი კაცი იყო. სიმსუქნე არაპროპორციულად შეჰპარვოდა მის ახოვან სხეულს, ძირითადად, თეძოებზე და ამიტომაც ვიწრომხრებიან კაცად გამოიყურებოდა. მიუხედავად განუყრელი ღიმილისა შეხვედრის პირველი წამიდან, თხელი ზედა ტუჩი ამ ღიმილის გულწრფელობას აუფერულებდა, ნაცრისფერი, ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალები სიშავეში გადადიოდა, თითქოს მზერა ებინდებოდა, მაგრამ შიგადაშიგ, წამიერად, ბინდიდან გამჭოლი სხივი გამოკრთოდა, რაც, უდავოდ, ამ ადამიანის შეუპოვრობასა და ჟინიანობაზე მიანიშნებდა.

ინტერვიუ ორიოდე კითხვის დასმის შემდეგ მონოლოგად გადაიქცა — საქართველოს პრეზიდენტის მონოლოგად, უხვად გაჯერებული დითირამბებით ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, მისი პრეზიდენტისადმი, ამერიკელი ხალხისადმი, ამერიკული ცხოვრების წესისადმი...

სიდნეი როჯერსი პრეზიდენტის პირისპირ იჯდა და რახან იმთავითვე გაიაზრა, რომ მეტი შეკითხვის დასმის საშუალებას არ მიეცემოდა, ცალი ყურით უსმენდა, მით უმეტეს, რომ მისი მინიატურული ციფრული დიქტოფონი ასევე ციფრული სიზუსტით იწერდა ამ უსაშველოდ გრძელი მონოლოგის ყოველ სიტყვას, ყოველ ბგერას. ხანდახან თავს უქნევდა პრეზიდენტს, რომელსაც ცხოვრების ერთი მეოთხედი — ათი წელი — ნიუ-იორკში გაეტარებინა და არა მხოლოდ კარგად ფლობდა ენას, არამედ ნიუიორკელებისთვის დამახასიათებელი აქცენტიც შეენარჩუნებინა მეტყველებაში.

“კაი გვარიანი მუშაობა მომიწევს!” — ფიქრობდა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის მონოლოგი თემატურად უნდა დაენაწევრებინა, შესაბამისი კითხვები შეერჩია, მოერგო, მიესადაგებინა ნალაპარაკევისთვის. თანაც, როჯერსმა უკვე იცოდა, რომ მის წინ მჯდომი კაცი ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც სხვის ნააზრევს ან ნამოქმედარს, თუკი მომგებიანი იყო მათი იმიჯისთვის, დაუყოვნებლივ ითვისებდნენ და თავიანთი მაღალი პოსტის, მდგომარეობის გამო ასეთი საქციელი სავსებით ლოგიკურად და სამართლიანად მიაჩნდათ.

“ამიტომაც მომიწევს რამდენიმე საკუთარი აზრის ჩადება მის ინტერვიუში”, — საბოლოოდ ჩამოყალიბდა სიდნეი როჯერსი.

საქართველოს პრეზიდენტის მონოლოგმა სამ საათს გასტანა, რის შემდეგაც პრეზიდენტი, თითქოს დამუხტული საკუთარი ნაამბობით, სხარტად წამოხტა სავარძლიდან და „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტს ფამილარულად დაჰკრა მხარზე ხელი.

— აბა, შენ იცი, სიდ! — წააქეზა თუ გაამხნევა, — აბა, შენ იცი! არა მგონია, მე და შენ „ნიუ-იორკ თაიმსის“ მკითხველები მოვაწყინოთ. ახლა კი წავედი! — საათზე დაიხედა, — ერთი საათია, ჩვენი მთავრობის წევრები მელოდებიან. დღეს, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები გვაქვს გადასაწყვეტი.

სიდნეი როჯერსმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო ინტერვიუსთვის, ისე გავიდა პრეზიდენტი კაბინეტიდან.

— ასეთი უბრალო, უშუალო და ენერგიული! — გაუღიმა როჯერსს ლიზი გასვიანმა. ღიმილში აღტაცება, სილამაზე და ბევრი სხვა განცდაც იკითხებოდა.

— მე მომეწონა თქვენი პრეზიდენტი! — რაც შეიძლება მეტი გულწრფელობა ჩადო ხმაში როჯერსმა, — საერთოდ, ყველა პრეზიდენტი ყველგან ახალგაზრდა უნდა იყოს! — ამ ფრაზით „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტი თითქოს საქართველოს პრეზიდენტის გუნდის წევრად, მის თანამებრძოლად იქცა პრესმდივნის წარმოდგენაში...

არჩილ კამარაული პრეზიდენტის კანცელარიის წინ ელოდებოდა თავის მანქანაში. „ჯიპებით“, „მერსედესებით“, „ბეემვეებით“ გადავსებულ ავტოსადგომზე მისი მწვანე „ოპელ-ასტრა“ უცხო პლანეტაზე მოხვედრილი მეტეორიტის ნამსხვრევივით გამოიყურებოდა.

— სასტუმროში, არჩი, — უთხრა როჯერსმა, — არ მეგონა, თუ ამდენ ხანს დავყოვნდებოდი, — თითქოს მოუბოდიშა.

— ეგ ჩვეულებრივი ამბავია, — მანქანა დაძრა და „უცხო პლანეტიდან“ გავიდა კამარაული, — მაგას კვირაობით შეუძლია ლაპარაკი, — დასძინა ცოტა ხნის შემდეგ.

სიდნეი როჯერსმა თხელი ქურთუკის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო.

— აჰა, დაიჭი, — გაუწოდა, — შენი სამი დღის გასამრჯელოა, დღევანდელის ჩათვლით.

— იქნებ მერე... — უხერხულად შეიშმუშნა კამარაული, — იქნებ მერე, როცა საბოლოოდ მოაგვარებთ საქმეს...

— აიღე, აიღე! — ძალა დაატანა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა, — მე თვითონ არ ვიცი, ჩემი მისია რამდენ ხანს გასტანს აქ...

— დღეს არ დამჭირდები, — უთხრა სიდნეი როჯერსმა არჩილ კამარაულს, სასტუმროსთან როცა მივიდნენ, — დღეს თავისუფალი ხარ. ან ამაღამ დაგირეკავ ხვალინდელზე, ან — ხვალ დილით.

სანამ თავის ნომერში შევიდოდა, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა მისტერ და მისის ბუშების ღამეგანათევი ნომრის კარზე დამაგრებული წარწერიანი ფირფიტა გადაიღო.

სიდნეი როჯერსმა მთელი დარჩენილი დღის ნაწილი და ღამის ნახევარზე მეტი იმუშავა ჩანაწერილის გაშიფვრასა და სისტემაში მოყვანაზე. ინტერვიუ რედაქციას ნაშუაღამევს გადასცა; მაქსიმალურად შეამცირა, თუმცა საგაზეთო სივრცეში არავინ ზღუდავდა, რამდენიმე ფოტოსურათიც გადააგზავნა და ყველაფერს მსხვილი შრიფტით „სასწრაფოდ!“ მიაწერა და რახან იმ დროისთვის ნიუ-იორკში რიჟრაჟდებოდა, რედაქციასთან დალაპარაკება მისთვის უფრო კომფორტული დროისთვის გადადო. მოკლე ანგარიში რიჩარდ ჰოფნერსაც გადაუგზავნა.

გაგრძელება იქნება

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# „სიკვდილი ფაშისტ გურამ შარაძეს, გაუმარჯოს „თავისუფლების ინსტიტუტს“!

**სათაურში გამოტანილი ეს ფრაზა „სოროსის ფონდის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჯერ კიდევ 2002 წელს „მაგთის“ 10 ათას აბონენტს გაუგზავნა. მართალია, მისი ვინაობა დადგინდა, მაგრამ ვინმე ქაროსანიძისთვის პასუხი არავის მოუთხოვია... ქაროსანიძის „შემოქმედების ნაყოფია“ გურამ შარაძის მკვლელობისთანავე მის მობილურზე გაგზავნილი შემდეგი მესიჯებიც: „მუსოლინის გვერდზე დამარხეთ ეგ გახრწნილი“, „ყველა ფაშისტს ეგრე მოუვა, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეთ, თქვე დამპლებო და კაციჭამიებო!“... ამის შემდეგ არავის გაუკვირდება, რატომ აცხადებენ დახვრეტილი აკადემიკოსის ოჯახის წევრები, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო. 20 მაისს გურამ შარაძის გარდაცვალებიდან ორი წელი შესრულდა. მისი მკვლელობის ადგილას მოეწყო ფოტოგამოფენა: „გურამ შარაძის სიკვდილი და დასაფლავება“. მოგვიანებით კი სამების საკათედრო ტაძარში მწერალთა კავშირმა და საპატრიარქომ ხსოვნის საღამო გამართეს... ამ დღეებში კი „საქართველო და მსოფლიო“ აკადემიკოსის ქალიშვილს რუსუდან შარაძეს ესაუბრა:**



**— 2 წელი გადის მამათქვენის გარდაცვალებიდან და თქვენ დღემდე იბრძვით სიმართლის დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი — გიორგი ბარათელი დაკავებულია...**

— რამდენიმე დღის წინათ მომაწოდეს ინფორმაცია, თითქოს, გიორგი ბარათელი ესპანეთში გააპარეს, რაც აბსურდია! ორი წლის მანძილზე ათასჯერ მაინც მითქვამს, რომ გიორგი ბარათელს ციხეში ცოცხალს არ დატოვებენ-თქო. ეს შიში განსაკუთრებით მას შემდეგ გამიჩნდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას წყალი შეუდგა. გიორგი ბარათელი მთავარი მოწმეა ამ მკვლელობაში და თანაც არაფერ შუაშია! არაერთხელ მითქვამს, რომ იგი მკვლელობიდან 15 წუთში იძულებით მიიყვანეს იმ მიდამოებში. სააკაშვილის წასვლა და მისი ალაპარაკება ერთი იქნება. სააკაშვილი მამაჩემის მკვლელობას რომ გეგმავდა (არა მარტო მამაჩემის, კარგად იცით, რამდენი ადამიანი მოკლეს ქუჩებში), დარწმუნებული იყო, რომ ბრეჟნევივით სიკვდილამდე ხელისუფლების სათავეში იქნებოდა... ამიტომ ხელაღებით მოქმედებდნენ და კვალსაც არ შლიდნენ!

**— ამბობთ, სააკაშვილი როდესაც მამაჩემის მკვლელობას გეგმავდაო...**

— (სიტყვას მაწყვეტინებს) სააკაშვილმა და მისმა ხროვამ გურამ შარაძე ქუჩაში რომ დახვრიტა, ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?! ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ დაასახელა ის ადამიანები, ვინც სააკაშვილთან ერთად ამ შემზარავ დანაშაულს გეგმავდა. ეს ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ბურჯანაძის პერსონას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მან ძალიან კარგად იცის, ვინ რას გეგმავდა... ძალიან გთხოვთ, თქვენც და ყველა ჟურნალისტს, იქნებ, დამეხმაროთ ბარათელის მოძებნაში, გავარკვიოთ, ეს კაცი ცოცხალია თუ მკვდარი; რამდენიმე ციხე და საკანი რომ გამოიცვალა, ნამდვილად ვიცი. ისიც ვიცი, თურმე, პატიმრებმა კინაღამ მოკლეს, გურამ შარაძეზე ხელი როგორ აწიეო, მაგრამ, რომ დარწმუნდნენ ბარათელის უდანაშაულობაში, მას შემდეგ პატიმრებისგან საშიშროება აღარ ემუქრებოდა... „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და ამ სოროსელებმა მამაჩემის დახვრეტაში დიდი როლი ითამაშეს.

**— როგორც ვიცით, მას მოსდიოდა SMS-ები თავისუფლების ინსტიტუტის თუ სოროსის ფონდის კონკრეტული თანამშრომლებისგან...**

— „თავისუფლების ინსტიტუტი“, „სოროსის ფონდი“ და სააკაშვილი თავისი ხროვით ერთი და იგივე ძალაა. რა მნიშვნელობა აქვს ლევან რამიშვილი ხელისუფლებაში არის, თუ — არა, ისედაც ყველამ იცის, რომ ის ხელისუფლების ერთ-ერთი მმართველი და იდეოლოგია. კახა ლომაია, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი — ეს ხალხი ჩამოთვალა ნინო ბურჯანაძემ და ყველამ ვიცით, ვინ გეგმავდა საქართველოში ამგვარ მკვლელობებს. რაც შეეხება SMS-ებს, სოროსის ფონდის თანამშრომელი, ვინმე ქაროსანიძე 2002 წლიდან უგზავნიდა მამას ბინძურ მესიჯებს. იმავე წლის ივლისში „მაგთის“ 10 ათას აბონენტს გაეგზავნა ასეთი შინაარსის SMS: „სიკვდილი ფაშისტ გურამ შარაძეს, გაუმარჯოს „თავისუფლების ინსტიტუტს“! რა თქმა უნდა, ეს SMS-ები ჰაკერული წესით გაიგზავნა... ამაზე მამამ პრესკონფერენცია მოიწვია, „მაგთიმ“ თავი იმართლა და მიაკვლია ვინმე ქაროსანიძეს, სოროსის ფონდის ოფიციალურ თანამშრომელს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ამ სოროსელ ვაჟბატონს თმის ღერი არ ჩამოვარდნია. სასამართლოს შემდეგ ქაროსანიძე იგივეს აგრძელებდა და საშინელ სიბილწეებს გზავნიდა მამას მობილურზე. მან არ იცოდა ტელეფონის გამოყენება და მე მთხოვდა მესიჯების წაშლას. პირველად რომ წავაწყდი ამ გზავნილებს, გავოგნდი, ისეთი რამეები ეწერა, მაგრამ მამას არ ვუმხელდი. 22 მაისს, მკვლელობიდან ორ დღეში, გამომძიებელმა ზაალ გურგენიძემ დამიბარა მამას ნივთების წამოსაღებად და მობილურიც გადმომცა, რომელიც ჯერ კიდევ ჩართული იყო. ვიდრე ამ ნივთებს ვიბარებდი, რატომღაც SMS-ების წაკითხვა დავიწყე და ვნახე ამ ნაძირალა სოროსელის მესიჯი: „რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური მკვლელობაა, ფაშისტი იყო და იმიტომაც ჩააძაღლეს“... ეს მესიჯი მკვლელობიდან ერთი საათის შემდეგ ჰქონდა იმ არაკაცს გამოგზავნილი. ამაზე ისტერიკა რომ დამემართა, გურგენიძემ უფროსს დაუძახა, ვსაუბრობდით, ამასობაში კიდევ ორი SMS მოვიდა მამას მობილურზე.

**— ამ ისტორიების თხრობით იქით ხომ არ მიგყავთ საუბარი, რომ მკვლელობის იდეის ავტორები „თავისუფლების ინსტიტუტის“ ან „სოროსის ფონდის“ წარმომადგენლები არიან?**

— ეს ერთი ძალაა, რა მნიშვნელობა აქვს, სააკაშვილი პრეზიდენტის სკამზე რომ ზის და რამიშვილი — „თავისუფლების ინსტიტუტში“?! ეს ერთი და იგივე იდეოლოგიის ხალხია. ვერ გამოვყოფ, სააკაშვილს უფრო მეტი წვლილი აქვს შეტანილი გურამ შარაძის მკვლელობაში, ლევან რამიშვილს, გიგა ბოკერიას თუ ვანო მერაბიშვილს! ერთი კი ცხადია: ამ ხროვამ მოკლა მამაჩემი! სხვათა შორის, ერთი რამეც უნდა ვთქვა, ვინც დღეს გურამ შარაძის დახვრეტაზე ხმას არ იღებს, ვფიქრობ, მათ გულის სიღრმეში უხარიათ მისი სიკვდილი. არ დაგიმალავთ, მე ამ ადამიანებსაც მკვლელებთან ვაიგივებ.

**— ალბათ, ოპოზიციას გულისხმობთ...**

— რა თქმა უნდა, ოპოზიცია დუმს, მაგრამ ამ თემაზე საუბრისგან დღეს თავს შევიკავებ... ახლა უმთავრესი ამოცანაა, სააკაშვილი გაერთიანებული ძალებით, ოპოზიციის ერთად დგომით შეიცვალოს და მერე ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა...

ყველაფრის მიუხედავად, უბედნიერეს ადამიანად ვთვლი თავს, როცა ქუჩაში უცხო ადამიანები მაჩერებენ და მამაზე თვალცრემლიანი მესაუბრებიან, დღემდე გლოვობენ მას... ჩემთვის ეს უმთავრესია...

**ესაუბრა
მანანა ჩხეიძე**

# უკანასკნელი დახვრეტილი

**1991 წელი, 1 ნოემბერი... ორთაჭალის ციხის სპეცსაკანში უკანასკნელ სიკვდილმისჯილს, საქვეყნოდ ცნობილ ძიუდოისტ თამაზ ნამგალაურს კეფაში ტყვია დაახალეს. მას შემდეგ საქართველოში სიკვდილით აღარავინ დაუსჯიათ. ორი შვილის მამამ, მსოფლიოს ორგზის პრიზიორმა, ევროპის ორგზისა და VIII სპარტაკიადის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, უამრავი ჯილდოს მფლობელმა, მსოფლიოში აღიარებულმა ქართველმა სპორტსმენმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა — თავისი ბიძაშვილის 9 წლის გოგონა გაგუდა და გააუპატიურა.**

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზს, სადაც დამნაშავე თამაზ ნამგალაურს ასამართლებდნენ, შიშით ვერავინ ეკარებოდა. გარდაცვლილი გოგონას მამას ხელში დანა ეჭირა და ყველას მოკვლით ემუქრებოდა, ვინც ნამგალაურთან მისვლას გაბედავდა. კართან ბადრაგი იდგა და არავის უშვებდა. სასამართლო კოლეგიამ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაცხადა: „უდიდესმა სასჯელმა გადაფაროს უმცირესი, საბოლოოდ მიესაჯოს სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილი“... მას შემდეგ 3 წლის განმავლობაში ყოველდღე ელოდა დახვრეტას ცნობილი სპორტსმენი. ნამგალაურის ოჯახმა განაჩენი მოსკოვში გაასაჩივრა, მაგრამ საქართველოს სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება არ შეცვლილა, ძალაში დარჩა.

თამაზ ნამგალაური მშობლებთან და დასთან ერთად თბილისში, ლოტკინზე ცხოვრობდა. სახლი დუშეთშიც ჰქონდათ და ხან აქ იყვნენ, ხან — იქ. თამაზს კეთილი ბიჭის სახელი გაუვარდა, ტყუილუბრალოდ თავს არავის აჩაგვრინებდა. მოგვიანებით დუშეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. იგი თანდათან შეეჩვია ახალ გარემოს. ყოჩაღი ბიჭი დადგა, მარჯვე, ყოველდღე ინტენსიურად ვარჯიშობდა, საკუთარი ინიციატივით. მშობლებმა დაინახეს, რომ ძალიან იყო მონდომებული და გადაწყვიტეს, სპორტულ ვარჯიშებზე ეტარებინათ. ოჯახი თბილისში დაბრუნდა და მეშვიდეკლასელი თამაზი სპორტკომიტეტის მწვრთნელთა სკოლაში შეიყვანეს. წარმატებას მალევე მიაღწია, 16 წლისა ჭაბუკთა ნაკრებში მოხვდა. იგი უნგრეთსა და რუმინეთში გამართული ტურნირებიდან ჩემპიონი დაბრუნდა. ერთი წლის მერე საფრანგეთში მოიპოვა გამარჯვება. მოგვიანებით საბჭოთა კავშირის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოუტანა, რასაც მსოფლიო ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარჯვება მოჰყვა. ანზორ მარტყოფლიშვილის, ძიუდოს ფედერაციის მაშინდელი გენერალური მდივნის, ნამგალაურის მწვრთნელის თქმით, თამაზს არაჩვეულებრივი მონაცემები ჰქონდა, საუცხოო სპორტსმენი იყო, ჭკვიანი, სერიოზული, მეგობრებს უყვარდათ. არაჩვეულებრივი მამა და ქმარი გამოდგა. მან ცოლად ნანა კილასონია შეირთო. ახალგაზრდებმა კარგი ოჯახი შექმნეს. თამაზმა ფიზკულტურის ინსტიტუტის მერე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა. ორი ბიჭის დაბადებამ უზომოდ გაახარა და პასუხისმგებლობა გაუასმაგა — დღედაღამ ვარჯიშობდა, რათა საყვარელი ცოლ-შვილისთვის არაფერი მოეკლო. დაუმარცხებლად მიიწევდა წინ. იაპონიაში ასპარეზობის დროს ისეთი ილეთი გააკეთა, გაოცდნენ სპეციალისტები... ნამგალაურზე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა.

ამონარიდი საგამოძიებო ოქმიდან, სადაც ცნობილი სპორტსმენი დანაშაულს აღიარებს:

**„შინიდან გამოვედი. რამდენიმე კათხა ლუდი დავლიე, მერე ტაქსი გავაჩერე და მარტო წავედი დუშეთში. არ ვიცი, რატომ. ეზოში რომ შევედი, ბიძაშვილი დავინახე. ვთხოვე, ბოსტანში დამეხმარე-მეთქი. მერე არაყი დავლიე და ვუთხარი, ჩემები უნდა ამოვიდნენ და შენი პატარა დაც გადმოიყვანე, ბავშვები ერთად გაერთობიან-მეთქი. მანაც დამიჯერა. ბიძაშვილი ახლა სხვა დავალებაზე გავაგზავნე. გოგონა ოთახში შევიყვანე. კარი ჩავკეტე. ხელში ავიყვანე და საწოლზე დავაწვინე. რომ არ ეყვირა, ხელი ყელში წავუჭირე, გავგუდე და მერე გავაუპატიურე. მისი მოკვლა არ მინდოდა“.**

მთელი ღამე ეძებდნენ ბავშვს მშობლები, მეზობლები და ნათესავები. მეორე დღეს თავად ნამგალაურმა აჩვენა სამართალდამცავებს ის ადგილი, სადაც მოკლული გოგონა დამარხა. მან გვამი საკუთარ სპორტულ ჩანთაში ჩადო ტანსაცმელთან ერთად და მიწაში ჩაფლა. დამნაშავემ ყველაფერი აღიარა, მაგრამ ვერ ახსნა, რატომ ჩაიდინა მკვლელობა.

დაინიშნა სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზა, მაგრამ სპეციალისტებმა (!) ნამგალაური არ ცნეს შეურაცხადად. როგორც გაირკვა, მას გარდაცვლილი გოგონას მშობლებთან (საკუთარი ბიძაშვილის ოჯახთან) მძიმე ურთიერთობა ჰქონდა დიდი ხნის განმავლობაში. გარდა ამისა, თამაზმა 1981 წელს სასტუმრო „უშბაშიც“ ჩაიდინა დანაშაული... მწვრთნელმა ანზორ მარტყოფლიშვილმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრები თავად დააბინავა სასტუმროში, მაგრამ იმ ღამეს გადაუდებელი საქმის გამო თავად ვერ დარჩა. ბიჭებმა დრო იხელთეს და მოილხინეს, კარგად იქეიფეს. ნასვამი ნამგალაური სასტუმროს დერეფანს გაუყვა და სართულის მორიგე ქალს მიეჭრა. პირზე ხელი ააფარა, ძირს დასცა და გააუპატიურა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გონდაკარგული ქალი მას მკვდარი ეგონა, ამიტომაც შემთხვევის ადგილზე მიატოვა და გაიქცა, დაიმალა.

მეორე დღეს გაუპატიურების ფაქტთან დაკავშირებით სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად სამართალდამცველებმა ნამგალაურიც დააკავეს, მაგრამ დაზარალებულმა ქალბატონმა მოძალადე ვერ ამოიცნო. მან მხოლოდ 7 წლის მერე, სასამართლო პროცესზე აღიარა: „თავდამსხმელი ვიცანი, მაგრამ შემეშინდა და მაშინ ვერ გავამხილე მისი ვინაობა“.

მკვლელობის მცდელობისა და გაუპატიურების მუხლით საქმე აღიძრა სასტუმრო „უშბაში“ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ნამგალაურს ბრალი წაუყენეს, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად „საქმე შეწყდა დანაშაულის დაუდასტურებლობის გამო“, — ასე წერია მასალებში. ცნობილი სპორტსმენი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ნამგალაურმა ციხეშიც ჩაიდინა მსგავსი დანაშაული — მან მედდა გააუპატიურა!..

ამბობენ, იმავე საკანში ელოდა სასიკვდილო განაჩენს, სადაც ლეგენდარული დურუ ხურცილავა ჰყავდათო. როცა ორთაჭალის ციხეში პატიმრებმა ბუნტი ატეხეს, მოსკოვში გასაჩივრებული საქმის პასუხი ჯერ არ ჰქონდათ მიღებული, მაგრამ აურზაურის მოთავე თამაზ ნამგალაური აღმოჩნდა და მისი სიკვდილით დასჯა აღარ გადადეს, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს... ცნობილი სპორტსმენის ვაჟიშვილებმა მამის გვარზე დარჩენა აღარ ისურვეს და დედის გვარზე გადავიდნენ.

თამაზ ნამგალაურის საბოლოო სიტყვა: „არ მინდა სასჯელის შემსუბუქება, სად არის გარანტია, რომ 15 წლის შემდეგ იმავეს არ ჩავიდენ. გთხოვთ, სიკვდილით დამსაჯოთ“. ამ ამბავმა სამართალდამცველები გააოცა. მათი თქმით, არც მანამდე და არც მას მერე მსგავსი არაფერი მოუსმენიათ, სასამართლო დარბაზში უკლებლივ ყველა დამნაშავე სასჯელის შემსუბუქებასა და შეწყალებას ითხოვდა...

**ნინო გოქიაშვილი**

# ფლობდე ისტორიას, ნიშნავს, ძალაუფლებას!

**ახალი მსოფლიო წესრიგი და ფორმაციათა ცვლა ყველაზე დიდ საფრთხეს ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიას უქმნის. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ჯერ კიდევ მყიფე ან შეზღუდული სუვერენიტეტის სახელმწიფოებში. ნებითა თუ მძლავრი ქვეყნების მიერ თავსმოხვეული დირექტივებით საკუთარი სამშობლოს ისტორიას ენერგიულად აყალბებენ ადამიანები, რომელთა მიზანი ამ ისტორიის გაფრთხილება და რეალობის ადეკვატური წარმოჩენა უნდა იყოს.**

**საქართველოც ამ საფრთხის წინაშე დგას. ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ხმის ამოღება კი, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, არცთუ უსაფრთხო საქმედ იქცა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ ძალისხმევას არ იშურებს ისტორიული პროცესების რეალურად წარმოჩენის მიზნით და საზოგადოებას უკვე შესთავაზა ხუთი ძალიან მნიშვნელოვანი კრებული. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარესთან — ტარიელ გაგნიძესთან ვრცელი ინტერვიუ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ. ამჯერად ვაქვეყნებთ ალექსანდრე პუგაჩენკოს წერილს, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ისტორიის ფალსიფიკაციის ავტორთა მიზნები. როგორც ჩანს, საფრთხე, რომელიც წმინდა ქართული გვეგონა, სინამდვილეში მთელი პოსტსოციალისტური თუ პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ერთნაირად საგანგაშოა.**

**„მნიშვნელოვანია, რომ ისტორიას ჩვენ ვწერდეთ, იმიტომ, რომ ვინც ისტორიას წერს, აწმყოსაც აკონტროლებს!“ — გულახდილად აღიარა ინგლისელმა კინორეჟისორმა კენ ლოჩმა 1995 წელს მადრიდში, საკუთარი ფილმის „მიწა და ნება“ პრეზენტაციაზე. ამ ფილმში განდიდებულია ტროცკისტთა საქმიანობა სამოქალაქო ომის წლებში ესპანეთში.**

ისტორიის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ხალხს ძალუძს, მისი „დაწერა“, უფრო სწორად, „გადაწერა“ კი — ნებისმიერს. ისტორიული ფაქტების გადაწერა და გადაკეთება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იარაღია საინფორმაციო ომში. ხალხის დასახლეჩად და დასამარცხებლად, მისი ტერიტორიისა და რესურსების ხელში ჩასაგდებად, უპირველესად, მისი ისტორიული მეხსიერების დანგრევაა საჭირო. აუცილებელია, მასში (ისტორიაში) აგრესორისთვის მომგებიანი ფაქტებისა და ამ ფაქტების შეფასების „იმპლანტირება“. სადავო უნდა გავხადოთ ამ ნაციის უნიკალურობა, მოვსპოთ მისი საზოგადოებრიობა, წავართვათ მიღწევები და დამსახურებები, გავუჩინოთ დანაშაულის გრძნობა. და თუ ამას მოვახერხებთ, ისტორიული კომპლექსებით შეპყრობილმა ერმა შეიძლება, თვითონ გაულოს თავისი ციხესიმაგრის კარიბჭე „ისტორიულ მოძმეებს“ ან პირიქით, მითიური ისტორიული პრეტენზიებით მოტივირებული ერთი მოძმე ხალხი შეიძლება მეორეს სამუდამოდ გადაეკიდოს.

მიზეზებს, რის გამოც ეს ხდება, და ისტორიის მნიშვნელობას, თვალსაჩინოდ ხსნის სერგეი კარა-მურზა თავის წიგნში „ცნობიერებით მანიპულაცია“: **„ადამიანი, რომელსაც არაფერი ახსოვს თავისი კოლექტივის (ხალხის, ქვეყნის, ოჯახის) ისტორიიდან, ავტომატურად ვარდება ამ კოლექტივიდან და სრულიად დაუცველი ხდება მანიპულაციის წინააღმდეგ. ეს მნიშვნელოვანი პირობაა დარწმუნების საშუალებების შეცვლისა და შეჩერების შესაძლებლობისთვის. თუ ხალხი იოლად ივიწყებს რეალობას, მაშინ იოლად შეიძლება ნებისმიერი პრობლემის რეალური კონტექსტის გარეშე წარმოდგენა. ასეთ დროს, პრობლემის მართლა არსებობის შემთხვევაშიც კი, მისი განხილვა ან შეფასება რაციონალურობის ჩარჩოებს სცდება — შედეგი მხოლოდ ემოციებზე იქნება დამყარებული.**

**ხალხი ინტუიციით გრძნობს, რომ მათი კავშირი ისტორიასთან დიადი და უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა, თუმცა ამის ლოგიკურად ახსნას იშვიათად თუ ახერხებს. რატომ იწვევს ასეთ მღელვარებას რომელიმე ძველი, ყველასთვის ხელისშემშლელი სახლის დანგრევის გადაწყვეტილება? — იმიტომ, რომ ის ძველი მოვლენების რეალური მოწმეა და გვეჩვენება, რომ ჩვენს ისტორიასთან დაკავშირებით მასზე დაყრდნობა შეიძლება. ერთი შეხედვით, კიდევ უფრო გაუგებარი შეიძლება მოგვეჩვენოს ის წმინდა აზრი, რომელიც არქივებს უკავშირდება. რაში გვჭირდება ისინი? დოკუმენტების გამოქვეყნება არაფერს შეცვლის ჩვენს ცხოვრებაში. თანაც, უკვე მიკროფილმებიცაა გაკეთებული და ოპტიკურ დისკებზეცაა ჩაწერილი. თუ ქარიშხალი ამ დოკუმენტების დედნებს გაანადგურებს, პრაქტიკულად არაფერი შეიცვლება. მაგრამ თავისთავად ეს საფრთხე მაინც გვაშინებს. ნამდვილი დოკუმენტები ისტორიის მოწმეა. როგორც ამბობენ, „მათი წმინდა ხასიათი მათ დიაქრონიკულ ფუნქციაში გამოიხატება“, ქრონოსის ანუ დროის გადალახვაში, რომელიც ჩვენს წინაპრებთან გვაშორებს. თანამედროვეთა ცნობიერების მანიპულირებისთვის ამ კავშირის განწყვეტაა საჭირო“.**

**„მეოცე საუკუნეში ისტორია სიცრუის იარაღად იქცა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. არც ერთ ძველ აღმოსავლურ დესპოტიზმს თავისი „დამოწმებებითურთ“ ასეთი მანიპულაციისთვის არ მიუღწევია“,**

— წერს ნიდერლანდელი კულტუროლოგი იოჰან ჰეიზინგი.

### დასავლეთის საქმიანობის ისტორია რუსეთის წინააღმდეგ ომში

**საინფორმაციო ომში, რომელსაც დღეს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ცივილიზაცია აწარმოებს, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისტორიის გადაწერა. ჩვენი ქვეყნის ირგვლივ ხელოვნურად იქმნება არამეგობრული სახელმწიფოების რგოლი. მათი ანტიხალხური რეჟიმების ერთადერთ ამოცანას წარმოადგენს ანტირუსული პოლიტიკის გატარება. იმისთვის კი, რომ ამ ქვეყნების ხალხებმა აიტანონ და ხელახლა აირჩიონ თავიანთი ბელადები, მათ მიზანმიმართულად უჭედავენ თავში რუსოფობიური შინაარსის ისტორიულ მითებს.**

მსგავსი გამოვლინებები განსაკუთრებით გავრცელებულია (მათი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველსაც კი წარმოადგენს) თანამედროვე უკრაინაში, საქართველოში, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებსა და პოლონეთში.

ამ ქვეყნებიდან თითოეულმა სსრ კავშირის დაშლისა და ვარშავის ხელშეკრულების დარღვევის შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური სპონსორების სასარგებლოდ საკუთარი ისტორია გადაწერა.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა მოიგონეს მითი დიდი სამამულო ომის დაწყების წინ საბჭოთა კავშირის მიერ მათი ოკუპაციის შესახებ და ამ სიცრუეს წარმატებით იყენებენ რუსეთისთვის სრულიად რეალური, მატერიალური და ტერიტორიული პრეტენზიების წასაყენებლად. სწორედ ამ დღეებში ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში გაიტანონ კომუნიზმის გამკიცხავი რეზოლუცია და მასში მოიხსენიონ სსრ კავშირის მიერ მათი ქვეყნების დაპყრობის ფაქტები. ამ საშუალებებით კომუნიზმი უთანაბრდება ფაშიზმს, ხოლო რუსი ხალხი გამოდის „დამნაშავე“ და დიდი ხნის განმავლობაში დანაშაულებრივი იდეოლოგიის გამტარებელი. შემდეგ, ალბათ, კომპენსაციასა და საზღვრების შესახებ ხელშეკრულების გადახედვასაც მოითხოვენ.

**მსგავსი გამონაგონი საქართველოს ანტირუსული რეჟიმის კარის ისტორიკოსებმაც შემოგვთავაზეს. 300 წლის განმავლობაში ქართველი მეფეები სთხოვდნენ რუს მმართველებს, დაეცვათ მათი ქვეყანა თურქი და სპარსი დამპყრობლებისგან. 1483 წლიდან 1800 წლის ჩათვლით რამდენიმე ათეული ასეთი წერილია შემონახული. თითოეული მათგანი ჩამოთვლილია, მაგალითად, ვადიმ კოჟინოვის წიგნში „რუსული სიმართლე. მეხუთე პუნქტი. საერთო წინააღმდეგობები რუსეთში“ (მოსკოვი, გამომცემლობა „ექსმო“, 2005 წ. 433-453 გვ.). 1800 წლისთვის ქართველი ხალხი გადაშენების პირას იდგა, მათი რიცხვი სულ რაღაც 675 000-ს ითვლიდა, მაშინ, როცა იგივე ქართველები მონღოლებამდელ პერიოდში 5 000 000-ზე მეტნი იყვნენ. 1800 წლის ჩვიდმეტ ნოემბერს ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ გიორგი XII ბაგრატიონმა „მუხლზე ჩოქებით“ მიმართა იმპერატორ პავლე პირველს, რომ მისი ხალხი „სამუდამო ქვეშევრდომობაში“ მიეღო. საბოლოოდ ეს თხოვნა რამდენიმე თვის შემდეგ დაკმაყოფილდა.**

**მაგრამ ეს ქართველ „ისტორიკოსებს“ ხელს არ უშლის, ამტკიცონ, რომ მათი ქვეყანა რუსეთმა დაიპყრო. ხოლო მათ პრეზიდენტს — სააკაშვილს, ეს მტკიცებები ეხმარება რუსების „მტრებად“ წარმოჩენაში. იგი ცდილობს, დღევანდელი ანტირუსული პოლიტიკა ახსნას არა როგორც ვაშინგტონის მიერ მოსყიდული ხელისუფლების საქციელი, არამედ როგორც ისტორიული შურისძიება „დამპყრობლისა“ და „ოკუპანტის“ მიმართ. სხვათა შორის, ამ „ოკუპაციის“ პირველ 100 წელიწადში მისი ქვეყნის მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა და 2.000.000-ს მიაღწია.**

აქტიურად მიმდინარეობს ისტორიის ანტირუსულ მოტივებზე გადაწერა „ნარინჯისფერ“ უკრაინაშიც. **ვაშინგტონის მოთხოვნით, უკრაინელმა ნაციონალისტებმა გამოიგონეს ცალკეული უკრაინელი ეთნოსი და გადავიდნენ მთელ რიგ ისტორიულ მოვლენებში მისი მონაწილეობის დამტკიცებაზე.** ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მეორე მსოფლიო ომის მაგალითზე და მასში სტეპან ბანდერასა და მის უკრაინელ აჯანყებულთა არმიის მონაწილეობაზე. მითოლოგები ამტკიცებენ, რომ მან და არა საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ქვეყანა გერმანელი დამპყრობლებისგან. დღეისათვის ამის შედეგია უკრაინის აჯანყებულთა არმიის ვეტერანების გათანაბრება დიდი სამამაულო ომის ვეტერანებთან. **სხვათა შორის, თვითონ გამოთქმა „დიდი სამამულო ომი“ უკრაინის ახლანდელმა ხელისუფლებამ შეცვალა სიტყვებით „მეორე მსოფლიო“.** მსგავსი ისტორია გვხვდება ლატვიაში ავადსახსენებელი „ვაფენ-ეს-ეს“-ის ლეგიონთან დაკავშირებით, რომლის ვეტერანებიც რიგაში მეტი უფლებებით, პრივილეგიებითა და სოციალური გარანტიებით სარგებლობენ, ვიდრე მათი მოწინააღმდეგეები, რომლებიც ფაშიზმს ებრძოდნენ.

**მოლდოველი ისტორიკოსები საკუთარი ქვეყნის ისტორიის რუმინეთის ისტორიით შეცვლისა და მეხსიერებიდან საბჭოთა პერიოდის საერთოდ ამოშლისთვის ირჯებიან.** მაგრამ ისტორიული მითების შექმნაში პირველობას არავის უთმობს პოლონეთი. მაგალითად, მისი ოფიციალური ისტორია გვამცნობს, რომ 1945 წელს სწორედ პოლონეთის არმიამ აიღო ბერლინი და საბჭოთა არმია მას მხოლოდ ეხმარებოდა. ხოლო 1945-1991 წლების პერიოდი მოხსენიებულია „სასტიკ საბჭოთა ოკუპაციად“. პოლონელი ისტორიკოსების აზრით, სისასტიკე გამოიხატებოდა „ოქტომბრის რევოლუციის წლისთავების, წითელი არმიის, საბჭოთა ბელადებისა და გმირების დაბადების დღეებისა და სიკვდილის თარიღების, მეგობრობის თვეების დაუსრულებელ აღნიშვნაში და ასევე რუსული ენის იძულებით შესწავლის კურსებში.“ რა თქმა უნდა, ასეთმა „სისასტიკემ“ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებიც დაჩრდილა, რომელთაგანაც რუსი ჯარისკაცები პოლონელებს ათავისუფლებდნენ. ამ საყოველთაოდ აღიარებული და ოფიციალურ დონეზე დეკლარირებული „სისასტიკის“ შედეგი კი არის რუსეთის მოქალაქეების რეგულარული ცემა და რუსეთის დროშების დაწვა ვარშავისა და სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში.

### ისტორიული მითების გავრცელების საშუალებები

**რა თქმა უნდა, მსგავსი ისტორიული მითების გავრცელების ყველაზე მოსახერხებელი ტექნოლოგიაა რუსეთის მეგობარი ქვეყნების სათავეში მარიონეტული რეჟიმების მოყვანა და მათზე ამ ქვეყნების ახალი ისტორიის პასპორტივით გაცემა. იქ, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ ეს შეძლეს, სხვა მოსაზრებები სრულიად უადგილოა. მითები სახელმწიფო იდეოლოგიასა და ისტორიაზე ოფიციალური შეხედულების სახეს იღებს.**

სხვა შემთხვევებში აუცილებელ ისტორიულ სიცრუეთა დანერგვა უზუსტესი საშუალებებით ხდება. **ცრუ თეორიები შეიძლება დანერგონ ამა თუ იმ კვლევაზე გამოყოფილი გრანტებით მოსყიდულმა მეცნიერებმა. ისინი გამოსცემენ სამეცნიერო ნაშრომებს, წიგნებს, მონოგრაფიებს. ამ საქმეში საკუთარი წვლილი შეაქვთ ჟურნალისტებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ ფსევდომეცნიერული დასკვნების პოპულარიზაციას.**

მაგრამ მითების შესაქმნელად ყველაზე მოსახერხებელი მაინც ორი საშუალებაა — ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოშვება და მასობრივი კულტურა. პირველ შემთხვევაში **დასავლეთელი პროპაგანდისტები სარგებლობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მრავალ სკოლაში არსებული უსახსრობით და მათ ასეთი საინფორმაციო ვირუსის შემცველი წიგნების მრავალათასიან ტირაჟებს „საჩუქრად“ გადასცემენ.**

მეორე შემთხვევაში **კინოთეატრების ეკრანებზე სოლიდური სარეკლამო მხარდაჭერით გამოდის ყალბი ისტორიული მტკიცებულებებისადმი მიძღვნილი ფილმები.** ასე, მაგალითად, ბევრ ახალგაზრდა რუსს ჰგონია, რომ ფაშისტური რეჟიმი კურსკთან და სტალინგრადთან ბრძოლებში კი არ გატეხილა წელში, არამედ — „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ ოპერაციის მსვლელობისას. **ჰოლივუდელი რეჟისორები საკუთარი ხალხის ისტორიასაც აყალბებენ. მაგალითად, ვიეტნამის კამპანიის სამარცხვინო ჩავარდნის ისტორია მათ მარტოხელა გმირის, პატიოსანი მებრძოლის, პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საკუთარი ვალდებულების პირნათლად შემსრულებლის, საყოველთაოდ ცნობილი რემბოს ხოტბა-დიდებით ჩაანაცვლეს. იაპონელების მხეცობასა და მათ წინააღმდეგ ამერიკელების მამაცური ბრძოლის შესახებ ბევრი რამის გაგება შეიძლება ბლოკბასტერიდან „პერლ ჰარბორი“, მაგრამ ხიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შესახებ ჰოლივუდში ფილმებს არავინ იღებს.**

დასკვნა მოკლეა: **აუცილებელია ისტორიის სწავლა და შესწავლა პატივცემული ავტორების ცნობილი წიგნების და არა სპეციალურად შემოგდებული ანონიმური ლეგენდების მიხედვით. მითებს ფაქტები უნდა დავუპირისპიროთ. რუსი ხალხის ისტორია მდიდარია და მისით უნდა ვიამაყოთ. სინამდვილეში იგი უმძლავრესი იარაღია რუსი ერის ხელში და არა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. მას შეუძლია რუსეთის გარშემო მთელი ევრაზიის ხალხების კონსოლიდაცია და არა მათი რუსებზე მიქსევა. ოღონდ იარაღი, რომელიც ჩვენს ხელთაა, კარგად უნდა შევისწავლოთ, რათა მისი გამოყენება ვისწავლოთ.**

ალექსანდრე პუგაჩენკო

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რომელი პროვაიდერი ჯობია ვიდრე გლობალურ ქსელში ჩავერთვებოდეთ




## ნაწილი მესამე

**როგორც წინა ნომერში დაგპირდით, ამჯერად ოპერაციულ სისტემებზე ვისაუბრებთ. ძირითად თემაზე გადასვლამდე კი ორიოდ სიტყვა თავად კომპიუტერზეც ვთქვათ. დღეისათვის მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა ჩაშენებული კომპიუტერია, რომლის მიზანი სხვა რაიმე ხელსაწყოს მართვა-კონტროლია. ის კომპიუტერები კი, რომელიც თითოეულ ჩვენგანს სახლში ან სამსახურში აქვს და ყოველდღიური მუშაობისა თუ გართობისათვის გამოიყენება, პერსონალური კომპიუტერების კატეგორიას განეკუთვნება.**

თავისთავად კომპიუტერი არის ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომლის ძირითადი დანიშნულება ინფორმაციის სწრაფად დამუშავებაა და ისევე, როგორც ნებისმიერი მანქანა, ადამიანის ბრძანებებს ემორჩილება. სისტემურ ბლოკში (რომელსაც ხშირად არასწორად მოიხსენიებენ ხოლმე როგორც პროცესორს) განთავსებულ დედაპლატაზე განლაგებულია ცენტრალური მიკროპროცესორი და ოპერატიული მეხსიერება მხარდამჭერ მიკროსქემებსა და ზოგიერთ სხვა ნაწილთან ერთად. სწორედ ეს მიკროპროცესორია მინიატურული ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომელიც ასრულებს კონკრეტულ ოპერაციებს კომპიუტერთან მუშაობისას. კომპიუტერის მთელი მეხსიერება მყარ დისკზეა განთავსებული, მოცემულ მომენტში კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია კი მყარი დისკიდან ოპერატიულ მეხსიერებაში გადადის და იქ დროებით ინახება. ოპერატიული დამახსოვრების მოწყობილობის გარდა, თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერებს აქვს ზეოპერატიული დამახსოვრების მოწყობილობა — ქეშმეხსიერება. გარდა ამ რამდენიმე ძირითადი კომპონენტისა, პერსონალურ კომპიუტერს კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი ნაწილი ესაჭიროება იმისათვის, რომ თანამედროვე მოთხოვნები დააკმაყოფილოს, თუმცა ამჯერად ჩვენი მიზანი ამ ნაწილების დეტალური განხილვა არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპიუტერი მისი შემქმნელის — ადამიანის ნებას უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ ამ ეტაპზე მას ბრძანებები ადამიანურ ენაზე ჯერ კიდევ არ ესმის და იმისათვის, რომ რაიმე გავაგებინოთ და ჩვენთვის სასურველი მოქმედებები შევასრულებინოთ, წინასწარ შედგენილი პროგრამის გამოყენება გვიწევს. კომპიუტერული პროგრამა არის მანქანისთვის გასაგებ ენაზე ჩაწერილ მოქმედებათა თანმიმდევრობა, რომელსაც კომპიუტერი ასრულებს ინფორმაციის დამუშავების მიზნით. იმისათვის, რომ კომპიუტერს მმართველი სიგნალები და ბრძანებები თუნდაც მისთვის გასაგებ ენაზე გადავცეთ, მასში ინფორმაციის შეტანის საშუალებებიდან ერთ-ერთს მაინც უნდა ვიყენებდეთ. ამ საშუალებათაგან კლავიატურა, მასზე განლაგებული სტანდარტულად 101-103 ღილაკით, ისევე, როგორც სხვადასხვა სახის დისკი, ნამდვილად ყველასათვისაა




ნაცნობი. ვიდრე რომელიმე პროგრამის გამოყენებაზე დავიწყებდეთ ფიქრს, ჩვენს კომპიუტერს, უპირველეს ყოვლისა, დასჭირდება პროგრამების საბაზო კომპლექსი აპარატურული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დასაკავშირებლად. სხვადასხვა პროგრამას უამრავი საერთო მახასიათებელი აქვს და ოპერაციული სისტემები სწორედ ამ საერთო მახასიათებლების სერვისს მოიცავს. მაგალითად, პრაქტიკულად ყველა პროგრამა ინფორმაციას იწერს დისკზე ან ეკრანზე გამოსახავს. მართალია, შესაძლებელია, რომ ყველა პროგრამა შეიცავდეს ამ გამეორებადი დავალებების შესასრულებელ ინსტრუქციებს, მაგრამ მსგავსი მიზნებისათვის ოპერაციული სისტემების გამოყენება ბევრად უფრო მოსახერხებელია. ოპერაციულ სისტემას შეუძლია ურთიერთქმედება აპარატულ საშუალებებთანაც, მომხმარებელთანაც და პროგრამულ უზრუნველყოფასთანაც, გარდა ამისა, მას შეუძლია ინფორმაციის გადატანა აპარატურული რესურსებიდან პროგრამულში. ამასთან, პროგრამიდან ინფორმაციის დისკზე გადასაწერად ყოველ ჯერზე რაიმე განსაკუთრებული კოდირების მოფიქრება საჭირო არაა, საამისოდ ოპერაციული სისტემები უკვე აღჭურვილია. ოპერაციული სისტემების დახმარებით ერთსა და იმავე პროგრამას შეუძლია, იმუშაოს ნებისმიერ აპარატურაზე, რომელზეც ესა თუ ის ოპერაციული სისტემა უკვე გაშვებულია. პროგრამას ხომ სწორედ ოპერაციულ სისტემასთან უწევს „ურთიერთობა" და არა აპარატურასთან, რომ მის სახეობაზე იყოს დამოკიდებული.

ოპერაციული სისტემები მოიცავს ინფორმაციის მიღებისა და გაცემის საშუალებებს, მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ბრძანების შესრულების მსვლელობის შესახებ, რაციონალურად გეგმავს შესასრულებელ ამოცანათა თანმიმდევრობასა და სინქრონიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ბრძანებების შესასრულებლად რესურსები არაა საკმარისი, ოპერაციულმა სისტემამ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები და შედარებით მნიშვნელოვან ამოცანებს მეტი რესურსები მოახმაროს, დაიცადოს, ვიდრე რომელიმე დაწყებული ამოცანის შესრულება არ დასრულდება და არ გამოთავისუფლდება რესურსები ან „ურიგოდ" გაუშვას ბრძანება, რომელიც მოგვიანებით მიიღო, მაგრამ რომლის შესასრულებლადაც მოცემულ მომენტში საკმარისი რესურსი არსებობს.

აქტიურად გამოყენებადი და ფაქტობრივად ყველასათვის ცნობილი ოპერაციული სისტემის შემქმნელი MIKROSOFT გახლდათ. მისმა პროდუქტმა აშკარად გაამართლა და კომპანიის მფლობელს დიდი შემოსავალიც მოუტანა. Windows 1.01 გაჩნდა 1985 წლის 20 ნოემბერს. მაშინ ხსენებულმა კომპანიამ პირველად სცადა ისეთი ოპერაციული სისტემის შექმნა, რომელიც მრავალი დავალების შესრულებას შეძლებდა. მცდელობამ გაამართლა — ოპერაციული სისტემა ვინდოუსი, ისევე, როგორც მაიკროსოფტ ოფისის პროგრამული პაკეტი, თითქმის უნივერსალურადაა მიჩნეული პერსონალური კომპიუტერებისათვის მთელ მსოფლიოში. მაგრამ ვინდოუსის ეს ვერსია სრულყოფილ ოპერაციულ სისტემად არ შექმნილა. მიუხედავად ამისა, ის შეიცავდა საკუთარ დრაივერებს (სპეციალური პროგრამები კომპიუტერისათვის საკუთარი ნაწილების ამოსაცნობად) გრაფიკული ადაპტერებისთვის, თაგუნიებისთვის, კლავიატურებისთვის, პრინტერებისა და სერიული პორტებისთვის. და, მიუხედავად უამრავი ნაკლოვანებისა, მისი წყალობით პროგრამებს აღარ უწევდა, მიემართა პირდაპირ აპარატურული უზრუნველყოფისათვის კონკრეტული ბრძანებების შესასრულებლად. ვერსია Windows 1.02 1986 წლის მაისში გამოვიდა და ის უკვე შეიცავდა სხვადასხვა ევროპული ენის მხარდაჭერას.

შემდგომ წლებში მაიკროსოფტის მსოფლიოში ცნობილი ეს პროდუქტი ბევრად უფრო დაიხვეწა და უამრავი ისეთი ფუნქციაც შეიძინა, ურომლისოდაც დღეს კომპიუტერთან მუშაობა, ფაქტობრივად, ველარც წარმოგვიდგენია. ახალი თაობის სახელგანთქმული Windows XP — ოპერაციული სისტემა, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენთან, ალბათ, ყველაზე ხშირად გამოიყენება, 2001 წლის 25 ოქტომბერს გამოვიდა. სახელწოდება „XP" წამოვიდა ინგლისური სიტყვიდან „experience" (გამოცდილება) და მას ნამდვილად დაეტყო გამოცდილი ხელი. ეს ვერსია იმდენად დახვეწილი აღმოჩნდა, რომ მომდევნო, ყველაზე გავრცელებულ ვერსია Vista-ს, მხოლოდ ვიზუალურად გაუმჯობესებულს უწოდებენ ხოლმე. რასაკვირველია, არც ასეა საქმე და Vista კომპიუტერისაგან გაცილებით მეტ რესურსს მოითხოვს იმისათვის, რომ მუშაობისას პრობლემები არ შეიქმნას, სანაცვლოდ კი გაუმჯობესებულ ფუნქციებს გთავაზობთ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ Vista-ს შექმნაზე საკმაოდ ბევრი იწვალეს, არც ერთი სხვა პროდუქტის გამოშვება ასე არ გაწელილა დროში.

რაც შეეხება უახლეს პროდუქტ Windows 7-ს, მისი გამოსვლის შესახებაც წინასწარ გავრცელდა ინფორმაცია, მაგრამ მწარმოებელმა კომპანიამ განაცხადა, რომ ის ჯერ კიდევ დამუშავებისა და ტესტირების პროცესშია. პროდუქტი, ძირითადად, Vista-ს ანალოგიაა, თუმცა, როგორც ინტერფეისში, ასევე ჩაშენებულ პროგრამებშიც ბევრ სიახლეს შეიცავს. ტესტირებისათვის ბეტავერსია უკვე გამოქვეყნებულია. მაიკროსოფტმა საოცარი ნაბიჯი გადადგა — ამ ვერსიის არალიცენზირებული მომხმარებლები განახლების საშუალებას ჩვეულებრივ მიიღებენ Windows Update-ის მომსახურებისგან. აქამდე ვინდოუსის განახლება მხოლოდ ლიცენზირებული ვერსიის მომხმარებლებს შეეძლოთ.

ვინდოუსისგან განსხვავებით, ოპერაციულ სისტემა linux-ს მფლობელი კომპანია, როგორც ასეთი, და შექმნის გეოგრაფიული ცენტრი, ფაქტობრივად, არ აქვს. ის ათასობით პროექტის მუშაობის შედეგია. მისი შემქმნელი ათასობით პროგრამისტი მთელ მსოფლიოშია გაბნეული და უმეტესობა ერთმანეთს მხოლოდ მიმოწერით იცნობს. თავიდან linux-ს მასში საჭირო პროგრამების, განსაკუთრებით, საოფისე პაკეტის ნაკლებობის გამო იწუნებდნენ. ამიტომ დისტრიბუტორმა კომპანიებმა ამ ყველაფერზე სერიოზულად იმუშავეს და მნიშვნელოვნად მიუახლოვეს მისი შესაძლებლობები მომხმარებელთა მოთხოვნებს. სათანადოდ გაიზარდა პროდუქტის პოპულარობაც.

კომპანია Apple-მ 1984 წელს პირველად წარმოადგინა კომპიუტერი მაკინტოში ახალი ოპერაციული სისტემით. გარკვეული დროის განმავლობაში Mac OS მხოლოდ მაკინტოშთან იყო თავსებადი. ახლა მისი ახალი ვერსიები Intel x86-ის არქიტექტურასთანაც თავსებადია, მაგრამ Apple-ს პოლიტიკის შესაბამისად, Mac OS მხოლოდ ამ კომპანიის კომპიუტერებისთვისაა განკუთვნილი.




# ინტერნეტი 20 წლისაა

**ერთი ადამიანის წარმოდგენებს მსოფლიოს მოწყობის შესახებ იშვიათად თუ ეყოლება იმდენი მიმდევარი ქვეყნიერებაზე, რამდენიც ტიმოთი ბერნერს-ლის იდეას გაუჩნდა. მის მიერ შემოთავაზებულმა კომუნიკაციის ახალმა საშუალებამ ჯერ მეცნიერთა მოწონება დაიმსახურა, მერე კი თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაშიც დაიმკვიდრა ადგილი. წელს ბერნერს-ლის შვილობილი 20 წლის გახდა.**

1989 წლის მარტში კომპიუტერული ტექნოლოგიების ნაკლებად ცნობილმა მკვლევარმა თავის ნაშრომს სათაურად „ინფორმაციის მართვა: წინადადება" მოარგო. 33 წლის ინგლისელი მეცნიერი იმ პერიოდში ჟენევაში ბირთვული კვლევების საყოველთაოდ ცნობილ ევროპულ ლაბორატორიაში დოკუმენტების გაცვლის შიდა სისტემის პროექტზე მუშაობდა. სწორედ ამ პროექტმა უბიძგა მას, შეექმნა ყველა თანამედროვე ინტერნეტტექნოლოგიის საფუძველი. მაშინ ჟენევის ლაბორატორიაში საფუძველი ეყრებოდა ყველაზე ამბიციურ სამეცნიერო პროექტს, რომელიც დღემდე ბოლომდე არაა რეალიზებული. ლაბორატორიის ხელმძღვანელობამ წინასწარ იცოდა, რომ პროექტის ყველა მონაწილეს დოკუმენტების კოლოსალურ რაოდენობასთან მოუწევდა მუშაობა, ამიტომ მთელი მასალა ელექტრონულ ვერსიებად შეინახეს და მათი შენახვისა თუ ძებნის საკუთარი სისტემის დანერგვას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს გამოადგათ პროგრამისტ ბერნერს-ლის პრობლემების გადაჭრის ორიგინალური მეთოდების შერჩევის უნარი. დოკუმენტიდან დოკუმენტზე გადასვლის ახლებური ტექნოლოგია და მათი მოძებნის გამარტივებული გზა ნამდვილი შვება იყო ზღვა მასალაში ჩაკარგულ მეცნიერთათვის.


ტიმოთი ბერნერს-ლი

ამის შემდეგ ლაბორატორიის ხელმძღვანელმა მაიკლ სტენდალმა მწვანე შუქი აუნთო ახალგაზრდა პროგრამისტის იდეებს. 1991-93 წლებში უკვე დედოფლისაგან რაინდობაბოძებულმა სერ ტიმოთიმ მსოფლიო ქსელის მუშაობის საფუძვლები კოლეგებს განსახილველად წარუდგინა. 1994 წლიდან ბერნერს-ლი სათავეში ჩაუდგა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ინფორმატიკის ლაბორატორიის ბაზაზე მის მიერვე შექმნილ მსოფლიო ქსელის კონსორციუმს. ეს კონსორციუმი დღემდე არსებობს და ასრულებს საკუთარ მისიას — ემსახურება ქსელის ხანგრძლივი განვითარებისათვის აუცილებელი პროტოკოლებისა და პრინციპების შექმნას და ინტერნეტის პოტენციალის ბოლომდე შესწავლას.

ამჟამად თავად ტიმოთი ბერნერს-ლი ახალი პროექტითაა დაკავებული — სემანტიკური ქსელის შექმნას ცდილობს. ეს ტექნოლოგია ინფორმაციას უფრო მეტად ხელმისაწვდომსა და გასაგებს გახდის თავად კომპიუტერისათვის. სემანტიკურ ქსელთან თავსებადი პროგრამები დამოუკიდებლად მოძებნის ინფორმაციას, გააანალიზებს, გამოიტანს ელემენტარულ დასკვნას და იმოქმედებს კიდეც. ტიმოთის ეს პროექტი მსოფლიო ქსელის განვითარების მომდევნო ლოგიკურ საფეხურად მიაჩნია. მასზე მუშაობის დაწყებამდე იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა ხელოვნური ინტელექტის პრობლემებს.

ახლა ინტერნეტის გარეშე მსოფლიო ლამის ნებისმიერ სფეროში წარმოუდგენელია. საკუთარ 20 წლის იუბილეს ბერნერს-ლის შვილობილი გლობალური ქსელი მილიარდი მომხმარებლით შეხვდა.

# გიგლა და გალაკტიონი




**დიდი გალაკტიონი გიგლა ფირცხალავას ცხოვრების გზაჯვარედინზე შეხვდა, მეისრესავით ისარი იქით გადაუწია და დეპოში მიმავალი გიგლა ნიჭიერების გამოსავლენად შორ გზას გაუყენა. პირველი კურსის სტუდენტმა გიგლამ სამხატვრო აკადემიის კლუბში მოწყობილ შეხვედრაზე გალაკტიონს ლექსი მიუძღვნა. დიდმა პოეტმა იგი სახლში მიიპატიჟა...**

„ — **აბა, მომეცი, ძამიკო, რა მომიტანე?** — მომმართა გალაკტიონმა და ხელი გამომიწოდა. მე რვეული მივაწოდე.

გალაკტიონი ჩუმად ფურცლავდა რვეულს. მომეჩვენა, რომ გულმოდგინედ კითხულობდა.

— **მშვენიერია, ძამიკო, მშვენიერი!** — თქვა უცებ ღიმილით.

მე სიხარულით ცას ვეწიე. მან თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, დამაკვირდა და მითხრა:

— **კარგი იქნება, თუ ამ ლექსებს წიგნად გამოვცემთ!**

ყურებს არ ვუჯერებდი...

შემდეგ ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა:

— **გამოცემა კია ადვილი, მაგრამ, აი, ქაღალდის შოვნა არის ძნელი!..**

— **ქაღალდს მე ვიშოვი!** — წამოვიძახე გახარებულმა, — **ზუგდიდში მყავს ნათესავები, რომლებიც ენგურის ქაღალდის კომბინატში მუშაობენ...**

— **ძალიან კარგი, ძამიკო, ძალიან კარგი! ქაღალდს თუ იშოვი, გამოცემა ჩემზე იყოს!** — მითხრა და რაღაც საეჭვოდ გადმომხედა.

მე კი ფრთაშესხმული წამოვხტი და კარისკენ გავეშურე. გალაკტიონმა კარამდე მიმაცილა და კიბეზე ჩასვლისას მომაძახა:

— **ძამიკო, შენთვის რომ სთხოვ ქაღალდს იმ შენს ნათესავებს, თუ შეიძლება, ცოტა ჩემთვისაც გამოართვი!**

ამის შემდეგ ლექსი აღარ დამიწერია იმის შიშით, რომ გალაკტიონის წილი ქაღალდი არ გამეფუჭებინა!..“

**გალაკტიონის სარკაზმი გიგლა ფირცხალავასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი თვითონვე შეიარაღდა სარკაზმით, სატირითა და იუმორით. გზიდან, რომელიც მან აირჩია, სიცოცხლის ბოლომდე არ გადაუხვევია. იყო ცნობილი კარიკატურისტი, სახალხო მხატვარი და, რაც მთავარია, ნაღდი „ნიანგელი“. სპორტული აღნაგობის, ფიზიკურად ჯანმრთელი გიგლა ფირცხალავა მუდამ ფორმაში გახლდათ.**

ჩვენი პირველი გაცნობა სრულიად შემთხვევით და საინტერესოდ მოხდა. ეს ის დროა, როდესაც თბილისის ქუჩებში ტრამვაი მოძრაობდა. მე მელიქ კაზარიანცის სახლის წინ სწრაფად მოძრავ ორვაგონიან მწვანე ფერის №5 ტრამვაის შევახტი. ვაგონის უკანა ბუფერი თავისუფალი იყო. **კიბესთან მხოლოდ ერთი თმახუჭუჭა კაცი იდგა, რომელმაც გაქანებულ ტრამვაიზე შეხტომისას ხელი მომაშველა. მადლობის ნიშნად გავუღიმე და მანაც გამიღიმა. იქვე დავდექი. უცებ მხარზე ხელი დამკრა და მთხოვა, შემოტრიალდიო; კოსტუმის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ჩემი ზურგი პატარა მაგიდად გამოიყენა და რაღაცის ხატვა დაიწყო, თან ვიღაცას უყურებდა და იღიმებოდა, თვალი გავაყოლე და საოცარი ცხვირის პატრონი კაცი დავინახე.**



ტრამვაიში მყოფი მგზავრების ყურადღება ჩემს ზურგზე დადებულმა ქაღალდმა მიიქცია. ხუჭუჭა კაცმა ხატვა დაამთავრა და ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო. ვთხოვე, თუ ძმა ხარ, მანახე, რა დახატე-მეთქი. ნახატი ამოიღო, დავხედე და ისეთი სიცილი ამიტყდა, მთელი ვაგონი მე მიყურებდა — ზოგი გაკვირვებული, ზოგი — გაღიმებული, ზოგიც — გაცინებული. ნატურისტიც დაინტერესდა, დახედა თუ არა ნახატს, თავისი მოსწრებული ცხვირი იცნო და თვითონაც ბევრი იცინა. უნივერსიტეტთან ტრამვაი გაჩერდა. მე და ხუჭუჭა გაჩერებაზე ჩამოვედით. ეს ხუჭუჭა კაცი გიგლა ფირცხალავა აღმოჩნდა. იქვე მყოფი სტუდენტების უმრავლესობა გიგლასაც იცნობდა და მეც. მალე ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა.

**ზაფხულში კოჯორში ვისვენებდი. გიგლა წითელი ჯვრის ბანაკში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა და ისვენებდა კიდეც. ამავე ბანაკში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა, ასევე, ახლა ჩვენთვის კარგად ცნობილი, დამსახურებული ჟურნალისტი გიზო ნიშნიანიძე. მე მაშინ საკუთარი ავტომობილი მყავდა, რაც იმ დროს იშვიათობა იყო. წავედით ქოროღლის ციხის სანახავად. მანქანა ქვემოთ გავაჩერეთ და აღმართს ფეხით ავუყევით. ციხეს წვერში მოვექეცით. გიგლამ წვერზე კიდევ წვერი შეამჩნია და ასვლა დაიწყო. მე და გიზო პატარა ფართზე დაწოლილები ვუყურებდით გიგლას მოძრაობას და სიმაღლის შიშით ფეხზე ვერ ვდგებოდით. ამ დროს გიგლამ წვერზე ყირა გაჭიმა. თვალები დავხუჭეთ, გამოვიტირეთ მეგობარი, მაგრამ გამოსატირებელი კინაღამ ჩვენ გავხდით... კიდევ კარგი, შინ მშვიდობით დავბრუნდით.**

ამ ამბავს ყველგან ვყვებოდი და გიგლას ძალიან უხაროდა. ვფიქრობ, ახლა ჩემი ნაამბობით მის წინაშე საბოლოოდ მოვიხადე ვალი.

ურიცხვ ნახატსა და, განსაკუთრებით, კარიკატურების გალერეაში გიგლა ფირცხალავას ავტოშარჟებიც მოიძებნება. იგი სხვა მხატვრებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ თემებს თვითონ იგონებდა. მოგეხსენებათ, ქართული სუფრა იუმორის გარეშე არ არსებობს. გიგლა ამით სარგებლობდა, კარგ ხუმრობას „სალფეტკაზე“ ჩაიწერდა, ჩაიხატავდა და მერე რედაქციაში შესანიშნავ ნახატს მოიტანდა.

გიგლას დიდი თავი ჰქონდა. ამას თვითონაც აღიარებდა ხოლმე. როცა 50 წელი შეუსრულდა, „ნიანგი“ საიუბილეო მისალოც წერილს ამზადებდა. გიგლამ რჩევა გვკითხა, ავტოშარჟი როგორი გავაკეთოო.

— **შენ ყველას „აშაყირებ“, ჰოდა, ადექი ახლა და შენი მოზრდილი თავი შენ თვითონ „გააშაყირე“!** — შევთავაზე მე.

— **თემა კარგია, მაგრამ როგორ?** — მეკითხება გიგლა.

იმ დროს დიდეკრანიანი ტელევიზორები არ არსებობდა და შევთავაზე:

— **ერთმანეთის გვერდით დახატე ორი ტელევიზორი და ნახევარი თავი ერთ ტელევიზორში ჩახატე და ნახევარი — მეორეში.**

ასეც დაიბეჭდა.

გიგლას მეორე სუსტი წერტილი სწრაფი ლაპარაკი იყო. იმდენად ჩქარა და გაურკვევლად ლაპარაკობდა, რომ აზრის გამოტანა გაგიჭირდებოდა.

ერთხელ გერმანელები გვყავდა სტუმრად, გერმანული ენის მცოდნე კი ჩვენ შორის არავინ აღმოჩნდა. ნოდარ დუმბაძემ ყურადღება გიგლაზე შეაჩერა და ღიმილით თქვა: — მოდი, გიგლა ვალაპარაკოთ გერმანელებს; შეიძლება კი ეგონოთ, რომ გერმანულად ლაპარაკობს, ჩვენ ქართულად გვეგონებაო.

**გიგლამ შესანიშნავად ითამაშა კინოფილმებში „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „პირველი მერცხალი“. როლებშიც ზუსტად ისეთი იყო, როგორიც — ცხოვრებაში.**

უაღრესად კოლორიტული პიროვნება, ჭეშმარიტი ჯენტლმენი, ნაღდი თბილისელი საყვარელი დედაქალაქის ცხოვრებით სუნთქავდა; დადიოდა ქალაქის ქუჩებში და გიღიმოდა, გესალმებოდა უბრალოდ, მეგობრულად და თავმდაბლურად. სხვებს კი უხაროდათ მის გვერდით ყოფნა და მოღვაწეობა. უსპეტაკესსა და უპატიოსნესს, დიდსულოვანსა და ნათელ კაცს პირადი ცხოვრება თითქმის არ ჰქონია. იგი თავისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა; უსინდისობა და არაკაცობა აცოფებდა. ვინ იცის, რამდენ ანტიპოდსა და უზნეოს უცვნია თავისი თავი მისი კარიკატურების გმირებში. რამდენი ნეგატიური მოვლენა, ქვეყნის ავ-კარგი გამოუტანია სატირული სიცილის სამსჯავროზე.

**გიგლა მეგობრობისა და მეგობრებისათვის იყო დაბადებული და ბოლომდე ერთგულად, ვაჟკაცურად ატარა ძმობის უღელი. თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანი მისი მეგობარი იყო; საკმარისია, ვახსენოთ თუნდაც ერთი — ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი.**

**სამწუხაროა, რომ ეს სიცოცხლითა და იუმორით აღსავსე კაცი თვითმკვლელობით განეშორა წუთისოფელს.**

**ჟანი სიხარულიძე**



— ან ჩემს ბიძაშვილს გააფორმებ ხვალ შენთან სამსახურში, ან ჩემთან გააფორმებ დღეს განქორწინებას!



— ნუ მოგვჭრი, შვილო, თავს მეზობლებში! მუხლმოდრეკით გეხვეწებით, დაიცავი დისერტაცია!

## მე შაირი არ მინდოდა...

ვეღარ უშველის ქართულ ჯარს
„ვპერიოდი“ და „ნაზადი“,
ავღანეთს მიჰყავთ ბიჭები —
აფხაზეთისთვის ნაზარდი.

სიცხის არა გვაქვს შიში და
სხვის ომში ყველას ვჯობივართ,
ამერიკისთვის უფასო
და საზარბაზნე ხორცი ვართ.

ახლა მივხედოთ შინაურ
საქმეებს, საჭოჭმანოებს,
შიშველი ხელით რას უზამ
მიშიკოებს და ვანოებს?

როგორც ჩანს, გამორჩენების
მოლოდინები დიდია —
გუშინ საკნები აიღეს,
კვლავ დიალოგზე მიდიან!

კარავში გამოიცემა
ბონდო ქურდაძის გაზეთი...
ვანო, შვილივით ნაზარდო
რა მოიქნიე ასეთი?

ძალზე ძლიერი სენია
პრეზიდენტობის მანია,
კვლავ დიალოგის მომხრეა
ირაკლი ალასანია.

ამბავი გასკდა ისეთი,
შეირყა მთელი სამზეო,
მიშამ თქვა, ჩემი მემკვიდრე
იქნება თარგამაძეო!

სულ ახლო არის სიმართლე,
ოღონდ სჭირდება მიგნება:
ჯერ თვითონ მიშა რა არის,
გიორგი რაღა იქნება?

ამართლებს ახალ ფორმულას
დეგენე + რატები
გიორგი თარგამაძე და
ქრისტიან-დემოკრატები!

იმდენი „იბლატავა“ და
ხალხიც ისეა გამწყრალი,
რომ თარგამაძე გი-ვიიი
კადრშიც აღარ ჩანს, საწყალი!

ისევ ციხეში დატოვეს
გველუკაშვილი მალხაზი...
ჩვენთვის „გრეჩიხა“ ისაა,
რაც „გეპეისთვის“ — ნახაზი.

ალბათ, არასდროს ძველდება
ილიას „ქვათა ღაღადი“,
უკვე გახუნდა კედლები —
გია ბუღაძის ნახატი...

ასეა, როცა ხელმწიფეს
„მალიარი“ უზის ნავშია...
რა შუაშია ბუღაძე?
შუაში არა — თავშია!

„მტყუან-მართალის გამრჩევი
ახლა ჩვენ შორის ქურდია“, —
ამბობენ კოკა გუნცაძე
და კოკო გამსახურდია.

გარჩევის თავიც არა აქვს,
აწი გვჭირდება რაღაში?..
პარლამენტარმა დუმისა
მიშას აგინა პრაღაში.

რუსები დგანან საზღვარზე,
ხელში უჭირავთ ვარდები...
ახლა წავალ და სხვებივით
მეც მტკვარში გადავვარდები!

**გეგა ბაიტიანი**

რეკლამისათვის დარეკეთ:
38 41 97

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
გამომცემელი ტარიელ გაგნიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5; ტელ.: 38 41 97
მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე:
info@geworld.net; geworld@mail.ru